

# Կարգ

4

1982



# სესია

298

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

4

აპრილი

1982

თბილისი

საქ. კვ. ცე-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

---

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# უნიკარსი

8. ილია, საგზოგლეზ, ილია

## კოეზია და კროზა

- 7. გზია ჩაბინი — ლექსები
- 10. ოთარ ჩაბინი — საბი ეტიუდი
- 25. გრიგოლ ჯულუხია — ლექსები
- 31. გარდია გარიაშვილი — ლექსები
- 33. ბალათარ არაბული — ლექსები
- 36. ლილა ქივათაშვილი — დამარცხებული გამარჯვებული ანუ ჩვეულებრივი ამბავი. მოთხრობა
- 40. როგან მინინოშვილი — ლექსები
- 43. თამაზ ჩიგოგია — კიტრულა—წითელი სოფელი მოთხრობა
- 54. ჯულიაბა მილდინი — ლექსები
- 57. ევგენი ბარტაია — ლექსები
- 60. ჯუმაბარ ტიკაბაძე — სასწაულები. რომანი. გაგრაულა

## ბახსენება

83. გურამ მალაბელიძე — ლექსები

## ახალი თარგმანები

- 84. ალექსანდრ ბლოკი — ლექსები. თარგმნა გივი ალბაჩიშვილმა
- 88. ფრანსუა ვიიონი — ლექსი. თარგმნა დავით წერეთლიანმა
- 89. ტაღეუზ რუშევიჩი — ლექსები. თარგმნა ქემალ კელიძემ

## ნარკვევი

91. ლევან ფრუხია — დედავ. იხსენი რაბა

## წერილები

- 112. ნიკოლოზ ჯაფარი — სოციალისტური რეალიზმის ბრძოლა
- 118. სიმონ მანსახურობა — კვლევა გიორგი სააკაძის შესახებ
- 126. ჯარ კილაძე — „გული, ცნობა, და გონება...“
- 135. სიმონ მანსახურობა — ოჯახი და საოჯახო ურთის ჯოგირითი საბრძოლველი V-X სს. საბრძოლველი
- 143. ჯარაბ საგუბაძე — ფრთხილად, ძნელი საქმეა
- 148. მანანა მონიაძე — ლიტერატურული რეპრეზენტაცია ფრთხილად აღმოუღო კულტურისტიკაში

## ჩვენი კალენდარი

152. ილია ტაბაღაძე — სახელოვანი მკვლევარი

## ხელოვნება

155. ეთარ შავგულიძე — უსასრულო...

## მომავალსა მომდანი

158. იქმ

### მთავარი რედაქტორი გორის ფოსტოვანილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირაჯიანი  
გივი გეგეჭკორი  
გურამ გვირდინთელი  
რისმაგ გორდუხიანი  
გიორგი გუბია  
ნოდარ დუმბაძე  
გეორგი ელიოზიშვილი  
ვაჟა ლორთქიფანიძე

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
ოტია ვაჭკორია

გურამ ფანჯიკია  
ნუგზარ შატაია  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
სოსო ტინცაძე  
გივი ძნელაძე  
ნუგზარ წარბეული  
თამაზ წიფრიძე  
ტარიელ ჭანტურია  
რაქო ქვიციანი

# იდიდა, სამშობლო, იდიდა!

**უ**ნ ახლა უკვე სამოცდამეორე წელიწადში გადადექი, ჩემო საყვარელო საბჭოთა საქართველო!

შარშანდელი წელიწადი შენი დიდი ეროვნული დღესასწაულის წელიწადი იყო. სწორედ შარშან გაისმა შენი დიდი სტუმრის, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის ალალი სიტყვები, შენდა სადიდებლად წარმოთქმული:

„თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულია. ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას.“

ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვებები. საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც აჩანაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი წინაპრების თაობები კავკასიონის კლდე-სავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური ეროვნული კულტურა. ამაში სასიკეთო როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა“.

დიახაც რომ სასიკეთო როლი შეასრულა ამ შეერთებამ, მეგობრობამ, მოყვრობამ. ამიტომაც არის, რომ ასე რუდუნებით ვემზადებით ორი სახელოვანი თარიღის — სსრ კავშირის შექმნის მესამოცე და გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავის აღსანიშნავად.

ვემზადებით დაუთითოეული ჩვენგანი უპირველეს პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას სწორედ იმაში ხედავს, რომ თავისი გულის მფლურებიტაც ამრავლოს სოციალისტური სამშობლოს ძლიერება და სიდიადე, არა გულზე მჯიღის ცემით, არამედ ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობით თვითონაც ამრავლოს სახალხო ხეავი და ბარაქა, იპოვოს თავისი ღირსეული ადგილი ხარაჩოებზე, დაზგასთან. ვენახსა თუ ჩაის პლანტაციებში, საწერ მაგიდასთან თუ სახაზავ დაფასთან. ასეთია მთელი ჩვენი ახალგაზრდობის აზრი!

რა კარგად, რა ბრძნულად ითქვა ახალგაზრდობასთან რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე:

„სამშობლო, სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა.“

ჩვენ ვგრძნობთ თქვენი გულების ძალუმ ფეთქვას და ხელების თრთოლვას, ამ განძს რომ ეხებით.

განძი იგი უმშვენიერესია და ულამაზესი. იგი შეგიძლია ხატო, შეამკო, უსასრულოდ უმღერო. მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამშობლოს სიყ-

ვარულის განცდა ყველაზე დიდი ბედნიერება კი არის, მაგრამ ამ ბედნიერებას რომ ეზიარო, ტვირთი უნდა ზიდო, მსხვერპლიც უნდა გაიღო. ამ ტვირთს მოვალეობა ჰქვია.

სამშობლო ისეთი განძია, თუ ზრუნვა მოაკლდა, ჟანგი მოეკიდება. ჟანგი კი რკინასაც ჭამს...

ყოველმა ახალმა თაობამ ისე უნდა იცხოვროს, რომ ამ სათაყვანებელ განძს ახალი რამ თვისება შესძინოს, ახალი ელვარება შემატოს.

მხოლოდ იმას აქვს უფლება დატკბეს სამშობლოს სიყვარულით, გაციდილი ბედნიერებით, ვისაც ტვირთის ტარება, მოვალეობის შესრულება, მსხვერპლის გაღება შეუძლია".

იქ ისიც ითქვა, რომ შრომა საფუძველია სამშობლოს ძლიერებისა და სილამაზისა. სამშობლოს სიყვარული გარჯა-ჯაფით უნდა მოვავარაყოთ, თუ მშობელი ხალხის კეთილდღეობა, მისი სულიერი და ინტელექტუალური აღზევება გვსურს.

ჭეშმარიტი მამულიშვილის მკერდში არ შეიძლება ეგოისტის გული ფეთქავდეს. სამშობლოს სიყვარული, თუ შერწყმული არა გაქვს მოძმე ხალხების ასევე უსაზღვრო პატივისცემასთან, თუ მზად არა ხარ გამდიდრდე იმ წვლილით, რომელიც სხვა ერებს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეუტანიათ, გამდიდრდე და სათანადოდ დააფასო იგი, — ეროვნული კარჩაკეცილობა და პროვინციალიზმია.

ეროვნული სიამაყე თავმდაბლობასა და თვითკრიტიკულობას უნდა შეერწყას, საკუთარი წარსულისა და აწმყოს თაყვანისცემა — სხვა ხალხთა დამსახურების აღიარებას. უდავო ჭეშმარიტებაა: დიდი და წრფელი სიყვარული ხშირად უსიტყვოა, ვერ გუობს ტრაბახს, ამჟარტავნობას, პატივმოყვარეობას... ნამდვილად გულისფიცარზე დესანერი სიტყვებია!

„სამშობლოსადმი ნამდვილ თავდადებას და სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ქვეყნისათვის „თავშენირულთა“ თამაშთან, — აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — ამ საზეიმო წუთებშიც უნდა ვთქვა: დიდ გულისწყრომას იწვევს, როცა ქვეყნის პატრონობას, მის ქომაგობას ჩემულობს პიროვნება, რომელსაც კაპიკის საღირალი არაფერი შეუქმნია და ვერც შექმნის.

ასეთებს საკუთარი პერსონის განდიდებას წყურვილი უფრო აწუხებთ, ვიდრე სამშობლოს ინტერესები.

სამშობლო ის განძი არ არის, ერთეულ ხელმოცარულთა პატივმოყვარეობის დოკების საგნად რომ გამოდგეს.

სამშობლოს პატრონი მუშა კაცია, ვინც ფუტკარივით შრომობს, ფიზიკურად თუ გონებრივად, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში!

და აი სწორედ ამ სიტყვების პასუხად გაისმა ჩვენი ახალგაზრდობის გულმხურვალე ფიცი:

— ჩვენი ტკბილი ოჯახების ჭეშმარიტ ადამიანურ ბედნიერებაში, პატიოსნებაში, სამშობლოს ბატონ-პატრონი მუშა კაცის ერთგულებაში, ფუტკარივით გარჯაში შევეჯიბროთ ერთმანეთს, რომ ჩვენს გვერდით ადგილი აღარ დარჩეს თუნდაც ერთ უქნარასა და მუქთახორას, ხელმოცარულ პატივმოყვარესა თუ ნიჰილისტს, თვითონ არაფრის მკეთებელს, სხვებისაგან კი ყველაფრის მომთხოვნს, ყველა სხვა ჯურის ანტიპოდებს!

— შევეჯიბროთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში,

საქვეყნოდ ღვანასა და სახალხო საქმის კეთებაში — ვინ მეტ წვლილს შეიტანს საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერების წინსვლაში,

შევეჯიბროთ ერთმანეთს ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, სიკეთის თესვაში, ბოროტების დათრგუნვაში, შევეჯიბროთ მაღალი ზნეობისა და წმინდა მორალის დამკვიდრებაში,

კომუნიზმის ერთგულებაში, სამშობლოსათვის თავდადებაში!

ამისკენ მოგვიწოდებენ, ამას მოელიან დღეს ჩვენგან პარტია და სამშობლო. და ვიყოთ ღირსნი ამ მაღალი მოწოდებისა და მოლოდინისა!

მაშ კვლავაც ვიყოთ დედამინის ამ თვალწარმტაცი კუთხის — საქართველოს ღირსეული შვილნი!"

და თითქოს ამ ვაჟკაცური ფიცის დასტურია, რომ ზედიზედ უკვე მეცხრედ გადმოგეცა, ჩემო საყვარელო რესპუბლიკავ, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს დღესასწაული უკვე ტრადიციად იქცა, ბუნებრივად დამკვიდრდა ჩვენი ცხოვრების კალენდარში...

ხოლო როცა ამ დღესასწაულის ტრადიციულობაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ გამარჯვების დროშისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომელიც ცხრა წლის წინათ, 1973 წელს გადაიდგა, როცა პირველად გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეს პირველი გამარჯვება დაძაბული, მუხლჩაუხრელი შრომის, რუდუნების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის კანონზომიერი შედეგი იყო.

ნაბიჯიც არის და ნაბიჯიც. მაშინ, 1973 წელს, ეს იყო დასაწყისი იმ დიდი ნახტომისა, რომელმაც განახლების გზა დაგვისახა და ფრად მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ გამარჯვების შესაძლებლობის რწმენას გვინერგავდა.

და აი, განახლების ათმა წელმა ყველაზე ნათლად წარმოაჩინა თავისი შედეგები სწორედ პირველი გამარჯვების წელთან შედარებით...

1973 წელს სოფლის მშრომელები იბრძოდნენ 290 ათასი ტონა ჩაისათვის, 1981 წელს — სამშობლოს მისცეს 525 ათასი ტონა. 1973 წელს მოიკრიფა 227 ათასი ტონა ყურძენი, 1981 წელს — 797 ათასი ტონა. ამ წლების მანძილზე რამდენჯერმე გაიზარდა ციტრუსების, ბოსტნეულის, კარტოფილის, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მისმა საერთო ზრდამ მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

თითქმის ერთიორად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან მარტო სახალხო მოხმარების საქონელი გამოიღოთ სამ მილიარდ მანეთისაზე მეტი, მაშინ როდესაც ცხრა წლის წინათ ამაზე მხოლოდ ოცნება შეგვეძლო. 1980 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა 845 მილიონი მანეთით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1973 წელს.

რეკორდულ დონეს მიაღწია რესპუბლიკის ეროვნულმა შემოსავალმა,

რომელმაც 8,5 მილიარდ მანეთს გადააჭარბა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების დამატებით 208 მანეთამდე გაიზარდა, 1973 წლის 157 მანეთთან შედარებით...

ჩვენმა ხალხმა ისწავლა, როგორ უნდა იმარჯვებდეს! და ესეც იმის უშუალო შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიბიურო, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ჩვენმა ხალხმა ისწავლა, როგორ უნდა იმარჯვებდეს! ეს კი ნიშნავს, რომ იგი კვლავაც იქნება წითელდროშოვანი! ასეთი იყო დედააზრი საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებისა, რომელიც გაზაფხულის პირველსავე დღეს გაიმართა და რომელიც მიქძღვნა საქართველოს სსრესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

ჭეშმარიტად დიდი ჩვენი ხალხის ამ გამარჯვებაში ჩვენი ჩინებული ახალგაზრდობის წვლილი. ამიტომ იყო, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მაღალი ტრიბუნიდან გაისმა:

— მხურვალე მადლობას ვუძღვნი ჩვენს შესანიშნავ, საუცხოო ახალგაზრდობას! ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია, და მართლაც ბედნიერი ვართ, რომ ყველა საქმეში იგი ჩვენს გვერდით მოაბიჯებს. ჩვენი საიმედო საყრდენია.

ყველა ჩვენგანის სათქმელი, სამშობლოს ყველა გულმხურვალე პატრიოტის სათქმელი კი ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მეთაურმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ასე გამოხატა:

— წინ მთელი წლის დაძაბული მუშაობა მოგველის, ეს მუყაითი და ბეჯითი მუშაობა იქნება. ზედიზედ მეცხრედ ვიწყებთ წელიწადს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, სამშობლოს მაღალი ჯილდოთი შთაგონებულნი, ჯილდოთი, რომელიც სიხარულთან ერთად საბჭოთა საქართველოს ყოველ მშრომელს გაწეული ნდობისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღავსებს.

თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მე-10 წლისთავის წელს მტკიცედ გვაქვს გადანიშნული კიდეც ერთხელ, ზედიზედ მეთავედ მოვიპოვოთ იმის უფლება, რომ რესპუბლიკის თავზე ავაფრიალოთ ეს წითელი დროშა, რომელიც საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების სიმბოლოა!

ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიურ ლენინურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები აღმშენებლობითი ენერჯის ახალი მოზღვავებით, ახალი დიდი საქმეებითა და მიღწევებით აღნიშნავენ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ დიდმნიშვნელოვან ეტაპს, კიდეც მრავალჯერ ასახელებენ თავიანთი შრომითი საქმეებით ჩვენს დიად სამშობლოს!

ამ ფიცივით მგზნებარე სიტყვებით დიხაბაც რომ ყველა ჩვენგანის ალალი გულისთქმეა გამოხატული!



მზია ჩხეტიანი

მე ვარ უკვდავი

შუქიდან შუქში,  
ფერიდან ფერში  
გადადის ჩემი კდემა და ალი,  
მადლით სავსე მაქვს კალთა და პეშვი  
და ვარ უკვდავი — დედა და ქალი.  
ათინათს მოჰგავს ღიმილი ჩემი,  
წყენა — შუქ-ჩრდილთა თრთოლას და  
თოვას,

აგიტირდები —  
ობოლი ცრემლი  
შენს გზა-ბილიკზე იებად მოვა.  
შემოგვცინებ და იმედის ზარებს  
მაგ ამაყ სულში ტკბილად დავრეკავ.  
შუქჩაუქრობელ მზედა თუ მთვარედ  
ვენთები შენთვის შინაც, გარეთაც.  
სითბოს, სიყვარულს,

შვილსა და ყვავილს  
შემოგაგებებ სახლის კარებთან,  
მაგრამ, შენ იცი, ეს დიდი ვალიც  
კარგა ხანია მეცოტავება.  
სად არა მნახავ: ყანაში, ზვარში,  
ვარ ჩაის ბუჩქთან,  
ნიგნზე დახრილი,  
ალარ მასვენებს სიზმრად თუ ცხადში  
შორი ვარსკვლავის ჩუმი ძახილიც.  
მერე რა,  
თუკი ზოგჯერ გეძახი  
და შენს დიდ მკერდზე ვტირი  
ბავშვივით.

მე აგიშენე, აი, ეს სახლიც,  
შენსავით სანდო და მხრებგაშლილი.

ამჟღად

თქვეს სიყვარული შენი მამათა;  
ვინ გხატა, გქერნა,  
ვინ ილაღადა,  
ლოცვები შენდა გადასარჩენად,  
ვინ ხმლით იდგა და დუშმანს  
ჰკაფავდა,  
გეზელ ქორივით მტერს მიჰკიოდა,  
ვინ შენს მომავალს აკვნით არწევდა

და შენზე ფიქრი მწარედ სტკიოდა.  
ვფურცლავ შენს წარსულს,  
შენს მზეს და ნისლებს  
დიდი ომების ცეცხლში მოყოლილს,  
დედების მწარე მოტირალს ვისმენ,  
პირსისხლიანი მომყვებს მონღოლი.  
და წმინდა ნინოს თმებით შეკრული  
ანთია ჯვარი სისხლის წვიმაში,

შენი უსაზღვრო სევდით შეძრული  
ვარ დაჩოქილი მეც შენს წინაშე  
და მესმის —  
როგორ ჩეხდა სპარსელი  
ალაზნის ველზე ქართულ საფერავს,  
ფერეიდნის გზას ტანჯვით გავცქერი  
და ვხსნი კედლიდან ბებერ სატივარს.  
ლაზისტანს —  
შენი გულის ნახევარს,  
სტამბოლს გაყიდულ გურჯის ქალ-  
ვაჟებს,  
თითქოს იმ ბედკრულ,  
მწარე გზაზე ვარ,

პირჯვარს ვინერ და ლოცვას  
აღვაველენ.  
ღვთიშობლის ხატთან იწვის სანთელი,  
მისი წილხვედრი მიწა ქართული  
და ისევ იბრძვის,  
იბრძვის ქართველი  
ომში დაღლილი და დაქანცული.  
ვფურცლავ შენს წარსულს —  
შენს ფრთიან ფრესკებს  
მიგალობს შენი ასომთავრული  
და მიხმობს ისევ შენსკენ და შენსკენ  
ცრემლი,  
სიცოცხლე და სიყვარული.

### დედის ვედრება

რა ცეცხლს გამოვცდი, თვალთა  
ნათელა,  
რა გზებს,  
რა ეკალ-ბარდებს,  
რა ტკივილებით ვალამ-ვათენე,  
რა ჭირთათმენით გზარდე!  
რაც შენთვის ცრემლის ღვარი მედინა,  
რაც სასთუმალთან გენთე,  
თაფლად შეგერგოს, თაფლად,  
დედილამ,  
ალალიმც იყოს შენზე,  
თუ პატიოსნად,  
თუ კი კაცურად  
ხალხში გამოსვლას შეძლებ,  
გვარის ღირსების ქებად, დასტურად  
ივლი მამულის გზებზე.  
ერთი ჩემს გულშიც ჩაგახედინა,  
რა საფიქრალით დამწვი!  
ვაითუ, შეგხვდეს გზაჯვარედინთან

ვინმე არჯალი კაცი!  
ვაითუ, ველარ მოგყვეს ბოლომდი  
დედის კეთილი მზერა  
და მრუდე კაცის ფიქრი ბოროტი  
ჰფარავდეს შენს გზას ფერადს!  
ვაითუ, მოსცხო ჩირქი ტიალი  
ჩემს შეურცხვენელ მერდინს,  
არ გქონდეს საქმე, სიტყვა გზიანი,  
კარგ ყმათ არ უდგე გვერდით!  
ცოცხალს გიგლოვდე  
თვალცრემლიანი,  
დამანყევარი ბედის!  
ვინც უნდა შეგხვდეს  
გზაჯვარედინთან,  
თუ კაციმობას შეძლებ,  
რაც შენთვის ცრემლის ღვარი  
მედინა,  
ალალიმც იყოს შენზე!

### არ დაივიწყო

რა ტვირთსა სწევდა,  
რამხელა ჭაპანს  
ის — ბუდესავით სერზე მიკრული  
პატარა ოდა,  
მოხუცი პაპა  
და ცრემლიანი თავსაფრის ყური.  
დიდედას შავი თავსაფრის ყური  
გახუნებული შვილებზე დარდით;

...ცხოვრების შუა გზამდე მისული  
იმ ძველ სატიკივარს რამდენად  
ჰმადლი?!  
არ დაივიწყო, ო, გვევდრები,  
უფრო ნათელი ან რა გეგულვის?!  
მამისეული სახლის კედლები  
დედის სინწინდით გაცინებული.

## ეს აპრილი

სიზმარსა ვრთავ:  
ბანსა ვზივარ,  
მზის ყვავილი  
თავს მაცვივა —  
ეს აპრილი ისევ მტკივა,  
ისევ შეყვარებული ვარ.  
რაო,  
მართლა გარდასულან  
სიყმაწვილის დრონი განა?!  
მტრედმა ჩემი მზეჭაბუკის  
ბარათი კვლავ მომიტანა —  
ვენატრები,

სალამს მითვლის  
ცხრა მთას იქით, შორიდანა.  
ქარმა სევდის ქალღმერთები  
მიმიყარა,  
მომიყარა,  
ჯერ დიდხანს არ დავლამდები,  
ეს დღე ჩემთვის როდი კმარა!  
უნდა ბაგე დასაკოცნი  
ალუბლებით შევიღებო,  
გაგაკვირვოთ,  
გაგაოცოთ,  
გადაგრიოთ, მეზობლებო!

## განის დილა

ყაყაჩოების ყივილზე  
გამომელვია უცებ.  
თავზე დამადგა დილის მზე,  
შემომეკიდა გულზე.  
ქარივით ჩამომირბინა  
ვაჟმა,  
— ვისი ხარ, ქალო!

შეაბარბაცა ბიბინა,  
მზემოდებული კალო.

გახსოვს ის ფერთაცვალემა —  
მინდვრის დამწვარი კალთა?!  
მთელი წლის წვად და წვალეზად  
მიღირს ეს დილა მართლაც!





## მარცხენა ფეხზე

**ისეთი** დღე დაუდგა, ყველაფერი რო აბრაზებდა. — აგერ ე ხრეშიცა: ზედ გზაზე ეყარა, მანქანა მანქანას ველარ აუქცევდა:

თვითონ დაჰყარა, თვითონვე აბრაზებდა:

ლამის გზას რო მიპბჯენოდა ლობეი. პირველი მანქანა ისე დასცალა მაინცა. გზას არ შეჭხებია და ლობესაც არა, — ისე ივაჟყაცა, ისე დასცალა:

ის ერთი ეგონა და ისე დასცალა, კიდევ ერთიო, მერეღა უთხრა, კიდევ ერთიო და კიდევ ერთიო, — და გაიბერა ხრეშის გორაი, იქით ლობე ჩაწვა, აქეთ დაიტანა გზაი, — ბარემ ლობეზე შედგებოდა მაშინვე, ამდენი თუ უნდოდა, გზას არ გამოკებერდა, არ გახაფრავდა გზასა;

მერე და, კიდევ ერთიცაო, მისძახოდა. გამოფრიალდებოდა გზაზედა და მისძახოდა, ყელსაც გამოუწევდა, თითსაც უჩვენებდა, ერთიცაო, კიდევ ერთიცაო:

სარკეში მოსჩანდა, ეგრე მოსჩანდა ფრიალა კაბაი, ბრიალა კაბაი და შიშველი მკლავები, შიშველი ტლოკებიც მოსჩანდა სარკეში, თვითმცლელის სარკეში რალა თქმა უნდა; ჯერ დიდად მოსჩანდა, დიდ-დიდადა, ნაწილადა თუ ნაწილ-ნაწილადა, ბრიალა თვალბეცა და ამოფუებული ტუჩებიცა, ბუტკუცუნა ლოყებიცა და შუბლზე ჩამოწეწილი ბუწუწებიცა, დაბალი კისერიცა და

მაღალი მკერდიცა, მერე და მერე მთლიანდებოდა. პატარ-პატარავდებოდა თუ ერთიანდებოდა. გადგებოდა თუ წამოიწელებდა, — კიდევ ერთიცაო, კიდევ ერთიცაო:

ესეც აბრაზებდა, ისეთი დღე დაუდგა, ყველაფერი რო აბრაზებდა:

მა რა ეგონა, მარცხენაზე რო ადგა?..

იცოდა, კარგი რო არ მოელოდა, — და, რო ადგა, და რო მიხვდა, მაშინვე შევარდა საბანქვეშა, ისევე შევარდა ფაცხაფუცხითა, თვალბეც მილულა ფაცხაფუცხითა, ვითომდა რაო, სიზმაპრიდანაც არ გამოვხსნილვარ, თავი დაიწმუნა და ისეღა ადგა, მარჯვენაზე ადგა, მაგრამ არ უშველა, არა, არ უშველა, — ვის მოატყუებ?! ბედისწერას რას მოატყუებ?! ვერც მოატყუა რალა თქმა უნდა და იქიდანვეც დაიწყო, — დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: თავი გიკვდება ასადგომდაო. შეუტია ცოლმა, შეუტია და შეუტია: ცალფეხზე წინდის ჩაცმა დაავიწყა, ფეხები ხალათში გააყრევინა, ვითომ და რაო, შარვალიაო, ხოლო შარვალი თვითონვე გადმოუგდო, თორემ ჩაცმაც არ მოაგონდებოდა, — ისე შეუტია: მერე ყიგული ამოიღო ქვეშა, ახლათახალი, უპქნელი ყიგული, მწვანე ყიგული. — იქვე, მოსახვევში შეიჩერებინა ვიდაც დოყლაპიასა და კიდევაც ამას აუყვირდა, თვალბე სავთ ვასხიაო: კიდევ

კარგი რო ადგილზე ესხა, დროზეც შე-  
ნიშნა და დროზედაც შეყალყა თავისი  
„კაზი“, თორემ გაიგებდა. ის ვილაც  
იყო, სხვისი თვალი რო არას არგია,  
თვითონვე თუ არ უქნია ღმერთსა, —  
იცოცხლე გაიგებდა, კარგადაც გაიგებ-  
და და არც ამას დაეყრებოდა კარგი  
დღეი, მაგრამ რას იზამდა, რო წამოფ-  
რინდა მარცხენაზედა, მარცხსაც პო-  
ვერ გაქეცოდა; ვერც გაქეცა თუ ვერც  
წაუვიდა, ანთუ ვადარჩა, დიახ, დიახ,  
ითქმის რო ვადარჩაო, რადგან ჩადრიკა  
მხოლოდ საბარგული უპწკნელი ყივუ-  
ლისა, სხვა მის ადგილას რო ამოიდებდა  
ეგრე ერთბაშადა, ეგრევე მოლექდა კა-  
ციან-ქალიან-რკინიან-თუნუქიანადა, —  
ზოგი მერე ეკითხა, თვალეზი საით ვას-  
ხიაო. მაინც ნაკლები დღეც არ დაყარა,  
ასეთ მანქანას ჩემს ეზოში არ ვაგაჩრე-  
ბო, ეს შენ წაიღე და ახალი მომართვი,  
ახლათახალიო. უნახავი თუ იყო, ვი-  
ლაც იყო!.. კიდევ კარგი რო ვააგებინეს,  
ხალხი შემოეხვიათ, და ვააგებინეს, ახ-  
ლავე საითმე მიეფარეთო, იქით მორიგ-  
დით და ჩუმად მორიგდითო, თორემ  
ინსპექცია წამოგაწყდებათ და ის გიბო-  
ძებთ ახლათახალსაო. მოფარებულშიცა  
ჰყვიროდა ისევე, ზარალის საფასურს  
ათმაგად ითხოვდა, სამმაზე ძლივას ჩა-  
მოიყვანეს. უნახავი თუ იყო, ვილაც  
იყო, ანთუ დარიგებული ასე იყო;  
ვინც იყო, იყო თუ რაც იყო, იყო, ასე  
დაიწყო და ასე გაუძალდა დღეი, ზაფ-  
ხულის დღეი, ისედაც ფიცხი, ისედაც  
მხურვალეი, რო ავიყვანს და აღარ და-  
გოშვებს.

მთელი დღე გაუძალდა:

თუმცა ეგონა, სადთუ სიავეა, სიკე-  
თეც იქ არისო, ეგონა და ეგონებოდა:  
რადგან იმას რო გამოეხსნა, გადაეყარა  
ავერ ამასა: ავერ, ავერ, რო გამოწვდი-  
ლა; კიდევ ერთიჯო, კიდევ ერთიჯო, —  
მაშინვე, მყისვე გადაეყარა: გამოფრიალ-  
და უეცრად გზაზედა, შეუხტა მანქანის  
საფეხურზედა, სარკმლიდან ნიდაყვი  
რო გამოეჩარა ამასა, ზედ დაუყარა ი  
დალოცვილი გულმკერდი, და ეგრე  
მოახსენა, ხრეში მინდაო; ამასაც სწო-

რედ ესენი უნდოდნენ, — მნდომელი  
ჩრეშისა, სარჩოც ეს გახლდა და საზ-  
ლაურიცა, სიკეთეც ეს გახლდა, სიავეს  
რო უნდა მოჰყოლოდა, უნდა მოჰყო-  
ლოდა და მოჰყვა კიდევაც, კვლავ თუ  
სიავე მოწყოდა, მოეწყოდა სიკეთე-  
ცა მაშინვე; სიავეც მაშინვე, სიკე-  
თეც მაშინვე, კვლავაც და კვლავაც,  
კვლავაც და კვლავაც, სიავეც მაშინვე,  
სიკეთეც მაშინვე, სიავეც მაშინვე,  
სიკეთეც მაშინვე და იქმნებოდა ორომ-  
ტირალი ამა უმადლო წუთისოფლი-  
სა; ხოლო გულმკერდი, ი კურთ-  
ხელი, ისე უღვთოდ რო ზედ დაუ-  
ყარა, ვითომ და რაო, არაფერიო, მარ-  
ცხენა ვეზზე რახან ამდგარიყო. შემჩნე-  
ვით შეემჩნია, გზად შეემჩნია, ისიც  
სხვებივით უცდიდა მანქანებსა, ოლონდ  
სხვებისგან მოშორებითა, მარტოდ მარ-  
ტოდა, — მარტო იდგა, მარტო ფრია-  
ლებდა; იმათთან, სხვებთან, ავტობუსი  
შეჩერდებოდა, ამასთან ვინმე დარდიმან-  
დი შეჩერდებოდა, თავისი მანქანიო რო  
გამოსულიყო, რო არსად რო ავიყანდე-  
ბოდა, რო არ ექჰარებოდა არც შინისა-  
კენა. — შეემჩნია და შეამჩნევდა ხოლ-  
მე, ეგრე თვალდათვალა და ზურგთუქ-  
ნიდანაცა, თვალეზი რო კეფაზე ასხდა,  
— მანქანის სარკეები. ხან ავტობუსიც  
არსადა სჩანდა, არც მოჭირავენ არსადა  
სჩანდა, არც დარდიმანდი არ იყო არსა-  
და, მაშინ ესეც შეყოვნდებოდა, იქ არა,  
სხვებთანა. აწორედ ამასთან შეყოვნდე-  
ბოდა, ან კიდევაც შეჩერდებოდა. —  
მე შენ გეტყვი და ადგილს მოისაკ-  
ლისებდა: რისი ყივულიო, ყველა ჯუ-  
რისა, რისი „24“-იო, — შეჩერდე-  
ბოდა ვითომ ისე, მაგრამ მაშინვე და-  
ცივნას რო წააწყდებოდა, დამცინავ თვა-  
ლებს რო წააწყდებოდა, გაიძურწებოდა  
ფეხაკრეფითა: თუმცა ამდგარიყო მარ-  
ჯენა ფეხზედა, — ეს მაშინაო, — გულ-  
შიც სხვა ფიქრი არ ელო ცხადია, მხო-  
ლოდ უნდოდა, დახმარებოდა, რო არ  
მოსჩანდა არც რო ავტობუსი, არც მო-  
ჭირავენ რო არ მოსჩანდა, გამწყვარიყე-

ოთარ ჩხიძე  
სამი მბიძგი

ნენ რო დარღმინდნიცა, თითქოსაო რა-  
და თქმა უნდა; ახლა აგერ თვითონ შეუხ-  
ტა, თვითონ მოევიღნა შექად სიკეთისა,  
და აბრაზებდა, მაინც აბრაზებდა, მარ-  
ცხენა ფეხზე რახან ამდგარიყო. აბა მაშ  
რაო, — ხრეში მინდაო და განა უთხრა,  
რამდენი მინდაო: მიუტანა და კიდევ  
ერთიო, კიდევ მიუტანა და კიდევ ერ-  
თიო, კიდევ მიუტანა და კიდევ მისძახო-  
და, წაწვდილიყო და ისე მისძახოდა,  
ყელს უწვევდა და ისე მისძახოდა, კიდევ  
ერთიო, ერთიო, ერთიო, დასწყევლოს  
ღმერთმა, რამდენი ერთიო.

მართალი ითქვას, ასე ერჩინა, ასე  
ერთბაში მუშტარი ერჩინა, ასე გზას-  
თანაც ერჩინა მუშტარი, ოღონდ ეს  
არა, ეს აღარ ერჩინა, გულის გაწვრი-  
ლება აღარ ერჩინა, არც ეს ვეება გორა  
ერჩინა, ხრეშის გორაი, ლამის შუაგზას  
რო გადალაჭებოდა, — ანთუ აბრაზებდა,  
ეს დღე დაუდგა, ყველაფერი რო აბრა-  
ზებდა.

აბრაზებდა ზემდეგაცა სამუშაოსი,  
რად იგვიანებო, სისხლი გაუშრო, ამას  
გაუშრო, სხვებთან ისევე რიგდებოდა,  
ისე ადვილად, ამასთანაც რო რიგდე-  
ბოდა ჩვეულებრივად, სისხლი გაუშრო  
და ემუქრებოდა, შევატყობინებ შენს  
უფროსებსაო; ხმა ვერ ამოელო, მობუ-  
ზულიყო, მოკუნტულიყო, მარცხენაზე  
რო ამდგარიყო, დიდ ხიფათს რო გა-  
დარჩენოდა, მუშტარიც ეშოვნა და ზა-  
რალს დაჰფარავდა, ხმა ვერ ამოელო რა-  
ღა თქმა უნდა, ოღონდ მაინც იბერებო-  
და, ბოლმით და ჭავრით იბერებოდა,  
სიჩუმითაც იბერებოდა, შიშობდა, რო  
ვერ გაუძლებდა, აფეთქდებოდა უსათუ-  
ოდ, უადგილოდ აფეთქდებოდა; იგინე-  
ბოდა თავისთვის ამიტომაცა, აგინებდა  
ხრეშის გორასა, მარცხენა ფეხსა თავისა-  
სა, სამუშაოთა ზემდეგისასა — ორივეს  
აგინებდა, ყველა ცოცხალიანდა და ყვე-  
ლა მკვდრიანდა, მწვანე ჟივულსაც ავი-  
ნებდა, ცოლსაც უთვლიდა თავის საკად-  
რისსა, ისეთი ხმითა, მაღალი ხმითა, ალ-  
ბათ მიაწვდენდა კიდევაცაო, მანქანის  
ხმაურს რო არ ჩაეხშო; ამასაც აგინებ-

და, რო წაწვდილიყო და რო მისძახოდა,  
აგინებდა და ვერ გააგონებდა იგივე  
ხმაურში, ამოიყრიდა გულის ბუხარსა,  
მხოლოდ ეს იყო, ცოტოცობით ჩა-  
შოშმინდებოდა, გემოს ჩაატანდა ცოტ-  
ოცობითა; რაც თუ იქნებოდა, უძლე-  
ბდა ამითა, მზესაც უძლებდა, მხურვალე  
მზესა, დუღლუნსაც უძლებდა სამუშაო-  
ზე, ამასაც უძლებდა, კიდევ ერთიო, —  
რაც იყო, იყო, აღარაფერი აღარ შემთხ-  
ვევია, გატეხა ნავსი მარცხენა ფეხი-  
სა, — ეგონა რო გატეხა ნავსი.

და დაახრილა კიდევ ერთხელა ხრე-  
შის გორაზედა, კიდევ ერთხელაც შეი-  
გინა საგულდაგულოდა, და გასძახა  
კიდევაცა. გამისწორდო, გასძახა ავად,  
შმაგადა, ბოლმიანდა, ველარ გამიბე-  
ლოს, კიდევ ერთიო;

ვერ გაუბედავდა, ვაჟაკიც ვერ გაუ-  
ბედავდა, ისე გასძახა.

ის გამოჩენასაც ველარ ბედავდა, ისე  
გასძახა;

ვერც თუ სადმე დაემალებოდა, ისე  
გასძახა;

მაინც გასძახა ბარე ცხრაჯერა, არ გა-  
მოუჩნდა მანამდისინა, — გასძახა და გა-  
სძახა უფრო ავად, უფრო სულსწრაფა-  
და, ნავსი თითქოს რო დავიწყებოდა,  
ანთუ გაატეხა თავის ჭკუაშია, — ფუტს  
აიღებდა და მიაქვავებდა ი ვილაც იყო,  
ფულიდა ახსოვდა, აიღებდა და მიაქვა-  
ვებდა, ბევრიც აღარ დააკლდებოდა, ან-  
თუ ეყოფოდა, თითო გზა უკვე ოცდაათი  
პირდა: ამანაც იცოდა, იმანაც იცოდა,  
ყველამ იცოდა, აღარა ვაჭრობდნენ, —  
ენტო ზაფხული, დროი შენებისა,,  
სურდა ზაფხული, თავიცა ხურდა, გუ-  
ლიცა ხურდა, ნეტავი რაღა გაბრაზება  
უნდოდა?! ანთუ რაღა დამატება უნდო-  
დაო...

არადა, ერთი რო გაილანდა, ისევე ჩაი-  
მალა ბრილა კაბი, მყისვე ჩაიმალა.

გამისწორდო, მეცხრედ მიაყოლა  
სწორედ მამინა, მიაყოლა კბილთა ხში-  
ალითა, მანქანაც დაავდო ხრეშის გო-  
რასთანა, ეგრევე დაავდო, აყირავებუ-  
ლი, და ეზოში შევიარდა.

და გამოფართქალდა ისიცა ბოსტნი-  
დანა, ბრიალა კაბა გამოფართქალდა,  
ფრიალა კაბა გამოფართქალდა, — შუშა  
კიტრები ეყარა მკლავებზედა, ილია-  
შიაც გამოსჩროდა შუშა კიტრები, რია-  
ნის ფოჩებიც გამოსჩროდა ილიაშია,  
მკერდქვეშაც მოპყოლოდა რიანიცა და  
შუშა კიტრებიცა, ლამის რო უტყვიოდა  
და ვერც უტყვიოდა, ეგრე ჩაებლუჭა, ეგ-  
რე ჩაეკრა, ეგრე მიეკირა, ეგრეც მოდი-  
ოდა ცოტა მოხრილი, მოდიოდა თუ მო-  
იზნიებოდა, თვალები ენთო და ენთო  
სახეცა, — მზემოკიდებული რალა თქმა  
უნდა, მაინც სუფთაი, კრიალაი მაინცა,  
— ენთო და მოდიოდა, მოდიოდა და  
მოსდეგდა სუნიცა, ანთუ სურნელი მოს-  
დეგდა თანა, სურნელი კიტრისა, სურნე-  
ლი ქონდარისა, ქორფა ხახვისა და ნია-  
ბურის სურნელი, რიანის სურნელი წინ  
მოუხტოდა, თავს მოეკლებოდა და ისევე  
მოუხტოდა: და იქვე ახლო რუცა ლიკ-  
ლიკებდა, პატარა რუი, ლიკლიკებდა რა-  
ლაც ისეთსა, დამაფიქრელსა თუ მიმ-  
ზიდველსა, ამოსახსნელსა თუ ამოუხს-  
ნელსა, რალაც ისეთსა, რალაც ისეთსა,  
რო მიაყუჩებდა უთუოდ ყველასა,  
თვით ამასაც მიაყუჩებდა თუ არ აღგე-  
ბოდა მარცხენა ფეხზედა, ანთუ ის  
დროზე თუ გამოჩნდებოდა, ის მაინცა,  
ცხრაჯერ თუ არ დააყვირებდა; მაინც  
თუ დადრკა, ცოტა მაინცა, კიდევ ყვი-  
რილით რო აღარ უთქვამს, ოღონდ  
ბრძანებით მაინც რო ბრძანა:

— გამისწორდი, და!..

— ვინ გიჭერს მერე?! — იმანაც მი-  
უგო, გაკვირვებითა თუ თამაშითა, თვა-  
ლთა თამაშითა, თამაშითა წარბთა და  
წამწამთა, მხრების თამაშითა, ხმის თა-  
მაშითა, ი ჩაბლუჭული კიტრთა თამაშითა  
და ზედ დაყრილი გულმკერდის თა-  
მაშითა, ცოტა თამაშითა, ცოტ-ცო-  
ტაო თუ ერთბაში თამაშითა.

— ჰოდა!.. — გაისმა მაინც ისევე  
ბრძანებითა;

და მოპყვა მაინც ისევე თამაშითა: —  
ჰოდა... — არც ნაბიჯი რო შეუწუნლებია,  
რო ჩაუარა და მხარიც რო გაჰკრა, გაჰკ-  
რა და გამოჰკრა, ეგრეც შეჩერდა, ვი-

თომ და რაო, შეეტოლაო, შეეტოლა და  
აპხედაო, აპხედაო და აზომაო, ვითო-  
მაო თუ თითქოსაო, ამიტაცებს თუ  
ამიყვანსო, ანთუ სადამდის ამიტაცებ-  
სო, ანთუ როგორ ამიტაცებსო, ასე  
აზომაო, ვითომაო თუ მართლაც ასეო.  
მაგრამ და რაო, ვაგლახ და ვაიო, ის  
დღე რო იყო, ყველაფერი რო აბრა-  
ზებდა, გააბრაზა ამანაც ისე, აფეთქ-  
და ისევე. თურმე არ უშველა იმდენ-  
მა გინებამა, ვერ ამოუწმინდა გუ-  
ლის ბუხარი, ისევე მრისხანე სიტყვები  
მოაწვა, მოაწვა და ისე წამოპყარა... ან-  
თუ რა ისეო, რას უნდა შეედაროს, —  
არც არაფერს რო არ შეედრება: წამოპ-  
ყარა და ეგაა. ყვირილიც მოადევნა ისე-  
ვე, ლამის ყელი რო ამოაფხრიწა, ისეთი  
ყვირილი, და არ განიჩქოდა სიტყვი  
არცერთი, არცთუ აზრი რამ განიჩქო-  
და, — ესაა, აფურთხებდა დროდადრო  
მიწასა, იქავე, ეზოშია, გარეთ რო გა-  
ვარდა, იქაც დააფურთხა, და მანქანაში  
რო ბუცა თავი, გადმოაფურთხა იქიდა-  
ნაცა, ესაა და ესა. მერე მანქანა დაეშ-  
ვა, დავარდა გამეტებითა, შეუბრალებ-  
ლად, ადგილიდანაც მოსწყდა ეგრევე,  
მოსწყდა ავად, მუქარით მოსწყდა, და  
კიდევაც ქვეშ ამოიდებდა, რასაც შეხე-  
დებოდა, წამოეწოდა თუ რასაცა, უფ-  
რო ჟიგულებს ამოიდებდა, ჟიგულის  
ჯაფრი რო ჩაპყოლოდა, ამოიდებდა, ამო-  
ლეჭავდა, გადაყლაპავდა და გაისვრიდა  
უკანიდანა, — უკაცრალუი სათქმელია,  
ოღონდ მანქანა მაინც მანქანაა. საბედ-  
ნიეროდ, ვერ გადაეყარა ვერც ჟიგულ-  
სა თუ ვერც სხვა რამესა: ღვთის კალთას  
თუ ამოეფარნენ, ანთუ არწიენი თუ დაი-  
ჭირავენ და უთვალთვალბდნენ ეგრე  
ზევიდანა, კლანჭებზე ჩამობმულნი, არ-  
წივის კლანჭებზედა; როგორცრო ერთ-  
ხელ, ახალგაზრდობაში, ალექსი გო-  
მიაშვილი უჩჩეგდა მეგობრებსა: ფოს-  
ტა არ არის?! წერილი არწივებს გა-  
მოტანეთო. გახსოვს?..

ეს მაინც რამეს გადაეყრებოდა, მაგრამ  
სხვა ბრაზი წამოეწია და დაზიდა იმა-

მთარ ჩხიმიძე  
სამი მხილდი

ნა, სხვა ბრაზმა დაზიდა: ის დღე რო  
იყო, ყველაფერი რო აბრაზებდა, გააბ-  
რაზა მერე იმანა, ნეტავი იმ ქალს რას  
ვერჩოდით... ვითომ ისეთი რა მხარი  
გაჰკრა, რო გვერდები ატყინა?! — რა  
სათქმელია, ისე რბილად გაჰკრა, ისე სა-  
ლუქადა, ისე შეანათა თვალნი მადლიან-  
ნი თუ თვალნი მადლობისანი, სალბუნი-  
სავით უნდა მოსდებოდა, უნდა ჩაეფხო,  
უნდა ჩაეღობო. უნდა ჩაეშაქრა, — რა-  
ლაც ასეთი უნდა მომხდარიყო, რალაც  
სამო, დამამშვიდები, ყველაფერს რო  
დაავიწყებდა, თვით იმ ქიგულსა, დილა-  
მდელ ქიგულსაც რო დაავიწყებდა; მაგ-  
ჩამ და რაო, ვიდრე მართლაც რო და-  
ვიწყებდა თუ დავიწყებდა. თვითონვე  
იმან გაახსენა თავი, იმა ქიგულმა, იმა  
უპყენელმა. და იმა უნახავმა პატრონმა:  
მერე მე რალას მიპირებო, ამოუთვრა იქ-  
ვე მიწიდანა დაჩაუდგა შუაში. — იმან გა-  
ახელა, იმან გააშმაგა, რაც იყო თუ რო-  
გორც რო იყო, იმან აყვირა, იმან გამო-  
აგდო, იმან აუხვია თვალები. ჰოდა ამა  
რას ვერჩოდით, ახლა ამან რო გააბრა-  
ზა, მანქანა აჰკრიფა ამა სიბრაზითა, უეც-  
რად აჰკრიფა, შეყალყა თითქოსა, შე-  
ყალყა და ისე შეაბრუნა მთელის ბრუნ-  
ვითა, კოწიაწობდა რო აქ ისევ მტვერი,  
გაუფელა მტვერი, ეს უკვე დაერქო  
ხრეშის გორასთანა. თავის გორასთანა,  
რო აბრაზებდა იმ გორასთანა ცხადია და  
რალა თქმა უნდა: დაერქო და ისეუბნა მან-  
ქანიდანა, ამან ისეუბნა და მანქანა მი-  
დიოდა, რო აღარ მიჰხედა, ის მაინც შე-  
ჩერდა. თვითონვე შერგო ცხვირი ხრეშ-  
შია, თავისით შეჩერდა: თუნდაც რო  
ველო, აღარც ინაღვლებდა, ისე ბრა-  
ზობდა თავის თავზედა, ისე უნდო-  
და, მოსწეოდა, რალაც საშინელი, ისე  
ბრაზობდა და გული ისე ეკუმშებო-  
და. — ეს თავისთვისა, ხოლო იმის-  
თვის ილიმებოდა, იმა ბრალა თვალბი-  
სათვისა, იმა ფრიალა კაბისათვისა, იმა  
ქორფა კიტრისათვისა, ისევე ქორფა რი-  
ანისათვისა. უბე რო ემზო და აუნი ას-  
დიოდა, ანუთუ სურნელი რო ასდიოდა.  
ერთადა და ერთობლივად, ერთიანად  
და ერთნაირად, სურნელი უებრო,

უფაქიზესი ყველა ჭურის სუნამოზედა,  
ფრანგებსაც რო გააზუნებდა, — ვითომ  
რინი იქ არ იცოდნენ?! ოლონდ ამაზე  
ნუ აუფხირდებოთ, ისე ილიმოდა, ისე  
შეჰხაროდა;

შეჰხაროდა და ისე ელოდა, მერე უხ-  
მობდა, მასპინძლოო;

მიაწვა კარსაცა;

დაკეტილი დაჰხედა;

მერე უვლოდა ლობესა;

ზედ გადაველებოდა, ლობესა ცხადია,  
თუ მოინდომებდა, კარსაც შეამტვრევდა,  
მოძველებულ კარსა, ლობესაც აგრეთვე  
მოძველებულსა, — განახლების წინ  
მოძველებულსა, — ოლონდ მაინც უხ-  
მობდა ისევე, მოთბილებული თუ მომ-  
ტკბარი ხმითა, წელანდელი ხმა ამისი  
რო არ გეგონებოდა, არა, არა, არა ცხა-  
დია, ზედაც რო წაგესწრო, არ გეგონე-  
ბოდა.

და გამოჩნდა ისიცა;

ცხადია გამოჩნდა;

ნათქვამიც არ არის, გველსა ხერე-  
ლით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბა-  
რიო, — არის, და!..

ნათქვამიც არის და ამოჰყვა კიდევცა;

ამოჰყვა ხმასა, იმა თბილსა თუ იმ  
მომტკბარ ხმასა, ოლონდ ამოჰყვა არა  
ბრიალითა, არა ფრიალითა, ამოჰყვა თი-  
ქოს უშუქო თვალბითა, თალხი კაბი-  
თა, ჩაწურული კაბითა, ფრთხილი ნაბი-  
ჯითა, ფრთხილითა, ფრთხილითა, თითქ-  
ოს ერიდებდა, ჭიას ფეხი არ დაეკაროო;  
ეგრე ამოჰყვა და ეგრეც მიატანა ეზ-  
ოს კარამდისა, ეგრეც გამოალო, ოღნავ  
გამოალო, გაჰყო ხელიცა ეგრევე  
ფრთხილად, გაჰყო თუ გააყურა და  
გაუწოდა... ფული ცხადია;

— ჰა?! — შესძახა ამანა, მეტი ვე-  
რაფერი შესძახა, ვერაფერი მოიფიქრა  
მეტი, მხოლოდღა ხელი ააფარა გამოწ-  
ვილ ფულსა, ააფარა და შერჩა ხელ-  
შიცა, შერჩა და შერჩა, მოიხურა კარიც  
ფრთხილად, მოხურვა რაო, — მოიკე-  
ტა, მოიკეტა და მოიკეტა.

რა ელონა, აღარ იცოდა; იღვა და  
ეწვოდა ხელი, ეწვოდა ტანი, ეწვოდა  
თავი, ალი ეკიდა თუ იფერფლებოდა

ისევე უალოდა, სულერთია თუ რაღა საკითხავია, რო არ ეშველებოდა ალარაფერი:

დღე იყო ისეთი, ყველაფერი რო აბ-

რაზებდა: წაღმა უკუღმა რო მოექცეოდა, უკუღმა წაღმა მოექცეოდა და ივლიდა ასე უკუღმართადა, — დღე იყო ისეთი, ისეთი დღე იყო.

## სურათების გალერეა

ჰმ შეიძლება ასე ეწოდოს, — სწორედ ასედაც უნდა ეწოდოს; თუმცა მოიცა, ნუ წარმოიდგენ მხატვართა ქმნილებებსა, ნურცა ფერწერულსა, ნურცა გრაფიკულსა, ქანდაკებებსაც ნუ წარმოიდგენ, ნურცა ნიმუშებსა ხელგარჯილობისა თუ სატირული სიუჟეტებისა, რკობისაგან რო ამოუხსნამთ ქართული ზღაპრებისა თუ, თუნდაც მონღოლური ზღაპრების მიხედვითა, — ეს სულერთია რაღა თქმა უნდა და აღბათ რო არც წარმოიდგენ, ოღონდ მაინც უნდა გაგაფრთხილო და აი გაფრთხილებ:

ნურც ვეება რამ დარბაზს წარმოიდგენ, თალიანი სვეტებითა თუ თალიანი ფანჯრებითა, შუქითა, მზითა, ჭალებითა და ისეთი ჭალებითა, ბნელიც რო დღესავით გამოაჩაჩახახოს, ერთნაირად რო დანახებოდეს, ერთნაირ ტკობას მოგვანიჭებდეს, როგორც-რო დღითა, ისე ღამითა: ნუ წარმოიდგენ ნურც სავარძლებსა თუ რაიმ დგამებსა, უძველესსა თუ უბრწყინვალესსა, ანთუ უახლესსა თუ უძვირფასესსა, შნოს რო მატებენ გამოფენებსა, აღავსებენ, აღამაზებენ, აღიადებენ, გვიღვივებენ წარმოსახვასა, — ნუ, ნუ, ნუ წარმოიდგენ;

თუ გინდა მაინც, უთუოდ რამე წარმოიდგინო, — წარმოიდგინე ჩვენებური, ძველებური ბოსელი და ოთახი გვერდითა, მიდგმული, მიბმული ერთიმეორესა: ბოსელი ეგრე მიწის პირადა, ოთახი ცოტა შემალღებული ხუთიოდე საფეხურითა. სახურავითაც შემალღებული, განსხვავებული სახურავითაცა, წითელი კრამიტის სახურავითა, ღვია, ჩახჩახა სახურავითა, ბოსელს წინათ რო ყავარი ეფინა, მერე შიფერი რო შენაცვლებოდა. — მოკრძალბებულიყო მაინც ისევე, წინათ თუ

როგორც მოკრძალბებულიყო, ანთუ უფრო მოკრძალბებულიყო, საქონელი რო აღარ შედიოდა, აღარც გადიოდა რაღა თქმა უნდა: ზღვეები ეგო ისევე ისევე, ბაგაც ისევე, საძროხეც ისევე, სახბორეც ისევე, სახარკამეჩეცა, სანათურიც ისევე, ბუხარიც ისევე, შერჩენილიყო სამუზეუმოდა, რაც-რო აეკრძალათ და ჩამოერთმიათ საქონელი, თუმცა ბოლო დროს ნებაც დაერთოთ, ხელახლა დაერთოთ, მაინც ასევე შემორჩებოდა... ანთუ ველარ იტევდა გალერეა ექსპონატებსა და ბოსელი შეეწირებოდა:

ჯერ ბოსელი შეეწირებოდა, რა მოკვებოდა მერედამერე, აბა რა გითხრა, გალერეა რო ველარ იტევდა ექსპონატებსა, იმას განვაგრძობ;

ჰოდა ასეო, გალერეა ველარ იტევდა ექსპონატებსა:

გალერეადა ქმნილიყო იგი, ხუთიოდე საფეხურზე შემალღებული ოთახი იგი, ვეება ოთახი, დარბაზი ანუ, ჩვენებური, გლხური დარბაზი, წინაც ვეება აივანითა, დაბლა რიკულებით შემოვლებული, მალა ჩუქურთმებითა; შიშველი ცხადია: მზეში მზიანი, ავდარში ავდრიანი, დარში დარიანი, ქარში ქარიანი, თოვლში თოვლიანი თუ მოქარგული ლოლუებითა, ეს ზამთარშიო, გაზაფხულობით მოფენილი ყვავილთა ფარფლითა. აღსავსე ფოთლითა შემოდგომითა, ნაირფერი ფოთლით აღსავსე, — ეს ჰო წინაო, აივანზედა, ახლა შიგნითა, დარბაზში-მეთქი: წალოთი და თაროთი, კედელში ჩადგმულითა, ბუხრითა კუთხეში, უთუოდ კუთხეში, ტახტითა აგრეთვე რაღა თქმა უნდა, მოზრდილი ტახ-

ოთარ ჩაიბო  
სამი მბიფი

ტითა, — ვეება რო არ გავიმესამო, —ჰო მოზრდილითა და მოხერხებულთა: სასტუმროც რო გახლდა, კილოფს თუ აპეკედი, ფარდავს თუ ხალიჩას თუ გადააფენდი, მორთავდი აგრეთვე მუთაქებითა, სასადილოცა, სუფრას თუ გამლიდი, თუ გამოჰყრიდი ჯორკობესა ტახტის ქვეშიდანა, საწოლიცა, მერე საწოლიცა, წალოდან ლოგინს თუ ვადმოაწყობდი; თარო დავიდუმე, ჯამჭურჭელი იქ ეწყო ცხადია, სარჩო-სალეველი ცხადია მარანში... მარნის ხსენება აქ არც მინდოდა, თაროც ამიტომ მივაფუტეჩე; მარანი გაემართათ დარბაზის ქვეშა, რეკონსტრუქციაზე რო ლაპარაკობდნენ, ჩააპარებდნენ თვალსა მარანშიცა, — მარნის დამოშობა აღარ იქნებოდა, ბოსლისაც ვინ უწყის, ოღონდ მარნისა, მაინც რო არა, არა და არა: დატეულიყენენ უნდა ოთახში, დარბაზში ანუ, — ასე ბრძანებდა პატრონი იმისა თუ იქაობისა, ანუ მფლობელი, ოღონდ იცოდა, უძალო რო იყო ბრძანება მისი, იცოდა და გამოეცადა;

პატრონს თანდა ერქვა;

რაც ერქვა, ერქვა, — გალერეა რო მოეწყოთ იქა, იმა დარბაზში და, ექსპონატები რო აღარ ეტეოდა, იმას განვაგრძობ, —

ჯერ რო მოეწყოთ:

ეს არ არის ბრალი არავისი, არც არავის მოაფიქრდებოდა;

თუ მაინც უნდა ვინმეს დაბრალდეს, დაბრალდება ისევ თანდასა. ოღონდ მოფიქრებით არც რო იმას მოაფიქრდებოდა;

აბა როგორ მოაფიქრდებოდა?..

რო აიყარა მეზობელი და ბიძაშვილიშვილი მისი, რო აიყარა და გადაიკარგა ჯანდაბასა თუ დოზანშიო, რო თან წაიღო, რაც წაიღებოდა, და რო დააგდო, რაც დაიგდებოდა, სახლკარიც რო დააგდო და ის ორი სურათიცა, მიცვალებული დედამამისია, სახლივაცები რო შეესიენენ მერე ირგვლივ. — კიდევ კარგი რო სახლივაცები, — კარმიდამო რო დაიტაცეს, სახლი რო დაშალეს, ნაგავნუგავი რო გამოჰყარეს გზაზედა,

ის ორი სურათიც რო თან მიაყოლეს, ნაგავს მიაყოლეს თავთავიანთი ჩარჩობითა, იქიდან ამოჰქექა თანდამა, გაწმინდა, გაასუფთავა, გააკრიალა დ დაჰკიდა ბუხართანა, თავის ბუხართანა რალა თქმა უნდა; დაჰკიდა და, რო გაიშლიდა ტახტზე სუფრასა, და რო იტყოდა შესანდობარსა მიცვალებულთა, ვინც ჩვენის ხელით შენდობას ელისო, დააწვეთებდა თეთრ ყუაზე წითელ ღვინოსა და შეჰყურებდა იმ სურათებსაცა, — თავისიანებიც ჰო იქვე ეყიდა, იმათ შეჰყურებდა მომეტებული სინანულითა; და რო მოეწყო, ასე დაიწყო, ვის დააბრალებდა?.. ყველა თვითონაა თავისი მიზეზიო, რაც მოგვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ნათქვამია და თუმცა თანდა ერქვა, მაინც დავითა გამოდიოდა; ფიქრად არ მოსვლია რალა თქმა უნდა, ისე მოუვიდა, ფიქრები მერე წამოეშველა, სხვათა ფიქრები: მერე კიდევ რო აიყარნენ სხვები და სხვები მოგვარეთაგანა თუ ნათელმირონთაგანა, აიყარნენ და უტიეს სოფელსა, ანთუ საშოვარზე რო გაიფანტნენ, ანთუ ათრია წუთისოფელმა, სურათებიც თან ვერ ათრია, სურათები მიცვალებულთა, თან ვერ ათრია და თანდას მიუტანა, მაღლი ჰქენი და მიიბარე ჩემიანებიცო, ყველამ მიუტანა, ყველა შეევედრა თანდათანობითა და თანმიყოლებითა, ყველამ აღუთქვა, ყველამ აღუთქვა, არ შეგატოვებთო, აღუთქვა და არ შეასრულა, არცა ყველამა და არც რო ერთმაც არ შეასრულა;

ასე დაიწყო და ასე იზარდა;

იზარდა და იზარდა ანუ იმატა, ტალღა ტალღად რო მიედინებოდა მერეცა და მერეცა, ნარიყიფთა რო ტოვებდა სურათებსა, და ჰკრეფდა თანდაი, როგორც რო ოდესღაც ნარიყსა ჰკრეფდა ლიახვის რიყიდანა, ოდესღაცაო, რადგან ლიახვმაც მიივიწყა ნარიყო; ჰკრეფდა და ჰკიდებდა, ჰკიდებდა და ხელს უთათუნებდნენ, შენ გაიხარე და შენ იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე ჩვენდა ნუგეშადო, რა გვექნა რო აღარ ვიცოდით, შენ გამოგვეცხადე და შენ გვიხ-

სენიო, გვიხსენიო და მალე მოვალთო; აღარ მოვიდოდნენ რალა თქმა უნდა, ზოგი თუ მაინც მობრუნდებოდა, — ახლო წასულნი რალა თქმა უნდა, — ისევ აქვე მობრუნდებოდა. აქვე მოსტევაშდა, აქვე ქვეთინებდა და ცრემლებს აფრქვევდა თანდასა მზრებზედა, ანთუ ბეჭებზედა, ანთუ წელზედა, ისე მოხრილიყო, მოღუნულიყო თანდაი;

ეს ისინიო, სულმოთლად რო არ გადაიკარგნენ, მაგრამ მაინც რო აიყარნენ სოფლიდანა;

ეს კიდეე არაფერი;

აიყარნენ და ძვლები რო აქ დარჩათ წინაპრებისა, სურათებიც ბარემ აქ დასტოვეს, საფლავეზე გატანილი სურათები, წინ რო მიუღღვოდა მიცვალებულთა;

ჰოდა ეს კიდეე არაფერიო, —

დასაფიქრელად ისა ქცეულიყო, საქციელი იმათი, აქ ვინც რო დარჩნენ: სახლები რო ახალი აეგოთ, ძველი დაენგრიათ, ახალში აღარაფერი შეეტანათ ი ძველიდანა, ძველი სურათებიც აღარ შეეტანათ, სურათები საფლავმოვლილი, აღარც შეეტანათ, ველარც შელეოდნენ, ვერა, ვერც ეგრე ბოლომდე გაემეტებინათ ხსოვნაი მშობლებისა და მიესვენებინათ, მიეზარებინათ იმათაცა თანდასათვისა, — მიეზარებინათ და აქვე გაიხსნილებდნენ აღდგომასაცა, ჯერ სასაფლაოზე და მერე აქა, სულთფენობასაც აქ მობრანდებოდნენ, სულთფენობასა თუ ვარდფენობასა, ჯერ საფლავზედა და მერე აქა, გიორგობასაცა, მარიობასაცა, ჯერ საფლავზე და მერე აქა, უსათუოდა და აუცილებლად: შემოპყვებოდნენ კედელკედელა, ველარც მიიკვლევდნენ, ვინ ვისი იყო, ანთუ სად ეიდა, ანთუ საით გადაეტანათ. რამეთუ აღვსილიყო, — ჯერ თახზანდა გახლდა, მერე აღვსილიყო ოთხივე კედელი იატაკიდან ქერამდისა, ანთუ ჭერიდან იატაკამდისა, შეევიწროებინათ ერთიმეორეი, ჩაქვდილიყვნენ ერთმანეთშია: თანდა მიიკვლევდა მაინცა როგორმე, ვისაც რო მოჰკითხავდნენ თუ მოიკითხავდნენ, ვისაც თუ არა, — ეკიდნენ ისე, კარს გაპყუ-

რებდნენ გაწყალებული თვლებითა... თუმცა სურათებს მერე ჩამოყვები, კიდეე მომიხდებდა ამაზე საუბარი, ახლავიჩქარი, ისიც მოგახსენო, ასე რო აღივსო დარბაზი თანდასი, ეს იმიტომაცა, რალაც სხვაგვარი წესი რო დაიდეს ამ ბოლო დროსა: მორჩებოდნენ თუ არა წლისთავსა, სურათი მაშინვე თანდასთან მიჰქონდათ, მაშინვე, მყისვე, წუთსაც აღარ გააჩერებდნენ, — დაიდეს ასე სხვაგვარი წესი და ზნეობაც თან აპყალოდა: ვაგლახ ზნეობასა თუ ცუდმა წესმა მოიკიდა ფეხიო, თანდა ბურღულუნებდა, ბუზღუნებდა თუ ბურღულუნებდა, ყვავს შვილი მოუყვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო, მოადენებდა ამასაცა ბუზღუნბურღულუნითა და დააჩოჩებდა ტახტსა, ხან აქეთაო და ხან იქითაო, დააჩოჩებდა და დააფხოწიალებდა, შუაში მიათრია ამ ბოლო დროსა, დარბაზის შუაში რალა თქმა უნდა, ხოლო თუ მერე საით წაველო, ამდენი აღარ გაეგებოდა, თუმცა ეს ისევ ჭკუაზე იყო, სოფელი რო შექანებულიყო, ამიტომაც არ გაეგებოდა;

ჰოდა სოფელი რო შექანებულიყო, ჭყატას გაესწრო მაინც ყველასთვისა: ისე გაესწრო, ჯერ ქელებსი სუფრა არც-რო აელაგებინათ, ჯერ რო თვით თანდაც არ მობრუნებულყო იმ ქელებიდანა, იმას უკვე იქ მიეტანა სურათი მამისა, სველ-სველი სურათი, ადგილს დაეძებდა, სად ჩამოვიდოო: პატარა ბიჭიც თან მოჰყოლოდა, თავისი ბიჭი, ბუთხუზა ბიჭი, ტიტინა ბიჭი, ისიც დაეძებდა, ლურსმანიც იმას ეკირა ხელში, ჩაქუჩიც იმას მოემარჯვებინა, მე ჩამოვიკიდებო, ეხვეწებოდა, ეტიტინებოდა და ეხვეწებოდა თავის მამასა;

ჯერ რო დადგილიც ვერ მოეძებნათ, ისე წაადგა თანდაი თავსა:

— აღარ დაიციდიო?! — გაიკვირვა თანდამა, თუმცა არაფერი რო აღარ უკვირდა, მაინც გაიკვირვა, მაინც გაიცინა და ისე გაიკვირვა, თორემ უნდა

ოთარ ჩხიძე  
საზოგადოებრივი

მოდულშულიყო. — ხვალ ჰო ისევ საფლავზე განვალოთ?.. შევადანედავ განვალოთ. ორმოცზედა, წლისთავზედა... ხელცარიელი ჰო არ განვალოთ, ჰო დაგვირდებათ?..

— დაგვირდება და აქ არ იქნება?! — ჭყატამაც გაიკვირვა, თანდაზე უფრო მეტად გაიკვირვა, თანდაზე ბევრად მეტად გაიცინა, — დაგვიკერ თუ?!

— მე რას დაგიკერთ?! — აღარც გაიკვირვა თანდამა, აღარც გაიცინა თანდამა, ოღონდ ჯოხზე რო ეწყო ხელები, შუბლიც ზედ დააყრდნო და ისეღა მიადევნა, — ცოტა ხანს კიდევ გეცქირათ თქვენვე მავ საწყალისთვისა... თუ არ დაიშლიდით, მოგებრძანებინათ მერე...

— რა შორს ეს არის?! — გაუიოლა ისევ ჭყატამა, — მოგვინდება და ვერ შემოვირბენთ?! დაგვიშლი თუ?!

— მე რას დაგიშლით?

— აბა რალა მე ამიხირდი?!

— არ ავიხირდი, — ახლა ნიკაპი დააყრდნო ხელებსა თანდამა, — არ ავიხირდი...

— აბა ეს რაა?!

— არაფერია... ვამბობ, არ ვიცი, რა ვთქვა და ვამბობ და ისაა, არაფერია, მეტი არაფერი, ოღონდ... დედაშენს ბანც რა ვუთხრა?!

— იმას ნეტა ვინ რასა ჰკითხავს?!

— რო წამომძახა, — შეახსენა თანდამა, — რო მომატირა, სუფრას რო მოვატანე, ახლა, ქელეზზედა: სად მოდიხარო, რას მოდიხარო, ი კაცი გამგლიჯეს და გამაცილესო, ახლა ე სურათი შენ უნდა წამართვაო, ჰა?.. რო მომატირა და მომატირა, რო წამოველ და ეგრევე მომძახოდა, რა პასუხი გმეცე, ჰა?!

— რა პასუხი უნდა გასცე?!

— რა პასუხი გავცე-მეთქი, მეც მაგას არ გეკითხები!..

— პასუხი არა და!..

— რო მომძახოდა?!

— მოგძახოდა და მოგძახოდა... კიდევ მოგძახის?!

— მომეჭრება და თავზე დამანგრევეს კარსა და ბანსა,

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა... — ჩაბვირდა ჭყა-

ტაი, თითქოს რო კირი სხვის კარსა ყოფილიყო, მტრის კარსა ყოფილიყო, — ბუზსაც არ ავიფრენს... ოცი წელია, ხმაც არ გაუცია, თუ მიაწყველიდა და ეგ იყო და ეგა... ახლა სურათს გამოუდგება?!

— გამშრალიყო მაინცა, — უკანასკნელი ძაღლონდა მოიკრიფა თანდამა, — ან ე სურათი გამშრალიყო.. ან ი მიწა გამშრალიყო!..

— გაშრება, — დაამედა ჭყატამა უყოყმანოდა და უეჭველადა, — შენ დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი გაშრება, ყველაფერი გახმება. — დაამედა და მოსძებნა ადგილიცა ამასობაში, ანთუ დასწია სხვა სურათები, მიატყუა ერთიმეორეზე, ანთუ აურია, აურია რალა თქმა უნდა, სხვისი ქალი სხვა კაცს მიუგვარა, სხვისი კაცი სხვა ქალს მიუბოჩა, ასე აურია, ასე უპოვა მამასა ადგილი, და ბავაბუღი რო აუტეხა ჩაქუჩსა ლურსმანზედა, თავისი ბიჭი აპოტნიდა კალთასა: მეეო, რა, მეეო, მამი!.. აპოტნიდა და როდი ესმოდა, ჭყატასა ცხადია, ერთი კეტი თუ შეასმენდა რამესა, სხვა ვერაფერი.

მერე დედაშენს რალას უბირებო, თანდამა ჰკითხა, ბედსშერიგებულმა რალა თქმა უნდა, უარესიც რო აღარ გაუკვირდებოდა, არც რო უარესს აუხირდებოდა:

გულზე დაგვიდებ მამაჩემსაო, გაიღრიჯა ჭყატაი, ნიკაპი გაღრიჯა და გაგრიხა ტუჩები:

და უცებ ბიჭსაც რალაცა მოაფიქრდა, მოაფიქრდა და მაშინვე იკითხა:

— შენა, მამი?! — იკითხა ისე, აი მეც ჰო გაგახსენეო, იკითხა ისე და შეინათა კრიალა თვალები, — შენ სადღა დაგვიდოთ, მამი?!

და ერთ წუთს ჭყატა თითქოს ვერას მიჰხვდა, თითქოს გაბოცდა, თვალები აერია და თანდას ჯოხი აებლანდა თვალეში, — ჯოხი აებლანდა და მაშინღა გამოსცრა კბილებში:

— ე რა თქვი ბიჭო?! ჯერ მიწას არ ააცილებიხარ, ეგ უნდა გაბედო?! — გამოსცრა და გამოფარჩხა თითები, ჯო-

ხი რო უნდა გამოეგლიჯა თანდასათვისა;

იმარჯვა თანდამა, შემოტრიალდა ჯოხიანადა, შემოტრიალდა და ისე დაეძვინა, არ დაანებებდა, ან არა და, თან გადაჰყვებოდა ი ჯოხსა...

...აი ასეთი გალერეა წარმოიდგინე, გალერეა სურათებისა, დაკრძალვისათვის გადიდებული სურათებისა, ექსპონატები რო ვერ დაუტევია, რეკონსტრუქცია რო გადაწყვეტილა; მანამდე ტახტი დგას ისევე შუაში და: ხან საწოლია დარბაზი იგი, ხან მისაღებია სტუმართა, სამღერო ნარდისა თუ ჰადრაკისა, სამასლაათოა, საბჭობელია, ხან სასადილოა, როგორც რო იყო, ისევე ისეა,

ისევე სადა, ისევე მარტივი დეკორაცია ჩვენი ცხოვრებისა, ვინ უწყის როდის რო შეუქმნია კვიან სცენოგრაფსა, კვიანსა თუ უკვიანესსა, რომლის სახელი ჭერაც არ ვიცით, არც გამოვირკვევით; აქ დასვენებენ ჩემს ცხედარსაცაო, თანდას ნათქვამია, აქედანვე გაასვენებენო, ისევე თანდასია; ხოლო მანამდე, რო დგას ისევე, თანდაც ისევე რო მიუჭდება, პურის ყუაზეც დააწვევთებს ისევე ღვინოსა და მიდის, მირაკრაკებს ნუზლი საიქიოსი, იქ მირაკრაკებს, ოღონდ აქ თითქოს ეს სურათები ნერწყვსა ყლაპავენო, —

აი ასეთი გალერეა წარმოიდგინე.

## მონოლოგი შეთასი

შემთვრებმა თუ არა ცოტასა შეთეი, მონოლოგისად მოიმართება, მოიმართება და წარმოსთქვამს კიდევაცა, წარმოსთქვამს ისე, მსახიობი რო გეგონება, რო მოიხიბლებიან „გაუცხოების“ თეორეტიკოსებიცა, მაგრამ არაა მსახიობი შეთეი, „გაუცხოებისა“ არაფერი იცის; რაც რო მოადგება ენაზე, წარმოსთქვამს, წარმოსთქვამს წრფელადა, დაუფიქრებლად, ღრმა დამწრნებითაც წარმოსთქვამს ცხადია. ცოტას თუ შეთვრება რალა თქმა უნდა, ესაა შეთეი და მეტი არაფერი; იმეორებენ შეთეს ნათქვამსა, იმეორებენ და ისე ვერა, შეთესა სთხოვენ, გაიმეორეო, შეთე არაფერს გაიმეორებს, არ ახსოვს არაფერი და ვერც გაიმეორებს, შეთე ისაა, რაც იმწუთსა, მეორე წუთსა სულ სხვაგვარია, — ერთწუთს აი ასეთი გახლდა...

ბარემ მოვეყვები თავით ბოლომდისა:

თავს ასწევს ძალდი, ბებერი ძალდი, თავის აწვევის თავიც რო არა აქვს, ასწევს ტანჯვითა, წამებით ასწევს, წაიწყმუტუნებს, წაიკნაველებს, წაიზმუტუნებს და დაუვარდება თავი ისევე. ისევე ეცდება ასწიოს თავი, ეცდება ადგეს, ეცეს ჰიშკარსა, ეზო აიკლოს, ღობეს გადაველოს, ცეცხლი დაანთოს შუკაშია, ეცდება და ვერას ეცდება, ვერას იღონებს,

ვერას გააწყობს, თითქოს ოხვრალა აღმოხდება, მოიბღუნდება უარესადა, აკანკალდება, აკანკალდება, ხმა ამოჰყვება ილიგვასაგონი, თითქოსა ქეითინებს გულჩათუთქვითაო; ეს მაშინაო, ჰიშკარს შეთე რო მოადგება, რო შემოაღებს კუტიკარსაცა, შემოაღებს და ჩადგება ისე, ძალდი თუ მეცა, თავს ვუშველოო, ჩადგება ასე და ისე ჩადგება, მხარი რო ჩასთრევს, ცალი მხარი, ალბათ თუ სავსე თულუხისაგანა, თუმცა იმხელაა, შეთეი ცხადია. იმ ღონისაა, დედაცხვარსაც რო ამოიჩლიავენს და მხრების ლარი არ გაეზრება, მაგრამ და რაო, ახლა ასეა, დაუძალავს სავსე თულუხსა, სველ-სველ თულუხსა, ალბათ ღვინო რო ჩააჩქაფუნეს, ალბათ შეთემ რო ჩააჩქაფუნა, — ალბათაო და რალა თქმა უნდა, შეთე შეთეა და იქმს შეთურსაო, ანთუ შეთე შეთე გახლავთო, სხვა დანარჩენს აღარც დასძენენ; არც დასძენენ და ჩქარობს შეთეცა: მასპინძელოო, იძახის შეთეი, თითქოს მართლაც რო შეშინებულაო;

— ბატონო!.. — ქალი ეხმაურება, ეხმაურება აჩქარებითა, სხვა რო ჰგონია და

ოთარ ჩხიძე  
სამი მხრული

არა შეთვი, ალბათ შეთეს რო ხმა გამო-  
უცვლია, მართლაც და მართლაც სხვა  
ვეგონოო, თუ მიცნეს ეგებ არ გამოშხე-  
დონო; ჰოდა ასეო, ეხმაურება აჩქა-  
რებითა ქალი ცხადია, ეხმაურება და მი-  
ეშურება, იცნობს და შედრკება, ჩაახვე-  
ლებს თუ რალაცას იტყვის, რალაცა ავსა,  
შეთეს გული რო ჩაეჩქიბიტება, უფროც  
მოიხრება, ცალკე გულისგანა, ცალკე  
ისევ თულუხისგანაო, მაგრამ არ დაი-  
ხვეს მაინცა უკანა, არა, ცხადია, არა და  
არა, უკან დახევაც არ იცის შეთემა;

— ძალღმა არ დამფლითოს ძალუაჩემო!  
— ივედრება შეთვი და თან ისეა,  
გავარდებო, ზედ მიიხეთქავს კუტიკარ-  
საო, ძალლი კუტიკარს მიაწყდებო, კუ-  
ტიკარს ჩაჰკებჩს, ვითომც ბარძაყში  
ჩაჰფრენიაო, შეთესა ცხადია, — მართ-  
ლაც ბარძაყზეც მოისევებს ხელსა;

— ესაა ბიჭო შენი დამფლეთი?! —  
ქალი იფშხალემა ისე, იმგვარად, ნეტა-  
ვი შეეძლოს და მართლა დაგფლითოსო;

— აბა რო მიღრენს?! — თითქოს რო  
მართლაცა ეჭვობს შეთვიო, ეს თით-  
ქოსაო, ოღონდ ხელს მაინც კიდევ მო-  
ისვამს წელსა თუ ბარძაყზე, ემანდ რო  
მართლაც არამ დამფლითოს, ე ქალი ისე  
იმანჭებო, ისე ნატრულობს ჩემს დაფ-  
ლეთასაო;

— ალბათ იცის, რო რა შვილიცა ხარ,  
— მიუგებს ქალი თუ აუხსნის ქალი,  
ვითომ ასე უბრალოდა, შეთეს მაინც  
სხვაც ეჩვენება, მოღუშულ თვალთაგან  
რო ეონავს თითქოსა, ეჩვენება და არად  
ჩაავდებს, თვალიც დაგიდგეს და თანაც  
გადაყოლიხარო;

— რა ვარ ისეთი ძალუაჩემო, განა  
ვითომ რა დამიშავებია?! — უკვირს  
შეთესა, ალაღად უკვირს, თანაც შემო-  
ბედავს ძლივძლივობისასა, შემოდის ისე,  
ისევე წახრითა, რა არის რო თულუხმა  
ჩამთრია, ისე სავსეა, ვერც რო ვერე-  
ვიო;

— კაცი არ მოგიკლავს, — ემანჭება  
ქალი;

— ეი!.. შენ ისე ამბობო...

— არ მოგიკლავს, — თავს არაცრა-  
ცებს ქალი, — არც გაგიტყავებია, არც

შეგიწვამს, არც შეგისანსლავს;

— ეი, ეი!.. რას ამბობო, რასა?

— არც თუ ჭკრები მოგიმტვრევია, —  
სისინებს ქალი, — არც ხატები ვაგი-  
ძარცვია;

— ე რალა მოიგონე?!

— არაფერი ისეთი, — ამშვიდებს  
ქალი, აღარცა სისინებს და აღარცა მან-  
ჭავს სახესა, — მაგრამ სულ ესაა, სხვა  
დანაშაული აღარ არი ამ ქვეყანაზე?..

— შერე მე რაო?! — უკვირს შეთე-  
სა, უკვირს და ცოტაც შეხალვათდება,  
ასეცაო და ისეცაო, რო დადგამს თუ-  
ლუხსა, მარანთან დადგამს, ანთუ კიბეს-  
თანა, რო იყრება, უხვევს კიბეი, ამსვლე-  
ლი ავა აივანზედა, ჩამსვლელი მარანში  
ამოჰყოფს თავსა; აივანი ისე ვახსენე,  
იქვე როა და შერე იქ კაციც რო გად-  
მოდგება, არც ეკითხება აივანი შეთესა,  
არც დაუნახავს, ვერც დაინახავს, რად-  
გან თვალეი მარანში მიუბრბის; არც რო  
ამისი განაწყენება უნდა, ქალისა ცხა-  
დია? თვითონვე აუტყდა და რა მოუხერ-  
ხოს?! — შერე მე რაო?! — ისევ იმეო-  
რებს, როგორც რო კრავი მამა ამბრამი-  
სა, თვალეივ თითქოს კრავისა მოუ-  
ჩანს, ხმაიცა თითქოსა, სახეც კრავისა  
გამომბნიაო;

— ე ძალღსა ჰკითხე, — თავს იქნევს  
ქალი ძალღსაყენა რალა თქმა უნდა, —  
თავი არა აქვს და მაინც გიღრენს.

— ძალღსად მაგდებ ძალუაჩემო?!

— ოხრავს შეთვი.

— მაგან უკეთ იცის...

— ვაი შენ ჩემო თავო!.. — ცენისის  
შეთვი და ცოტა კბილსაც გააწყაპუნებს,  
სახვეწური რო არა მქონდეს, მე ვიცი  
რასაც მოგიგებდიო, ცოტა კბილსაც  
გააწყაპუნებს და ცოტა შიშიც წამოეგზ-  
ნება, რაო და, ემანდ არ მიმიხვდესო ე  
კაპუეტი დედაკაციო;

— მაგან უკეთ იცის, — ქალი ისევ  
გაიმეორებს, რა არი რო არ დაშაცადეო,  
— ფეხს არ გადაადგამ, რო არ დაშა-  
ვიო, მაგან უკეთ იცის, აქაც ისე არ შე-  
მოსულხარ, დანაშაული რო არ გედოს  
გულში, მაგან უკეთ იცის, ისე არ ვახ-  
ვალ, რო არ მაწყენინო, რო არ მომყ-

ლავ რა, სხვა არაფერია დანაშაული?!

ჩაფიქრდება შეთეი, ჩაფიქრდება და ჩაფიქრდება, ანთუ ვითომ ჩაფიქრდებაო, ამა მამ რაო, ფიქრისა რა იცის ვითომა შეთემა, — დაეწოდება უცება თულუსსა, უნდა, აიტაცოს და ვერ აიტაცებს, არ აფიწყდება, ასწევს ძლივასა, თანაც აყვირდება:

— არ მინდა არაფერი!.. თქვენი არაფერი მინდა!.. თქვენ არ გინდოვართ და არც მე მინდისხართ, არ მინდისხართ, აღარ მინდისხართ, აი აპაა, მომიგლეჯიხართ გულიდანა, — მოიბღღენის გულსა და გასტყორცნის შორსა, სულსაც შეუბერავს და მიაფურთხებს კიდევაცა, — აპაა და მომიგლეჯიხართ; მძიმე იყოს ჩემი ფეხი ამ მიდამოზედა!.. — აყვირდება და რო ასწევს ძლივასა, უნდა, მაშინვე რო ჩამოადგმევიონ, ინანონ. ჰკითხონ, მაინც ისეთი რა გინდოდაო, უნდა, მაგრამ ვინ ეკითხება?

— მძიმე იყოს, მძიმე იყოს!.. — ბანს მისცემს ქალი, ფეხთ გაიყრას და აღის კიბეზედა წინდებიანი.

ის აღის და კაციც გადმოდგება აივანზედა,

რა უნდა შეთესა, რა აყავყავდბსო, იკითხავს კაცი, ისე უბრალოდა, რო არც რო უკვირს შეთეს ყავყავიო, არც რო არაფრად არ ჩაავდებსო;

ქალი მხოლოდ დაიფშხალდება, მძიმე იყოსო, ჰო მიაძახა, მორჩა და გათავდა; შეთე უფრო აყავყავდება, ქომავს იგრძნობს და აყავყავდება:

— რა მინდა და არც არაფერი, თქვენი არაფერი მინდა!.. მინდოდა და აღარ მინდა, აღარც მინდა და აღარც მენდომება, ამისი არა, არ მინდა, არ მინდა, არაფერი მინდა!.. შენ მაინც ჩემი ხარ და შენ მაინც გეტყვი ბიძაჩემო: ორიოდ ჭიქა ღვინო დამიკლდა, მოყვრებში მივიღე და ღვინო დამიკლდა, ეგება ამით შემივისონ-მეთქი, ამა ასე ჰო არ ვაპანუყავლება-მეთქი, სირცხვილია-მეთქი. სახლიაკცები, გამიგებენ-მეთქი; საქმეში ხარ, ვინ რას გავიგებს?! აღარც მოკეთებაო, აღარც ნათელმირონობაო, აღარცაო და მეზობლობაო, ფააფუუუუ...

მორჩა ყველაფერი!.. ამაზე ამა ვინ ილაპარაკებდა, აი, აი, აი რა აკლია!..

— შეაჰყამპალებს თულუსსა შეთეი, თულუსიცი ისე შეეპასუხება, არი ჭიქაო რო არ მავლიაო, — ჰა, ამა ვინ ილაპარაკებდა?! ჰაი დედასა!..

კაცი იღიმის, ისე, იმგვარადა, თავის ფიქრებს თუ ჩაჰღიმისო, არც არა ესმის თითქოს შეთესიო, მაინც რო იტყვის, იმისთვის იტყვის:

— გამოუტა ქალო, გაავსოს კიდეცა და ჩაჰყურტოს კიდეცა, იმდენი გამოუტა.

ბრძანებს კაცი და ეტყობა, ქალი რო ეურჩება, ატუტუნდება ისე, იმგვარადა, სიტყვები რო არ გაიგონება. ოღონდ ტუჩები ეგრიხება ისე, წვევლაკრულვა რო ამოიკითხება, შეთესი ცხაღია, — სხვა არაფერი ამოიკითხება:

შეთეს ეღიმება, გულში ეღიმება და ბუსხავს ტუჩებსა, გაეფარჩება უღვაშებიცა, ვითომ და რაო, ნაწყენიცა ვარო;

კაცი შებრუნდება:

ქალი მარანში ჩაფლატუნდება:

შეთე ჩაცუტქდება თავის თულუსთანა;

ქალი ააწვდის სავსე საღვინესა, შროშულ საღვინესა, ვიწროტუჩიანსა; ძაბრიც რო არ უნდა, რო ჩარაკრავდება თულუსშია ისე, წვეთიც არ ასხლტება, თანაც ისე ჩარაკრავდება, ისე, იმგვარადა, ჭიქა რაო, ბოთლი რაო, ქილა რაო, რალაც მეტი უნდა აკლდესო, — ჩარაკრავდება და ჩარაკრავდება, მთელი საღვინე ჩარაკრავდება; გაუკვირდება თითქოსა შეთესა, ანთუ მართლა გაუკვირდებაო, იტყობა ზვრელში თულუსისა, ხან ამ თვალითა, ხან იმ თვალითა. შეაჰყამპალებს ხანაცა ისე, ჰო არ გასდის თუ რა დაემართაო, ქალსაც ვაჰხედავს გამომცდელადა, ნეტა რასა ფიქრობს, რას მიპირებსო: ქალი ტუტუნებს ისევ ისევ, ისევ გამოაქვს, ზედ რო არც უყურებს, ისევ მიაწვდის, ტუტუნსაც უმატებს, ტუჩის გრეხასაცა, რო

მთარ ჩხიმი

სამი მძიუღი

მირაკრავებს ღვინო იხევე, რო ჩაი-  
ლება ისევე ისევე მეორედაცა და მესა-  
მედაცა, მეოთხედაცა და მეხუთედაცა,  
— მეხუთედაცაო და მაშინ ქალი ისე  
შეჰყვირებს, თითქოს რაო და თავს და-  
ესხნენო:

— გამოიხედე შე ბედოვლათო, რა  
ამბავშია ე ჯანდასაწყვეი!..

გამოიხედავს კაციცა მაშინვე, რა ამ-  
ბავშიაო, იკითხავს კაცი;

— აღარ ივსება ე პატრონმკვდარი!..

— შესძახის ქალი და არცა აქვს იმე-  
დი, რო გამოესარჩლება, საკუთარი კა-  
ცი რო გამოესარჩლება, სახლსაც რო  
უნგრევდნენ:

— ძირი გავარდა?! — იკითხავს კაცი  
და ქუტავს ცალ თვალსა;

— არა, ბიძაჩემო, ძირი არა და!.. —  
დაასწრებს შეთეი, ქალი ვინ იცის თუ  
რას მიუგებსო:

— მაშ გაივსება, დაუმატე და გაი-  
ვსება. — ურჩევს კაცი არხეინდა;

— რას ამბობ კაცო, ხუთი საღვინე  
ჩაიკალა!.. — აუწყებს ქალი და ისე  
აუწყებს, იცის, მაინც რო არ გაიკვირ-  
ვებსო:

— რამდენიანია მერე საღვინეი?.. —  
ისევე იკითხავს კაცი;

— სამი აღარ იქნება?! — იმედი მიე-  
ცემა თითქოსა ქალსაო;

— ე თულუხი რამდენია?..

— ოციანია, ოც ლიტრიანია, — ხე-  
ლების გაშლით აუწყებს შეთეი, ვითომ  
და აქ არაფერიო:

— სამი ხუთიანი ოცს როგორ იზამს  
შე ვი ქალო!.. — აუხსნის კაცი დამ-  
შვიდებითა, — ჯერ ესაო და, რას ითვ-  
ლი, რო ითვლი, მერევაო და, თვლაც  
თუ არ იცი, ეგ ჰო კიდევ უარესიო:

— რას ამბობ კაცო?!

— გაუვსე!.. გაუვსე!.. — მეორე  
თვალსაც მოუტრავს კაცი და ეგრე გაბ-  
რუნდება, სახე რო უღიმის თუ გაჰნათე-  
ნია თვალმოკუტულსაცა:

ქალი ისევე ატუტუნდება, კრულავს  
შეთესაცა და თავის კაცსაცა, — ტუჩებს  
ჰო გრიხავს, ააყოლებს კბილთა კაპუნ-  
საცა: შეთე აქეზებს, ბარემა თქვიო, ჰო

ვიცი, რო კარგს არას ამბობ, თქვი ბა-  
რემა, თორემ ეგრე უფრო მაშინებ,  
სიტყვისა ისე არ შეშინიანო: შეთე აქე-  
ზებს და თუ აპყვება აღბათა ქალიცა,  
რო გამომამტვრევს სიტყვებსა კბილებში,  
გამომამტვრევს და გამოლენჯავს, ისე,  
იმგვარადა, მკაფიოდ ისევე რო არ გი-  
გონება, ოღონდ უფრო მწარედ დაუ-  
ვლის შეთესა მუცელში, სწორედაც მუ-  
ცელში თუ აღბათ მუცელშიო, ორივე  
ხელს რო წაივლებს მუცელზედა, წაი-  
ვლებს და მოიღუნება, მოიგრიხება, მოი-  
კუნტება, თითქოს ეგაა და ეგრე დარ-  
ჩებაო, მაგრამ გაიშლება ნელნელით-  
თა, ჩაიკუნტება და ისევე გაიშლება; აი-  
მართება, აიწვევა, აიჭიმება და შეხტება,  
კიდევ შეხტება, შეხტება და შეხტება:  
თითქოს ლახტიაო, ლახტს უშენენო, კან-  
კებს უჭრელებენ, უთქვეფენ მუხლებ-  
საო, უტყალაშუნებენ ბეჭებზედაცაო,  
ხან აიცილებს და თუ აიცილებს, მაშინ  
თვალეზი გაუბრწყინდებაო, ისევე ჩაუჭ-  
რება თუ მოიღუშება, იაევე და ისევე გა-  
უბრწყინდებაო, — ეს უფრო მაშინა,  
რო გადმოუვა ღვინო თულუხსა, საღ-  
ვინეშიაც რო ჩარჩება ბლომდა, ქალი  
რო ეტყვის, ეგ შენვე ჩაიცივალეო და  
რო მოიყუდებს შეთეი საღვინესა: სა-  
ხელურში რო ოთხ თითს გაუყრის,  
ცერს რო მოძაგრავს თითებამდისა,  
საღვინის მუცელს რო იდაყვზე გაიდებს  
და ასწევს ეგრე, ასწევს იდაყვითა, გა-  
ულებს პირსა და ჩაითქრიალებს, ნელა  
არ ჩასცლის, როგორც თულუხშია, ჩა-  
ითქრიალებს, ჩაიხრიალებს, ჩაიბუყ-  
ბუყვებს;

— ქეძავად ჩაგესხას, — მისძახის  
ქალი და ქოქოლას აყრის ცალი ხელი-  
თა მიაყრის მერე ორი ხელითაცა, ოღ-  
ონდ ეს მაშინა, შეთე რო გავა, გაალა-  
ჩებს კარიბჭიდანა თულუხიანადა რალა  
თქმა უნდა, პირთამდე სავსე თულუხი-  
ანადა, გაალაჩებს უფრო მსუბუქადა,  
უფრო გაშლილი, წელში გაშლილი, ვიდ-  
რე მაშინა, რო შემოდიოდა, ვითომ  
ძალიააც რო ეშინოდა; ძალიც რო  
ისე ღრინავდა, ვერც რო ღრინავდა, თა-  
ვიც ვერ აელო. თავის აწვევის თავიც

არა ჰქონდა, — ეს მერე-მეთქი, ხოლო მანამდე, მუცელში ჩაიცილის შეთეი საღვინესა, ეგრევე ჩამოისვამს მოღუნულ მკლავსა, საღვინიანადა, ტუჩპირზედა და ყელსა და გულზედა, ჩამოისვამს და ჩამოჰყვება საღვინეცა რაკარუკითა, არც ატკენს თითქოსა თუ ეამება თითქოს კიდევაც, ანთუ არც თუ არად ჩააგდებს, ამოისუნთქებს და ჩაისუნთქებს, აუვა და დაუვა მკერდი, აუვა და დაუვა, შებარბაცდება ირგვლივ თითქოს ყველა სულიერი, მთლად ჰაერი რო ამას მოუნდება, ხოლო ეს თითქოს არაფერიც, საღვინეს გაიწვდის უფრო თამამადა, სიტყვასაც გაისვრის უფრო თამამადა, ვითომ მადლობის მაგიერიო:

— ჩამესხას ქეძაფადა, ერთიც გამაიტა!..

— ჩავისკდეს მუცელი.. — მიაწყევლის ქალი კიდევაც;

— ჩამისკდეს მუცელი, ერთიც გამაიტა!..

— გაგიწყრეს გამჩენი!..

— გამიწყრეს... გამაიტა!..

— აღარ მომწყვდები და აღარ მომშორდები?! — უკვირს ქალსა, სხვა რა ილონოს, ვერ გაუგია, კაცს თუ მოიხმობს უარესია, არ მოიხმოს და უარესია, რა წყალს მიეცეს, ვეღარ მიმხვდარა;

— მოგწყვდები კიდევაც და მოგშორდები კიდევაც, — ყაბულდება შეთეი, უცება ყაბულდება, ჭიბულებში იტაცებს ხელებსა, თულუხის საცობს ამოიღებს, შეათამაშებს;

— მადლობა ღმერთსა!.. — ზეცა, აჰხედავს და ხელებს აღაპყრობს ქალი;

— აბა რა გეგონა, — შეთებუა შეთეი, საცობს დაუტობს, გაჭედავს საცობსა, აიღებს თულუხსა, ისე აიღებს, თითქოს დაუტალეს და ცარიელს ატანენო.—განა აქ გავიჯეჯილებდი რო!.. განა ეგრე აბეზარი ვარ?! მოვედი, მივდივარ, მეტი რაო, მიწა ჰო არ ამიკრავს ფეხებზედა?! რად გეჭავრები, ვერ გამიგია, ეგრე რადა მწყევლი, ეგრე... ეგრე... ეგრე ჯანდაბურადა, ჭიგარი აი ახლაც რო მიწვის?! რა დაგიშავე ძალუაჩემო?!

— მეტი რა უნდა დამიშავო ნეტა-

ვი!.. — მიუგდებს ქალი თავმობეზრებულად, მიღიხარ და წადი ბარემო;

მაგრამ შეთე იმის შეთეა, მუცელში ღვინო რო ჩააქცია, მონოლოგი უნდა წარმოსთქვას:

— დანაშაულს ამას ეძახი?! — იტაცებს შეთეი თულუხსა, იტაცებს და შეათამაშებს ორივე ხელითა, — ამას ეძახი, დავიჯერო, ამას ეძახი?! დავიჯერო ამაზე ამბობ?! ეს რაა შენთვისა ძალუაჩემო?! შენ ჰო წვეთსაც არ გაიკარებ და ი ბიძაჩემის ამბავი რო ვიცი, ეს ჰო ყლაპია და ყლუბი აღარა იმისათვისა; დავიჯერო ერთ ყლაპს მამადლი?! არ დავიჯერებ, არ დავიჯერებ, ჯვარზეც გამაყრან, არ დავიჯერებ!.. ესაა, რო ენა მწარე გაქვს, ენა გისწრებს და სხვა ხარ და ენა სხვად გამოგაჩენს, ესაა, ესა, მეტი არაფერი, სხვას ამბობ და გულში სხვა გიდევს, მწარეს ამბობ და თბილი გაქვს გული, ვიცი, ეს ვიცი, თორემ განა აქ ფეხს შემოვდგამდი?! არა, რო იცოდე, შენც რო იცოდე, სიყმესა ვფიცავ, ფეხს არ შემოვდგამდი!.. გული რო არა, გული, გული, გული რო არა!.. გული გაქვს ისეთი, ღამე ცაზე რო გამოჰკიდო, გაანათებს აქაობასა, მთლად აქაობასა, ლიახვ ვაღმა და ლიახვ გამოღმა, ფრონეებსაც გადაანათებს, ენერგეტიკულ კრიზისს გადაწვევებთ ჩვენში ისე, რო, არავინაც რო არაა გაიგებს; აბა!.. მაგ უშქმა გამომწია, მაგ სითბომ გამომწია, თორემ აქეთ რა მომიყვანდა, რა მაკლია რო?.. სახლიკაცობა მე არ მაკლია, სოფლის სიყვარული მე არ მაკლია, თვალში ჩაუვარდე, თითს არ ამოისვამს არც დიდი და არც პატარაი, არც კაცი და არც ქალი, ძალდი არ დამყუფს ძალუაჩემო, ძალდი არ დამყუფეს; ერთი ესაა, რო გადამეკიდა, ეგეც აღბათ ენას თუ აყვავ; რას იზამ!.. არც კაცი ვარგა უმტეროო, ნათქვამია და ისეც ძალდი გმტრობდეს, კაცის მტრობასა, ისა სჯობიან, მე ასე მითქვამს, შენ თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, ოღონდ ეს ჰო მინცა გჯერა, ამ ღვინოს არავინ რო და-

მამადლის? მიტხარი, ჰო გჯერა?.. გჯერა ცხადია!.. ეს რაა, რაა ძალუაჩემო, სხვები ქვევრსაც ამომიღებენ, ჰო გჯერა?.. გჯერა!.. ჰურად კაცს ღვინოს ნეტავინ დაუჭერს, ანთუ ნეტავინ ვინ რას დაუჭერს, ჰურადმა კაცმა გულადსა ათი გაფრენით აჯობაო, ჰო გავიგონია; ჰოდა აი რო გავიგონია, მე სწორედ ისა ვარ, ათი გაფრენა მე ვარ სწორედ და მე არ უნდა გამიმეტო ძალუაჩემო; ჰო იცი, რო რა მწარე ენა გაქვს, შიგნეულს გამოსწვამ ადამიანსა ერთი სიტყვითაცა, ერთითა, ერთითა, ერთად-ერთითა, თუ გინდა, გამობღღენი, გამოაცლი, არც დანა გჭირდება, არც სამართებელი, არც რო დაიყვირებ, ევეეე... ერთს წაიტუტუნებ და გააქრობ კაცსა; ანათე გულთა რამდენიც გინდა, ენით თუ მოკლაგ, თუ დახოცავ, ვილას გინდა რო გაუნათო ძალუაჩემო, ვილასა ჰა?.. მე არაფერი, არაფერი, შენი წყევლა ჩემთვის ლოცვაა: ამხელა ვარ და შენითა ვარ, შენი ლოცვითა, მაგრამ მაინცა, შენს ღმერთს მაინც რა პასუხს გასცემ, ერთიცა ვნახოთ და რო ამიხდეს შენი სიტყვები?.. დაფიქრდი აბა!.. ევეეე... ტყუილხარ, მაგრამ ეგაა, რო გული გაქვს ნათელი, ისეთი ნათელი, ცაზე რო დაჰკიდო... ჰო გითხარი?.. აბა ვისა აქვს ეგრეთი გული?! ევეეე... კარგად ბრძანდებოდე!.. მაგ გულათ იხარე, მაგ ენით არა, მაგ გულით იხარე; კაი დალოცვაა, მე და ჩემმა ღმერთმა, შენც ეგრე დამლოცე და მადლობელი ვიქნები; კარგად შეყოლე, კარგად დამირჩი, კარგად დამიხვდი, კარგად გამისტუმრე, ასე გამისტუმრე, ასე!.. წავალ ახლა და მოყვრებს გავახარებ: მივიტან, დამხვდებიან, ქულსა ვკრავთ ჭერსა, ვილხენთ, ვიმღერებთ, დავივიწყებთ დარდასა და ვარამსა, შენც ვადღეგრძელებთ, ქვეყანას ვადღეგრძელებთ, შენც გენაცვალებით, ქვეყანასაც ვენაცვალებით; ასე არა სჯობიან?.. რაღა თქმა უნდა!.. ან რას გეკითხები, ანთუ ნეტავი რა პასუხს ველი, გარეთ უნდა იყოს ეს სულკურთხეული, გარეთ უნდა იყოს და ჩემს ხელთ უნდა იყოს, მერე მე ვიცი და

ამანაც იცის!.. აბა ის რაა, რო ვადაჰფაფერიხარ, გამოგამწყვდევია ბნელაში და ვადაჰფაფერიხარ, სამართალია?.. რა სამართალია!.. ღვინო იმისაა, რო დაილიოს, უნდა დაილიოს, ვინც გემო იცის, იმან დალიოს, იმისაა! აი სამართალი!.. აი მე რა ვიცი!.. შენ კიდევ ამბობ, წუთით არ გავა, არ დააშავოო; მე დავაშავებ? ვინც ეს იცის, სამართალი ვინც იცის, ის დააშავებს?! არა, არა, ძალუაჩემო, არ დაიჭერო ძალუაჩემო, სამართალი სამართალია, სხვა არაფერი არ დაიჭერო!.. კარგად დამირჩი ძალუაჩემო! თუმცა მოიცა ამასაც ვიკითხავ: ბიძაჩემიც ჰო გემოზე ყლაპავს, არ ენანება მაინცა ჰო ჰხედავ, შენ რო არცა ჰყლაპავ და არცა ჰწრუტავ, რად გენანება, რაღა წუწუტაქობ, აბა რას იტყვი?.. ევრაფერს იტყვი, მორჩა!.. შენი ენა რო შენი ენაა, ღუმს თვით ეგეცა. ღუმსს მე მართალი ვარ, მორჩა და გათავდა!

— მაგ სიმართლით იარე!.. — ქალი შიყრის ქოქოლასა, ორივე ხელით ახლალა შიყრის;

— აკი დავდივარ... — თანხმდება შეთეი, მიიხუტებს თულუხსა გულზედა და გადის ეგრე ჩახუტებულთ.

აი ესაა, ეს ერთი მონოლოგი შეთესი, სხვები სხვაგვარია, სულ სხვაგვარია, ზოგზოგი კიდევაც ჩაუწერიათ, ტრაგიკულია ზოგი, ზოგი კომიკური, ჩართავენ ხოლმე კლუბში ყმაწვილები, ხან მთელ უბანსაც რო გააწვდენენ, ხმას აუწვდენ იმოდონადა, ხმას აუწვდენ და აცინებენ, ვისაც თუ სადაც თუ მისწვდებიან, აცინებენ მაინც უთუოდა, თუნდაც ტრაგიკულს ამბობდეს შეთეი; ოღონდ ეს მაინც სულ სხვა რამეა, ეს ჩანაწერი და გამეორებული, ხოლო ის სხვაა, თვითონ რო წარმოსთქვამს, სხვა არის და განუმეორებელი... უნდა მოვიწვიო თეორეტიკოსები „გაუცხოებისა“, პრაქტიკოსებიც უნდა მოვიწვიო; შემეძლო მანდაც ჩამომეყვანა, მაგრამ მანდ ეს არ ივარგებდა, — ადგილმა იცის ადგილისაო, — მანდ სხვა შეთეა, სხვაგვარია და მიუსადაგებელი, აი ჩამოვალ და იმასაც მიგასწავლი.

პრიგოლ ჯულუსიკა

გაფრთხილება ანუ სტანარი სატალევიზიორ  
გადაცემისათვის

1. ტიტრი — „მეოცე საუკუნე“

დრო,  
დრო ცოტაა, —  
(ვინც მიკითხოს არა ვარ სახლში...)  
დანაღმულ გზებით მივაქანებ წარსულში მარხილს,  
ვწერ გადაცემას,  
ქვეყნის შიში ჟრიალებს ტანში,  
ვწერ გადაცემას,  
გადაცემას წაიყვანს ხალხი.

ვინც დამჭირდება, წარსულიდან მოეუხმობ ყველას,—  
მაქვს თავსაყრელად საარქივო კადრების დასტა...

დრო,  
დრო ცოტაა,  
დრო მაშინებს...  
ამიტომ ვლეღავ,  
ვწერ გადაცემას,  
გადაცემა მთელი დღე გასტანს.

ვწერ გადაცემას  
და წვიმების დელგმაში ვსახლობ,  
ეს გული ლამის მღვრიე წელთა მღვიმეში დაშრეს...  
ეს გადაცემა,  
შეიძლება დიდებმა ნახონ,  
არამც და არამც არ აჩვენოთ პატარა ბავშვებს!

სიძველისა და დროის გამო, ძველ კადრებს ახლა,  
(მოვიხდი ბოდისს) თუ ექნება ფერები მქრქალი..  
დასაწყისიდან გადაცემას ბოლომდე ახლავს  
მხატვრობა — ღამე,  
ერთადერთი მუსიკა — ქარი.

ვწერ გადაცემას  
წინამური,  
ილიას ეტლი...  
იმერლის ბიჭი გზამოკლეზე გადარბის ხენეშით...  
(აქ რეჟისორო, განათება!  
მეტი და მეტი!!  
კადრში თვითმკვლეელი საქართველო, დამბაჩით ხელში!!!)

მოჰკალ! —  
გაჰკივის დამშეული მეოცე,  
— მოჰკალ! —  
ეფრეიტორი, გერმანელი სიგიჟეს როშავს...  
გიტარით ხელში, მეოცნებე, იძინებს ლორკა,  
მსოფლიო სისხლით, ოსვენციმი იღებავს დროშას.

სანამ იმედით გათენდება წყვდიადი ღამის,  
ქარების სუსხი ინავარდებს გზადაგზა დიდხანს,  
სულელების ბოლქვი ხიროსიმის ლაჟვარდში ადის  
და ღებავს სისხლი ტიცციანის ბღღვრიალა მიხაკს.

ვწერ გადაცემას,  
საუკუნე წუთებში გადის,  
მსოფლიო რისხვა მიმალულა საეჭვოდ ბნელში...  
(აქ, რეჟისორო, განათება,  
და ბოლო კადრი!  
კადრში თვითმკვლეელი დედამინა, დამბაჩით ხელში!!!)

## 2. ტიტრი — „ოცდამეერთი საუკუნე“

ის მოვა მაინც, ბატონებო, მოვა და ნახავთ  
ბოლმა და ზიზლი დადინდება გატეხილ კოკას...  
— ჩერდება!

ჩქარა!

მიეშველეთ! — გვეძახის ახლა  
მეოცის ბრუნო  
და მეოცის კოცონი როკავს.

მიტკლის სიფითრე გადაურბენს უმანკო სახეს,  
ის საუკუნის დიადემას დაიდგამს, ოდეს...  
და მოვა იგი,  
ოცდაერთი,  
დაარქმევს სახელს  
ამ,  
ამ მეოცის უკვდავებად მონათლულ ცოდვებს!

ის შოვა, როგორც მოსამართლე  
და იტყვის მართალს,  
ოცდამეერთეს დაუჩოქებს მეოცე ფერხთით...  
სულ სხვა იქნება მოლოდინი სხვათა და სხვათა,  
მოიტანს ფერებს დავიწყებულს, ფერების ღმერთი.

ვინც სხვათა სისხლით საკუთარი სიცოცხლე ხატა  
დროის განაჩენს ვერასოდეს წაუფა ვერსად,  
ის მოდის,  
მოდის,  
ბატონებო,  
და ისმის ცხადად,  
ძილგატეხილ და მშობიარე სამყაროს კენესა!

### პოეტი

დედის უბიდან დაძრული  
ჩვილი რომ აქეთ მოილტვის,  
ღმერთო, სხვა კაცად დაბადე,  
არ მისცე ნიჭი პოეტის!  
ისევ ჰქრის... ჭრელი ქარებით  
განბანილია ხმელეთი, —  
ილიას სისხლი იკმარე,  
გეყოს წამება ტერენტის!  
უბედურია პოეტი, — ცრემლის წინასწარ მაცნეა...  
სხვების ცხოვრება სხვა არის,  
პოეტი სულ სხვა კაცია.  
ბევრს მოჩვენება ჰგონია  
და რომ დარწმუნდნენ ამაში,  
მიდიან, კბილით კვნეტავენ  
და ჩხვლეტენ თამაშ-თამაშით.  
ზოგს გზაშეშლილი ჰგონია  
და რომ არ ასცდეს სავანეს,  
გადასარჩენად უხმობენ  
გზის მაჩვენებელ მავანებს.  
ის სხვისთვის ბევრჯერ მომკვდარა  
და აღმსდგარია სამართ...  
ჩვენ ხან დავითი ვიყავით,  
ხან სულხანი და თამარი.  
ჩვენი ტკივილი ატირებს,  
ჩვენი ოცნება აწვალებს,  
პოეტებს, ფერფლად ქცეულებს,  
ცხოვრების ცეცხლში დამწვარებს.  
ჩვენ რა გვატირებს, გვახარებს  
და რა ღამეულ ძილად ვართ,  
პოეტმა იცის, ჩვენს სევდას  
პოეტი შემოინახავს.

## მონატრება

ვახტანგ ჯავახიძეს

ჯავახა ვახო ვახუღია,  
მე თეთრი ზენარი მახურია  
და ვწევარ სიცხით გათანაგული...  
თმენის აღვირები გახრულია  
და როგორც თაგვი სათაგურში,  
ბოლო გაბრძოლებას ველოდები.

აქეთ დავითი და ირაკლია,  
იქით — გასაცნობი მამაჩემი...  
მე ხომ არაფერი მინატრია,  
მხოლოდ დაბრუნების განაჩენი,  
რწმენა ახლა ჩემი სიმაგრეა,  
უკვე ზღაპარია დანარჩენი.

ლექსი სასთუმალთან ამიტირდა,  
ჩემი პატრონი და დამმარხველი,  
მკერდზე მწუხარება აბიზინდა,  
როგორც ნაწვიმარზე ბალახები,  
ადის დაცურებულ კრამიტიდან  
სული ამოსული სანახევროდ.

შენ, ჩემო ვახო, ვახუღია,  
თუ კაცი ბუნების მსახურია,  
ბუნება რად არის მკაცრი?  
ფილას ნელ-ნელა ბადაგით ავიცხებს,  
დალევას არაფრით გაცლის.

## ა ნ ი

ანი,  
მე როცა ვფიქრობ შენზე,  
ეს ტკივილია ჩემი  
ჩაუქრობელი და მოგიზგიზე...  
და როცა სხვა ტკივილები გამიტაცებს  
და თურმე, არ მახსოვხარ, —  
საკუთარი თავი მეჯავრება.  
შენ ხომ ჩემსავით არავის უყვარხარ  
და თურმე თვალთმაქცობა თვლემს ყველაფერში..  
და იმ უბედურს ვემსგავსები,  
რომელსაც ეს ესაა ქურდობაზე წაასწრეს...  
მე ვიპარავ წუთებს და საათებს  
და მერე ყურისძირში წიკწიკებენ მოპარული წამები,  
ისე ძალუმად და გამუდმებით,  
შიძლდება ვიყვირო, ვიღრიალო,  
და არავინ მომეშველება,  
რადგან აქ მარტო ვარ და  
შენსავით არავის ვუყვარვარ.

ჩამოჯექ ჩემთან,  
დასიცხულ შუბლზე გადამისვი მთრთოლვარე ხელი,  
ჩამოჯექ ჩემთან და ბავშვივით მტუქსე,  
ამავსე საყვედურებით და ტუჩზე დამადე თითი,  
რომ არაფერი ვთქვა,  
თავი არ ვიმართლო, თორემ  
შენსავით არავის ვუყვარვარ  
და ტყუილსაც დამიჯერებ.

შორსა ხარ შენ და მაინც აქ დაქრისარ,  
 ჟანგბადის ბალიშებთან მიძებ,  
 საოპერაციო მაგიდაზე, ნარკოზით დაბანგულებს შორის..  
 მე დღესაც დაგინახე:  
 პალატაში შემოიხედე,  
 ყველა სათითაოდ შეგვათვალე რე და გახვედი,  
 მე ვერ დამინახე,  
 დამინახე და ვერ მიცანი...  
 მე შენთან ვიყავი შორს, შორს,  
 ის კი, თეთრი ზეწრის ქვეშ გათანგული,  
 ჩემი ორეული იყო, განწირული..  
 არ გინახივარ შენ ასეთი,  
 ამიტომ ვერ მიცანი და  
 პალატის კარი გაიხურე.

ანი,  
 ახლა არ ვიცი რა დროა,  
 ამ სითეთრის მობინადრენი  
 თეთრი მტრედებივით დაფარფატებენ,  
 თოვლის ფიფქივით მსუბუქები და გულგრილები.  
 თავს მეხვევიან და ფუსფუსებენ, ფუსფუსებენ,  
 ფუსფუსებენ...

სამსახურებრივი ღიმილით მიღიმიან,  
 თეთრი პერანგი გადამაცვეს და გავდივარ.  
 მე ვმარცვლავ შენს სახელს,  
 ანი,  
 ვინ იცის,  
 იქნებ შენთან მოვდივარ.

### ვის უნახავს

ვის უნახავს, ლხინის სუფრად  
 იშლებოდეს რვეული?  
 ღამით მზე და ყინვა-ცეცხლის  
 კალთებშემოხვეული?  
 ვის უნახავს, ვარსკვლავს წყვეტდეს  
 გლახაკი და ეული?  
 ქართველი და, ისიც ამ დროს  
 ნატვრას გადაჩვეული?!

(ირონიული)

რასაც ფიქრობდა, ამბობდა, —  
 უჭირდა სხვებზე ძალიან,  
 ახლა ფიქრობს და არ ამბობს  
 და ცხოვრობს, გაგიხარია!

დმერთმა მიწა ნურც მაღირსოს  
ამ მიწაზე ძვირფასი...  
ამ ფაზისს რომ კვლავ ვფაზისობ,  
ვენაცვალე იმ ფაზისს.

ჟამი ჟანგავს ჯაჭვს და ეუვნებს,  
ყელზე ცივად მინათოვს...

ხვალ რომ უნდა ამოცისფრდეს,  
ვენაცვალე იმ მნათობს.

სამას ნელსაც ვერ გაგვთელეს,  
სული ვერ გაგვითათრეს...  
ვინც ამგვარად იქართველებს,  
ვენაცვალე იმ ქართველს.

### თებროლე მაკარიძეს

ამ ლექსით პოეტი სამშობლოში უხმობს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს.

დიდი ქალია თებროლე  
და დიდი ქვეყნის ასული,  
რაც დაიბადა, მას შემდეგ  
თერთმეტი დღეა გასული.

ჯერ მტკვრის დუდუნი არ ესმის,  
არ იცის დედულ-მამული,  
თებროლეს ნანად ჩაესმის  
უცხო ქალაქის ხმაური.

მანდ სხვა ხალხია, თებროლე,  
უცხო ქალაქში რა გინდა?  
შენ, შენს მზეს უნდა ხედავდე  
პაპის გამოთლილ აკვნიდან.

ისე ჭრელია სანუთრო,  
ისე ბევრია ავთვალი,  
შენს ხალხს შენი ფრთა სჭირდება  
და შენი ცრემლი, ალალი.

მამულის გული დიდია,  
გჭვრეტს და გეძახის, პატარავ,

უშენოდ ველარ შევიძლებთ  
მეტის თმენას და ატანას.

თებროლე თბილისს ჩამოვა,  
წინასწარ მინდა ამის თქმა,  
შენ ჯვართან ღამეს გაათევე  
და ატირდები დმანისთან.

შენ ნახავ თბილისს, ეს მთები  
თვალს ცეცხლით გაგიკვესავენ...  
შენი თვალების ჭირიმი,  
მაგ შენი გულის კვნესა მე.

დიდი ქალია თებროლე,  
და დიდი ქვეყნის ასული,  
რაც დაიბადა, მას შემდეგ  
თერთმეტი დღეა გასული.

ჯერ ყველა უყვარს თებროლეს,  
თებროლე არვის ემდურის,  
ჯერ მტკვრის დუდუნი არ ესმის,  
არ იცის მამულ-დედული.





### ცხოვრება

I  
შარბათთან ერთად, შხამიც თუ არ  
სვი,  
ისე, არც შარბათს არა აქვს გემო.  
ცხოვრება სხვაა  
და მისი ფასი,  
ყველამ არ იცის, ძვირფასო ჩემო.

წყალნი წავლენ და... დარჩება ქვიშა,  
თქვენც დაიცლებით, საესე თასებო!  
ყველა არ ცხოვრობს,  
ვინც, ქვეყნად, იშვა,  
ზოგი ცხოვრობს და... ზოგი —  
არსებობს.

II  
ეს არის მისი: სიამე, შვება,  
იხვეჭს,  
აგროვებს,  
ჭამს,  
მღერის,  
ფრთას შლის.

ასეთ კაცს, მგონი, არცა აქვს ნება,  
ქვეყნად მეც ვარო, — რომა თქვას  
ხალხში.

რა არის მისი თავი და ბოლო?!  
ის თქვენ შეგხარით, ბროლ-ალმასებო  
და კი არ ცხოვრობს,  
არსებობს მხოლოდ,  
თანაც არ იცის — რისთვის არსებობს.

III  
აი, ასეთიც ხომ შეგხვედრია:  
მოთქვამს,  
წუნუნებს,  
გლოვობს ერთიან.  
მისთვის სიცოცხლე მწარე ხვედრია  
და რამდენს ცოცხლობს, —  
ეს სულ ერთია.

თუმც, ზოგჯერ წუხს და  
ზოგჯერაც — მორცხვობს,  
მიანიც ერთხელ თქმულს, გიყვება  
ასჯერ  
და ცხოვრობს ისე, —  
მთელი სიცოცხლე,  
თითქოსდა, იხდის უმკაცრეს სასჯელს.

მონყენილი და გაუცინარი,  
ხან ჯიუტია,  
ხანაც შტავს დამჯერს  
და იმ დღეებსაც, რაც ჯერ წინ არი,  
მოელის, როგორც მოუხდელ  
სასჯელს.

IV  
მხოლოდ იცინის?!  
ან, მხოლოდ, კვენის?!  
თვითონ იწამლავს თავის ცხოვრებას.  
ცხოვრება არის პოეტის ლექსი,  
განიცადე და... გემახსოვრება.

ვერ შეისრულე,  
რაც გულით გასურდა?!  
ამაზე დარდი არ ღირს, სრულიად.  
ერთფეროვანი ცხოვრება, მუდამ,  
მოსანყენი და უფერულია.

არცა სიმდიდრე, —  
სულ რომ ელტვიან,  
არც ქალი, —  
ახლა მკერდზე რომ გეკვრის,  
არცა დიდება, — მოსული გვიან,  
ცხოვრება არის ტკივილი ნეკნის!..

დარდი გერევა?!  
გულს ნუ გაიტეხ,  
ნუ დაგიმონებს სულის სატანა.  
იდექი ისე, — ვით ძველი ციხე,  
რომელმაც შესძლო ბევრის ატანა.

ხალხის ტკივილი შეიგრძენ, მყისვე,  
ტკივილად, —  
შენივ ძარღვის და ნეკნის.

დაფნის გვირგვინი ატარე ისე,  
თითქოს გახურავს გვირგვინი ეკლის.

ფუჭი დიდება ნურაფრად გიღირს, --  
ნურც მაშინ იტყვი ბედის  
სამდურავს,

ერთ დღეს,  
ვიღაც რომ მოგხსნის მაგ გვირგვინს  
და თავზე ეკლის გვირგვინს  
დაგხურავს.

თითქოს ელოდი,  
წამს შეეთვისე  
და, გულგასატეხს, ნუ იტყვი ნურას.  
ეკლის გვირგვინიც ატარე ისე,  
თითქოს კვლავ, დაფნის გვირგვინი  
გხურავს.

V.

ზოგი დღე ღვთიურ სიამედ მოვა,  
ზოგს თან მოჰყვება გლოვა და  
ცრემლი.

ზოგჯერ ვატყობ, რომ  
სიმღერის დროა,  
ზოგჯერ ისე ვარ,  
ხმას ვერ მცემს ვერვინ.

მეც ჩემი წილი ყამირი მოვხან,  
ეკალ-ბარდები მეც შემხვედრია,  
არ დამცდენია:

წუნუნნი,  
ოხვრა,  
რადგან ძნელი გზა, — ჩემი ხვედრია!

ყველა ხედავს და მომხსნრეა ამის,  
არ ვწყველი ჩემს ბედს,  
ბედს — საამბოროს.

...

მთელი სიცოცხლე შარბათის, შხამის,  
ეკალს და გვირგვინს შორისა  
ვცხოვრობ.

## მე ვუღამ სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობ

საყვედურების მომესმის ქორო —  
აქეთ შვილია, იქით — ცოლია.  
დღემდის სულ სხვისი ცხოვრებით  
ვცხოვრობ,  
ჩემი ცხოვრებით არ მიცხოვრია.

ვიღაც სიკეთეს სიკერპედ მითვლის  
და გზის ბოლომდე არც თუ შორია.  
ჯერ რაც ვიცხოვრე, ვიცხოვრე  
სხვისთვის,  
რა ვუყოთ, ჩემთვის არ მიცხოვრია.

კვლავ შემიძლია სხვისთვის ვენამო  
და მივაშურო ტყეებს. — იფნიანს.

მე ვშფოთავ სხვისი ტკივილის გამო,  
ჩემს ტკივილებზე არც მიფიქრია.

რალა მაქვს თქვენთან დასამალავი,  
თქმა სიმართლისა როდია ძნელი.  
მე არ მავალეებს ამას არავინ  
და სამადლობელს არვისგან ველი,

მაინც ამაოდ ხმიანებს ქორო,  
აქეთ — შვილია, იქით — ცოლია.  
დღემდის სულ სხვისი ცხოვრებით  
ვცხოვრობ,  
ჩემი ცხოვრებით არ მიცხოვრია.



სახეღარი

გადაგვიდებენ ზურგზე ათასგვარ ბარგს და ბარხანას რასაც კი შესძლებ, რა ედარდებათ მერე გზადაგზა ანეგდოტებსაც იტყვიან შენზე. იცინებენ და იხარხარებენ, შენ კი დაღლილი ტვირთის ტარებით ჩუმად იოხრებ და იფრუტუნებ. მაგრამ არავის შეებრალები... გადაგიჭერენ ნკებლას გავაზე „სამგლეს“ „ვერანას“ და „სატიალეს“, რას იზამ, თურმე მთელი ცხოვრება შენს გადატყაულ ზურგზე ტრიალებს. სალამოობით პალოზე მიბმულს გადმოგიყრიან სამადლოდ თივას, რა გეთივება, მაგრამ მაგ ზურგზე მეტად შიმშილი გტანჯავს და გტკივა... ასე ყოველდღე მწარე ხმაურით შენი დამღლედი ცხოვრება გადის და ყველა ბარგზე დიდი და მძიმე თვალებით მიგაქვს უთქმელი დარდი...

ელეგია

წარწერა ეინვანის გათბობის დროს აღმოჩენილი უცნობი დიდებულის საფლავზე

ნისლის ქალებზე  
მწუხარებით ჰყვავის მოცხარი  
და ყვავილიდან შენი სულის  
მხმობენ ლოცვანი...  
მიდის მდინარე,  
დასალიერს ერთვის მდინარე,  
შორს თოვლიანი მწვერვალების  
შუეი ბრწყინვალეებს...  
შენ კი სადა ხარ?..  
სად ჭიხვინებს შენი მერანი,  
სად გაქრნენ შენი მოწყენანი,  
შენი ლხენანი.  
სად ჩაიფერფლა,  
სად დაინთქა დიდება შენი?..  
ან უმშვენები  
დავიწყების ბურუსი გშვენის...  
ვის მხრებზე ჯდება ის მიმინო  
შენ რომ გშვენოდა,  
ან ის ლამაზი ვის უმღერის,  
რომ გიმღეროდა?

საით წარვიდნენ მოლაშქრენი  
და ყმანი შენნი,  
სრასასახლენი და ტაძარნი  
ღირსდამამშვენნი.  
რა იქნა შენი ფარ-შიმშერი,  
შუბი,  
აბჯარი,  
არც ტვირთმზიდველი,  
არც გამყოლი.  
არც სპა, არც ჯარი!  
სად ჩაქრნენ თვალნი შორს  
მჭვრეტელნი,  
თვით ღვთის მხედველნი!  
რად დგას ჩვენს შორის შეუვალი  
დროის კედელი?..  
ნისლის ქალებზე  
მწუხარებით ჰყვავის მოცხარი  
და ყვავილიდან შენი სულის მხმობენ  
ლოცვანი.

ბინდს მივკვალავდით  
და ნისლებს აშლილს  
სად სევდიანი იდგნენ წვიმები  
და იმ ღამეულ მწუხარებაში  
ბრწყინავდი, როგორც ხსნა და იმედი.  
და იდუმალი თრთოდა მინდორი  
სავსე უკუნის თმების შრიალით  
შორს კი ამინდის უამინდობით  
ტყე-ტყე ელავდნენ მგლები მშვიერი.  
მონუსხულები უცხო ყმუილზე

გვხმობდნენ ჭოტები სადღაც  
ახლოდან  
და უღრანების შავ-ბნელ კულისებს  
ბგლების საშიში როლი ახსოვდა...  
და მივკვალავდით გზად ნისლებს  
აშლილს,  
სად სევდიანი იდგნენ წვიმები  
და იმ ღამეულ მწუხარებაში  
ბრწყინავდი, როგორც ხსნა და  
იმედი...

### თირუზანი

მოკვდა ბეჩავი თირუზანი...  
ბევრის მნახველი,  
ბევრი ხმალ-ხანჯლის მომქნეველი,  
მტრის შემრცხვენელი,  
დაიკრიფნა გულ-მკერდზე ხელნი,  
ხის ფესვებივით გამხმარნი ხელნი...  
დაიძინა დაღლილმა თირუზანმა...  
...დაემშვიდობა თავის ცოლ-შვილს,  
რძალ-შვილიშვილებს:

„ალარ შამიძლავ სიარულივ,  
ჩამოვხმივ კაცევ, ჩამოვილიევ,  
ჩემ სწორ ქვან ალარ დაგორვენავ  
მიწის ზურგზედავ,

უნდა წავიდავ,  
მზეს უნდა გავჰყვავ“, — ამოიჩემა  
თირუზანმა!

ამოალაგა ტანისამოსი,  
პაჭიჭ-პერანგი, ხმალ-ხანჯალი,  
აბჯარ-საჭური,  
გამოეწყო, გამოლამაზდა,  
გაიდო მხარზე ბარი, წერაქვი,  
და წავიდა... სასაფლაოზე!

„საისკე მიხვავ, ხეარ შაიშაღევ?“ —  
გამოეკიდა სამძიმარა — ბერი დიაცი,  
„ქალაქში მიდის ჩვენი პაპა“ —  
მწარე სიცილი დააყარეს

ახალუხლებმა...  
არ მოუხედავს თირუზანას  
არავისაკენ,

ალარც დიაცი,  
არც ბალები არ ახსოვდა გზაზე  
მიმავალს...

ჩუმად ავიდა სასაფლაოზე, —  
მონმას ზემოთ, მუხათ გვერდთან,

მოიძია მამა-პაპათა ადგილ-სამყოფი:

„აი მოვედი“, — თქვა თირუზანმა,  
„იქნებ ჩემ მოსვლა არც კი გინდათ,  
არას მიჩნევთ თქვენს ტაბლასთან  
დაჯდომის ღირსად...“

მე იქ გამძლებ აღარ ვარ, ხალხო;  
ამანდ არიან ჩემებ ყველანი:

აბათ ბაბუა — მკერდისხლიანი,  
სუმბატა, ხირჩლა, გაგუჩა, აკა, —  
სოფლის გამძლოლნი,

მტრის და მოკეთის მიმღებელნი,  
გამსტუმრებელნი... მერე ჯამრულა,  
აპარეკა, ბაბო, ველგუჯა —

ცხენ-მხედრობაში გამოწრთობილნი...

ყველანი ახლა მანდ არიან,  
მანდ ხართ ყველანი! მე ერთი დავრჩი,  
ცას და ხოყანას გამოკრული,  
დავინყებული...

რა ვქნა იქნება შაგანუხათ,

იქნებ დაგღალათ,

მე უჭკოი ვარ, არას მცოდნე, არას  
გამგები...

აეჟ, თქვენს ახლოს წამოვწვები,

ხელს არ შაგიშლით!“

ორ დღეს თხრიდა თირუზანი,

ორ დღედაღამეს საუბრობდა

მარტოკა კაცი...

მესამე ღამეს ჩავიდა შიგნით,

დანვა გულადმა,

დაიკრიფნა გულ-მკერდზე ხელნი,

ხის ფესვებივით გამხმარნი ხელნი

და... მხოლოდ მერე დაიძინა მოხუცმა

მშვიდად!

...დაიძინა დაღლილმა თირუზანმა.



ლილა ქავაშვილი

## დამარცხებული გამარჯვებული ანუ ჩვეულებრივი ამბავი

მაბრძანებს ორნი უსხდნენ. სახმელისაგან ორივეს თვალები უციმციმებდა. დიტო სიგარეტს დაგემოვნებდა ეწეოდა. ბოლს ღრმად ისუნთქავდა. მერე ნელ-ნელა უშვებდა და გულსეუროთ ადევნებდა თვალს ქვაშლის დაკლაკნილ ზოლებს.

ლილემ უბერხულად გაწვდილი ხელი თეფშის ჩაჭე ჩამოდებულ ჩანგალს წამოსდო და ტიქის ფეხმა სასოწარკვეთით გაიწკრილა.

ლილემ ორივე ხელი შეაშველა, არ გადავარდეს და არ გატყდესო. მერე თითქოს გადაწვებითობა შეიცვალა, ხელი უღარდებოდა ჩაიქნია.

— რამ შემაშინა, გატყდებოდა და გამტყდარიყო. — მაგრამ ენა აერია და ძლივს გამოავი. — გასატეხი უნდა გატყდეს, არა? — დიტოს შეხედა.

დიტო დაეღმებოდა უსურებდა. ლილე დააშტერდა, შინავლული გრძნობა ზომ არ გაღვივებულყო ისევ, თუ უბრალოდ, კაცს გაუმართლებს და უნდოდა მოქნეულ ანკესს დიდი თევზი რომ მოჭყვება, ეს იყო და მტტი არაფერი. „დაე. ასე იყოს. — გაიფიქრა ლილემ. — რაკი წამოვიგე ანკესს, ბოლომდე წამოვიგეო, მაგრამ ვაითუ... შეჩვენება“.

თან არ უტყდებოდა თავს, რომ უნდოდა კიდევ მოსჩვენებოდა და კიდევ არა. ქალური თავმოყვარეობა და ამპარტავობა სიამაყით ავსებდა, რომ ძველმა სიყვარულმა ისევ იჩინა თავი, რომ ვერ ეღიოდა დიტო, მაგრამ ცოლ-შვილი? განა ცოლი სიყვარულით არ შეირთო? თანაც შეძლებული... თუმცა იმასაც ამბობენ... ზოდა, თუ მართლა ფიქრობს რაიმეს. ადგება და ეტყვის იმ სათქმელს, ასე რომ აწვადებდა და გულს უშმიშმებდა, თავადაც ზომ ასეთ მომენტს ეძებდა. მაგრამ ეხლა

ეს გულბოროტება სიბრაღულით შეიცვალა და თითქოს თავს დამანაშავედაც კი გრძნობდა, რომ ვერ უმხედდა, ამ ვითარება თავმოწონე კაცზე რომ ქირქილებდნენ ჩუმად შეძლებული ცოლის გამო, თუმცა ეხლა ვეღარც ეტყოდა, სამაგიეროს გადახდა გამოვიდოდა, ეს კი უფრო გულის მოფხანა იქნებოდა სხვათა თვალში, ვიდრე გაწვდილებული კაცისათვის თვალის ახედა, მე რომ მე არ ვიყო, მაშინ შეიძლებოდა, მაგრამ იქნებ არც მაშინ, ძნელია კაცს ასე თუ ისე დალაგებული ცხოვრება აუნერწო. მერე უველა თავის გზას მონახავს, ბავშვი კი — ერთი მიზანტროპი მოემატება ურწმუნოთა კრებულს.

ასე ერკინებოდნენ ზოლმე პატავმოყვარეობა და სიბრაღული, ქალური სისუსტე რომ ნოლუაზხდებოდა, მაგრამ მხოლოდ წუთით, მალე ყველაფერი ძველ კალაპორტში დგებოდა და ლილეს აღარ უტყვია არც ადამიანური სისუსტეები და არც მისწრაფებანი — ასეთი ყოფილა ადამიანი, სადაც შორს ისწრაფვის, იძებნს რაღაცას, რომელიც ცხვირწინაა, მაგრამ ეტყობა, ის, რასაც ვეძებთ ახლოდან ძნელი დასახანია. გაღმიდან კარგად გამოჩნდება და... უკვე გვიან არის.

— გატეხილი აღარ მთედებდა — თითქოს ნაფიქრს მიუხვდაო, კვერი დაუტყა დიტომ.

ლილეს უცნაურად გააკრა მარცხენა მხარეს, გულის არეში, გვერდზე გადაიხარა, ტკივილისაგან თვალები დახუჭა და ძლივს ამოისუნთქა.

— რა მოგივიდა? — შეცბა დიტო. — ცუდადა ხარ? — ხელზე ხელი მოუჭირა.

— არა, არაფერი, გამწვალა! — სითბომ დაუტყა, გაიჩინდა, ხელი ვეღარ დაიმორჩილა, მერე ვითომ ცხვირსახოცს ეძებდა, გაიხიავისუფლა და ოდნავ აკანკალებული (გული უფ-

რო უკანაალებდა) სიგარეტის კოლოფისაკენ გაიწოდა.

— მომაწვიენი!

დიტომ კოლოფი მიაშვტა. ლილემ სიგარეტი გამოაძრო, მაგრამ თითებს შუა თევზივით აფართხალდა და ქიქაში ჩავარდა.

დიტომ ისევ მიაწოდა კოლოფი. ლილემ მერორე სიგარეტიც ძლივს დაიმორჩილა და ტუჩებთან მიიტანა. სიგარეტს ხედის კანკალი გადასდებოდა. დიტომ ხანთებელას თითი ჩამოჰკრა, ალი ისე ახლოს ავარდა, შემკრთალმა ლილემ უკან გადაიწია, როგორც იქნა მოუკიდა, სკამის ზურგს მიეყრდნო და ბოლი ღრმად ჩაისუნთქა. თავბრუ დაეხსა და ხველა აუტყდა.

„ჩემს გამოსაჯავრებლად იწვივა“, — გაიფიქრა დიტომ და მწყურალად შეხება.

„მისი ცოლი რომ ვუოფილიყავი, თუ მომაწვიებინებდა? — ლილემ გამომცდელად შეხება, — ან რესტორანში თუ შემომიყვანდა?“ მერე სასმელმა იმოქმედა თუ ასეთ სულიელურ სიტუაციაში მოხვედრამ გააღწიანა, ეკლუცობას მოხყვა.

— რა ჩუმად ზიხარ? თქვი რამე! ვინმე იფიქრებს, წაჩხუბებულანო...

— საჩხუბი რა გვაქვს... — ჩაიდუღუნა დიტომ.

— ჰო, არაფერი... მაგრამ იმას მაინც გაივლებენ გულში. ნეტავი რომელი რომელს აიკიდაო... — დააწუსტა ლილემ და ქვეშ-ქვეშ შეხება.

დიტომ დაგროვილი ბოლი ორთქლმავალივით გამოშვდა და ისე ამოიხენუნა. გული თან ამოაყოლა.

— რა ვითხრა?

— სულ ერთია. ჩუმად უოფნას სისულიელეზე დაპარაკი სჯობს. — ცმუკავდა ლილე. თვალბეში ეშმაკი ჩასჯდომოდა.

დიტო მოჩვენებითი სიმშვიდით იჯდა და მის ქოთქოსს არ ეპუებოდა.

ლილეს ბოღმა მოაწვა. თავი დაიოკა, მაგრამ აგდებით შეუტია.

— ზომ ვიცი, რაღაც გაქვს სათქმელი. ტუჩილა აქ არ დამაბეჭდები! — გააბრტყელა ბოლო სიტყვა და ხედები გაშალა.

დიტო სიგარეტის კვამლში გახვეულიყო და ლილეს მისჩერებოდა.

როგორ სხვაგვარად წარმოართა უკლადფერი. როგორ უკლმა დატრიალდა ბედის ჩარხი. დიტოს ვერც წარმოედგინა, მათ ურთიერთობაში რაიმე თუ შეიცვლებოდა. მას ზომ ლილე ხალ კლდეხავით ეგულებოდა ზურგს უკან. ლილემ კი ასე გაიშტა. ჰკრა ხელი და მისკენ გახედვაც აღარ უნდოდა. აკი ირონიით ჰკითხა კიდევ, „აბა, რა ვქნა. შენს ცოლს ზომ არ დავუშვებობრდებიო“. დიტომ მხოლოდ ის იცოდა, რომ მისი ხმა. უნდა გაეგონა, ენახა და

ელაპარაკა. აზრები გაეზიარებინა, დანარჩენი მერორე პლანზე უნდა გადასულიყო.

მერე რამდენ ხანს უბრად ხვდებოდნენ. უცნობებევით, ხანდახან ლილე მის დანახვაზე ქუჩის მერორე მხარეს გადასულა. გამარჯობა დავთხარა და ლილე საღამს აღარ უქებდა. მერე იმდენი ქნა, ისევ დაუახლოვდა. ლილეს თავი შორს ებირა, მაგრამ ხანდახან საუბარსაც გაუბამდა, და ეს წუთები რომ გაეხანგრძლივებინა, გაუთავებლად ჰყუებოდა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებზე. რომელსაც სპორტისა არაფერი გაეგებოდა.

დღეს კი თითქმის ცა გაეხსნაო. ლილეს დანახვა ისე გაეხარდა. უგუნებოდ იყო, არ იცოდა რომელი წყლისთვის მიეცა თავი და აი. განგებამ მშველელი მოუვლინა. გაუბედავად შესთავაზა, რესტორანში შემომიყვინო. ლილემ უცებ დათანხმდა, — შევიდეთ, თუ ძალიან გინდაო.

„ლილე, ლილე. — დიტო შეფარვით შემსუურებდა ლილეს. — შენ არ იცი, რა კარგი ხარ. ალბათ გუნებში რამდენს მიკურთხებდი, ტილეთუონი რომ დარეკავდა და ხმას კი არავინ იღებდა.“ აბა, რა ექნა, ეს ერთი საშუალებადა დარჩენოდა, მისი სიახლოვე რომ ეგრძნო. მოძალბებული ნაღველი წუთით მაინც გაეკარგებინა.

ესხა ურთიერთობის აღდგენაზე იქნებ ზედმეტიც იყო ფიქრი. მაინც უნდოდა ნიადაგი მოესინჯა, შეიძლება უკლადფერი დაკარგული არ იყო.

თვალბეში გულმოდგინედ დამალული ნაქერწყლები შეგადაშიგ გამოკვესადვენ და ლილე ისევ უკუმანობდა. „ნუთუ მეჩვენება... მაგრამ რაღაც განზრახვა ნამდვილად აქვს და ის აწვალბებს“. და ისევ საშინლად უნდოდა, რომ მოსჩვენებოდა. მათი ცხოვრების კალაპოტები სხვადასხვა მხარეს განიტოტა და კვლავ მათი შეერთება ისევ ძნელი იყო. როგორც ორი პარალელური ხაზისა, რომელიც ერთმანეთს ვერასოდეს ვერ გადაკვეთავენ. თუმცა ისეთი მიმოთენაც არსებობს. შეიძლება გადაკვეთონ, მაგრამ უსასრულობაში. ეს კი ისე შორსაა, რომ ჩვენი ძვლები აღარ იქნებოა. უცებ შეეშინდა, მე ზომ არ ვიგონებო და დიტომ მალულად, ქვეშ-ქვეშ შეხება.

დიტომ სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა და საათს დახედა. თვალბეში სევდა ჩასდგომოდა.

— იყო ერთი კაცი. — შორიდან მოისმია მისი ხმა. ჩაახველა და განაგრძო. — ამ კაცს ერთი ჩვეულება ჰქონდა...

#### ლელია ძმებშვილი

დასმარცხიბაშლი გასმარცხიბაშლი ანუ ჩვეულებრივი ამაზაპი

ლილე გვერდზე იყურებოდა. თავი არც კი მოუტრიალებია, ისე იკითხა:

— ზღაპარს მიყვები?.. მაშინ ჭერ უნდა გეტყვა. იყო და არა იყო რა, მერე — იყო ერთი კაცი...

— არ გაინტერესებს? — ჩაეკითხა დიტო, რომელიც უკვე ჰკობანობდა. ღირდა თუ არა გააგრძელება, ლილეს ალბათ არც აინტერესებდა, რას იტყოდა. იბტიბარი აღარ გაიტეხა, სათქმელი უნდა ითქვასო და პირი გააღო.

ლილემ თავი დაუწვია, როგორ არა, განაგრძეო და ისევ გვერდზე გაიხედა.

უკვე ნაქვიფარი ორი ღიბიანი კაცი ერთმანეთს ლოწინდა და სიყვარულს იფიცებოდა. მერე ჩაჭკური დაიწყეს, არა მე უნდა გადავიხადო და არა მეო. წითელთუშინიანების დასტებს ატრიალებდნენ. ერთს გული მოუვიდა, რა მჭირს შენი დასაპატიებელიო და ვინებაც მოაუყოლა. მეორე ჭერ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ, მერე უცებ აენთო, ვის ავინებო და თვითონაც არ დააკლო. შეიქნა ერთი ვაწივა და ვინების ორმოტრიალი.

აღმინისტრატორმა ავტორიტეტულად მოსთხოვა დანახარჯი გადაეხადათ და რესტორანი დაეტოვებინათ. ოფიციალტმა ნახევარ-ნახევარი გამოართვა და ამით თითქოს დააშოშინინეს. ისინი ცალ-ცალკე გავიდნენ რესტორნიდან.

— ხედავ, მშაკაცები? — მოტრიალდა ლილე დიტოსკენ.

დიტომ ხელი ჩაიჭინა და სიგარეტს მოუკიდა.

— მართლა, რადაცას ამბობდი. — შეახსენა ლილემ.

— აღარც ღირს, გუნება გამიფუქებს მაგ შიამაბებმა.

— იქნებ ეხლა უფრო ღირდეს.

— ხო. შეიძლება...

— რაო, რა ჩვეულება მქონდა იმ კაცს?

დიტომ ნაფაზი დაარტყა, ბოლი გამოუშვა და სათქმელი, როგორც იქნა, გააგრძელა.

— დაწამორდებოდა თუ არა და სიცივე მოუჭერდა. თავის უბნის ყველა ქუჩაზე შეშის ღუმელებს დგამდა.

— რისთვის? — გაუკვირდა ლილეს.

— ჩიტები რომ არ გაუინულიყვნენ, მეზობლებიც რომ თბილად უფილიყვნენ.

— ჩიტები კარგი, მაგრამ ასე თუ ებრალებოდა მეზობლები, რაღა გარეთ დგამდა, შინ მიეტანა იმათთვის შეშა.

— ბინებში ისედაც არ სციოდათ... გარეთ მაერს ათბობდა.

— აჰა, გულთბილ ატმოსფეროს ქმნიდა. — მიუხვდა ლილე. — შეშას სადღა შოულობდა?

— გამომწვევად ჩაეკითხა. ხომ გაებოო.

— ზღაპრებში შეუძლებელს შეიძლებენ ხოლმე.

— რაზან ასეა, მოვეშვათ შეშას... ნორმალურად თუ სთვლიდნენ მაგ შენს მეღუმელებს?

— ალბათ, სთვლიდნენ. ქალაქში კიდევ იყო ერთი ახირებული კაცი, რომელიც ღამ-ღამობით დადიოდა ქუჩებში და სახლებს უარაულობდა, ქურდი რომ არ შეპარულიყო.

— რა ქალაქი უოფილა, ავერ ერთი გათბობს, მეორე სვდარაჯობს, იცხოვრებენ ბედნიერად, ნურაფრისა გეშინია. ხომ ვერ მიმასწავლი, მაგ ქალაქის ზღას? — ეშმაკურად გაეღიმა ლილეს.

— ვერა, ყველა თვითონ აგნებს. სხვათაშორის ყველასა აქვს ასეთი ქალაქი, მაგრამ გვიან მიხვდება ხოლმე. — ცივი წყალი გადაასხა დიტომ.

— ეგრე იყოს. ყველას უნარის მიხედვით მაშ, ხალხი თბილად იყო, არც ქურდების ეშინოდა და ჩიტებიც ლალად დაფრინავდნენ. არ ითოშებოდნენ. საკენკს თუ უყრიდნენ... — დაინტერესდა ლილე.

— უყრიდნენ. არც მთლად მასე იყო. — სახლებიც იტებებოდა და ჩიტებიც იხოცებოდნენ.

— თუ სახლებსაც ტებდნენ და ჩიტებიც იხოცებოდნენ, რას აკეთებდნენ შენი უარული და მეღუმელები? — ჩაძიებით ჩაეკითხა ლილე.

— უარული ერთი იყო და რას გასწვდებოდა, აი, მეღუმელები...

— რა, ეგ იყო ქურდი?

— არა, ქურდი არა, ჩიტებს ზოცავდა, გულელებს აცლიდა და მაკივარში ინახავდა. სახლში მარტო მაკივარები ედგა.

— რილასთვის ანთებდა ღუმელებს? რით ზოცავდა?

— შურდულით.

— ვინ დაინახა? ;

— სწორედ უარულმა.

— მერე არ გააგებნა ქვეყანას, რომ ასე მზაკვრულად იქცეოდა?

— როგორ არა. ბევრიც იყვარა და ვაიუშველებელი შექმნა, მაგრამ ვინ დაუჭერა. ვერ არის ჰუაზე და იგონებდა, ამ პატოსანი კერს განახარებებს აღარ გააძვირებთ, თუ რამე კიდევ შეშკადრეო, დაემუქრნენ და სახლში გამოკეტეს კარგა ხნით.

— ეს მართლა ზღაპარია, თუ ეხლა იგონებ?

— არა, ეს არც ზღაპარია და არც შიამაზად ნათქვამი. დასაბამიდან ასე უოფილა.

„ასეა, ასე... — ლილე თითქოს ხვდებოდა, საით უმზნებდა. ცრემლი მოადგა თვალის უკეცთან, — სხვის ამბავს მხოლოდ ვისმინეთ, დახსომებით კი... ვიდრე საკუთარ თავზე არ დაგვიტრიალებდა წისკილის ქვა. საკუთარ ტუაზე არ გამოვცდით ცხოვრების უკულმართობას, კუუს ვერ ვსწავლობთ“.

— მაშ, სიბარბლის მოქმელი არსად და არასოდეს არ ჰყვარებიან? — უფრო საკუთარ

თავს დაეკითხა. მერე კი დიტოს მიუბრუნდა —  
მით უმეტეს, თუ გოგონასტყვად გთვლიან

— ხო, ცოტა ძნელია სიმართლისათვის თვა-  
ლებში შეხედვა. — ალიარა დიტომ.

— ცოდვა-მადლი ზომ არსებობს. იმ შენს  
მელუმელეს აუცილებლად მოეწევა მაგ ჩი-  
ორებისათვის.

— იქნებ უკვე მოწეულიც აქვს... — ირო-  
ნიულად გაიღიმა დიტომ.

ლილე ჩაფიქრდა. „ვის გულისხმობს. ნუთუ  
მე, მაგრამ მე ზომ არ მიკრავს ხელი, თვითონ  
დიდი რჩევა რჩევის შემდეგ არ მონახა შე-  
ძლებული ქალი? ცოლზე? არა, აკი ერთმან-  
ეთს შესციციანებენო. ჭერ არაფერი იცის და  
იმიტომ, — მაინც გესლი გამოურია ლილემ.  
— თუმცა ვინ ეტყვის? მაშ, ვის? თავის თავს  
ზომ არა? — ამ აზრს ჩაეჭიდა. — ეს უფრო  
ჭკუასთან ახლოა, ისე, ჩემო კარგო, თუ მაგ-  
დენს ხვდები, — დიტოს შეხედა და დარწმუნ-  
და: — გრძნობს, ჩემზე კი კარგად ექვიანო-  
ბდი, უკველ ნაბიჯს მიზომავდი.“ — ლილე ის-  
ევ დიტოს ათვლიერებდა გამოშვებულად.

— რა უცნაურად მიუბრუნებ?

— არ შეიძლება? — გაიკვლევდა ლილემ.

— ნებასთვა ვის სახელზე დავწერო?

— საჭირო არ არის. — საათს დახედა. —

წასვლის დროა.

თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნაო, დიტო  
მხრებში თავისუფლად გაიშალა.

„ეს აღსარება იყო, თუ ვალი მოიხადა —  
დანაშაული ალიარა. ვითომ უჭირს და ნაუ-  
საუდელს ჩემთან ეძებს, თავს მაწონებს და

არ კი იმჩნევს, როგორ იკატუნებს თავს. არა,  
ჩემო კარგო, გატეხილი აღარ მთელდება!“

— წავიდეთ, თორემ სახლში, აღმათ, ნერვი-  
ულობენი! — ორაზროვნად გადახედა დიტოს.  
ქუჩა ნეონის ნათურებით იყო განათებული,  
ჭრელაჭრულა რეკლამები ჩაყუნთ ქრებ-  
ოდა და ინთეროდა, ლალიძის წულვებთან ვიდაც  
გოგონა დაუახლოვდათ. მან თავი ჩაღუნა და  
ორივეს გვერდის ავლას შეეცადა შეუმჩნე-  
ვლად.

დიტომ გოგონა გააჩერა და უსაუვედურა,  
გოგონები იყვნენ და ბავშვი ნახეს, თქვენ რა-  
ტომ არ მოდიხართო, შეცბუნებული გოგო  
შეპირდა, აუცილებლად მოვალთო, თან ლი-  
ლესკენ აპარებდა თავს.

მეტროსთან რომ მივიდნენ, დიტომ მუჭით  
რაღაც შეაჩერა.

— რა არის? — გაიოცა ლილემ.

— „არიოლი“ თუ „რეშკა“?

— „არიოლი“.

დიტომ მუჭი გაწავლა, ორი ხუთკაპიანი  
ეჭირა. ერთი „არიოლზე“ იქდა, მეორე —  
„რეშკაზე“.

ლილემ მოგებულ ხუთკაპიანს დაუფიქრე-  
ბლად წაატანა ხელი და წასვლა დააპირა.

— მოიცა. — დიტომ ის ხუთკაპიანი მა-  
ერში აისროლა, დაიჭირა და ხელი მომუშტა.

— „რეშკა“. — თქვა ლილემ.

— „არიოლია“, მაგრამ, ამა, ესეც აიღე. —

დიტომ ხუთკაპიანი გაუწოდა.

გაოგნებული ლილე ესკალატორის სახელურს  
მაგრად ჩაეჭიდა.



რომან მიმინოშვილი

ჰომეროს

არგონავტივით გავყევ მე რიონს,  
მზე ტაეპებად ჩაილია და  
ვთქვი: ვარ ჰომეროს!

ვინ მომერიოს —  
ჩემს გულში ბორგავს ზღვა-  
„ილიადა!“

ვინ ოსტატი და ვინ — შეგირდები,  
განა არ ვიცი, სად მე, სად შენა!  
მუხლმოდრეკილი შენ შეგივრდები  
ლოცვათა ჩემთა გადასარჩენად.

მე იმ მშვენებას რაღამ გამყაროს —  
ჩემს გულში გავლილს სიტყვის  
სატევეარს,  
შენგან დახატულ ლამაზ სამყაროს  
ერთი ვაჟკაცის ფარზე დატეულს.

„არ ვარ ღვთაება თუნდაც მეათე,  
მუზას თვით შევთხოვ სიტყვას,  
ფრთებიანს“...  
არ მჯერა! ღმერთი შენზე დიადი  
ქვეყნად ჯერ არვის მოფიქრებია!

მესმის სიმღერა, ვით გულის ფეთქვა  
მაამებელი და მაცხოვარი...  
შენ ვერ იტყოდი, რაც უნდა მეთქვა:  
„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი!“

შენ ვერ იტყოდი, თორემ რა მრჯიდა,  
სხვასაც არ უთქვამს ჩემი სათქმელი.  
უნდა არსობის ჩემის ხარჯითა  
ვადიდო მხარე გულს მისარქმელი.

ვინ ოსტატი და ვინ — შეგირდები,  
განა არ ვიცი, სად მე, სად შენა!  
მუხლმოდრეკილი შენ შეგივრდები  
ლოცვათა ჩემთა გადასარჩენად!

ქველი უბანი

ფერწერაზე ოდნავ სავსე,  
სიმღერაზე ოდნავ მეტი  
ჩანს ვაზივით აივანზე  
გაქცეული ორნამენტი.

სანამ მოლი აბიბინდა,  
სანამ ჭაღებს აისხამდი,  
არც კი ჩანდა ერთი ციდა —  
ათასი წლის ანჩისხატი.

ქუჩა წვრილი — საშობაო  
სანთელივით — ასეული...  
თითქოს ჩემი ბავშვობაა  
შენს ქუჩებში გაქცეული.

საძმო ხარ და საესავი,  
იცი ყველას მოფერება.  
მიტომ მჯერა, რომ შენსავით  
ვერც სიბერე მომერევა!

როგორც ბანი შალიაპინის

ნაძვის ხეზე ყვავის გუნდი,  
გირჩებივით მსხმოიარე,  
თავის ადგილს დაუბრუნდა,  
ქალაქი რომ მოიარა.

ჯალაბობას ბარაქალა —  
შენს პაპას და შენს ბახალას,

წუთითაც რომ არ გეთმობა,  
თავს ევლები მოსკოვ-ქალაქს.

თუკი გავყოფთ თქვენს თაობებს  
ასე, სამას-სამას წლებად,  
ბაბუაშენს ეხსომება  
ამ ქალაქის დაარსება.

რას ხედავ და რა გინახავს —  
მინინსა ცნობ, სტეპკა რაზინს...  
რამდენს ნახავ კიდევ ახალს  
თავისუფალ ლტოლვას აზრის!

გახსოვს გრდემლი, ძალაყინი,  
ცრემლებიც — ხანგამოშვებით,

მთავარსარდლის წინ დაყრილი  
სევასტიკები და დროშები..

შენ ბრძენი ხარ, საუკუნემ  
გამცნო ფასი ბედის პინის:  
გნამს — ქალაქი იგუგუნებს,  
როგორც ბანი შალიაპინის!..

### არ დაპარდები

კედელს ვედები მხარდაფერდებით,  
იმ ძველი ეშხით ახლაც ვარ მთვრალი.  
ასე მგონია, არ დაბერდები,  
ასე მგონია და ვარ მართალი.

კვლავ ღვივის გული ქალწულებრივი,  
ტრფობის ძალაში დარწმუნებული.  
ახლაც კიაფობს მკერდზე მარჯანი  
დაუხარჯავი,  
და ბაგეს მაცდურს  
ლიმილით აპობს სიბრძნე და ვნება,  
მუდამ თაენება,  
რაც თავი მახსოვს.

იყო სინაზე, სხივთა ციმციმი,  
დღეს არის ძალა, მზის თაკარება!

მე ანგარების  
არ მნამს სიმძიმე —  
ხომ ხედავ, ახლაც არ გეკარები!

შორიდან გეტრფვი, ვით საოცრებას  
და ჩემს ოცნებას  
უიმედობის...  
შენი მშვენება არ იკოცნება,  
არ იყოს ნება —  
ნუკი მენდობი!..

თორემ გაცვდება წიგნის გვერდები—  
დღეებს ნაშლიან შავი ფანქრები,  
წავლასლასდები მხარდაფერდებით  
და მე გავექრები...  
შენ დაბერდები!..

### ყ ა ყ ა რ ო

ისე ყოყორობს ყაყარო,  
თითქოს „რაცა ვარ, მე ვარო“.  
ნუ გინდა კოცნით დაახრჩო,  
ნიავო დაუღევარო!

ყველა ლამაზის მაგივრად  
შემომხარისო მე ზეცა!  
მართლა ისეთი კარგია,  
ეპატიება ესეცა!

### შემთხვევა შემოქმედებით საღამოზე

სიყვარული ამ დარბაზში  
შემოვიდა ფეხაკრფით...  
შეეხალა სცენას ტაში,  
ვარდები და მიხაკები...  
შავად მბზინავ როიალთან  
მისრიალდი — თეთრი გედი.  
გზაზე ვარდი აიმართა,  
დაარღვია ეთიკტი:  
ნაეტანა შენს თეთრ კაბას  
პურიტ, როგორც დანიშნული.

და კალთასთან გაინაბა,  
წამით შეწყდა შარიშური.  
ვარდ-მიხაკთა წითელ წვიმას  
ვერც მუსიკა ამშვიდებდა...  
შენც უმწეოდ გაიღიმე,  
როგორც ცელქი ბავშვის დედამ...  
კვლავ თბილისურ ჰანგებს აბამ,  
მის ძაფებში ვიკარგებით:  
ჩვენ, დარბაზი, თეთრი კაბა,  
ვარდები და მიხაკები...

### სტუმარი?!

ღრუბლის ხერხემალი ხევზე დაიდება,  
თითქოს ფრთა გაუკრავთ ზეცისკენ წეროებს...  
ამ ლანდებს დაბლა დებს დილის დიადება,  
მზე რომ მიადგება მთების კენწეროებს...

სტუმარი ღვთისაა — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს,  
მოზრძანდი, ბატონო, როდესაც გინებოს!  
ოღონდ ნუ დამივსებ ამ თვალთა სინათლეს,  
ოღონდ ნუ დამიწყებ ლანძღვას და გინებას.  
შეირგე იგივე კი, რაც არ გერგებოდა,  
შეირგე, თუ შეცდნენ და კაცი გიძახეს!  
ოღონდ ნუ დამაყრი შენს ნაგავს ზემოდან,  
ოღონდ ნუ მამბრალე საკუთარ სიგლახეს!  
რასაც მეტს წაიღებ ლიქნით და ჰიცრუით,  
მით უფრო წაახდენ, მით უფრო გაცვითავ...  
სიცოცხლე არ არის არც ღონით, არც ჭკუით,  
სიცოცხლე მზით არის, და კაცი — კაცითა!..

ღრუბლის ხერხემალი ხევზე დაიდება,  
თითქოს ფრთა გაუკრავთ ზეცისკენ წეროებს...  
ამ ლანდებს დაბლა დებს დილის დიადება,  
მზე რომ მიადგება მთების კენწეროებს...

### სალალოზო

იქ მეტი სინათლეა, მეტი სივრცეებია,  
სადაცა კრთის ჭალარა და ფუსფუსებს ბებია.  
თუმცა მისი სიტყვები — სისულელეებია,  
მაინც ნალდზე ნალდია, რამეთუა ბებია.  
რძლები და სიძეები მირეკავენ თავისას,  
შარშანწინ და შარშანაც, წლეულსაც და გაისად.  
ერთმანეთს დაასწრებდნენ გაქცევას თუ გარეკვას,  
სიდედრსა და დედამთილს ბებია რომ არ ერქვას.





მთასს მძიმე კარი ჭრიალით გაი-  
ლო და დედაკაცის ზორბა ზურგი გამ-  
ოჩნდა. აკვანი გამოჰქონდა, თან აკრუ-  
სუნებულ ჩვილს ამშვიდებდა: — ჩუ,  
შენ შემოგველოს ბებიაშენი, დაწყნარ-  
დი, ჩემო ანგელოზო. როგორც იქნა,  
გამოჯახირდა კარებში. აკვანი აივანზე  
დადგა. წაქცეული ტაბურეტი ხვნეშით  
მიიჩოჩა. ის იყო უნდა დამჯდარიყო,  
რომ ეზოდან წალდია ჩახუნნი და ნასხ-  
ები ტოტების ცვენის ხმა შემოესმა. იქ-  
ითევენ შეტრიალდა. ელდანაცემმა სა-  
ხეზე ხელი იტკიცა:

— დიდუ! დაგმიწდა მაგი გასახმობი  
ხელები, ანანია ჯაშო! ეს რა გიქნია! ჩა-  
მოდი ეხლავე ძირს, სანამ მთელი სოფ-  
ელი შემიყრია! დიდუ, არ დამლუბა, ბე-  
ჩა, ქალი?! ფვიქრობდი, დამწიფდება,  
ჩირს გავაკეთებ-მეთქი. შენ განახე ჩი-  
რივით გავფიკინებულნი, ანანია მიწადას-  
აყრელო. ჩამოდი ეხლავე, სანამ ჭკუი-  
დან გადაესულვარ!

კაცი ხეა წვერზე მოქცეოდა და წა-  
ლდის მარჯვე მოქნევით ზედიზედ ას-  
ხიპავდა ახლად აყვავილებულ ტოტებს.

გაავეებული ქალისათვის ყურადღებაც  
არ მიუქცევია. როცა ხე თითქმის გაა-  
ნახევრა და საქმე თავის ჭკუაზე, დამში  
მოიყვანა, დაბლა ჩამოვიდა. იქვე, მდე-  
ლოზე მოიკალათა, მუხლები გაწვართა,  
სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა:

— რა იყო. ანუშკა, ჩირის გულობაზე  
საიჭიოში მისტუმრებ? — დაციწვით  
თვალეზმოჭუტულმა, როგორც იქნა, ხმა  
გაიღო.

— უი, დაგეყარა მიწა, მაგი მე არ  
ვიდარლო. გეკითხა მაინც, შე მამაცხო-  
ნებულო, ურჯუივით რომ შემომიგა-  
რდი და ამიკელი.

— ასე იყო ალბათ საჭირო.

— უი, ბეჩა, გადამრევა ეს კაცი.  
საჭირო იყო. ნეტავი ვის რას უშავე-  
ბდა ჩემი კორკიმელი.

— უშავებდა, ალბათ.

— ამიხსენი მაინც, რას გიშავებდა  
ასეთს!

— იმას მიშავებდა, ჩემო ანუშკა,  
რომ წვერს იქ ჩრიდა, საცა სახელმწ-  
იფო კანონი და ელექტროფიკაციის სა-  
მმართველო კატეგორიულად კრძალავს.

ამის მეტი კი არაფერი მევალება... შენ გგონია, სახელმწიფო მართო დენის ჩართვა-გამორთვაში მადლევს ხელფასს? მე მთელ ხაზზე ვაგებ პასუხს, აბა?!

— რახან უსაშველო იყო შენი საქმე, მართო წვერი წაგეჭრა!

— ჰი! მართო წვერი?.. შენი შვილი-შვილი წუწკალიე რომ ავა მაგ კორკიმელზე, რა გარანტია გაქვს, მავთულზეზე ჩამოპორწიალება არ მოგეგუნებოს... მერე იმას კი არ იტყვიან, წუწკალიე უზნეო, ჭიუტი და მოუსვენარი იყოო. ასეო, ისეო, ანანიე სად იყო, თვალები სად ჰქონდაო, აბა?! მე რომ შენი ვიყო, მაგ კორკიმელს სულაც ძირში მოვჭრიდი, აუტკივარი თავი ერთი ჭირიანი კორკიმლისთვის არ უნდა აიტკივოს კაცმა.

— უი, დაგაყარე მაგ ენაზე მიწა. კიდევ გულს გაკლია, არა?! ძირიანად გინდოდა ამოგეგდო, ხომ?! მაგი ხეი აწი ხეთ მაინც აღარ ივარგებს. აქეთ კიდევ, მომდექი და შთამომავლობას მილანძღავ, რა დაგიშავე, ანანია დასამიწებელი!

— კარგი, ნუ იწყევლები, ახლა, გამეიტანე არაყი და შევერიგდეთ, ბატონო!

— უი, ცეცხლი დალია შენმა პარმა. უბედურო მართა, შენს ხელში, უბედურო! — შეუცხადა ანანიას მეუღლე და არყის გამოატანად სახლში ბუზღუნით შებრუნდა. ანანიამ არაყი ჭიქაში ჩაისხა: — ღმერთმა სიმწარე გვაშოროს და სიტკბო მოგვეცესო, — დაილოცა და გადაკრა, — აუ, ცეცხლია, ცეცხლი! — თქვა თვალმოკუთუღმა, მერე მშვიდობით გამოზამთრებულ ჩურჩხელას ბოლო წაატება:

— უსამართლობაა, პირდაპირ. წუწკალიე ჩემს შვილიშვილს, ბუთხუზას უნდა ერქვას. ეხლა რომ ბაღებიან ოჯახში ჩურჩხელა იქნება, გპირობაა, აბა რაღა ჯანდაბაა.

— სეიფში ვინახავ! — დაამშვიდა აღლევებული ანანია ანუშკამ.

— ხოო? — ამოიხვნეშა ანანიამ და ჭიქა კვლავ არყით შეივსო.

— ახლა, ჩემო ანუშკა, სიტკბო მოგვეცეს და სიმწარე გვაშოროს ღმერთმა, — შეატრიალა იგივე საღლეგრძელო. არაყი უცებ გადაკრა, დაფაცურდა. წავედი ახლაო, თქვა, წალდი ქამარში გაიკრპო და წავიდა.

— რა იყო, ქალო, რა აღიაქოთი გქონდათ ატეხილი, — შემოვიდა ეზოში მეზობლის ქალი მარგარიტა. პირზე მომდგარ სიცილს ძლივს იკავებდა.

— შეხედე, ქალო, რა მიყო იმ მიწა-დასაყრელმა, — გაახედა მეზობელი კორკიმლის ხისკენ.

— დედა, რა უქნია, ქალო! — შეიცხადა მარგარიტამ და ფხუქუნი აუვარდა.

— გამევედი, ქალო, ბალანე გამევიყვანე. მიინც როდის შემოიპარა ის შერევენებული, რომ დროზე ვერ შევამჩნიეთვალს და ხელს შუა ვამინახებერა ხე. წესიერად დაყვირებაც ვერ მოვასწარი, უკვე მიწაზე იყო და იჯლანებოდა მიხეტურად.

მარგარიტა თავშეუტყავებლად იცინოდა. ანაზღად რაღაც აზრმა გაუელვა, თავისი ვენახისაკენ გაიხედა:

— დიდუ, ჩემი სიკვდილი! — იტკიცა აახეში ხელი. — არ გოუნადგურებია, ცა, ჩემი სამურაბე ბალი?! — იტკიცა და იტკიცა.

ახლა ანუშკას აუვარდა სიცილი.

— რა გაცინებს, ცა, დამლუბა ქალი მაგ საიკვდილემ და იცინი?

მერე მანაც გადაიკისკისა. ორივენი დიდხანს იცინოდნენ, სიცილისაგან ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდათ.

— თვალის დახამხამებაში, ქალო, გაანახებერა კორკიმელი.

— ნახევარი სხვისთვის ვიყავი დაპირებული. არ გამაშავა მაგ პირშავმა?! იხსენებდნენ და სიცილით იფხრიწებოდნენ.

— შენ გეიხარე, ანანია ჯაშო, რავე გაამხიარულე აი გამოყრუებული კუთხე.

იცინოდნენ და მომდგარ ცრემლებს წინსაფრის ბოლოთი იშრობდნენ.

ანანია ჯაში კიტოულაში პირველად მაშინ გამოჩნდა, როცა სოფელში ელექტრონის ბოძების ჩაყრა დაიწყეს. დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, რომელი მოვლენა რომელს უსწრებდა. თანდათან მიიწვედა ანანია სოფლის სიღრმისკენ და უკან მისივე ხელით აღმართულ ელექტრონის ბოძებს ტოვებდა. ახლად ტექნიკუმდამთავრებული ოცი წლის პირტიტველი ჰაბუკი ამ მაღალმთიან სოფელში მიავლინეა სამუშაოდ. აქვე დასახლდა, დაცოლშვილდა და აგერ ბარე ორმოცი წელია, თავდადებით ემსახურება საყვარელ საქმეს. ასე რომ ელექტრონი და ანანია ლამის სინონიმად იქცა კიტოულაში და თუ ვინმე ელექტრონს ახსენებდა, უეჭველად ანანიას მოლიმარე ახე დაუდგებოდა თვალწინ.

უცნაური კაცი იყო ანანია. მთელმა სოფელმა იმთავითვე ისე შეიყვარა და გაითავისა, თვალში რომ ჩავარდნოდან, თითს არ ამოისვამდნენ. გულშია კაცი იყო, ზომიერად შეთამამებული ყველასთან. მოსწონდათ მისი ხუმრობა. შრომისმოყვარეობა და სხვებთან ჭირში თანადგომა ხომ მთელ ახლომახლო სოფლებში სალაპარაკოდ იყო ჭკეული.

ყველაფერა იყო სოფლისთვის ანანია: მონტიორიც, ექიმიც, ამინდის წინასწარმეტყველიც, მემბტიანე-ისტორიკოსიც, ნიადაგმცოდნე, საქონელმცოდნე, ასტრონომიც და კიდევ, ვინ მოთვლის, რა:

„თურქეთის ვარსკვლავი ჭერაც აქეთაა. წელსაც კარგი ზამთარი იქნება“, — იტყოდა და ხალხსაც სჯეროდა.

ზამთარ-ზაფხული ოცდაორ მაიას იყრება და მანამდე კაცმა ტანსაცმელი არ უნდა მოიკლოსო, შთავგონებდა ზოგიერთებს და ისინიც თაყარა მზეში ბალტოებით დადიოდნენ.

ოჯახი არ მოიძევებოდა კიტოულაში. რაიმე სიკეთე რომ არ ხსომებოდა მისგან. მაღლიერი ჰყავდა მთელი კიტოულა ანანია ჯაშს. სხვა რომ არაფერი, ვთქვათ, ხალხთან კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მარტო ექიმობა ეყო-

ფოდა, ექიმბაშს ეძახდნენ სოფელში, მაგრამ აბა რომელი ექიმი შეედრებოდა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ კიტოულელებს — და არა მარტო კიტოულელებს — გადააფიწყდათ ოდი-თგანვე ძვალ-რბილში გამჭდარი შიში ქვეწარმავალ-ღრიანკალისადმი, დატანტალებდნენ კიტოულელი ონავრები კლდე-ღრეში, ფერებოდნენ ათასგვარ სოროსა თუ ფულუროში. უშიშრად ხელობდნენ, აინუნში არ აგდებდნენ გველგესლას სიანის და თუ მორიელის ნაკებნი რწყილის ნაკებნად უჩნდათ, ეს იმიტომ, რომ ანანია ჯაშის ისლით დახურულ ხულაში სასწაულმოქმედი მალამო ეგულეობდათ, რომელიც ყოველგვარი შხამისაგან ვანკურანვდა მათ. მუწუხებს და გამონაყრებს ექიმები რომ ვერ შეელოდნენ, ანანია კურდღლის ქონში არეული „რაღაც ბალახ-ბულახით“ კურნავდა. „ბნედის წამალიც ვიციო“, წამოცდა ერთხელ და მეორე დღევე წამლისთვის ორი ყელგაშვერილი მთხოვნელი მიადგა ოჯახში. შეწუხდა ანანია ჯაში: „ეს როგორ დაიჯერეთ. მთვრალმა რაღაც წავიტრაბახეო“. — შორს დაიჭირა.

არ დაუჭერეს. ლამის ყელი გამოიღლიტეს...

ვჰო, ამოიხენემა ბოლოს მოტეხილმა: ბებიაჩემი წამლობდა ოდესღაც, რა შედეგი ჰქონდა არ ვიციო.

ვცადოთო, იმედი მიეცათ მთხოვნელებს.

ანანიამ ცას ახედა: ასეთი რა შეგცოდე. ღმერთოო. გულში შესტირა. მერე დაცვარულ შუბლზე მაჯა მიძიმედ აისვა: წამლისთვის ცოცხალი ჭინჭრაქაა საჭიროო, თქვა და მთხოვნელებს სახე აარიდა.

ხვალვე მოგართმევთო, გამოცოცხლდნენ მთხოვნელები. წამალს მე თვითონ ჩამოგიტანთო, დაამთავრა მიღება ანანიამ და მოყამული ცივად შეტრიალდა სახლისკენ.

თამაზ ჩიგოზიძე  
 აბიოთუა — წითელი სოფელი

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ, შუა-ღამისას, როცა უკვე კარგა ხანია ყველას ეძინა, სამზადში შუაღამისას ეჭდა ანანია ჯაში. წინ, ტაბლაზე, მკაფე პამიდორი, ორიოდ ღერი პრასი, მარილი და ღოჭით ღვინო ედგა. სახეზე წამოწითლებულს ეტყობოდა, სასმელი მოჭკიდებოდა. აგერ უკვე სამი საათი იყო, იჯდა და სვამდა. დათრობა უნდოდა და არა და არ თვრებოდა. ღმერთო, რა და გიშავე ასეთიო, — ბურტყუნებდა თავისთვის. სამფეხა ჯორკოზე მოუსვენრად წრიალებდა, იშმუშნებოდა, შფოთავდა და აფანტკალებულ მკერდს ძალუშად იბლუჯავდა.

შემოდგომის წყნარი ღამე იდგა. მოვარდნილი თბილი სიო დროდადრო ფოთლებს აუშრიალებდა აიშინდის ჩამხმარ ყანას და ეს იღუმალი ჩურჩული კბილებჩაიცივნილი ბებრის ქირქილივით ჩაესმოდა ანანიას. არა, შემოდგომა არ უყვარდა. უკვე იმ ასაკში იყო, რომ რტოდან დაეცურებულ იყოველი ფოთოლი უსიამოვნო წინათგრძნობით უტოკებდა გულს. სამოცი შემოდგომა გაისტუმრა. სამანამდე რალაც თითზე ჩამოსათვლელი გაზაფხული დარჩენოდა. ენანებოდა ანანია ჯაშს უკან მოტოვებული ცხოვრება, იმას ვერ იტყოდა, სამოცის ისე მოვიყარე, ჭიანჭველზე ფეხი არ დამიდგამსო. როცა საჭირო იყო, ჭიანჭველაც გაუსრისავს, ქათამი და ღორიც დაუკლავს და იმში ნამყოფს, რა თქმა უნდა, კაციც მოუკლავს, მაგრამ არც ჭიანჭველის, არც მატლისა და არც ქათმისთვის ისე არ მოუსპია სიცოცხლე, საკუთარი სიცოცხლის რალაც ნაწილი არ დაეტოვებინოს სამსხვერპლოსთან.

მინამ ახალგაზრდა იყო, ესირცხვებოდა საკუთარი სისუსტე, თითქოს მის მამაკაცურ ბუნებას ვილაციის მზაკვარი ხელი ქლაჩუნის სამოსში გახვევას უპირებდა... მერე და მერე, როცა დავაქაცდა, გული დაუდინჯდა, აზრი დაეწმინდა და გაუღრმავდა, თავადვე

თხოვდა განგებას იმ ზომამდე არ გაეუხეშებინა მისი გრძნობები, რომ ვიდრე მახვილს ჩასაცემდა, განწირულის სასიკვდილო თრთოლვა ჭერ საკუთარ გულ-მუცელში არ ეგრძნო.

დიდხანს იშფოთა ანანიამ. ბოლოს, როცა ძალიან გაუჭირდა, ბარემ მოვრჩე და გავათაოო, — გადაწყვიტა. ტორტმანით ფეხზე წამოდგა. ორივე ხელით ღოჭი ტუჩებთან მიიტანა და ხარივით კისერგამაგრული სასმელს დაეწაფა. ხარბად სვამდა. მუხლები უთრთოდა. აღისფერი სითხე ჭალარა ბანჯველით დაფარულ მკერდზე ეწუწებოდა. მერე, როცა ღვინო გამოილია, ღოჭიანი ხელი მალა შემართა, უჰო! ერთი ღრმად ამოიქშინა საბერველივით და ღოჭი კერიაზე დაანარცხა.

იქვე, სამფეხზე შემოდგმულ გალიაში. ჩიტს შერტა და ქანდარაზე წალმა-უკულმა ხტუნვას მოჰყვა. წვრილი, ბეწვა ფეხები უთრთოდა. ციკქნა სხეული მოუთავსებდა უტოკავდა. ღელვით შეჰყო ანანიამ გალიაში ხელი და აჰყვილებული ათრთოლებულ მჯიღში მოიმწყვდია. ჩიტის გამწარებულმა ჰყვივლმა თავზარი დასცა, მუხლები მოეკვეთა და მიწაზე ჩაიჩოქა. მერე ასე ჩაჩოქილი გულში იკრავდა ჩიტს. ვაშმაგვებით უკოცინდა დაკოყრილ თითებს შორის გამოჩრილ ციკქნა თავსა და ნისკარტს: მაპატიე, მაპატიეო, — ემუღარებოდა სასომიხდილი.

კერიაზე ქვაბი იდგა. მიმქრალ ფიჩხის ნაშუსრევს თავი შეუყვარა ანანიამ. ალი ავარდა და ააფრიალა დვიროზე ჩამოკონწიალებული მკვარტლის ბუწუწოები. ქვაბი მალე გახურდა. წამლისთვის ცოცხლად დამწვარი ჭინჭრატის ფერფლი იყო საჭირო.

ღმერთო შემინდე! ღმერთო შემინდეო! დაჟინებით იმეორებდა გონწართმეული და შმაგი აღტკინებით ჩიტს თითქმის შეღონებულ მკერდში იკრავდა. საბედისწერო წამი დამდგარიყო და ახლა საკუთარი თავისთვის უნდა ეჯობნა ანანია ჯაშს...

ყველაფერი თვალის დახამხამებაში

მობდა. თვალდახუჭულმა ჩიტი გავარ-  
ვარებულ ქვაბში ჩაადგო, სახურავი  
დაახურა, მერე, თითქოს ადევნებულ  
სიკვდილს უნდა დაუსხლტესო. ისე გა-  
იჭრა გარეთ და ნადირივით აღმუვლე-  
ბული პარმაღთან მიწაზე დაემხო.

სადავიდარაბო საქმე ჰქონდა მინდო-  
ბილი ანანია ჯაშს. მოგვხსენებთ, მალ-  
ალმთიან სოფელში რაოდენ ძნელია  
შეინარჩუნო გამართული ელექტრომ-  
იმარაგების სისტემა: თოვლი, მეწყე-  
რი თუ ქარი, ვინ იცის, სად რომელ  
ბოძს გამოაცლიდა საყრდენს და სად  
რომელ მავთულს მოგლეჯდა ბოძიდან.  
ანანია ყოველთვის მზად იყო. შუალა-  
მეზეც რომ გამორთულიყო შუქი, ლო-  
გინში ვერ გააჩერებდით: „ლამზირას  
ჩვილი ჰყავს; ნიკუშას მომაკვდავი უწ-  
ევს, გაუჭირდებათ უსინათლოდ“, გაუ-  
ელეგებდა გონებაში და გარეთ თავსხმა  
და ღვართქაფიც რომ ყოფილიყო, შინ  
გული არ დაუდგებოდა.

„ჩაკვდები სადმე, ბერიკაცო, ვეღარ  
გეიგე, ახალგაზრდა რომ არ ხარ?!“  
ყურს არ ათხოვებდა გამოღვიძებ-  
ული მეუღლის საყვედურს. ჯერ ქვე-  
სადგურში ჩაირბენდა. თუ რომელიმე  
დამცველი იყო გაფუჭებული, ხომ კა-  
რგი, ხელადვე შეაკეთებდა, მაგრამ თუ  
დამცველები წესრიგზე აღმოჩნდებოდა,  
მაშინ ბოძებზე აასვლელ „ქანგებს“  
გადაიკიდებდა ანანია და ფარნის შუქ-  
ზე იწყებდა ხაზის შემოვლას. რამდენ-  
ჯერ უნახავთ მეზობლებს თავსხმა წვი-  
მაში, ქარსა თუ თოვლში, დღისით თუ  
ღამით ბოძის წვერზე მოქცეული ანანი-  
ა.

ყველა სიკეთესთან ერთად, სწორედ  
ამიტომაც უყვარდათ თავისი ანანია კი-  
ტოულელებს.

აბა ნაკლი ვის არა აქვს და ანანიას-  
აც ჰქონდა თავისებური ნაკლი:

მართალია, ყველასათვის სასურველი  
სტუმარი იყო, მაგრამ როცა ცოტას შე-  
ზარბოშდებოდა, ლაპარაკის საღერღე-

ლი აეშლებოდა, მოჰყვებოდა იმ მთის-  
ას, ამ მთისას. უფრო მეტად ძველი  
ამბების გახსენება უყვარდა. თუ სტუ-  
მარი იყო, მასპინძლები აღარ ეთმობო-  
და, თუ თავად იყო მასპინძელი, სტუმ-  
არს ვეღარ ელეოდა: შეიყოლიებდა ლა-  
პარაკსა და ღვინის სმაში და მორჩა, იმ  
ღამეა გაათენებინებდა სუფრასთან.  
ყველამ იცოდა ანანიას ეს ხასიათი და  
სოფელი კეთილად ლაზღანდარობდა  
მის ზურგს უკან.

ერთხელ პავლე ჯიქიამ, ვერაფრით  
რომ ვერ გაისტუმრა მასთან მყოფი ანა-  
ნია, გარეთ გამოვიდა, სახლს უკან მო-  
ექცა და იქიდან კარგი მამალივით ყივი-  
ლი ატეხა. აქაოდა, უკვე გათენდაო.

ამ ამბავს მეორე დღეს ყველგან ყვე-  
ბოდნენ და სიცილით იფხრიწებოდნენ  
კიტოულელები.

დამალი შამათავა კიტოულაში თორ-  
მეტობედ წლის უკან დაახლდა. სამ-  
ოსახლო და სახლ-კარი ქალაქად გადა-  
ხვეწილი, აწ გარდაცვლილი ბიჭიკო  
კოროშინაძის შთამომავლებისაგან სა-  
კმაოდ იაფად შეიძინა. თუმცა ისიც  
უნდა ითქვას, რომ სახლი ადამპაპობის  
ხნისა და დანგრევის პირას მისული  
იყო.

დამალმა აახლი შეაკეთა. საქონელი  
და ფრინველი გაიჩინა და გააჩალა  
ცხოვრება თავის უშვილო ცოლთან, ვა-  
რდიკოსთან ერთად.

პირქუში, მიუღგომელი ხასიათის კა-  
ცი გამოდგა, გაქვავებული სახის პატ-  
რონს იაეთი გამსქვალავი გამოხედვა  
ჰქონდა, რომ შენდა უნებურად გაგცრი-  
და ტანში და სახეს აგარიდებინებდა.  
არავინ იცოდა, საიდან და რატომ გად-  
მოიხვეწა. სამეგრელოდან ვარო. ზოგ-  
ადად დააკმაყოფილა ახალი მეზობლე-  
ბი ცნობისმოყვარეობა. მაგრამ როცა  
ზომიზე მეტად ჩაეკითხნენ, ისე დაუყ-  
ვესა უტიფარი თვალემა, ისე აუტოკდა

თამაზ ჩიგოჯიძე  
კიტოულა - წითელი სოფელი

ნიღაბივით სახე, რომ სამუდამოდ ჩა-  
უყლა ცნობისმოყვარეობის სურვილი.

ასეთი საქციელით ხალხი ეჭვში შეჭ-  
ყავდა. უნებურად უწყობდა ხელს, მის  
წარსულზე ათავგვარი ჭორები შეეთი-  
თხნათ. რას არ ამბობდნენ, კაცის კვლა-  
საც აბრალებდნენ. თითქოს იგი ზემო  
სვანეთიდან გადმოხვეწილი მირზა ჯი-  
შკარიანი იყო და შამათავას გვარით,  
კიტოულაში ემალებოდა მართლმსაჯუ-  
ლებას და მოსისხლე სვანებს.

დადიოდა ჭორები სოფლიდან სოფ-  
ელში, დამალი შამათავა კი აგერ თი-  
თქმის თორმეტი წელი ხდებოდა, მშვი-  
დობიანად ცხოვრობდა თავის სახლ-  
კარში.

თავისებური კაცი იყო, არ უყვარდა  
სხვის საქმეში ჩარევა. თავის საქმეში  
ხომ, მით უმეტეს, არავის ჩააყოფიებ-  
და ცხვირს, ცხოვრობდა ასე, თავისთ-  
ვის, უმეზობლოდ და, სულო ცოდვი-  
ლო, არც არავის უშაგებდა რაიმეს.

მუყაითიც იყო. რა იყო ისეთი, მის  
ხელს არ გაეკეთებინა. მეურნეც კარგი  
გამოდგა — ხუთ წელიწადში კოროშ-  
ინაძეების ნასახლარი ბაღნარა დაამსგ-  
ავსა. შორს გაუვარდა დამალი შამათა-  
ვას მეურნის სახელი. საიდან არ მო-  
დიოდნენ მის სანერგეში გამოყვანილი  
იშვიათი ჯიშის ნამყენების შესაძენად.  
მერე, როცა ცოტა ხელი მოითბო, რაი-  
ონის ცენტრში სახელოსნო გახსნა და  
ხარაზობას მიჰყო ხელი. ახლა მისმა  
ახალმა საქმიანობამ აალაპარაკა ხალხი.  
მოდდიოდნენ მუშტრები მისი ხელით  
უზადოდ შეკერილი აზიური ჩექმები-  
სა თუ შტიბლეტების შესაძენად.  
საიდან არ მოდიოდნენ: ქობულეთიდან  
თუ მახარაძიდან, ჩოხატაურიდან თუ  
ლანჩხუთიდან. თქვენ წარმოიდგინეთ,  
წულა-მეტების მოყვარული აფხაზები  
და ოსებიც კი აწუხებდნენ.

დიდი ფასი ეღო მის ნახელავ საქო-  
ნელს. წყვილი ჩექმის ფასად მეწველ  
ძროხას იყიდდა კაცი. მუშტარი კი მა-  
ინც გამოუღვევლად ჰყავდა.

მდიდრდებოდა დამალი შამათავა. თუ-  
მცა, ვერც იმას იტყოდით მაინცდამა-

ინც სიმდიდრის მოყვარული კაცი ყო-  
ფილიყოს. საერთოდ, დაბეჯითებით არ-  
აფრის თქმა შეიძლებოდა დამალი შა-  
მათავაზე. კიტოულაში უკვე კარგა ხა-  
ნია აღარ ჩურჩულებდნენ მისი საიდუ-  
მლოებით მოცული წარსულის შესახებ.  
ამჯერად მოშურნეებს ერთმანეთში სა-  
ლაზლანდაროდ მისი ზღაპრული შემო-  
სავალი და „ბერწი“ ვარდიკოს ახალთა-  
ხალი წაუღას ქურქი ეკერათ პირზე.



სამოცდაცხრა წლის დიდმა ზამთარ-  
მა ყველაზე მეტად ელექტრონის ხაზ-  
ები დააზიანა კიტოულაში. უკვე ხანმო-  
თეული და ძირმომპალი ბოძები ვეღარ  
უძლებდნენ ქარისა და თოვლის შემო-  
ტევას და ერთმანეთის მიყოლებით  
წვებოდნენ მეტრ-ნახევრიათი თოვლის  
საფარით დამძიმებულ მიწაზე. დაზი-  
ანდა მთავარი ხაზი და თვითონ ქვეა-  
დგურიც. მიწაზე გართხმული თორმეტი  
ბოძი დაითვალა თხილამურამოსხმულმა  
ანანიამ შემოვლის დროს. მდგომარეო-  
ბა მეტად სავალალო აღმოჩნდა — ხა-  
ზის თითქმის მეხუთედი დაზიანებული-  
ყო და აღდგენას მოითხოვდა. წავიდა  
ანანია რაიონულ ცენტრში დახმარების  
სათხოვნელად. იქ ერთი აყალმაყალი  
და ალიაქოთი დაუხვდა. ეტყობოდა,  
სხვა მალალმთიანი აოფლებიც მსგავს  
გასაქირში ჩაეგდო თოვლს.

ელექტრომომარაგების რაიონული  
ცენტრის ბუღალტერიაში ცრემლი იღ-  
ვრებოდა ყოველ ბოძზე:

— გამომიწერე, ბატონო! აბა რა  
ეჭნა. მე ხომ არ ჩევერკობი იმ დასაწ-  
ვავი სტოლბის მაგიორად! — იქაჩებო-  
და ბასილეთელი მონტიორი.

— ჩევერკობი, ბიჭო, თვარა გადაგ-  
ივა თავზე, — ყბას უქცევდა ზენობ-  
ნიელი.

— არაა ეს დასაწვავი, და რა მოგ-  
ცეთ. — ხელებს შლიდა ბუღალტერი.

— რეიზა არ მეიმარაგებთ მერე, ბი-  
ძია, თავის დროზე. ჩრდილში წამოწო-  
ლით და კამათლის გორებით საქმე რომ  
კეთდებოდეს, მაგას მომასწრებდით მე

თქვენ?! — თავისებურად ყიამყარალობდა ბარდნაღელი მონტიორი.

ანანია ჯაშმა საშველი არ დააყენა ბულალტერს. იმდენი ქნა, ოთხი ბოძი გაშოაწერინა. ორიც კიდევ თითქმის ძალით წაღლიტა საწყობის გამგეს და ძვირფასი ტვირთი ტრაქტორით სულ სრიალ-სრიალით აიტანა კიტოულაა ცენტრამდე.

კმაყოფილი იყო ანანია. საქმეს კარგი პირი უჩანდა. მართალია, ექვთი ბოძი კიდევ აკლდა, მაგრამ ძველი ბოძებითაც შეიძლებოდა იოლად გასვლა — დამპალ თავსა და ბოლოს მოუსწორებდა ხერხით. ორს ერთმანეთზე წააბამდა მავთულებით და საქმეც გაიჩარხებოდა.

სიამოვნებისაგან ხელებს იფშენებდა ანანია — მშვენივრად მოაწყობო ბოძების აქმე. ახლა საჭირო იყო ბლომად მუშახელი და ანანიამ პირველად თავის სიცოცხლეში მეზობლებს ჩამოუარა თხოვნით: საქმეში ხელი წამომიკაჩოთო.

პირველად მიმართა ასეთი თხოვნით მეზობლებს ანანიამ. მანამდე აგერ თითქმის ოცდაათი წელი მარტო კახირობდა. ხალხი შეაჩვია საკუთარ მხრებზე გადაეტარებინა საერთო სატკივარი. სწორედ ეს იყო მიზეზი და მეტად უცნაური მიზეზიც იმისა, რომ მაინცდამაინც ხალხისით არ ამოდგომიან კიტოულელები მხარში. ოცდაათი წლის განმავლობაში მზამზარეულად ჰქონდათ ელექტრონი. თითის გატოკებაც არ სჭირდებოდათ, ისე ჰქონდათ. და თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო ამჟამად. მაგრამ სოფელს დიდი რიდი ჰქონდა ანანიასი, მისი გაწბილება არამც და არამც არ შეიძლებოდა. ცალკერდ უსინათლობაც აწუხებდათ. უკმაყოფილებით სტოვებდნენ აგიზგიზებულ კერიებს კიტოულელები...

კვირა დღე იყო. ამინდს მაინცდამაინც სააკეთო პირი არ უჩანდა. დიდი სამუშაო ელოდათ და, ბუნებრივია, ყოყმანობდა სოფელი: ცოტაც გავიჭირვოთ. თოვლი შეთხელდება და საქმეს

ადვილად მოვერევიითო, ამბობდნენ ერთნი.

თოვლის გადნობას თუ ვუცადეთ, კარგად წავა ჩვენი საქმეო, — ცხარობდნენ მეორენი.

— მე აბა, ძამა, საღამოა ტელევიზორს თუ არ მიგუჯექი, ისე რა გამაძლებიებს ამ სატურიაში. ჯერ გზები გავკვალთ ბოძებამდე. რაცხა ღმერთად, შემცვლელი ბოძები ქე გვაქვს, ცხენებს გავათრევიით, მერე ცოტა თავი შევიწუხოთ, აბა, ისე რაფერ იქნება, თქვე კაი დედამიშვილებო, — თქვა ბორისა ბასილიამ და უმრავლესობაც მას მიემხრო.

აიღეს სამუშაო იარაღები და დაზინებული უნისიკენ დაიძრნენ. მუშახელი ბევრი იყო საჭირო და გზადაგზა ოჯახი არ დაუტოვებიათ, ხელი წამოგვიკართო რომ არ ეთხოვათ. ოცამდე კაცმა შეიყარა თავი. დამალი შამათავას ეზოს რომ მიუახლოვდნენ — რავა, წითელი კოჭი ხომ არ არის, მასაც დაუძახხოთო, — თქვეს.

ანანია ჯერ უარზე დადგა — უიმისოდაც იოლად გავალთო. მაგრამ, როცა ზოგ-ზოგებმა დაუყინეს: პირველ რიგში მაგიზა უნდა დაგვეძახა, ბოსელში აქვს სინათლე გაყვანილიო, — ნავსი გატეხა და დაუძახა.

დამალს ნიჩბით თოვლში ბილიცი გაჰყავდა. დამახილზე მუშაობა შეწყვიტა, ნიჩბის ტარს დაეყრდნო და, რა ამბავიაო, — მკვანედ გასძახა მეზობლებს. ეტყობოდა, იცოდა, რისთვისაც ეძახდნენ.

— ხაზი უნდა აღვადგინოთ და დახმარება გვეკორდება, ბატონო დამალი! — წყენა არ შეიმჩნია ანანიამ.

— რაცხა ერთი დღე მაქვს თავისუფალი და აღარ დამაყენოთ ახლა სახლში!

ასეთ პასუხს არ მოელოდა ანანია. კი იცოდა, რომ შამათავა მყარალი კაცი იყო და ყოველთვის ერიდებოდა, მაგ-

#### თამაზ ჩიგოშვილი

კახოვლან — წითელი სოფელი

რამ თუ აეთ თავხედობას გაბედავდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

— რავა, ჩვენ მოცილილები გვნახე, თუ რაფერაა შენი საქმე! მაგი ელექტრონი მართო ჩვენსას ხომ არ ანათებს, შე კაი კაცო! — გაჯავრდა შეურაცხყოფილი ანანია.

— წადი, ჩემო ბიძია, რა თავს მამაღლი, თუ იცი, გვევლება და აკეთებ! სამუშაოზე რომ მიძახი, ჯამაგირიზა რამდენჯერ დამიძახე ერთი!

გაფთორდა ანანია. ცოტაც და, ჭკუიდან შეცდებოდა კაცი. დამალისთვის არაფერი უთქვამს, ხალხისკენ მიბრუნდა:

— ესე იგი, ანანია ჯაშს ევალებოდა და იმიზა იდგამდა წელეებზე ფეხს... ესე იგი, ანანია ჯაშს მუქთი მოჯამაგირე ყოფილა თქვენი, არა?! რას მამლევენენ მინც ისეთს, თქვე, თქვე, უმადურებო! — კიტოულელები თვალს ვერ უსწორებდნენ ანანია ჯაშს: ვინ იცის, ამ დროს ვინ რას ფიქრობდა თავჩაქინდრული. — ამოიღეთ ხმა! ასეა, არა?! თქვენც მასე ფიქრობთ, არა?! იმიზა ითრევდით ფეხს, არა?! წადით! მომშორდით! რახან მევალება, როგორმე უთქვენოდაც მოვებამ აქმეს თავს! — თქვა და იქაურობას გაეცალა.

ხალხი ცოტა ხნის შემდეგ კაყანიით დაიშალა. დამალი შამათავა აუღელვებლად განაგრძობდა წამოწყებულ საქმეს ეზოში.

ანანია ჯაშს იმავე საღამოს ცოლოურს ესტუმრა მეზობელ სოფელში. იქ მოყვრებასა და ნაცნობებში ათიოდე კაცი შეკრიბა, მეორე დღესვე კიტოულაში ამოიყვანა და მათთან ერთად ელექტრონის ხაზი ისე აღადგინა, არც ერთი თანაოფლელი არ გაუკარებია სიახლოვეს.

— უსამართლოდ მოექვეცი მეზობლებს, — უსაყვედურა მეუღლემ.

— რას ჭკია, უსამართლოდ, დედაკაცო! — გაუწყრა ანანია. — ნადირს პირში მიმცეს. სიტყვა არ შემაწიეს. მაგას რა დამავიწყება!

— შეეშინდათ ალბათ და იმიტომ ჩეიგდეს ენა.

— შეეშინდათ კი არა, უმადურები არიან. წმინდა წყლის უმადურები. თავით ნიორი რომ დაუნაყო, მინც ფეხებზე დაგიკიდებენ.

— ეჰ, მაგი რომ მასე იყო, თავის დროზე უნდა გცოდნოდა.

— ვიცოდი, ჩემო მართა, განა არ ვიცოდი, მარა კაცი ვიყავი და ჩემს კაცობას იმათ უმადურობას ხომ არ დევპირისპირებდი. არა, მაგას ჩემს თავს ნამდვილად ვერ ვაკადრებდი.

— მაგენს შენ ალბათ სულელი ჰგონიხარ.

— ვინ იცის, შეიძლება, მარა არც მაგია მთავარი. კაცი მინც ბოლომდე კაცად უნდა დარჩეს!

არ დასცალდა ბოლომდე კაცური ცხოვრება ანანია ჯაშს. შემოდგომაზე უცნაური სენი შეეყარა და ერთიანად გადასხვაფერდა კაცი.

კლიმაქსის ნიადაგზე სკირს, არაფერია ისეთი, გაუფლისო, — ამწვიდებდნენ ჭირისუფალს ექიმები. ანანია ჯაშს კი აგერ მეორე თვე გადიოდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი და ადგომაზე თავს არ იწუხებდა. იწვა ლოგინში გაუნძრევლად. თვალები ჭერისკენ ჰქონდა მიპყრობილი. არც არავის დანახვა ესიამოვნებოდა, არც სმა მოუნდებოდა და არც ჭამა. ორ სიტყვას იშვიათად იტყოდა გადაბმულად. თუ საკმელს ძალიაძალად მოაკიცქინებდნენ, მამინვე ღებინება აუვარებოდა. ჩამოხმა, დილია ადამიანი. შვიგადაშიგ ამოიხრებდა. ეტყობოდა, შავნელი ფიქრები ტანჯავდა. მესამე თვეზე მომჯობინება დაეტყო და წამოდგა, მაგრამ უკვე ძველი ანანია აღარ იყო: მუდამ მოღიმარი და ხალისიანი — პირქუში და უკარება გახდა. შეუყვარდა ჩხუბი და აყალმაყალი. დაერია მეზობლებს და ერთ თვეში მოასწრო მოემდურებინა ყველანი. ყოველივე ამ სიკეთესთან ერთი მეტად უცნაური ზნეც დასჩემდა: საკ-

მარისი იყო ორი ჭიკა ღვინო დაეღია, რომ მაშინვე ქვესადგურისაკენ გარბოდა და გამორთავდა შუქს, მერე ვასაღებებს ჯიბეში ჩაიდებდა, შეტრიალდებოდა სახლისკენ და გზადაგზა სოფლის სამღურავსა და მუქარას მოჰყვებოდა ყველა გასაგონად.

— სინათლეს არ გაღირსებთ, თუ ეყოფილვარ ანანიე ჯაში! რათ უნდა თქვენისთანა მუტრუკებს სინათლე. მზე ჩავე და შეიგულეთ ტურტილიან ლოგინებში. მე შენ გეტყვი, წერათ ან კითხულობთ რომელიმე! ხეპრეები ხართ! წმინდა წყლის ხეპრეები! — მერე მოჰყვებოდა რაღაც ბუზღუნს თავისთვის. მივიდოდა სახლში, ხელის ცეცებით იბოვნიდა ტახტს, გაუხდელად მიეგდებოდა და მაშინვე ხერხივას ამოუშვებდა.

შეწუხდა სოფელი. ენანებოდათ ანანია ჯაში. ბევრი სიკეთე ახსოვდათ მისგან და უთმენდნენ. უბედური მართა თვალს ვერ უსწორებდა ხალხს.

— რა შენი ბრალია, ქალო. ავადაა კაცი, რომელი ხეპრე ვერ მიხვდება, მაგას, — ამშვიდებდნენ მეზობლები.

— არ ვიცი, რა ვქნა მე სასიკვდილემ! — ცრემლები გადმოსცივდებოდა მართას და სხვებააც გულს უჩუყებდა.

— აფსუს, რა კაცი იყავი, ანანია ჯაში!

— ცოტაც გვეიკვირვით და მორჩება, ბეჩა, აბა რავე იქნება ისე. — წუხდნენ კიტოულელები.

მაგრამ, გადიოდა დრო და ანანია ჯაში, აკვიტებულ ზნეს არა თუ ღალატობდა, პირიქით, უფრო ხშირად ტოვებდა ხალხს უსინათლოდ.

სოფელს თანდათან ეკარგებოდა მოთმინება. მამაკაცებმა კბილების ღრჭივით გააზშირეს. დედაკაცები ველარ იკავებდნენ ენის წვერზე მომდგარ წყევლას.

რამდენჯერ დააპირეს სოფლსაბჭო ჩაერიათ საქმეში და ახალი მონტიორი დაენიშნინებიათ, მაგრამ ცალკერძ ოჯახის რიდით, ცალკერძ კიდევ იმიტომ, რომ მეორე დღეს შუქი ჩაირთვებოდა, დანაქადებს იგიწყებდნენ.

კარგი არაფერი ჩამოუვლის, წერას ჰყავს აყვანილიო, ამბობდნენ. არავინ უწყოდა, რით დამთავრდებოდა ანანია ჯაშის სახითათო თამაში ხალხის ნერვებზე. ერთი ცხადი იყო, და ამას ყველანი გრძობდნენ, მშვილდი იძაგებოდა და აუცილებლად რაღაც უნდა მომხდარიყო.

იმ დამეს უგუნებოდ დაბრუნდა სამუშაოდან დამალი შამათავა. ჭერ იყო და, უთანხმოება მოუვიდა სამსახურში: — ვილაც ოსმა მუშტარმა ნახელავი დაუწუნა და ფასს თუ არ დამიკლებ, ისე არ წავიღებო, დაიჟინა. დამალი ერთხელაც არ დაფიქრდებოდა — კინწისკვრით გაავდებდა პირის გამტებს მუშტარს და ჩექმას დაიტოვებდა, მაგრამ ჩექმა სწორედ იმ კაცის ფეხზე იყო მორგებული და რადგან ფეხი უზომოდ დიდა ჰქონდა, დამალიათვის მუშტარის ზარალს უდრიდა. მუშტარმა კარგად უწყოდა ეს და ცდილობდა ნახევარ ფასად დაესაკუთრებინა ჩექმა. მისმა ურცხვობამ შეზარა დამალი. ერთხანს თვალეებით სჭამდა კაცს, მერე ის ჩექმა მოუქნია და პირდაპირ სთხლიშა ცუდლუტ სიფათში. აყალმაყალზე ხალხი შეიკრიბა და მოჩხუბრები დააშოშინეს.

მართალია, იმ კაცმა შემდეგ ბოდიშიც მოუხადა და ჩექმაც წაიღო, მაგრამ ამ ამბავმა სრულიადაც ვერ დაუწყნარა უცნაურად ათროლოებული სიახლი დამალი შამათავას. წყენას ისიც უძლიერებდა, რომ თოვლმა სამაჩქანო გზები ჩახერგა და რაიონული ცენტრიდან სახლამდე თითქმის თორმეტი კილომეტრის გავლა მოუხდა ფეხით. ცხრა საათი იქნებოდა, სახლის კარი რომ შეღო დაღლილ-დაქანცულმა.

გვედები კაცი, ჩქარა საჭმელიო, მიუვდო მეუღლეს და გაძუნძული ტანაცმლის გამოცვლას შეუდგა. მერე მადიანად ივახშმა. ჰამას რომ მორჩა, ავ-

თამაზ ჩიკვაძე

კიტოულა — წითელი სოფელი

უზგუზებულები ბუხრის პირას ტახტზე გაიშობა და მალე ალბათ ნანატრი შვილებაც დაეუფლებოდა, რომ მეუღლემ, საქონლისათვის საკმელის მიცემა არ დაგვიწყდესო, შეახსენა.

ბოსლის კარი რომ შეაღო, ელდა ეცა: ბულა მოზვერს თოკი გაეწყვიტა და ააქონლის ზამთრის სარჩოს თითქმის მესამედი ლაფში ჩაეყარა და ფეხით გაეოხრებინა. გაცოფდა დამალი. ნაკელის ასაღებ თოხს სწვდა და მინამ საწყალ მოზვერს ტარი მთლად არ გადააფშვანა წელზე, აღარ მოშვებია.

თვალისჩინდაკარგული მოზვერი ფშვინვითა და ზმუილით აწყდებოდა ერთი კუთხიდან მეორეს და ლეწავდა ყველაფერს, რასაც მისი გვერდი, რქათუ მკერდი შეეჯახებოდა.

ამ დავიდარაბაში იყო დამალი, რომ ბოკელში უეცრად შუქი ჩაქრა. ლუსკუმ სიბნელეში თავრეტდასხმულმა მოზვერმა როგორღაც ქედი ვაჭკრა. დამალი შებარბაცდა, ბაგის კიდეს ფეხი წამოჭკრა და პირჩაღმა გაიშობა ფაფასავით აზელილ-ატალახებულ ნეხვში.

სიბრაზისაგან გონწართმეული კბილების გააფთრებული ღრქილით წამოდგა. როცა გონს მოვიდა, უკვე ეზოს გადაღმა იყო. ხელში გრძელტარიანი სახარაზო ჩაქუჩი ეჭირა.

აღარა თოვდა, არემარეა ოდნავ ანათებდა თოვლის სუსტი ლიცილიცი.

მძიმე ქშენით მიღარდნიდა დამალი ბილიკზე ახალნაყარ თოვლს.

— ცოტა მადროვე, შე ღორის გაგდებულო! — კბილებში სტრიდა თავისთვის. — მასხარად გვიგდებ, არა?! დაგიკარგავ მაგ ხალისს, თუ ვყოფილვარ გოჩა ბურღული.

სისხლმონატრებული მტაცებელივით უტყუარ გეშა მისდევდა კვალში. სულმოუთქმელად ათავა სოფლის აღმართი და სუნთქვაგახშირებულს ანანიას სიმთვრალისაგან ჩახრინწული ხმაც შემოესმა. ხმა იქვე, მახლობელი ბექობიდან ისმოდა. მეყსეულად შედგა დამალი. გაიტრუნა. ყური მიუგდო.

სწორედ ასე იქცევა ნადირი ნაბულის წინ.

— ჩემია აი სინათლე, ბიძია! მინდა ავანთებ, მინდა ჩავაჭრობ! ფეხებზე მკიღია მე თქვენი სოფლსაბჭო და აღმასკომი! ბნელში გვაგატარებებთ თქვენს დღეს და მოსწრებას. არ ხართ მეტის ღირსი და იმიზა!

სისხლის სუნი ავარდა და უცნაურად თრთოლვაატანილი დამალი თითქოს რაღაც გამაბრუებელსა და მართობელსა ჩაებლალუა თონესავით წითლად ავარგარებულ შაერში:

— მომიცადე ერთი მაქ, შე ძუნკალო ბერიკაცო! — წყნარი ხმით დაუძახა და თვალში სისხლჩამდგარი, ძერის დაუოკებელი თინითა და ხარის აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯით დაიძრა მსხვერპლისკენ.

ანანია შეჩერდა, ნახევრად შემობრუნებული, ქანდაკებასავით გაშეშდა და მომავალს ლოდინი დაუწყო.

— აბა, არ გვადირსებ სინათლეს, ხომ?.. რეიზა, მერე, შე ძუნკალო ბერიკაცო!

— იმიზა, რომე, გვანი ხარ შენ დამალი შამათავა და არ ხარ ღირსი, ჩემი ხელით გამოშვებული ელექტრონი ანათებდეს შენს გველის ბუნავს.

სიმშავისაგან უცნაური ხარხარი აღმოხდა დამალი შამათავას.

— არცაა საჭირო! აწი სხვა ანთებს... — თქვა ჩურჩულით და მძლავრად მოქნეული ჩაქუჩი ანანიას შიგ საფეთქელში სთხლიშა.

უბედური ანანია თოვლში ჩაემხო და სიკვდილისწინა კანკალი აუვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ დამალი შამათავა უკვე სახლში იყო, სახე დამშვიდებოდა. ვერაფრით იტყოდით, თუ რა ვნებათა ღელვა გადაეტანა ამ ათიოდე წუთის უკან. ლამპის მკრთალი შუქი ანათებდა ოთახს. მიმქრალ ბუხართან მჯდარი მეუღლე წიგნს კითხულობდა. ზურგიდან მიუახლოვდა დამალი, მხრებზე ხელი მოხვია, წამოაყენა, მერე მკლავებში შემოიტრიალა და ასე ახუტებულს, რაღაცის მომლოდინე, სიყ-

ვართლით დიდხანს უცქეროდა თვალ-  
ებში — თითქოს სიყვარულით სისხლ-  
ის ლაქების ჩამორეცხვა შესაძლებელი  
ყოფილიყო!

— კაცი შემომავდა, ირინე, — უჩ-  
ურჩულა ბოლოს, — აქ აღარ დაგვე-  
დგომება.

აღიონზე, როცა მზეს კიდევ საკმაო  
გზა ჰქონდა გასავლელი, ვიდრე თოვ-  
ლის აბურველქვეშ მძინარ კიტრულ-  
ას გორაკებს თბილი მზერით გაულხო-  
ბდა გაყინულ მკერდს, ბიჭის ტოროლ-  
ასავით კისკისი სიმღერა გაისმა. აღფ-  
ესი სიხარულიძის მეზუთეკლასელი ბიჭი  
თემური იყო. სისხამი დილის იღუმალე-  
ბას. თითქოს მიტოვებული, თეთრად  
გადაპენტილი სოფლის კამკამა ზეცას  
და ჰაერს სიმღერის ხასიათზე დაეყენ-  
ებინა პატარა.

მღეროდა ბედნიერი თემური ცნობ-  
ილ სიმღერას სიყვარულზე და გრძნო-  
ბამორეული ყურს უგდებდა, თუ როგ-  
ორ იფურჩქნებოდა საკუთარ სხეულ-  
ში იღუმალეებით მოცული ღვთაებრივი  
სამყარო ახლად ნაშობი სიყვარულისა.  
მიაბიჯებდა ამ წალკოტში ბურანში გა-  
ხვეული, თვალწინ მისი რჩეულის მი-  
უჯარებელი ბაბთები ყაყაჩოსავით უღ-  
ვიოდა. ხელის გაწვედნადა იყო საჭირო  
და, უზომო მოკრძალება რომ არა, თი-  
თის წვერით შეეხებოდა საოცრებას.

თავზე შაშვმა გადაუფრინა ჭახჭახ-  
ით. სიმღერა შეწყვიტა, თვალი გააყო-  
ლა და ბაბუამისის თოფი ინატრა. გაკვ-  
ეთილებს შემდეგ აუცილებლად ინა-  
ღირება. ბაბუას მაშინდებურად მოპა-  
რავს თოფს. თუნდაც ცემით სიკვდილ-  
ის პირას მიიყვანონ, მაინც მოპარავს და  
ინაღირებს. როცა დიდი გაიზრდება, მა-

იკოს ცოლად მოიყვანს, კარგად ისწა-  
ვლის და თავს შეაყვარებს. მერე ორ-  
ლულიან თოფს იყიდის. ზუსტად ისეთს.  
ტრიფონა ჩანტლაძეს რომ აქვს. ცხო-  
ვრება ძნელიაო, — რამდენჯერ ამენია  
უფროსებისაგან. სულაც არაა ძნელი,  
ტყუილად წუწუნებენ. ერთი თოფი,  
ისეთი, ტრიფონას რომ აქვს და ნანად-  
ირევითაც ადვილად არჩენს კაცი ცოლ-  
შიელს...

ასეთ საჭირბოროტო ფიქრებში იყო  
გართული აღფესი აიხარულიძის ბიჭი,  
რომ თოვლში რაღაც მუქი საგანი შენ-  
იშნა. ნადირი თუაო, შეეშინდა და თვა-  
ლებით ახლომასლო ხეს დაუწყო ძებ-  
ნა. ბედად, გზის პირას ხურმის ხე შე-  
ნიშნა. უკვალავში იჭითკენ აიღო გეზი,  
თან შიშით უკან იხედებოდა. ხომ არ  
მომდევსო.

საგანი გაუნძრევლად იდო თოვლის  
ზედაპირზე. მგონი, კაცი უნდა იყოსო,  
გაიფიქრა. ქალაქში უნახავს როგორ  
ეძინა მთვრალ კაცს ქუჩაში. გული გა-  
იმაგრა ყმაწვილმა და ფრთხილი ნაბი-  
ჯით მიუახლოვდა საგანს.

ანანიე ბაბუე ყოფილაო, მოეშვა გუ-  
ლზე, როცა თოვლში გაშოტილი სხე-  
ული შეიცნო.

— ადექი, ანანია ბაბუე, გეიყინებო  
მაგ თოვლში! — შორიდან დაუძახა და  
მისაშველებლად გაექანა. როცა გვამს  
თავზე დაადგა, მოულოდნელობისაგან  
გაოგნებული ყმაწვილი კინაღამ კეკუი-  
ან შეიშალა: სისხლით შეღებილი თო-  
ვლი კოცონივით აუბრიალდა თვალწინ.

მიშველეთო! — აღმოხდა დაზაფრუ-  
ლის სუსტი ხავილი და შლეგიანივით  
დაეშვა თავდაღმართში. წინ სისხლის-  
ფერი ხე მოჩანდა, სისხლისფერი იყო  
ცაც. წითლად გუზგუზებდა მთელი კი-  
ტოთლა.

## ჯულიეტა მილდინი

### გიბრუნება

ამ მშვენიერ ხეივანებს —  
ჩვენი საუბრებისა,  
მოჩხრიალე ნაკადულს,  
ბედნიერი ხმებისა,  
იმ სიცილის ნაპერწკლებს, —  
კამკამს ვარსკვლავებისას,  
თავგანწირვის ვექსილებს, —  
დაფიცებას დედისას,  
ცრემლებს ღვარად დადენილს,  
დიოთირამებს ქებისას,  
პოვნის აღფრთოვანებას,  
ერთმანეთის ძებნისა,

ლოცვებს მაღლიერების,  
სიყვარულის ღმერთისა,  
მონოლოგებს გრძნობების,  
მაღლისა და შვებისა,  
მოკეთეთა მოკლებას,  
გამრავლებას მტრებისას.  
სუყველაფერს გიბრუნებ  
უნინდელსაც, მერმისსაც:  
ვარქმევ ამოებას,  
რადგან აღარ მეღირსა,  
აყვავება ნამდვილი  
სიყვარულის ნერგისა.

### გამოცდა

უფსკრულის პირზე დგას საგამოცდო ჩემი მღერო;  
ვიღებ ბილეთს და უცნაური საკითხი მხვდება, —  
„თავისუფალი თემა -- სიყვარული“,  
საკონტროლო კითხვაც ამას ჰქვია!  
გამოცდის პირობაც სულის შემძვრელია:  
თუ ჩავიჭრები და,  
უფსკრულს რომ ხახა დაუღია,  
მე მელოდება თურმე...  
არ ჩავიჭრები და?!.. — ისიც ვუთხრა!

ზეცას შევცქერი დაბნეული და შეცბუნებული.  
რატომღაც მისგან ვითხოვ ყოვლის ახსნას,  
და პასუხს ყოვლის.  
ო, ღმერთო ჩემო, სიზმარ-ცხადი ხომ არ ამრევია?!  
ქალს მძიმე უღლისაგან სიქა მაქვს გაცლილი.  
ცრუო სოფელო, ეს რა გასართობი მოგატუნებებია,  
ცოდვა-მაღლის მარყუჟები ჩემს გზაზე  
ხაფანგებივით დაგიგია  
ახლა მაცილივით თავს მადგიხარ  
და იცინი...  
რა დაგიშავე მაინც? რას მემართლები?...  
რა დროს ჩემი გამოცდებია?..

ისეთი ახირებით და ისეთი გატაცებით;  
ისეთი საბედისწერო თავგამეტებით,  
ჭიკჭიკებდა ჩემი იადონი:  
ვიცოდი რალაც უცნაურს  
რომ გადამყრიდა.  
მაგრამ ამდენს არ მოველოდი,  
ამ პანანინა — ერთი სულის შებერვის ტოლმა,  
ნაზმა ჩიტუნამ,  
შემოდგომის პირს; ფოთოლცვენისას  
გაუფრთხილებლად კარს მომაყენა  
იმხელა გაზაფხულე.

როგორ ეხლებოდა ზეცის თალებს,  
როგორ შეეცქეროდი დაზაფრული,  
როგორ მიკვენესოდა მისთვის გული, —  
თითქოს სხეული წინასწარ მიგრძნობდაო...

...ახლა მკვდარი ჩიტი  
სიმწრისგან დანამულ ხელისგულებზე მისვენია.  
საგალობლები მისი ფიფქებივით დამდნარა და  
ცრემლებად დამდის თვალებიდან:  
ჭიკჭიკი მისი შემძვრელ დუმილში გაყინულა,  
ყვავილფარფატა გაზაფხული სახლიდან გაპარულა და  
სამძიმრის სათქმელად, თავდახრით  
დამნაშავესავით მომდგარა ფანჯარასთან.

ულმერთო სევდით და საყვედურით ვარ ავსებული  
რატომ მომიკალ სიყვარული, —  
ფრთახატულა და მოჭიკჭიკე ჩიტუნა ჩემი.

## სარკე

ულმობელ სარკეს, —  
გაძარცულ და სევდიან  
სახეს რომ მაჩეჩებს...  
ულმობელ სარკეს, —  
საიდანაც შემომცქერიან  
შეცდომებისთვის  
თმაში გავლებულნი  
თეთრი ხაზები:  
საიდანაც მომჩერებიან  
ჭამის მიქცევა — მოქცევისგან  
დაჩნეული ღარები და  
ყრუ ნაპრალები...  
ღია ფანჯრიდან გადავისვრი.  
...და უცოდველი, უეშმაკო

საბრალო სარკე,  
პირში სიმართლის  
უბოდიშოდ ყიფინისათვის,  
(მოიარებით რომ არ მითხრა  
მწარე სათქმელი)  
ჭუჭყიან ასფალტს დაენარცხება,  
ო, მის დამსხვრეულ სიმართლეში  
აკიაფდება უფრო მრავლად,  
ათიათასად,  
მზეც და სიმართლაც, —  
რომელთაც ვერსად გავექცევი.  
აკიმციმდება ჩემი ცრემლის  
ღია სარკმელიც...  
და გულისგულშიც შეირხევა

სასონარკვეთის მოშლილი სიმი.  
 მერე ჩავალ და  
 მისხალ-მისხალ აკრიფავ  
 რიდით სარკის ნამსხვრევებს,  
 რადგანაც ვიცი,  
 ცხრა მთას გადაღმა  
 ჩემთვის იკაზმება  
 ნაოცნებარი უფლისწული,  
 პირმშვენიერი და მომნუსხველი  
 მზეჭაბუკი —  
 ჩემი გაზაფხული.  
 ცისარტყელებით მოიქსოვება  
 საზეიმო ჩემი სამოსი,  
 უფრო სათნო და მშვენიერი  
 რომ გამოვჩნდე  
 უფლისწულის წინ  
 გახსნილ გულისპირს  
 ამოვივსებ იმ ნამსხვრევებით, —  
 ო, მოწკრიალე და მოთამაშე  
 ცრუ ვარსკვლავებით.  
 გახსნილ გულისპირს  
 გადავიყრი სარკის ნამსხვრევებს  
 რომ დამისერონ გულმკერდით

და მთელი სხეული  
 დანასერებზე აღმოსკდება  
 სისხლი იმგვარად,  
 როგორც კვირტები  
 სკდება ხოლმე ყაყაჩოების.  
 ავყვავილდები ისე ცხადად  
 ლამაზად, შმაგად  
 მზე დაიღვრება,  
 აღისფერი დღე იბრიალებს,  
 ჩემს თბილ სხეულზე  
 გადამსკდარი ყაყაჩოები  
 ჩემთვის მოსულნი,  
 ისევე ჩემთვის  
 თავს მოიკლავენ.  
 ...და ეს იქნება  
 გაზაფხული უკანასკნელი:  
 მთელი სიცოცხლე  
 ოცნებით რომ ველოდებოდი,  
 მას დაერქმევა, —  
 გაზაფხულის გედის სიმღერა,  
 ვით ამოკვნესა,  
 გლოვისა და არდავიწყების.



### რად გინდა

რად გინდა, პური გქონდეს და  
მაინც არ იყო მაძლარი?  
რად გინდა, ღვინო გქონდეს და  
არც ღვინო იყოს, არც — წყალი?

რად გინდა, ფარჩა გქონდეს და  
თვალს აძლებდეს და სულს ღლიდეს?  
რად გინდა, ფრთები გქონდეს და  
არვის არაფრად უღირდეს?

ან სრასასახლე რად გინდა,  
კიდობანივით დახშული?  
ან ოქრო-ვერცხლი რად გინდა, —  
ხან მტრობა გკლავდეს, ხან — შური?

### მინა მაისის ნამმა მოხატა

ჩრდილი გადაწვა ბაღში ორღობის,  
ციკერის ნათელი მზეს ამოჰყვა და.  
მინა აჭრელდა როგორც ხოხობი —  
მინა მაისის ნამმა მოხატა.

მაისის ნამი ბალახს ენამა,  
ჟუჟუნა ნამმა მინა დანამა.

სიომ დაჰქროლა, მოუსვენარმა  
და ყყაჩოებს მოუნანავა.

წითლად ხასხასებს იასამანი.  
ცა კი მენამულ ფერს ვერ იცილებს.  
მინას ახურავს მწვანე საბანი,  
მწვანეში მარწყვის ფერი ციმციმებს.

### შენც გელის შენი ბედის ვარსკვლავი

გზაჯვარედინთან ჯერ ვერ  
მოსულხარ,  
რომ ამორჩეულ გზაზე იარო,  
გულის წადილი რომ აისრულო  
და ფიქრი სხვასაც გაუზიარო.

შენი ფრთის ჟამი ჯერ არ დამდგარა —  
ვერ იშველიებ ფრთას აფრასავით.  
თუმცა პატარას და კაფანდარას  
შენც გელის შენი ბედის ვარსკვლავი.

## საქართველოს

გულისკარს ისე ღიმილით აღებ, —  
მხრებზე დაგაჯდა მტრედების გუნდი.  
სხვა ფერი ადევთ შენს ზვრებს და ბალებს,  
შენს გზაზე ფიქრი ვერ ივლის მრუდი.

ხნულში ჩაყრილი გაღვივდა თესლი —  
როგორც ყველაფერს გულსაცემზე ახლავს.  
მუხის ფესვივით გაიდგი ფესვიც  
და მუხასავით ბუბუნებ ახლავს.

## შენს სილამაზეს...

თითქოს ის ღამე ახლა მეორდება,  
ის მთვარეც თითქოს მიციინის ისევ.  
ვიღაც იმ ღამის ზღაპარს მეუბნება —  
იმ თეთრი ღრუბლის,  
იმ თეთრი მთისას.

შენზე კი არვინ არაფერს ამბობს —  
მივიწყებულა სითეთრე შენი.  
მხოლოდ ჩემს გულში ობობა ლამბავს  
შენს სილამაზეს — ან ზღაპრად შეთენილს.

## დარდი გადაგრეხს

უამინდობის დარდი ვერ მომკლავს—  
ვერ დამიმოკლებს დარებს ავდარი,  
მაგრამ ხანდახან დარდს რომ არ  
ავყვე,  
უდარდელობის დარდი გადაგრეხს.

## როგორც ჩველადი ჩვეთა აპაათა

შენ ჩემ მუხლებზე აიდგი ფეხი,  
მარჯვედ დადიხარ უჩემოდ ახლა.  
მე მინას ვჩიქნი,  
ესხლავ ვაზს და ხეხილს,  
შენ ახალ ტოტზე კვირტს ამყნობ ახალს.

ვაზის ძველ ფესვს და  
ახალ კვირტს ვეტრფი,  
ორთავეს ასე მივენდე რადგან.  
ახლა ქვეყანას ხმამაღლა ვეტყვი,  
ჩემ გულში რა მზის ნათელი ჩადგა.

როგორც ჩვეოდათ ჩვენთა პაპათა,  
ჩვენ ერთმანეთის სიცოცხლეს ვავსებთ.  
ასე ყოფილა რადგან ათადან,  
ბაბადან რადგან ყოფილა ასე.

●

პატარა ოთახს, პატარა კუთხეს  
ვიკმარებ, თუ მას სინათლე ადგას.  
არ გთხოვთ სავარძელს — თელის თუ ურთხლის,  
ერთი უბრალო მაგიდის გარდა.

ვიქნები ჩემთვის ჩუმად და წყნარად  
წვერმომახული ფანქრის იმედით. —  
გულისთვის ერთი სიმღიკ კი კმარა,  
რა საჭიროა სხვა ინსტრუმენტი!

### წყარო

ის დაიბადა,  
ის დაიბადა...  
და ახლა თავის სიცოცხლით ხარობს,  
სადაც ჩრდილია წნორთა, იფანთა...  
და მილულუნებს პატარა წყარო.

პატარა ფრთებით ნაპირს შეებმია...  
საოცარია, რომ ვაკვირდები, —  
კენჭები თითქოს კლავიშებია,  
ტალღები კიდევ — თეთრი თითები.

ის შვლის ნუკრივით თვალმოციმციმე  
და ფიროსმანის ყალმით ნახატი...  
მიდის,  
მიფრინავს ხტუნვით, სიცილით:  
„მთაო, ნახვამდის,  
ცაო, ნახვამდის!“



# სსსსსსსს

რომანი

— რავე შევედები, შე ქალო, — დინჯად და-  
პარაკობდა აპოლო, ზოზი, მოღლილი ხმით, თით-  
ქოს მძიმე რამ სასჯელად ჰქცეოდა ზმის ამოღე-  
ბა და ერთი თავისებურად რომ მიაწყველა ნინუ-  
ცამ: „სიკვდილი, აპოლო, შენი, რავე ბლოყინობ  
შე მოსახლობო“, ისევე დინჯად დააბოლოვა,  
როგორც წამოიწყო, ყურიც არ მიუბურია დიაცის  
ანხნლობა-წყევლისათვის, — რავე, შეილს ვერ  
ვიცნობ ჩემსას თუ რაფრა ფიქრობ შენ, — გე-  
დეგონია, ნინუცა და ვინცა ახლავს კილო...”

— აბა, ჩამოი, შე კაცო, დროზე...  
— კი, — ჩამოსძახა აპოლომ, — ჩამოვალ ახ-  
ლავი...

ჭიშკართან შეეგებნენ გიდეონს საგარეოდ გა-  
მოწყობილი მშობლები: ორივე ღიმილად ქცე-  
ულიყო. „ნენა, ჩემი მონატრებული შეილი, —  
შესძახა ნინუცამ და გიდეონი ჩაჰკოცა, ცრემ-  
ლი მოსდგომოდა თვალზე, მერე კი, როცა ზვე-  
ვნა-კოცნით იჭერა გული, უკუდგა რამდენიმე  
ნახიჭი, შეათვალიერა თხემით-ტერფამდე: —  
მოგაკვდეს დედა, რავე გამხდარხარ, რას დამსვა-  
ვსებინარ, ნენა, შეილო, არ გაჰყვიენ ალბათ სა-  
ბჭოელს იმ მოსახლობ ქალაქში, როცა დავადგებ  
საშველი ერთი, ნენა, როცის დამთავრებე მაგ  
რაცა ინსტიტუტს თუ ქანდახას...“ აპოლომაც  
ჩამოართვა ხელი გიდეონს და ნინუცას მსგავსად  
იშინაც დაკვირვებით შეათვალიერა, მაგრამ არ  
ჩაუტყენით მამა-შვილს ერთმანეთი, მხოლოდ  
ეგ იყო, უღვაშებში ჩადღობა აპოლოს, გახადრა  
სახე და თვალბეჭით ნათელი სხივი აუციმციმდა  
სიხარულისა, დავაჟვაცებულა ამ ექვს თვეში,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ქურნალი „ციხ-  
კარი“ 1981 წ. № 11, 12, 1982 წ. № 1, 2, 3.

რაც არ მინახავს და შეცვლილა კიდევცო, გაი-  
ფიქრა. ხოლო გიდეონი ჩაფიქრებული იდგა ეხ-  
ლა ჭიშკართან. საცმაოზე მეტი დრო გასულიყო  
მას შემდგომ, რაც სახელგანთქმულ და სხვათაგან  
გამორჩეულ ადამიანად იქცა იგი და, რაც ვარ-  
თალია, მართალია, დიდებულად მოერგო და ბუ-  
ნებრივად ექცია ნილაბი უჩვეულო ნიჭის მქო-  
ნე ახალგაზრდისა, ყოვლადჩვეულებრივი ხალ-  
ხისაგან განსხვავებული კაცისა: სიყალბის თუ  
არაბუნებრიობის ნიშანწყალსაც ვერ შენიშნავდა  
დაკვირვებულ-დადარაჩებულა თვალი, თუმცა,  
უნდა ითქვას, ნაცნობისა და ახლობელთა გა-  
ნციფრებას კი იწვევდა იმისი უცუარი ცვალებ-  
ბალობა — თავის ჯიჯს აღარ ჩამოშვავდა უკვე-  
სხვა ადამიანად ქცეულიყო და არც აპოლოს გამო-  
შპარბია უცნაური გარდაქმნა შეილისა და არც  
ნინუცას, რომელიც მოჭარბებულად დაეჭილდო-  
ებია ბუნებას დაკვირვების უნართაც და სხვათა  
საქციელისა თუ ხასიათის, რაგინდ საგულდაგულ-  
ოდაც არ უნდა ყოფილიყო მიჩქმალული, ჩაწ-  
ვდამისა და ამოცნობის ადლოთი... ერთხანს ელ-  
დანაკარავებივით იდგნენ ჭიშკართან მომსვლელ-  
დამხვდერნი, ერთმანეთს შესცქეროდნენ გიდეო-  
ნის გარდა ყველანი, ის კი ფიქრს მისცემოდა,  
თან, იმ ფიქრთან გამომეტყველებასთან ერთად,  
ამაყი, თავდაჭერებული ადამიანის იერიც მოს-  
დებოდა სახეზე, იდგა გაწვებულა, თითქოს გა-  
მომწყვევავდაც, თავი კი მალა ჰქონდა აღერებუ-  
ლი. ხოლო ნინუცა თვალს ვერ აცილებდა შეილს.  
განციფრება დაუფლებოდა და მოულოდნელი  
შეკრთომისაგან შეილის დანახვით რომ გახლდათ  
გამოწყველთ, უფრო კი იმით, უცნაურად შეც-  
ვლილი რომ მოერგვნა, რომელიდაც დიდა, ამარ-  
ზენ ურინველს დამსგავსებოდა, — უფრო

უვახს. მსგავსებას ისიც აღიერიტება, შავი კახა რომ ეწონა ტანთ, ცოტა ეგვეც. ხელები ფრთხილად ჩამოეშვა ტანის გასწვრივ და იმგვარად დამფრთხალი გამოიყურებოდა, თითქმის, მამა და მამა საცა არის. აფრინდებო...

აპოლონ გარინდულიყო, ისიც შეცბუნებული იდგა, გაოცებას დამორჩილებოდა. მარჯვენა ხელი, წიდან გედროს რომ ჩამოართვა, უღვაწი-საქენ წაეღო გადასაგრებდა და იქვე გაშეშებოდა მერწი, ნიკაძთან, და ახლა თითები უცაბეახებდა, კროდა, თითქმის უფერული, გამორცხილი თვალები კი შვილისთვის მიეკარა. წაწმისსაც არ ახამხამებდა. ხოლო რეზო ხან ერთს შეგვ-ლებდა მწერას, ხან მეორეს და ხანაც მესამეს. გედრონმა დაარღვია ბოლოს სიჩუმე და შეება იგრძნო ცოლ-ქმარმა: ნინუცას საინო, ხაოსცად კეთილი, მომწესხველი ღიმილი აუკაუდა თვა-ლებშიც და ის მსგავსებაც უმაღლე ჩამოიშორა: ახლა იგი ერთი სიკეთით სავსე დედაკაცი იყო, დიდი ხნის უნახავი შვილის ნახვით გახარებული და ასაფრენად გამწაღებული უყავისა აღარაფერი ეცხო. აპოლონ კი, გედრონმა დაოღასარაკა თუ არა, იმ აცაბებულთი თითებით, წიდან რომ შერჩენოდა მერწი, ქარში ათრთილებული უფოთლო ბუჩქებით, გულმოდგინედ გადაიგრისა უღვაწი...

— ეს რეზოა, ჩემი ამხანაგი, — თქვა გედრო-ნმა: — ერთ კურსზე ვსწავლობთ...

იცოცხლე, შვილო, — ეს რომ წარმოსთქვა, უცებ მოიწინა ქალმა, ისევე უვახს დაემსგავსა. მაგრამ მერტ გედროს მიმართა: — კია, რომ ჩამოეყვანე, — სიტბო და სინაზე გამოურია ნინუცად ხმაში, გაიღიმა, განათქვამა უცებ და კვლავად სიკეთით სავსე დედაკაცად იქცა. ის ნაოქებიც გაუქრა თითქმის, წიდან შეეფიქრინ-ებულნი როცა იდგა, შუბლსა და სახეს რომ უღ-არავდა, აღარც ამქერად ჩამოგვავდა ასაფრენ-ად. გამწაღებულ დამფრთხალ-დაშინებულ უვახს ნინუცა, ჩრდილზელი ჩამოართვა რეზოს. — ჩემ-ზე იყოს შენი პატივისცემა, შვილო...

აპოლონაც არ დააუკვნა, იმანაც ჩამოართვა ხელი:

— კი გიქნია ნამეტანი, რომ გვეცტუმრე, რას ვდგავარქ ახლა, წამოუტები სტუმარს, გედრონ... როსაკენ დააღვინე მერტ გუას, რბილად მი-აბიჯებდნენ, უხამურად, ზამთრის სუსტი მზე კი, საკმაოზე რომ აწვერილიყო და თანდათანობით იკრებდა დონეს, თენავდა და აბრუებდა არემარ-ტის, ხოლო მიმავალ თვალებს აუტუტინებდა და იმით ჩრდილებს მუქად ათრთილებდა თოვლზე-წინ გედრონი მიდიოდა, თოვლს მიიკვალავდა, რეზო მიბუყებოდა იმას, ნინუცა და აპოლონ კი ბიჭებს ასდევნებოდნენ და ახლაც ისე იყვნენ ჩა-ფიქრებულინი, თითქმის დასევდიანებულნიც, რო-გორც წიდან, შევდიოლ-გადასხვაფერებული რომ ეჩვენათ შვილი, მშობელთა თვალს არც ის გამოშ-

პარვია, სხვისი ნაბიჯით რომ მიაბიჯებდა გედ-რონი, რომელსაც ვერა და ვერ შემგუებოდა ქე-რაც, მო, ამქერად შვილი მიდიოდა მშობელთა წინ, მაგრამ ის კი არა, წლების მანძილზე რომ იცნობდნენ — უცხო და უცნობი და რაღაც მო-მხდარა მის თავსო, ქალსაც ამას კარნახობდა ადლო-გუმანი, უფრო კი გული თუ შინაგანი თვალი მშობლისა და კაცისაც, ოღაში რომ ავი-დნენ, რეზომ დაკვირვებით მოვალე თვლი იქა-რობას, ბოლოს ბუხარზე შეაჩერა მწერა, გაე-ღიმა და განგებ დაბობნების ხმით წარმოსთქვა: — აჰა მშვიდობა...

— აგაშენის ღმერთმა, — მკვირცხლად მიუგო აპოლონ და უნაღ გამოუქეთიდა გუნება, — მშვი-დობა მოვცეს შენც...

ნინუცაც მოდგა ხახიათზე: — იცოცხლე, შვილო, კი ბიჭი ხარ, შენა... გედროს კი სიტყვა არ დაეძრა, როგორც უკე-ლგან და უკველთვის უკანასკნელ ხანს, ჩაუქ-რებულეთი კვლავაც, რეზო უკვე მისხვეოდა მსგავს საქციელს გედრონისას, განუტურნებელ სენად რომ ეცოცხდა, დასევდიანებული გამოიუ-რებოდა ნიადგ, მაშინაც, როცა სრულიად არ გახლდათ საქირო ამგვარი რამ და ნერვულ და-ძაბულობასა და უხერხულობასაც ბზირად იქვე-და ირგვლივ მყოფთა შორის მისი უადგილო და უსახაბო სიღინჯე-დაღვრემა...

რაც იცოდა რეზომ, პოზა რომ იყო უკველივე: რაკი ერთხელ გადაეწყვიტა გედრონს სხვა ადა-მიანად გარდასახვა, მრავალი ჩვევა თუ თვისება ადრე-რომ გახლდათ დამახასიათებელი ნიშნები, სამარტაროდ უნდა ჩამოეღებოდა და რატომ-ღაც დაწმუნებულეთიყო, ჩაუტურნებულ-ჩანად-კვლიანებული კაცის იერი უფრო შესაფერისი იქ-ნებოდა ადამიანისათვის, რომელიც უკველმბრე განსხვავდებოდა ირგვლივ მყოფთაგან. მაგ-რამ უჭირდა ნიღბის მორგება, გასწნელობდა, თუმცა ძალას არ იშურებდა და რახან ნებისყოფასაც იჭრებოდა ბოლო დროს ნაც-ნობებს გაღიმიებული აღარ უხილავთ, ჩანოსცი-ლებოდა იერი უდარდელი კაცისა ამ გადაწყვე-ტილების შემდგომ, მაგრამ ერთი ამ უღვეო-ტეშმარტებთა, ადამიანისთვის — ნორმალურზე მოგახსენებთ, გამოწაკლის რომ არ წარმოად-გენს, — ღიმილიც ისევე საქიროა და აუცილებე-ვია, როგორც მარტი, და, გედრონი, არ უნდა იყოს ძველი მისხვედრო, უბედურ დღეში ჩაგვებდა თავს... ასევე გახლდათ, ოღონდ, ერთ სიადუშ-ლოს გაგიშვებოთ იმისას, კაციშვილმა რომ არ იცოდა დედამწის ზურგზე: დროდადრო, თუმც იშვიათად ხდებოდა ესა, მაინც იღიმიებოდა ხო-ლმე, ეგ მაშინ, როცა განმარტვებოდა და იმ დროსაც მარტოდენ თავის თავს და გვემებს უღ-ემოდა მომავლისას, სხვათა თანდაწვრებით კი

წუშებში ტიპარაძე  
სასწაულები

ნურას უკაცრავად, სამარადისოდ ჩამოშორებოდა  
ღმერთს...

შორწინებით შესცქეროდნენ ნინუცა და აპოლო  
შვილს, უცებ გასჩნეოდათ იმისი რიდი და კრპა-  
ლვა და ახლა მისი კოველი სტუმრობდა ახსენდე-  
ბოდათ. სოფელს რომ მოაკითხავდა ხოლმე ქა-  
ლაქიდათ, სხვაობა წარსულსა და ახლანდელს უო-  
რის ისე თვალშისაცემი იყო, გული ერთანდრე-  
ბოდათ: ცოლსაც დაუფლებოდა გაუცნობიერე-  
ბელი შინი და კმარასაც... მერე კი,

— რაა, გედეონ, ნენა, — ვეღარ დამალა შეშ-  
ფოთება ნინუცამ, — ხმა რომ არ ამოგვლია  
დღეს, —და უცებ ცრემლი მოადგა, ნაკვები მო-  
უშრავლდა სახესა და შუბლზე, განსაკუთრებით  
კი თვალთა უბებთან, ამარჩენი გამომეტყვე-  
ლება მისცა უეცრად წამოსულმა კურცხალ-  
მა, — სიტყვა არ წამოგდებია, შეუძლოდ ხომ  
არ ხარ...

— არა, დეიდა ნინუცა, — დაამშვიდა რჩეუმი  
— კარგად არის, ოღონდ, გზაში დავიღალეო  
ცოლა...

ღუმდა ისევ გედეონი, ბუნებისთვის მიეჭყე-  
რებია გაყინული მწერა, ბოლოს კი წარმოსთქვა:

— მო, საერთო ვაკონით ვიმგზავრეთ წუბელ,  
საქმელს თუ გაგვიშავადებთ ახლა, კარგი იქნება,  
ხეშხი არ ჩავიოდვს პირში საღამოს მერე...

აპოლომ, ვიდრე ლუკმას გასტენდნენ, კიქები  
შეავსო პარკით, სიმწარე გვაშორდნო, მოკლედ  
მოსკრა წესისამებრ და სულმოუთქმელად გადაპ-  
რა, ბიჭებმაც მიმაბეს და არუს დალევოს შე-  
დგომ ორივეს მითრობელა სითომი დაუარა  
სხეულში, სააშო მოთენთვა იგრძნეს უმაღ, თი-  
თქოს დაღლად ჩამოსცილდათ, თან ბუნარის გი-  
ზვიწუნდა საამოლად, ბოლო იმ არაყმა უცებვე  
გაუხსნათ მადა, ხმის ამოუღებლად შეიქცეოდნენ  
ნამაკეციბი საუწყებს, ნინუცას კი ლუკმაც არ ვა-  
დისწავს, დადარდიანებულყო, მალეულად შეს-  
ცქეროდა გედეონს: „ძვალი და ტუპავა ცარიილი,  
მოუკლავს დედა, არ ვამს ალბათ საქმელს, ერთ-  
ბელაც ვერ ჩავაკითხე ქალაქში, დამხებდა...“

ამასობაში მეორე კიკა არაყიც შესვცნ კაცე-  
ბმა; მეორეს მესამე მიაკვალეს და საბე წამოგნ-  
თათ, საბებლმა ხომ შეავსოდა და შეავსურათ  
კარგა გავრინად, ბუნართან ქლოშითაც დასც-  
ხათ... გამოგვახდლდა აი გადაურეებული მოხუ-  
ციები ამდენთვამ მარტობამ, — სიჩუმე დაარ-  
ღვია ნინუცამ, — როის დაადგება ერთი საზევე-  
ლი, როის დაამთავრებს ინსტრუტუსს...“ აპოლო  
კი გარინდულყო, შეეთრო არაყს, ცეცხლს მი-  
ნგრებოდა მოდუნებული და ნინუცას ხმის გა-  
გონებულზე მზრები შეარბია ჭრ, გაიშორა მერე  
ახლამოდვიებულსავეთ და რეუოს მიმართა:

- რა ამბებია თბილისში...
- მშვიდობა...
- თოვლი არის?
- არა, — მიუგო რეუომ, — ყინვებია...

— აბა, არაა თოვლი? — განცვიტრება ვერ  
დამალა აპოლომ, — ამ, რააა იქნება, დვიცი-  
რო ვითამ?

— სიკვდილი შენი, აპოლო, — მოულოდნე-  
ლად აიღლიდა ნინუცა, რაცა გედეონმაც და-  
უდასტურა რეუოს, თბილისში თოვლი ამო-  
დიაო, მზრები ასცავებოდა ქალს, გაბორო-  
ტებოდა თვალები, ბურღივით რომ ატრიალ-  
ებდა, — გიხობა აგერ ამ პარკთანმა ადა-  
მიანმა, ყინვებიაო და ვერ დეიჭრებ? რაა  
თამაზახავი იქცეო, მოსასპობ შენ...

— რა ვიცი, — ამოიღულღულა აპოლომ,  
აიმრჩა საყოდავად, დაირცხვინა, — აქუთქენ  
კი ამოგვახრჩო და, რააა ვითქვრებდი, თბი-  
ლისში თუ არ იყო...

გედეონი კი დაღვრემილ-დადარდიანებულყო  
კვლავაც, ნინუცას რეუორ გამოქარებოდა,  
შესცქეროდა ისევ, ვერ აცილებდა ჩაბედე-  
ანებულ თვალებს, ხოლო აპოლოს, აშკარად  
ცგრძნობოდა, შვილის დარდი აღარ აწუხებდა,  
არაყი მოქიდებოდა უკვე გვარაიანად და საუბ-  
რის 'გუნება'ზეც მომდგარიყო, საღერდელი აშ-  
ლოდა და ვერც გაამტყუნებდი, კარგა ხანი  
იყო, რაც წამარბა და გაქიანურებულ თოვლს  
გამოეკება შინ გლენაკია, უელში ამოსვლო-  
და განთიადან შეინდებამდე ერთი და იგივე  
— მწერა ცოლისა და იმის წუველა-კრულვის  
მოსმენა, უცხოსთან საუბარს დაზარებოდა და,  
აი, მისცემოდა ბოლოს ხელსაყრელი ვაშ-  
მთხვევა, არც დაუოვნებია, დაწვრლებით გამო-  
პკითბა რეუოს უველაფერა, რომელ სოუვალში  
ცხოვრობო, იმიოაც დაინტერესდა, ჩანმრთელად  
თუ არიან შენი მშობლებიო, მოსავალი თუ იყო  
წილს კარგი თქვენიყო და ბოლოს, საზაუბრო  
შემოელოა, გედეონის ამბებზეც მიდგა ჭნაო, თუ  
სწავლობა, კარგად, საზოგადოებაში როგორ იქ-  
ცევა, ხომ არ მარცხენსო... და ერთბელ კი-  
დეც გატარდა ნინუცა: „სიკვდილი შენი, აპო-  
ლო, — ვაიამბოდა გაანჩხლებული, თან კი ამ-  
ქერად წიღანდელზე უფრო მეტად დამსგავსებო-  
და უვავს, გაბორტებულსა და დამშუულს, ესეც  
ცოტაა, თითქოს ურანტალებსო, ისე წარმოსოქვა-  
მდა უოველ სიტყვას, და მარჯვენა ხელს აყო-  
ლებდა წველად, ფრთახავით იქნედა, — მოს-  
პობა შენი, რა თქვი მაი, რააა მოგვირუნდა ენა,  
ადრე არ შევერცხვინივართ, ბაღნობასს და,  
ახლა, რომ წამეიზარდა და მოგვესწოო, აწი  
შეგვარცხვენს ვითამ?“

აპოლოს არად ჩაუგდია ცოლის წუველა-ყარა-  
ნტალი, რეუოსთან განაგრძო საუბარი... გედეონს  
კი ერთი სული მქონდა, ვიდრე მშობლები იპი-  
ლავდნენ გაზეთის იმ ნომერს, რომელმაც მთე-  
ლი ინსტრუტუს შესწრა და ალაპარაკა, ერიდე-  
ბოდა, თავადვე ჩამოედლო სიტყვა თავის თავზე  
და ამიტომაც იყო, ნერვებს რომ უმაზავდა მამა-  
მისის ენად გაქრევა, რეუოს, საქციელიც აღიზი-  
ანებდა, უფრო იმითომ ჩამოეყვანა სოფლად, კა-  
რგად გაეგებოდა იმისი ამბავი, როგორი სიამაყ-

... მოუთხოვდა ნინუცასა და აპოლოს უკვე-  
ლიყვს. ხატონად ლაპარაკი კი იცოცხლებ, ეხერ-  
ხებოდა ვიდრე მამამისისა და რეზოს დარბაის-  
ლურ ხალხებსა და გაკანონებულ სადღესაძე-  
ლოებს ისმენდა, უჩვეულოდ დაუბტულიყო გე-  
დონი და სხვა რამ გამოსავლისათვის რომ ვერ  
მეცკვლია, არაყს ეძაღებოდა, მაგრამ აპოლო, ვე-  
რადერე ეშველა და აი, აპოლომ რომ იყოთა,  
გედონის ზომ არ მარცხენესო და ნინუცამაც  
ერთი თავისებური ვაი-უშველებელი ასტება,  
როგორც იქნა, დაადგა ხაშველი რეზოს: „როგორ  
გეტადრებათ, აპოლო ბიძია, გარცხვენთ“ კი არა,  
ქვეყანა მაგის ქებაშია...“ ამ სიტყვების გაგონე-  
ბა იყო თუ არა, აპოლოს ხელაღვე გააუფარა  
სიმოტრადემ. აწერიალდა და რეზოს ნათქვამს  
რომ ჩაუღრმავდა ძირით ძარბამდე, ზომ არ მო-  
წყურთა, ეგებ სენამ მომბატულო, გაიფიქრაწერ,  
სტუშარს მოავლო მერე თვალი, ორკოფონებსა  
და ეგებს გამოხატავდა იმისი მზურა, რეზო კი  
იღმებოდა, თითქოს უშიშვროდ, „ჰო, ანუ...“  
--- თქვა ბოლოს და უმაღლვე გაეფანტა ეკვი აი-  
ოლოს, გაფაციცდა, ვნახოთ ერთი, კიდევ რას  
იტყვისო და ნინუცას გადაბედა: წარამარა აქუთ-  
ივით აცეცება თვალის კალი, სურვიის ერთი  
წერტილად შეორისსაკენ, ცალდა აპოლომ, ნერვი-  
ულობის უტყუარი ნიშანი იყო ესა, გედონი  
კი, რეზომ რომ თქვა, უველა მაგის ქებაშიაო  
ჩაფიქრებულად იყო ისევ კარბა ხანს, ბოლოს,  
ანჯარად რომ იგრძნო მშობლების აფორიაქეა,  
სახეზე ღიმილი დააჩნდა, მაგრამ ამქრად ენატი-  
ებოდა გაღიშება, რადგან ხაკუთარ პირიგუნებას  
უძღვნიდა თუ სწორავდა ამ ღიმილს და თავის  
დამამპირებლად არ მიანჩნდა, საამო ფიქრებს  
ასდგენებოდა, სჭურტდა წინასწარვე, რამბელა  
სიხარული და აღტაცება დარეგდა ხელს იმის  
მშობლებს, რამდენიმე წამის მერე, როცა გაუეს  
იბილაგდნენ, ბოლო აპოლო და ნინუცა თვალ-  
მოუცილებლად შესცქერადნენ რეზოს, უხმოდ  
მუდარბოდა და ვედრებით ითხოვდნენ შველას,  
ამასთან ერთად, ცოტა არ იყოს, ბრახვი მისპა-  
ლებოდათ, რაკი რეზო ხმას არ იღებდა: დაღვრე  
მილეო უაღვილოდა და უღრმო დროს, თით-  
ქოს ვერ აღჩნედა ირგვლივ შოფთ, ვერც იმათ  
დაანტარესებას გრძნობდა და არც ის გაეგებოდა,  
სად იმყოფებოდა ამჟამად, აპოლიტება და  
ცეცხლს მისჩერებოდა ხუხარში, იმ ხუთიოდე  
ქეჯა არაყსა და წუხანდელ მგზავრობას მემე-  
ჭვარ-მოეთენდა, ბუხარის წინ ქაღობასაც, აიღო  
ართმედა თავს, სპა იყო ჩასთვლემდა, მაგრამ  
ნინუცას ხმა გაისმა უტეც: „ჰო, თქვი, ბარემდა,  
რა მოხდა, შვილო...“ და ამან გამოარქვია, დაად-  
წია თავი ბრახმს, გაიმართა წილში: მოიფშენიდა  
თვალები, შემდგომ კი მიხვდა, რაოვ აფორიაქე-  
ბულიყვენ მოხუცები და ვიდრე სიტყვას დას-  
ძრავდა, გედონს გადაბედა, საამო ღიმილო რომ  
მოამყენოდა სახეზე, გაოსდა და გაიფიქრა: რამ-  
დენი ხანია, გაღიშებულად აღარ მინახავსო... ერ-  
თი რამ ანკვირება კიდევ რეზოს, იგონა, კო-

ვნივე დაწვრილებით იცოდნენ გედონის მშე-  
ბლებმა, შვილის წარმატების ამბავიცა და ისც-  
საკამოდ სახელგანთქმულ ადამიანად რომ ქვე-  
ულიყო, არაფერი ცოდნოდათ თურმე და გედო-  
ონს ჰქონია: „არ იცოან შენი ამბავი? კიდევ უფო-  
რო უარესად დაფრთხა ცოლ-ქმარა: დაუოკებ-  
ელ ტყვიად ქცეოდათ წელანდელი აფორიაქე-  
ბა-ცნობისმოყვარეობა, რეზომ კი იგრძნო, რა  
ადეშაიპ იყვენენ ისინი და ეგებ დაშვიდდნენო,  
წარმოსთქვა: „უჰ, მე შეგონა, იცოლით თქვენ,  
ნიკი აღმოაჩნდა გედონს, რას ვიფიქრებდი,  
თუ არ გეცოდინებოდათ...“

უმაღლ დამშვიდდნენ ნინუცა და აპოლო, წა-  
ვის წინანდელმა მტკივნეულმა დაძვბულობამაც  
გადაუარათ მუხის: ჩაუქრათ აგოგოებულ თვა-  
ლებში სევდიანი ცეცხლი, ჩვეულებრივ ამბად  
მიიღეს აგერ ახლახან გაგონილი და, შეგონა, უა-  
რცაგა არ იყოო, — გაიფიქრა აპოლომ, ამის  
გაფიქრება და უტეგებ დაუბრუნდა სიმოტრადე-  
წიდან რომ ჩამოსცილებოდა, მოეშვა, მოუდუნ-  
და სხეული და თვალები აცაბაყს წაუვიდა, გო-  
ნებაც დაებინდა, ნინუცამაც არად ჩააგლო რე-  
ზოს ნათქვამი: „ნიკი რომ ქაუნდა ჩემს გედონს  
კი ვიცოდი მათ მეც, ამა, უმაღლესში ვინ მო-  
იღებდა ისთი...“ თუმც კიდევ ერთხელ შეათვალი-  
ერა შვილი, ენამოგნა დანახვა გედონის ღიმი-  
ლისა, გულს მოამფონოდა უყვე ქალს, იმის წინ  
ახლა ისევ ისეთივე გედონი იქდა, ხაერთოდ  
რომ იყო ხავშობის წლებიდანვე მოციდებული.

— ჰო, — წამოიწყო რეზომ, გამოფხიზლებუ-  
ლი გამოყოფრებოდა და აღარც გადაღლილი იყო:  
— გაუეთშიც გამოწერეს ამ ცოტა ხნის წინაა...  
აპოლო ხელახლა გამოფხიზლდა...

— გაუეთში? — იყოთა დაეკვებულ-სასოწარ-  
კვეთილმა — გაუეთში რა უნდოდა ჩემს შვილს,  
ზომ არაფერი დოუშავებია?..

ნინუცასაც დაბეჯო შეტრთობა, სიტყვა ვერ  
დაეძრა, ისე შენიშნებულყო...

— ამოიღე ბარემ ის გაუეთი, — ვედარ შოი-  
თმინა რეზომ, — რაღას უყურებ...  
და ჩემოდანი გახსნა გედონშია, ბოლო აპოლო

და ნინუცა ისე გაფაციცებით მისჩერებოდნენ,  
იფიქრებდი, ცოტაც და, რაიმე სასწაული უნდა  
მოემოქმედა მათ ერთადერთ შვილს, ის კი წე-  
ლა ირჩებოდა, დინჯად, თითქოს ვანგებ აუკუნე-  
ბდა, თითქოს კი არა, ეგრე იყო მართლაც, სხვა  
რამ უტენაობობებთან ერთად, ბოლო ხანებში  
რომ ასჩემებოდა, უფექტების მოყვარულიც გა-  
მბდარიყო თურმე: მონახა, როგორც იქნა, გაუე-  
თი და რეზოს გაუწოდა, ღირდა მართლაც და-  
სანახად იმ დროს, ჩაფიქრებული ზომ იყო და  
იყო, მღელვარებდა მისძაღებოდა, თავად გონს  
ვერ მოგვებლიყო, თორემ შეძლებდა ალბათ და  
აღიდგენდა წინასწრობას, დამორცხვებულად  
გამოყოფრებოდა და, ცოტა არ იყოს, განახებო-

ჯუშმბმრ ტიპარბამ  
სასწაულში

ლიც...“ აგერ სურათიც არის გედეონის...“ —  
თქვა რეზომ და წინუცასა და აპოლოს დაუღო  
წინ გაშლილი ვაჭეთი. ზოლო ცოლქმარმა ერ-  
თმანეთისაკენ მიართხ სკამები, ერთხანს ვერც  
ერთი მოთვანი ვერ იღებდა ხმას — წინუცას  
ცრემლი მოხდგომიდა თვალზე, სინარულსა და ნა-  
მეტლო ბედნიერებას გამოერწევა ქალის აცრემლე-  
ბა მოკარბებულსა და მოულოდნელს. აპოლომ  
კი სურათის ცქერით როცა იჭერა გული, კმაყო-  
ფილმა გადახედა გედეონს, თვალბგარბურენბ-  
ულმა და აღფრთოვანების გამოხატვა ვერაფრით  
რომ ვერ შეძლო — უჭირდა სიტყვის დაძვრა.  
თითების ცახცახით გადაიჭრისა უღვაწი და, რო-  
გორც იქნა, წარმოსთქვა: „ახ...“ ეს ერთად-  
ერთი სიტყვა წამოსცდა მხოლოდ, სხვა ჩამის-  
თქმა — სალაპარაკო კი ბევრი ვასწეროდა —  
ვერ მოეუბრებოდა... მერე კი წინუცას ხმა გა-  
ისმა: „დედა, ჩემი სასახელო შვილი, რას მოვე-  
სწარა ამ სიბერეში, დედა, დედა! — რეზოს გა-  
წუწოდა მერე ვაჭეთი რიდიითა და კრძალვით: —  
წამოკითხე ერთი დედაშვილობას, რას წერდნენ მა-  
ქანე ჩემს გედეონზე...“ უმაღლვე დაიწყო კითხვა  
რეზომ. წამითაც არ დაუვინებულა, თუმც, სი-  
მართლი თუა, ზეპირადაც შეეძლო ეთქვა, რაც  
იქ ეწერა, იმდენადვე ჰქონდა წაკითხულ-გადაკით-  
კი ახსოვდა თურმე, მამა კი ერთი წლის წინათ გარდამეცვალაო და სხვა პატრონი რომ არ დარჩენია კაცოშვილი ამქვეყნად, დაუკრავს ერთ დღესაც ფეხი და მიუტოვებია თავისი სოფელი, საღდა არ უფლია, სახელეხსაც ვერ იხსენებდა იმ ქალაქებისას და სოფლებისას, სადაც მოხვედრილა, უფლია, უფლია და მოხულა ამ პატარა სოფლამდე... ვერ გაარკვიეს ვერაფერი — ვერც ის, ვინ იყო და, ვერც ის, საიდან გადმოეგლო ზედს... მერე აღიარაფერი მაქვს საღაპარკო, უქუქვას და გაუსრულებია თავგადასავლის მოყოლა, სოფელი კი ფირს მისცემია, რა ვიღონოთო, შარაზე გამოფინილიყო ვეღა დღიანა-პატარაინად და იმ კაცს ჩამოუვლია მერე გზაზე, თომა რომ იშვილა დიდი უცნაური ვინმე ბრძანდებოდა ისიც, უცოლოდა და უძიროდ გადაგვარებულიყო, სიწერე სწავლა უკვი, მაგრამ ვერას აკლებდა, შიგლი თავისი დღე და მოსწრება ტუე-ტუე სიარულში გაეტარებოდა, მონადირე იყო, არც სოფელს აწუხებდა რამეთი და სოფელიც ტრიდებოდა იმას... ჰოდა, იშვილა იმ მონადირემ თომა და მერე ერთად დაძრწოდნენ ტუესა თუ დრეში, მაგრამ დიდხანს არ გაზრდებულა ეგ ამბავი — ერთ დღესაც წასულა ის კაცი ხანადიროდ, ხამ წელზე მტე იყო გასული მას შემდგომ, თომამ რომ შემოგდა ფეხი ამ სოფელში, წასულა და აღარ მობრუნებულა... დიდი წამთარი უოფილა მაშინ, კაცს დაფარავდა, იმხელა თოქლი აღო ირგვლივ, ჰოდა, მოეყენა ხალხი ტუეს, მაგრამ ვერსად მიავნეს იმის ნაკვალევს, ცხადი იყო, ნადირს გადაეჭრებოდა... თომას კი შეუწინდერ მეზობლები, არა ჩემთან გაღმობი და არა ჩემთანო, მარტო ხომ ვერ იცხოვრებო, სიეტოც ამოძრავებდათ და ერთი რამ იყო კიდევ, ხარგებელსაც ნახავდა ის ოჯახი, სადაც თომა შედგამდა ფეხსა, მუშაბელი მიემატებოდა, მაგრამ არა, კუა აავდო და თავი შეუშვრია და გაიტყდა კიდევ, რაც სურდა, დიდი თავისნათქვამა ვინმე იყო იმთავითვე, ჩიუტყცა და თავენებც.

გაიზარდა და დავაკაცა თომა მარტოობაში, ისე რომ ამქვეყნად არც დალაუდერებელი ჰქონდა რამე ვინმესი და არც ველი გააჩნდა... მო, იმას ვამბობდა, დიდი ურწმუნო ვინმე ბრძანდებოდა-მეთქი ეგ თომა და სრული კეშმარტბაცა — სხვებისა კი არა, მგონი თავისი თავისაც არაფერი სწამდა, ჰე, მე რა კაცი ვარ, წასულა ჩემი საქმეო, გაიქილიკებდა ზოგჯერ და ჩაიქნევდა ხელს უწუღეზოდ, ეგ კი არა, თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის მეცნიერ მუშაკობაც ვერ დაეჭრებოდა ვერაფრით, არადა, არავინ გააჩნდა ამქვეყნად იმის გარდა: ნადირევად დაქვირვდა თომა, მაგის უღუღმართობაცა და უწინობას ვერ გაუძლო საცოდავმა კალმაო, ამბობდნენ სოფელში...

ბუთოოდე წლისაც არ იქნებოდა მაშინ ბავშვი, დედით რომ დახოლდა და რამდენიმე წელი რომ ვაგდა, შეუძენენ თომას ახლობლები თუ მეზობლები და სხვებიც, ვისაც კი გულში შესტკიოდას „მეიყვანე ქალი დროზე, — ჩასჩინებდნენ წარამარა, — დაგადგება საშველი, მოგვიღის შენც და ბოვეშვაც მიხედვას...“ მარტოს არაფერი გამოუვლით, თავიდან ხმას არ იღებდა, ჩაიცივნება ხოლოდ და ჩაიქნევდა ხელს, მერე კი, თავი რომ შობაზერეს ცოლი მოიყვანეთი, ერთი ვაი-უშველებელი დახლწინა იმ კეთილისმსურველი, გადაიქნის თავი სიზრალულით — ხედავ? როგორ მავარებია ცოლი, რავა მოვითვქრებოდა, მაგარამ რა იყო დენენ, სიყვარულს ბრალი არ მიუძლოდა, ქალებისა არ სწამდა არაფერი თომას... ვინ მოასხევნა, არ უშვებოდნენ მაინც, მაჰანკალი მაჰანკალზე აკითხავდა: ჰვრივს რომ მონახავდნენ ხადმე და შენათავაზებდნენ, თანაც კი იმედოვნებდნენ, გაჩარხა საქმე და ეგ არიო, დამციწავად მოკუტავდა თვალბზ თომა, გამკოლ შეერას მიაპყრობდა სამაჰანკოლ მისულთ, ჩაიქნევდა ხელს, როგორცა სჩვეოდა: „გაბადლით თუ? — კაცის გემო რომ უნახავს, იმფერი ქალი რად მინდა მე, რამდენი ხნის დაქვრივებულია ახლა მამი, კაცებში არ გეივლიდა, ვითამ? ამ, ტუფილია, მასწავლით ახლა, რავა გაძლბდა უპაცოლ...“ მიღებოდნენ და მოდებოდნენ მერე ის მაჰანკლები, თუ მეზობლები და კეთილისმდომნი, მოედებოდნენ ახლომხალოებს, გამომხახვადნენ სადმე გაუთხოვარ ქალს, შენაფერისს, რა თქმა უნდა, გამოიკითხავდნენ ყველაფერს და ეწვოდნენ დარწმუნებულნი, აღარ იუარებოს, უქებდნენ და უდიდებდნენ თომას ქალს: „კაიოჩანოშვილია, ხასიათიც ზომ აქვს და აქვს დიდებული, ხილამაშითაც რა უფირს, ცით მოკუტავითი ვარსკვლავი არ არის, მაგარამ ჰვრივ კაცს რომ შეეფერება, ისეთი კია, მშროშელი, შერიოთ მამი ქალი, თომამე, აგაშენებს...“ თომა კი თავისას არ იწლიდა მაინც, ურწმუნო ზომ იყო და იყო, ჭიუტ-უხიაკ-თავისნათქვამა ვინმეც ბრძანდებოდა: „ახლანდელი ქალი, ნუ მასწავლით ახლა მე დედაკაცის ამბავს, კახაბა უწვილი, ჰვრივც და გაუთხოვარიც, არ ვიცოდე ახლა ვითამ...“

ბოლოს რაღას იზამდნენ, ძალუძდათ რაჟმე თუ რა — მეტი ჩარა აღარ იყო და მიუშვეს ნებას, მომეზრებოდათ გამუდმებით თომას ცოლის მოყვანაზე ფიქრი და ზრუნვა მეზობლებსაც და იმათაც, იმის კეთილისმსურველად რომ მოჰქონდათ თავი... დრო კი გადიოდა და გადიოდა, ემატებოდა თომას ახაკი, თუმცა თავად არას დაგიდევდა, ვერც ამჩნევდა, ხანში რომ შედიოდა და ისევ და ისევ ირქებოდა, როგორც სჩვეოდა ყოველთვის, თანაც დღით დღე უფრო ურწმუნო ხდებოდა დრო-

ის გასვლასთან ერთად — ადრე, ბავშვობის სიკაბუკისა და ახალგაზრდობის ეამს ზოგი რამ მაინცა სჭეროდა ხოლმე, რაც თვალში-საცემად უყლიო იყო. შუამდგომით შემდგომ კი, დრო რომ გამოხდა და ხანშიაც შევიდა, აუტანელი ვინმე გახდა მართლაც, აღარავინარი ჰეშმარტება აღარ არსებობდა აშტველიად იმისთვის, იტუოდა, შავი თეთრიაო და მორჩა, გეშტრია? თავი თუნდაც, ვეღარ გადაარწმუნებდი. ხოლო ცოლი აღარ მოუყვანია ზემოთ დასახლებულ მიწეთა გამო... გავიდა დრო და ბიჭვი წამოჩნარდა თომას, ნიკიერი ბავშვი დაფა, შრომიოყვარეუკი, ვიგნისთვის და სწავლისთვის დაბადებულთა და წარჩინებითად გადადიოდა კლასიდან კლასში, სოფელს კი უკვირდა, თომას სისხლ-ჩილაგისა რომ იყო ალბათ იმიტომ, მასწავლებლებიც იმის ქება-დღეობას იყენენ და მეზობლებიც, მაგარამ რად გინდოდა, თომას ესეც არა სჭეროდა: „ტუფილია მამი, — იტუოდა მაშინვე, როგორც შვილს შეუქებდნენ. — რა გავგებოთ თქვენ, ჩემი შვილის ამბავს მე მასწავლით?!“ და მერე მოსწავლეობის წლებში მიიწურა თომას შვილია, მიილია, გაქრა თვალდახილშუა და მოულოდნელი არაფერი ყოფილა, მოხდა ის, რასაც სოფელი მოცლოდა — ... „ჩემი შვილი მედალს რავა მიიღებდა, ტუფილი იქნება მამი, — უთხრა მეზობლებს, გულით რომ მიულოცეს წარმატება ვაფიშვილისა და მერე, როცა თავისი თვალთ იხილა მედალი, წესიერადაც არ დაუხედავს ზედ, ხელი ჩაიქნია უნუფეშოდ მაშინაც: — დაიქტრა ვითამ შენა მამი მედალი თუ რაცხა ჭანდავ? ამ, არ მჭერა მე და, რა გინდა, გათუფედა ალბათ ვინცხა...“ ხოლო იმას, რადა თქმა უნდა, დიდებულად მოეხსენებოდა უკუდმართობა-ურწმუნოების ამბავი მამამისისა, მიჩვეული გახლდით ბავშვობითვე და ოდნავადაც არ დასწევტობა გული, იცოდა თავიდავე, არ დაიქტრებდა და აი, ერთ შუენიერი დღესაც გუდა-ნაბადი აიკრა და თბილისს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად: დიდი დრო არ გასულა და უმაღლესში ჩაირიცხა, ხმამ მოაღწია აქლამადან, მაგარამ ნურას უპაცრვად, ამა, თომა რიღას თომა იქნებოდა, ეგ რომ დაექტრებინა, არ ირწმუნა და თქვა ჩვეულებისამებრ, როგორც მოცილოდა ხალხი: „ტუფილი იქნება მამი, ჩემი შვილი უმაღლესში რავა ჩივრიცხებოდა, უსაქმოდ დალაუწოებს ახლა ალბათ ქალაქში, გადაუბა მამი უხეღური გლახა ქალბის, უმაღლესში ჩაირიცხა კი არა, სკოლა რავა დაამთავრა მიკვირს იგიც...“ ხოლო თბილისიდან მოდიოდა წარმატებოთა ამბავი თომას ვაფიშვილისა და ისევ და ისევ „ტუფილიას“ გაიძახოდა თომამე უკუდმართი, ის კი წარჩინებით გადადიოდა კურსიდან კურსზე, სავალდაგულოდ ეუფლებოდა მეცნიე-

შ.უშმბერ ტიპარამძე  
სასწაულოები

რებასა, რაც სტუდენტს გახდა, იშვიათად თუ  
ენწვოდა სოფელს, გული აღარ მიუწევდა იქით-  
კენ მამამისის გადაჰყადენ და თომასაც როდი  
შეუწუებია თავი, ერთხელაც არ ჩაუყობავს  
შვილისთვის ქალაქში და „ტყუილია, ტყუილია“  
ძახილმა გაასრულა სტუდენტობის წლები... მერე  
ასპირანტურაში სწავლობდა თომას შვილი, სო-  
ფელი ჭკუას კარგავდა, მამამისს კი ისეც არა  
სჭეროდა და ბოლოს გათენდა ერთი დღეც და  
მიულოცეს თომას თანასოფლელებმა, დოცენტი  
გამხდარა... „ამ, არ მოთხრათ მაი, ხედე ჩაიქნია  
იმან. — ჩემი შვილი და დოცენტი? რავე თქვე-  
ნი საქმე, არ დიქეროთ, მასწავლეთ ახლა მე...“  
„არა, რაკი თქვა ერთხელ, მერე აღაფარით აღ-  
არ დაიჭერა შვილის დოცენტობა და ვილა დაარ-  
წმუნებდა, თუმცა ვატიშვილმა სახუთოც კი უჩ-  
ენდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა, ამ სახუთის  
წარმომდგენი ამა და ამ უმაღლესი სასწავლებ-  
ლის დოცენტიაო, მაგრამ არ ირწმუნა მაინც:  
„ტყუილია მაი, — თქვა მრავალწინაშენილოვნად  
და თვალბში გამჭოლი ცეცხლი აიგოგოვა. —  
სისხლი და ზოციტი რომ არ იყო ჩემი, სხვაი ამ-  
ბავია მაშინ, შეიძლება დამეჭერებინა, მარა შვი-  
ლი ხარ ჩემი, ჩემს ხელში გაზრდილი და რავე  
შეიძლება და დოცენტი გამოსულყოფი...“

იყოდა სოფელმა დიდებულად, ურწმუნო და  
უყუღმართი ადამიანი რომ ბრძანდებოდა თომას  
და ამიტომაც იყო, რეზის გარდა, ცაცისვილს არ  
გაჰკვირვებია მაშინ იმისი სიტყვები, აპოლოს  
რომ მიიბაღა: ზუთ ფუთზე მტია არ გამოვიდა  
შენი ღორიო... თუმცა სოფლისა არ იყოს, ნინუ-  
ცასაც კარგად მოეხსენებოდა თომას უწინობა-  
უყუღმართობა, მაგრამ გაგულისდა მაინც ქალი,  
გუნებში ერთი ლაშათიანად დაიწყევლა, ხმა-  
ვლა კი, რახან იმ წყევლა-კრულვამ მაინც ვერ  
დაამშვიდა, ასეთი რამ უთხრა თომას:

— გამომოსულიყავი, თომა ბატონო, დროზე.  
— თანაც უდილობდა როგორმე ხმაში არ გარე-  
ოდდა წუნა, არ სურდა თომას შეემჩნია, გაიხა-  
რებო, ეკონა. — გამომობრძანებულყოფი, ღორი  
რომ დაჯვალთ მაშინათვე და აგვეწონა, ეგებ  
დაგეჭერებია მაშინ...

— ამ, როდი დაუყოვნებია თომას, — არ ვი-  
ცოდე ვითამ შენი სასწორის ამბავი, ნინუცა ბა-  
ტონო, ორი კილო რომ დაუღვა ზედ, იმფერი  
უბედურია, ახს ვამეიუვანს, თქვენი კი არა, ჩე-  
მიც არ უნდა უჩვენებდეს მთლად სწორედ, სად  
იშოვი ახლა იმფერ სასწორს, უწინ რომ იყო,  
— ჩაფიქრდა თომა და ხელი ჩაიქნია. — თუმცა,  
რა ვიცი მე, არც მაშინდელი ივარგებდა...

ეს კი მუტიმეტი მოვიდა, თავებოდა იყო და  
თავებოდაზე უარესიც, ივარძნო უყვლამ და ახლა  
უყვლა საკადრისს მიუზღვავდა გულში თომას  
მაგრამ ხმაშალდა ვერ გახედდათ და თამაშად,  
რომელსაც წლების მანძილზე დაგროვილი გამო-  
ტლილბა ჰქარანახობდა, როგორ მოქცეულიყო  
მხგავსი ვითარების დამს, სუფრა რომ ამ აული-

ლიყო და კალაპოტი არ დამკარგვოდა იმ განც-  
არსმა-სამაჟონებნას, იქ მყოფთ რომ დაუღლებო-  
დათ, უანწი შემავსეო, მეტრიჟენს უთხრა რიხით  
და ენაწულიანად შესვა მორიგი სადღერტქლო  
— მშვიდობა ადღერტქლო იმ სუფრაზეცა და  
უყვლა სხვა სუფრაზეც, ახლა რომ არის გაშლი-  
ლიო თქვა და მარტო სუფრაზეზე კი არა, სხვაგა-  
ნაც უყვლავან, მთელ მსოფლიოშიო...

ხუმრობა კი დიდებულად გამოუდიოდა თამა-  
დას და სუფრაზე მალე აიყოლია, უყვლას და-  
ვიწყდა ცოტახნის წინანდელი უხიამეულობა, მას.  
პინძლებსაც და მართლაც გვარაინი სმა-ქამა და  
ქეიფი გაჩაღდა: ილბენდა და ნეტარებას მისცე-  
მოდა ხალხი, ივებოდა და იცლებოდა სასხისები  
და რაც უფრო მტესა სვამდნენ, კიდევ უფრო  
მეტად შედიოდნენ კაცები სმის ეშში, მზიარულ-  
ობდნენ წრფელის გულით და ქალებსაც თანდა-  
თან ემატებოდათ ხალისი, წარამარა გაისმოდა  
იმათი ხმაშალდი სიცილე-კისკისი...

კაცები სუფრას ერთ მხარეს მისხდომოდნენ,  
დოცენტი კი მეორეს, ამგვარი წესი ჰქონდა იმ  
სოფელს, კანონად ქცეულით, თუმცა ვინმეს არ და-  
უდგენია, მაგრამ ახე იქცეოდნენ მაინც უოველ-  
თვის, რაც თავი ახსოვდათ, მამა-პაპათ ექციათ  
აღმათ კანონად ეც წესი და ახლა ეხენი როგორ  
დაარღვევდნენ, როცა უფრო ერჩივნათ კიდევ,  
მამაკაცებიც თავისუფლად გრძნობდნენ თავს და  
ქალებიც... ნადიბის დასაწყისისას თუკი მხოლ-  
ოდ თამადა გამოირჩეოდა განსაკუთრებული ენა-  
მეყვრობა-სიტყვაზრდადობით, მერე, როცა დეი-  
ნო მოეხედათ, სხვა მამაკაცებიც გაიკვირდნენ ენ-  
ად, იფიქრებდი, ერთი მეორეს ეჩიბებოდნენ,  
ეინ უფროო უცეთსად იტყოდა სათქმელს, არა-  
და, არ იყო ძნელი შემაშინევი, მაინცდააიანც  
დიდის გულისყურით როდი უსმინდნენ ერთმან-  
ეთს კაცები, თამადა როცა იტყოდა სადღერტქ-  
ლოს, აი, მაშინ თუ გაიტრუნებოდნენ... ბოლო  
დოცენტი მოწინებით შესცქეროდნენ ერთუთოს  
თვალბშიც და ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ შეუ-  
ჩერებლავ მისისას თუ პარისას, თავიანთი თვა-  
ლით ნანახსა თუ შემთხვევით გავონილს, ტორსა  
თუ მართალს, სულ ახალ ანავსა თუ ათასჯნის  
მოსმენილს... ნინუცა, რაკი მოხატანი აღარადგრი  
ჰქონდა, სუფრასთან იქდა ახლა, სტუმარს დამს-  
გავებოდა ისიც, მხოლოდ ხანდახან თუ წამოღ-  
ებოდა დენის მოხატანად, მაგრამ შორს წასე-  
ვლა არ სჭირდებოდა, ბუნრიხ პარს იღვა რამდენ-  
იმზე მოცა, ოდნავ მაინც რომ შემთხარყო დეი-  
ნი...

— კაი ვეყოცი ჩანს მაი ბიჭი, თვალს ვერ მოს-  
წყვეტ იმფერია, — გადუჭრარულა ნინუცას  
ერთ-ერთმა მეზობლის ქალმა, იქამდე, დიდხანს  
აკვირდებოდა რეზოს. — გედეონის ამხანაგზე  
გეუბრებო...

— ამა, მანთეა, — არ დაუყოვნებია ნინუცას  
პასუხი, იმანაც გადებოდა რეზოს, სიკეთით ახე-  
ბოდა თვალბში, — სულ მაგფერი რჩეული ამახ.

ნაგები ჰყავს ჩემს გედეონს, იმფერი ვაჟყავცები, იმფერი რომე, რა გინდა სულს და გულს...

— რაღომ გიზიარებ ახლა-მაი. ნინუცა, თუ იცი შენ? — განაგრძო ქალმა, რეზოსთვის არ მოუტყულებია თავი თან, მანამდე კი, ნინუცას რომ უსმენდა, გაიფიქრა: „ბუნტურობს რაცხას აი ნინუცე, რომ იცის ხოლმე, ისეთ, მაკოდინა ერთი, სიდან უნდა იცნობდეს გედეონის ამხანაგებს, თბილისი თვალთმა არ უნახავს ჯერ, და გედეონმააც ახლა ჩამიყვანა პირველად მისი ამხანაგი...“ — ცოლი თუ ჰყავს ნეტე, ნინუცა, მაგ ბიჭს...

— ამ, რას ჩივი. — გადაუჩურჩულა ნინუცამ. — რა დროის მაგი ცოლია, ბავშვი მთლად...

— ჰოდა, რეიხა გიჩივი იცი, ნინუცა? — ჩასევლიანებულიყო მერზობლის ქალი. უცებ მისძალებოდა ნაღველი. — შენ არ გეწყინოს და, რა მოხდება ვითამ, ნაწული რომ გოვფერიგოთ მაგ ბიჭს...

— ნაწული? — ჩაფიქრდა ნინუცა, თითქოს ვერ მოგებულყო გონს. ვიზე ეუბნებოდა მერზობელი, მოსაუბრე კი მიხვდა, ვანგებ რომ სნადი-ოდა ამას. — ვერ შევხვდი, რომელ ნაწულიზე მიჩივი...

— სალომეს ნაწულიზე, ნინუცა, რავარი გოგია, ა? ტანი კაი აქვს და ფეხი, ოჯახიშვილობა ქი იცი შენ, სხვა კიდო რაი...

— კაი იქნება ნამეტანი. — თქვა ნინუცამ. კარგად რომ აწონ-დაწონა გუნებაში. — მოდი, რას გეტყვი, იცი? ნუ გადავდებთ ახლა ჩვენ მაგ საქმეს, ხვალეე ვადმევიპატოეთ ნაწული, რა იცი. ეგება უჩვენდაც ქე მოეწონონ ერთმანეთი...

— არ გვლია შინ მამ გომბიო. — ამოიხიზრა მერზობლის ქალმა და სინანულით გადაიქინა თავი. — მამიდასთანაა წასული, სამი დღის მერე ჩამეტოტრება და მაშინ მოვახერხებთ ეგება რამეთ-რად. ნინუცა, მამ ამბავი...

— თხაი ნამღვლიო. — განარისხდა ნინუცა. უმალ ჩამოიცილა ღიმილი სახიდან. თვალბეჭივ მრისხანება ჩაუდგა, ხმაც შესცვლოდა. ამაზრ-ზენი გახდომოდა, ჩხავილი გეგონებოდა უვავი-სა, — საბში გაჩერებ, თუ რავა ფიქრობ, რა ესტუმრებოდა ვასათუარ გოგოს ამ ქვეყნის დაქვეყნაში. თხაის გავარდნილი მამი...

ხოლო სუფრაზე სიამტკილობა სუფედდა, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მიუყუებოდა, ვანსაკუთრებულის მოკრძალებით ჩედეონი აღ-ღეგრძელა თამადამ, გულისფანცქალით მოელო-დნენ იქ მოუფენი ამ სადღეგრძელოს: თამადას ახლა ამაუად ეტირა აღვინი სავებ უანწი ბელთ და ლაპარაკისას თვალს არ აცილებდა თანამე-სუფრეთ. ერთიანად გახარჯა მარაგი ქება-დი-დების გამოშხატველი სიტყვებისა, უზვად რომ ქაონდა გადანახული მსგავსი, სავანგებო შემ-თხვევებისათვის, დააკარეილა მერე უანწი. ამოაპრქვავა, დაადსტურა რომ წვეთიც არ ჩარჩენილა ღვინისა შიგ და ხისხლიანი თვალე-

ბით მოავლო მზერა სუფრის წევრთ, ბოლო-სი რეზოს ესროლა უანწი, შენთან ვარ ალავერდ-სო, შეუფახა... სუფრაზე კი სიჩუმე ჩამოვარდნი-ლიყო, მართლაც გვარაიანად შემთვრალუყუნეს კაცები უყვე შეზრახობებულუყუნენ, მაგრამ ზედმეტ სიტყვას უურს ვერ მოჰკრავდი მაინც, იცოდნენ, სავანგებო სადღეგრძელო რომ ვახლ-დათ ესა და შესცქეროდნენ რეზოს, რომელიც პირთანად სავებ უანწს ჩასცქეროდა და თავ-თავიანთ სათქმელს ალაგებდნენ გუნებაში: აი, სწორედ ახლა იყო საპირო და აუცილებელი თავის გამოჩენა, უკვლად იმთავანს სწევდა სუ-რავილი სხვათაგან გამორჩევისა. წინასწარვე ემ-ზადებოდნენ საამისოდ... აჟო და აღიდა რე-ზომ გედეონი, აიყვანა ცამდე, სხეუბისა არ იუოს ღვინო იმასაც საქმარისად მოჰქიდებოდა, თუმ-ცა უამისოდაც როდი დააკლებდა ხელს მუგობ-რის ქება-დიდებას, მაშინ კი, ნასვამზე, წარე-ივთ მოსდომოდა სიტყვა, ხოლო სუფრის წევრე-ბი ზედმეტი კრძალვით უსმენდნენ ქალაქელ სტუმარს და მოსწონდათ, არ იყო ძნელი გა-მოსაცნობი, იმისი ლაპარაკი. კაცებს თვალე-ბი აუფუნებოდათ და აწულიანებოდათ ზედმეტ სიამოვნებასაგან, ავამენა დმერთმო, გაიძხოდ-ნენ წარამარა, ქალები კი თავს აკანტურებდნენ, გატრუნულები იყვნენ და განახული ისინიც... როგორ აღარ შეამყო გედეონი რეზომ: ნათელ-მხილველიო თუ მართლაც მოვლენაო, გენიო-სიო თუ სასწაულმოქმედიო და კიდევ რა მოს-თვლის, რაღა არ უწოდა და არც სუფრის სხვა წევრები ჩამორჩენიან, დაუნანებლივ ჩააქ-სოვეს თვითნათი მჭევრმეტყუველება იმ სადღე-გრძელოში. ერთმანეთს ეტოკებოდნენ, არც თავი დაუტოვავდა და არც მსმენენლი. ქარბუქი დატრიალდა ქება-დიდებისა და, რაც მთავარი იყო, უკველ იმთავანს გამორჩევით მოსწონდა თავისი ნათქვამი...

გედეონი კი წელში გამართულიყო იმ დროს, როცა იმის სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ, დიდებულზე დიდებული სანახაობა გახლდათ მართლაც: იდგა თავაწეული, ბეჭებგაშლილი, მშვენივრად იფერებდა მდგომარეობას პატივ-საცემი. სხვათაგან გამორჩეული აღამაინისას, წმინდანი გეგონებოდა თანაც, საქმოდ დაემუ-შავებია უკვე და დახევეწა ეგ კოზა. ბუნებრივა-და და უფუალოდ გამოუდრიდა. იფიქრებდა, იოტისოდენადაც არ აღეღებდა და არც აინ-ტერესებდა ამქვეყნოური ამბებო, საწყაროსა და კაცობრიობას საიდანაც ვადმოსცქეროდა თი-თქოს, სხვათათვის მიუწვდომელ ღრუბლებზე-ნოთა სივრციდან... სადღეგრძელო კი სადღეგრ-ძელოს ცვლიდა, იყო ისევ ქებათა ქება, მხო-ლოდ თომას არ შეეწუებინა თავი სხვათა მსგავსად და იცოდა უველამ. ასეც რომ იქნებო-და, ორიოდ უხელგულო, რაიყო სიტყვა იქმა-  

---

**ჯუშუმბარ ბიქარამბი**  
სასწაულმბი

რა და გედონის შტაკინეულად გაქცენლა გულში, უმწეოდ ჩაქინდა თავი, ის პოპსა გაუქრა უგზო-უკვლად, ფრიად პატვისაქმში, ბედისაგან განებირებულ-ნალოლიავები ადამიანისა, ჩვეულებრივ მოკვდავს დაეღარა, თავის თავს უკვეთვის რომ იყო გარჯენამდე... არ გამოპარვით ნინუცასა და აპოლოს თომას საქციელი და უჩემოდაც მისხედებით, რა გულიანად მიაწყველიდა გუნებაში ნინუცა თომას, ზოლო აპოლომ, შეგიტყვდა უღვაში და კაცობაო, გამოსცრა კბილთა შორის, სუფრის სხვა წევრებს მხოლოდ ოდნავ ეხამუშათ ეგ ამბავი, მაგრამ უჩვეულოდა და შეურაცხებულოდ არ მიუჩნევიათ, უბრალოდ, შესაძლოა, არც კი ჩამკვირვებინან და სადღებრმელოები როცა ჩამთავრა და სამადლობელიც მოსინებინ გედონისა, აი, ეგეც ღირად სანახაობად, როგორც ლაპარაკობდა თავმომწონდა და ღირსეულად, თან როგორც მოსალოდნელი იყო, წმინდანსა თუ ნათელმშობილედს დადარებოდა, გადაწყდა, მოდით და ახლა შევამოწმოთ გედონის სურათი... თამაშამ გამოთქვა თავიდან ამგვარი უსარგებლო და რაკი იმან ინება, აქუვენ სხვებიც, თუმცე იქამდეც დაქარგვოდათ მოთმინება, ერთი სული ჰქონდათ, როდის მოდგებოდა ეს წუთები და, რახან ეღირსათ, მაშინ უნდა გეხილათ, რარეგ გაიტარუნა სუფრა: ვარკო თოვდა და იხარდებოდა ისევ და ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, რომ იტყვიან ბუხის ვაფრენასაც გაიგებდიო, ეგ რაა, არაფერი — სუფრის წევრებს აშკარად ჩაესმოდათ და უღიზიანებდათ სმენას დათოვლილი ოდა-სახლის სახურავსა და ჩამოთოვლილი ხეთა უფოთლო რტოებზე დაკუმული თოვლის ფართო ფანტელების უნაწესი, მსუბუქი ხმა... გედონი კი სტიკიას მიენებოდა და დამორჩილებოდა თავისას, წედადღულ შეცბუნება-უხერხულობას, რომელიც თომას საქციელს გამოეწვია, გაველო თავისთავად, დამდგარიყო ახლა თანახმულითა წინაშე, მაშაპასიეული ოდა-სახლის ოთახში, ფერცაყრცილდენერვებდაქიმულ-ექსტაზსდაყოლილი-ნათელმშობილედითა, წმინდანივით, სასწაულ-მოქმედსავით, თავი მალა ჰქონდა აღერებული და თუმცე ფერი მიხლოდა, მაინც სიამაუეს გამოხატავდა იმისი პოპსა — ალბათ ძალიან თავდაჭირებული და ბედნიერი უნდა ყოფილიყო იმ წუთას, ჩწმენით ავსებული, მაგრამ ეგ რა, სიხარული და ბედნიერება მაინც იმას ერქვა, აპოლოსა და ნინუცას რომ არხვედა მაშინ: ორივე ერთმანეთზე უარესად იყო გონებაარტული და იმ მოწვავებულ, უღიანს ბედნიერებასთან ერთად, შიშოცა და ქრალეცა შემპარვოდათ, ცოლსაც აშკარად კარნახობდა წინასწარმეტყველება და ქმარსაც, აი, ამ წუთას, შეიღს რომ შემჭვრდნენ მონუსხულნი, წარსულს ბარდებოდა და რჩებოდა საშუღამოდ ის ძვალბილგამჭარა ცხოვრება, დღემდე რომ

არხებობდა; პო. სხვა ადამიანებად უნდაქცენებოდათ იმ საღამოს შემდგომ და ეს აფრთხობდათ, მაგრამ ძალზე ტიპილი და საამო იყო შიში, იმით რომ დაუფლებოდათ და ის სიამაუეც, რაც მანამდე უცნობი იყო ნინუცასთვისაც...

ამოწმებდნენ გედონს და განცივებინასა და აღფრთოვანების მელობებისას საზღვარი წამლოდა, თუმცე ის გაწეთი ყოველ მათგანს გულდასმითა და დაკვირება-სახეობით ჰქონდა წაკითხულია და რამდენჯერმე გადაკითხულიც, თომას გარდა — იმას ამგვარი რამეობისათვის არა სცხებოდა საერთოდ, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა რამ აღმოჩნდა, ყველაფერი როცა თავიანთი თვლით იხილეს და ირწმუნეს გედონის ნიჭისა თუ უნარისა და მას შემდგომაც, როცა გედონი თავის აღვილს დაუტრუნდა სუფრასთან, შემოწმების მერე, კარგა დიდხანს ენაზოდათ ოდის სახურავზე დაკუმული ფიუქების რბილი, ფაქიზი ხმა... ივენენ გაოგნებულნი დაიციებოდა და შამაკებოც, კაცებს იმ ამბის მერე თითქმის ერთიანად გამოწვდებოდათ დეიხო და ისევ ატანდა და ატანდა ოთახში თოვლის ფიფქების ხმა... „უყურებ შენ?“ — გაიოცა კარგა ხნის შემდგომ ვიღაცამ და ოდნავ მოეგნენ გონს იქ მყოფები, ნელნელ და თანდათან უბრუნდებოდა სუფრას უნარი საღი განსჯა-ზარუნებისა და, აი, ამ დროს ვაისმა თომას ხმა, იქამდე კი, ვიდრე რამეს იტყოდა, გაიგონეს, როგორ გააქაბუნა სკამი, ხმაურითა და ბრახბარებით წამოგდა, სიტყვები კი მერე ჩაესმან იმის და ნათქვამის შინაარსს რომ ჩაუღრმებდნენ და ჩასწვდნენ, იკაურობაც მაშინ აირ-ჯიარია: წუღანდელი გამოფხიზლების შემდგომ კაცებს ხელახლა დარია სიმთარაღმე ხელი და ღრანცელა-აურწაურები ის იყო, უტეც რომ ვაისმა, ფიქქების ხმა: კი არა, ეგ რა სათქმელთა, ზარბაზნიც რომ გავარდნილიყო იქვე ახლო, ყურისძირში, იმასაც ვერ გაიგონებდი...

აღელდნენ და გადაიბრუნენ მოქიფენი, დაკარგეს ტუპა, აღარ გატეგოდათ, რას სჩადიდნენ, უკრელ მათგანს უტყუუნა ნერვებმა, თომას ხმა რომ გაიგონეს და მიხვდნენ, რაცა სთქვა... „კაცი ხარ შენ?“ — განწირულსავით იბღავდა ვიღაცამ. — კაცი გქვია ვითომ შენც, თომაიე უქულმართო...“ იმ უღვიანს განწირულე მღავილი „რა თქვი მთი შენო, — სხვისამ ჩააზრო მაშინვე — არაკაცი უოფილბარ მართლაც...“ იმ სხვაზე უფრო მშამაღლა სხვამ იბღავდა შემდგომ „შენი მკვდარიც და ცოცხალიც, ჭიჭიუ და ჭილაგიც, თომაიე უქულმართო, თუფი შენ, რა თქვი მთი, შე შეტრეწებულთ...“ და რალიე ერთმა იკადრა, სხვა მამაკაცებმაც როდი დაუდეს ტოლი, მერე და მერე უშვერ-უბიირი სიტყვებით აგინებდნენ თომას, იქ მყოფი მანდილოსნებისაც აღარ ერიდებოდათ, ხმამაღლა გაქვიროდნენ და ქაღლებსაც აღარ დაუყოვნებიათ — ნინუცამ ახ-

ტება ჭირ წივილიკვილი და სხვაგვარად არც ეგებოდა, ოკანი გახლდათ ყველა იქ მყოფზე უფრო მეტად შეურაცხყოფილი...

როგორც კი თომას ნათქვამს მოკრა ქალმა უური, გოგნა უცებ, წარტოვა გონი, მერე კი, როცა კაცებმა იბლაკლეს, გამოერკვა და იწივლა დონივრდ იტყაპუნებდა ვაშლილ თითებს ორივე ხელისას სახეზე, ამასაც არა კმარებდა, ფრჩხილებით იხსავდა ლოუებს და ვასწიოდა და გამკიოდა წვრილი, ამაზრუნეი, გამყივანი ხმით. მასპინძლის წივილი გაისმა თუ არა, სხვა დედუკაციები აპუნენ და ღრიანცელ-გინებას კაცებისას იმითი წივილ-კვილ-ვაიუშვილებელი შეერია... თომა კი, ვითომც არაფერი მომხდარიყო, — იქდა არხეინედ, მიამიტური გამოშტუყველება აღბეჭკვოდა. სახეზე და რატომღაც აპოლოსოთის მიმეტრებია მზერა, თვალს ვერ აცილებდა; აპოლო კი მერდღე ებრაუნებდა, რაც ძალი და ღონე ერჩოდა, ტორს და რადაცას გაჰყვიროდა, რას, ვერ გაიგებდი, უცვალოდ ითქვიფებოდა და ეპარგებოდა იმისი ხმა ღრიანცელ-წივილ-კვილ-ში...

ის საერთო ორომტრიალში თამადა გატრუნულიყო მხოლოდ, განაბულიყო, ვერავინა და ვერაფერს ამჩნევდა თითქოს ირგვლივ და ასეც იყო, მტანჯველ და შეურაცხყოფელ ფიქრს მისცემოდა. არადა, სიმართლე თუ გნებავთ, დიახაც რომ ჰქონდა საინფორმაციო, მართლაცად დიდი გასაჭირი დასდგომოდა მაშინ იმას: პატრისაცემ პირგონებად ითვლებოდა იგი სოფელში და ჰქონდა ახლა საქმე ჩასადიჭებულადა თუ თავისი-სადავიდარაბოდ — ქათამს არ დაკლავდა უნისოდ ის არემარე, ქიქა დვინო რაა, ისიც არ შეისმეოდა, იგ რომ არ მჭადარიყო სუფრის თავს, დედის ძუძუს შეეშვა თუ არა, ამ დღიდანვე იცნობდა უადრსა და ავან-ჩავანს პურ-მარლ-დროსტარებისას, სუფრაზე წამოჩიტულიყო კაცს სუფრაზე გარეოდა ჰედარა თმასა და წვერ-ულვაში და თუკი მაღალი ღმერთი ინებებდა, თავად კი ჰქონდა იმედი, სიბერეც სუფრაზე უნდა სწევოდა... მოდა, მსგავსი არეულობა და უწესრიგობა, იმ დღეს რომ იხილა, არც ერთხელ არ შეხედდროდა, ამხადაც არ სჩენოდა და ახლა, იქამდე შეუბღალავ-შეურაცხვენილი სახელი ადარდებდა თავისი, პრესტიჟ-ავტორიტეტი სახელმწიფეკილი, უცვლელი თამადასა და ღამის იყო, სული გაფრთხობოდა მოულოდნელად თავდატეხილი უბედურებისაგან... იფიქრა ბევრი იმ აურზაურ-ხეთისრისხვასი, იმტრია თავი, იდავი-დაჩაბ: და შიაკვლია, როგორც იქნა, გამოსავალს: წამოდა ფეხზე, შეიბერტყა ტანი, აახმარ-აა-წყარუნა ქამ-პურტეკილი და თვისებურად დაიბნეოდა ერთი, ხმა კი, მოგვეა ღმენა, ჰქონდა მართლაც, უმაღ სიწყნარზე დაისადგურა ირგვლივ, მიწყდა და მინელდა ღრიანცელ-წივილ-კვილ-აურზაური... იმან კი, სიჩუმე დაისადგურა თუ არა იქაობაში, გადაუბღვირა სუფრაზე

მხსდომთ, ჩასხხლიანებოდა თვალები დამშფო-ლი ნადირივით, სახე კი ვიუსას მოუგვავა, კაცებმაკი თავი ჩალუნეს და დააცხვავა, არხეინ-ულად დედად თომა იყო მხოლოდ... იხდვირა კარგა დიდხანს თამადამ — სულიერ მდგომარეობას იმისას ჰქონდა ადასტურებდა, სიჩუმეში რომ გაისმოდა — მერე კი დვინით სავსე ქიქა მოიქცინა ღონივრად, მიამხვრია იატას და თუმცა იგრძნო უმაღვე, როგორც კი ნამხვრევები მიმოიფანტა აქეთ-იქით, ჩამოიცილა ჩრდილი, ცოტა ხნის წინათ რომ მისდგომოდა, როგორც უცვლეთის, დღევანდელ საღამომდე, უმწიკვლო თამადა ბრძანდებოდა კვლავაც, მაგრამ ალლო კარნახობდა, სრულ რეგიონიტაციას სხვა რამ სჭირდებოდა კიდევ და მოიშოქმედა ისიც — ერთხელ კიდევ იღრილა რიხიანად: „თომაი, უყუდმართო, რა თქვი შიი შენ, რვა გახედვე, სუფრაა აქ თუ... გადი კარში ახლავე“...

ამის კი აღარავინ მოელოდა და ცნობისმოყვარეობად იქცა ხალხი, თომას მიჩერდა ყველა, შიი ალბედვლოდათ თვალებსა და სახეზე, თამადაც შეშინებული გამოიყურებოდა წამსწინა რიხის შემდგომ — წართმეოდა ფერი, სმშოქვა ეხმოდად ერთმანეთისა იქ მყოფთ, თომა კი წამოდა დინჯად, წამოიშარა, მოავლო თვალი სუფრას, ჩაქინდრია თავი, თამადას შექედა ბოლოს და იმანაც რომ აარია მზერა, ჩაახველა, ხელი ჩაიჭინა მერე, სახეზე ღმირილი მოადა და წარმოსთქვა: „წასულთა თქვენი საქმე...“ ერთხანობას კვლავ გაღიშებული იდა და თანამესუფრეებს შესცქეროდა, ეგებ გახედონ და რამე თქვან, მაგრამ კაციშვილს რომ არ დაუძრავს სიტყვა, ტაბტიკენ გადადა ნაბიჭი, ყველა იმას შესცქეროდა, ხოლო ის არ აჩქარებულა. დინჯად ჩაიცივა პალტო, დაუდევრად მოიგდო ჰული ეფაზე, სუფრასთან მივიდა ისევ, გამჭული მზერა გაუყარა ხალხს თვალში, დაახრეკია ყველას თავი და გარკვევითა და დამარცხლით ჩაიღია-აკა: „წავალ, აბა, რას ვიწამ ახლა მე, რომ შემომხვეწოთ, აქ გამჩერებელი აღარ ვარ აწი, საქმელი მივითვი ებმრეოდ და დვინოც დავლიე რომაზე, შემერგება, სიმართლე ხომ გითხარით, იციო ყველამ, აგი რომაა ჩემდა თავარი, ყურის აწევასავით იყო, მეტი რა მიდა, მე კი წავალ მარა, არ ვიცი, თქვენ რა გეშველეთათ, თქვე უბედურებო, წასულთა თქვენი საქმე... შიი კი არა, ნეტე საქართველოიზაც ამანვედა უური, გონს მევიდოდა მაწი, შეეშობოდა ამდენყო სად-დგარქლოებს, თვარა ვიცი მე, რაც იციის ნამეტანა სმამ...“

სიჩუმეში თომას ნაბიჭის ხმა ატანდა მხოლოდ, ბანცალით გავიდა ოთახიდან, ხოლო სუფრას ენა ჩავარდნოდა თითქოს შიისგან წართმეოდა უნარი მეტყველებისა, თამადა კი მყოფ-

ჭუმბერ ბიპარბაძე  
სასწაულები

ფილი იდგა ახლა, დამწვადებოდა სახე, აღარც თვალში მქონდა ჩახიხლიანებული, განცხრომას მისცემოდა... ბოლოს რომელიღაც სუფრის წევრმა დაარღვია დუმლილი:

— უოჰაღ ძამა, სევასტი, — მიმართა თამადას. — კარგად მოიქეცი ნამეტანი.. — რა თქვა მამი, — გაიკვირა მერე ვიღაცამ, — რა გვაქადრა თამაგი უკუღმართმა..

სუფრა ნელ-ნელა წუნარდებოდა და გონსაც ეგებოდა თანდათან.. ხოლო თომამ აი, რა თქვა წინაშე, მაშინ, როცა გედრონის შემოქმედმა გაასრულეს და აღფრთოვანებამ და სიამაყემ მოიცვა უველა: „დიდი აფერი უნარია მამი, შე თუ მკითხავთ—რა თქმა უნდა, სუფრის წევრთაგან არავინ მოუღოდა მხვავს ამბავს ისე იუვენე ექსტაზს აყოლილნი და გადაირია ხალხი. მერე აქეთ-იქიდან უვირილიც რომ გაიხმა: გააჩუმეთ მამი ოხერი, თომამ თავისი განაგრძო: — დიდი არაფერი უნარია, ვამეიუენებს რამეში თუ რაი, მავს იგი აქობებდა, ტრაქტორისტობა ესწავლა ან შოფრობა, საქმის მაინც გააკეთებდა... და სუფრაჲ ამის მერე არია... ერთხანს კიდევ იუვენე ხმის ამოუღებლად თომას წასვლის შემდგომ და უკველ მათგანს, დღეს რომ ჩაიღინა, იმდაგვარი საქციელი ახსენებოდა მავ კაცისა, სხვა დროსაც რომ არა ერთხელ მოემოქმედებოდა: შესტყროდნენ თამადას, რომელიც ღრმად ჩაფიქრებულიყო, მოჩრდი სადღებარძელი აფიქრებდა და როცა დალაგა სათქმელი, ხასმის მისწვდა და წამოგდა, აი, იმ დროს შემეყო თავი ოთახში თომამ და სუფრას მიუმღერ-წაუკრიმანჭულა: ტრაქტორისტობა გესწავლა, გედრონ, ბაბა“.

იქ მყოფთაგან კაციშვილს არ მოესმინა თომას სიმღერა და იმის სანაცვლოდ, რომ განრისხებულიყვნენ, გაოცებას დარჩნენ: დიდებული ხერქონოდა თურმე თომას, მუსიკალური სმენითაჲც გულუხვად დაეჭილდებოდა ბუნებას, ვინ იცის, ეგებ ფიქრში მღეროდა ხოლმე... მერე იმისი ნაბიჯების ხმა გაისმა სიჩუმეში, კიბეზე ჩადიოდა, და რომელიღაც სუფრის წევრთაგანმა თქვა ჩახტილდამთვრალენის ხმით:

— ხედავთ? რავარი სიმღერა სცოდნია თომას.  
— აბა, — დაეთანხმა აპოლო, თვადაც რომ არ სურდა ისე, და, რა თქმა უნდა, ნინუცას წუქვლა დაიმხახურა — კაი სიმღერა სცოდნია მართლაც..

გედრონი კი ფერმიხილ-დარტყიანებული იქდა, აღდგა და წაუბდა გუნება უმაღლედ, როგორც თომამ თქვა, დიდი არაფერი უნარია მამი მერე კი წინადადელი სიზმარი გაახსენდა, ამარსრენი ხმით რომ ხარხარებდა თამა..

შემდგომ დღებშიც თოვდა და თოვდა, გედრონი რომ გაახებლდა თვალს, სახურავი ჩამოთოვლილი ზვდებოდა; უთენიაზე იღვიძებდა რეზო და ოდის თავზე გადიოდნენ ისა და აპოლო, მერე კი კიშკრისაკენ გაუყავდათ კვალი,

გამოვიდოდა გედრონი და ხედავდა: კიშკართან იდგნენ ზოლმე რეზო და აპოლო, სივარტეს აბოლებდნენ და დიჩად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს...

„გამოჩე ბიჭია ნამეტანი, — იტყოდა აპოლო — უკელაფერი ებრებოდა.“

„აბა, — მასუბოდა ნინუცა და გაახსენდებოდა; — კიდო არ ჩამოთრეულა იგი გომბიონანული, ეგება რეზოზა გაგვერიგებია.“

თქვენი არ იყოს, რეზოზა არ უხილავს ნანული — მაშიდამისთან დარჩა გაზახულებამდე, მერე კი, როცა სოფლმე დაბრუნებდა ქალღმერთმა დაახვედრეს ამბად: ერთი კარგი ბიჭი გვინდოდა გაგვერიგებინა შენთვის, ისეთი იყო, თვალს ვერ მსწრებოდა, და კინაღამ აცერებოდა გოგო ეს რომ გავო, ძლივს შეიკავა თავი, თორემ იცოცხებდ, მიეციეშოდა სალაპარაკო იქაურ დედაკაცებს, შეძლო როგორღაც და შეაჩერა თვალზე მომდგარი ცრემლი, სურდა თან წარმოედგინა, როგორი გარეგნობისაც იქნებოდა რეზო, მაგრამ მიიხდამიანც დიდი წარმოსახვის უნარით როდი დაეჭილდებოდა იგი ბუნებას და სამართლიანობაც გახლდათ — ისეთი დამაზი იყო ნანული, წარმოსახვის უნარი რაღა ჯანდაბად უნდოდა, სრულებითაც არ ესაქმრობოდა, ეც კი არა, სხვა რამ ნაყლი ევატიებოდა იმ სიღამაზის გამო, ისე კი, მთელ დღეს დანაღვლიანებული იყო მაშინ და მერე ლოგინშიც ჩაუხვია ის ფიქრი თუ უმიზეზო სევდა და რაკი ბუნებით ძალზე გულჩვილი გოგო იყო, იმ საღამოს ატირდა კიდევ: სიხრეტში იწვა ნანული, მკრთალი ნათელი დასდგომოდა მთვარისა და გულამოსკენილი ქვითინებდა უხმოლ, ბოლოს, როგორც იქნა, გაიკრია ნაღვლიანი ღამე და ირიკრათ თუ არა, მაშინვე ტკბილ ძილს მიხვდა... მეორედ დღეს კი გმონი აღარც გახსენებია რეზო — ჰაბუცი, რომელიც შემთხვევითა და უმიზეზოდ მისტროდა იმის ცხოვრებას, ისე რომ კვალის მაგვარი არაფერი დაუტოვებია... გამოხედება ხანი და მე რომ არ ვითხრათ, თქვენით უნდა მიხვდეთ, რაც მოხდება: ნანულიც გამოუფსოჯახურ უღელში კისერს და რეზოც, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს ვერც იხილავენ და რეზო ვერა და ვერ გაიხვინა იმას, რაც ჩვენ ვიცით — ვაზფუტლის ერთი სდღიდან ღამემ მასზე რომ ფიქრობდა ერთი უღამაზესი ქალწული, მთლად უყვებო და უცნობი, ზოლო ნანულის მესხიერებას საუფდაოდა დაეკარგება ის უცნაური ღამე..

მეშვიდე დღესაც ბარაკიანად თოვდა, აი, მაშინ გედრონი და რეზო თბილისისაკენ რომ დაადგნენ გზას: ნინუცა და აპოლო დახვედნიანებულეში დამდგარყვენენ იმ დილით კიშკართან და მიკებებს გასტყობდნენ, უშიკრებს, ვიღარე თვალს არ მოეფარნენ ისინი... „ივლისამდე ვეღარ ვნახავ აწი...“ — იცრემლებოდა ნინუცა, რეზო და გედრონი კი სოფლის დათოვლილ შარავზე მიაბიჭებდნენ, სიამოვნებდათ რაბლი თოვლის შრიალი

ფეხებზე, ესაღმებოდნენ მეზობლები, ღიმილით აბრუნებდა საღამოს ტეზო, თითქმის მიოდ სოფელს იცნობდა უკვე ზოლოდ ვეფთვიანი შედედებული იქნევდა თავს საღმის ხანჯვლოდ და თარსულად შიპაქებდა...

შემდგომით უნებლოდ საქვეყნოდ ცნობილ პირიყვანდა იქცა გედემონი ვინდა. არ იცოდა ამბავი უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული ქვაბუქისა, სტუდენტისა, რომელსაც გულუხვად დააბერტყა ბუნებამ კალთა მადლისა და სიკეთისა, პოპულარობაც იმას ერქვა... უკველივეს კი, რაც თავს გადახლებდა, ძალზე მცირე მოწვევითი დასჭირდა დროისა — მას შემდგომ, ინსტიტუტმა რომ გაიცნო მრავალტარაფიანი გაზეთის მეშვეობით, მოვლენები ჯადოსნური კარსტელივით დატრიალდა. თავსრუდამხვევ-გამოკლებული სისწრაფით. იყო ფერთა უჩვეულო. თითქო წმინდისებულ სურნელ-სინარარე და ხაუხვე. ერთთავად გედემონს ქება-ადიდებარავნებუთ გაისმოდა იმის ნაცნობ-მეგობრობა-ნათესაობაში. ეს კიდევ რა სათქმელია არც უცხოინ და უცნობდენ აკლებდნენ ხელს და, აირკოგორ მოხდა უკველივე: ერთხელაც, კორეს-პონდენტს მისვლია ამბად ერთი მოზრდილი გაზეთისას — ამა და ამ ინსტიტუტში უჩვეულო უნარით დაჯილდოებული სტუდენტი სწავლობს... საქმიად ოპერატიულ მუშაკადა და აღლოიან ვურნალისტად ითვლებოდა თურმე ის კორესპონდენტი, თანაც სენსაციის გამოწვევით მახალის დიდად მოყვარული ვინმეც ბრძანებულა, არადა, ამ მხრივ, განებივრებული არღინ უყოფილა, მაშინ კი, საქმის ვითარებას ჩასწვლდინა თუ არა, აღარც დაუყოვენებია, ინსტიტუტს სწევია...

როგორც კი გაიგო გედემონმა ვინაობა კორესპონდენტისა და სახელწოდება გაზეთისა, რომლის წარმომადგენელიც იყო იგი, ერთხორულმა სიხარულმა და მღელვარებამ დარია ხელი, აფორიკად კიდევ, მაგრამ ნებისყოფის წყალობით, დღითი დღე რომ უძლიერდებოდა, ორიოდ წუთში მოითოკა ნერვები... საქმიად უჩვეულოდ ცხოვრობდა ბოლო ხანებში გედემონი, სურვილი სხვა აღამიანად ქცევსა, თითქმის სინამდვილედ ექცია: გაუფრებულ კირკიტ-შემოწმებას საკუთარი მოქმედებისა თუ საქციელისას, სასურველი ნაყოფი გამოედო უკვე — საკუთარ თავს გაუტოვებოდა.

თავად ხომ გრძნობდა და გრძნობდა, თქმა არ უნდა, ამ ამბავს და სხვებსაც როდი გამოჰპარვითა, ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობდა აეხსნა იმისი მოულოდნელი და უეცარი გარდასხვა და, ბოლოს, ბევრი ფიქრისა თუ ამოა თავპირის მტკრევის შედეგად, ერთ დასკვნას მიადგინე: შესაძლოა, ადრეც ასეთივე იყო, მაგრამ, რაკი არ გამოირჩეოდა ვინმესაგან, ვერც ვამჩნევდითო და უკვლად ჩვეულებრივ ამბად მიიღეს იმისი უცნაურობანი — წარაშარა, თითქმის უკველივეს, იყო თუ არა საჭირო, ფიქრიანი

იერ-გამომეტყველება სახისა, ზედმეტზე უფრო გადამეტებული სიღინჯე-სერიოზულობა, დარბანისლობამდე რომ აღარ უღლდა არაფერი და კიდევ მრავალი სხვა რამ საქციელი იმისა, არადა, კაციშვილმა არ იცოდა, გუშინათაც ვერ ამოცუნო ვინმეს, რა ძვირად უჩვეულოა გედემონს შედმივი და იძულებითი ტარება ნიღბისა თუ ბუნებრივ სურვილთა დათრგუნვა-მორქმვადა, ნებისყოფის უფრო მეტად გამოსაწრობად რომ ესაჭიროებოდა, ვარდა ამეებისა, იყო გაუფრებული ფიქრი თავის თავზე, ნერვული დამაბულობა-დაქმნულობა უკველგან და უკველივეს, მხოლოდ მარტოობა თუ ამტვედა შვებას, თუმცა უმნიშვნელოს ძალზე, ოღნავს, იოტისოდენს, რადგან იმ დროსაც, როცა მარტოდმარტო იმყოფებოდა, დროს მხოლოდ ანალიზს ამზარდა საკუთარი საქციელისას თუ უკველი მოქმედებისას... უკველივე რიგზე იყო თითქოს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, სიზმრების ხილვას ვერ გადასჩვეოდა გედემონი და ისეთი პირი უნანდა, ვერ მოიშლიდა კაცა ხანს, აი, სწორედ ეს აღიზიანებდა და აცლდა ქანცს, აკარგინებდა წონასწორობას... სიზმრებში კი, — აკვებებოდა ერთხელ და მერე ვეღარ ჩამოსხნოდა — თომას ნახულობდა წარაშარა, სხვანი არ ამხნებდნენ თავს, მოსრიდად ჩამოშორებოდნენ იმის ძილს, თუკი ერთსმრტობა ვინმე ან რაიმე... თომა იყო აუცილებელი — ან იმ კაცის ხარხარს გაიკონებდა ხოლმე ჭერ სიზმარში და მერედა მოჰკრავდა თვალს ტრაქტორს, ანდა მხოლოდ ტრაქტორის გუგუნე ჩაენმოდა, კაციშვილი არ მართებოდა, მერე კი მოულოდნელად ამოჭრებოდა თომა კახინდან, აი, ეს სიზმარი უწვილებდა გულს, გავიდოდა უსიზმროდა და უდარდელ-უზრუნველად ორიოდ ევირა, თვეც ვახუთა ზოგჯერ და, როცა დარწმუნდებოდა, მოჩა, სიზმარს აღარ ვიხილავ აწი, ჩამოვიცილდე ერთხელ და სამუდამოდ, თომაც არ დაუყოვნებდა: ნასათუთარ და ნაფერებ ნატურა-იმედებსაც და მომავლის გეგმებს თუ საზრუნავებსაც.

ყველაზე მეტად თავშისაცემ-სავაგლახო ის გახლდათ, რომ მეორე დღეს საცვარი სიციხადით ამსოვდა სიზმარი, თუნდ ერთი არაფრის-მთქმელ-შემთხვევითი დეტალი რაა, ისიც არ გამოჩნებოდა, უტრიალებდა თვალწინ... მო, ახე იყო: თომა და ტრაქტორი ქცეოდა გედემონს უყურებულ დაავადებად თუ დამლუპველ ქვარცმა-ჭოხობათად, სხვა მხრივ უკველივე ლაღად მიედინებოდა, უდრტივულ-უმტკივნეულოდ, შეებისმომჭვრელად და აუშვარეულად, ისე, როგორც განუზრება. განცვიფრება-გაოცების უნარი ჩამოშორებოდა უგზო-უკვლოდ, ვკონებ სამარადისოდაც, ვეღარაფერი გააკვირებდა ცხოვრებისხელ-ამქვეყნიური და ერთი რამ

წაშხმნარ ტიპარაძემ  
სასწავლებელი

იყო კიდევ ნიშანდობლივი, სხვა აღაზიანებს, ადრე ქილობლივდა და მჭირფახვებდა რომ მიიჩნედა და რომელთა გარეშე არსებობა უაზრობა ეგონა, მნიშვნელობა აღარ მქონდა აწი და აწი იმისი ცხოვრებისთვის არც მოზობლებსა და არც ლაღის, ხოლო უახლოეს მეგობრებსა და თანაურსებლებზე ხომ ზედმეტი იქნება სიტყვის ჩამოგდება. სხვებთან კი არა, რეზოსთან ურთიერთობაც სატანჯველად ქცეოლა.

ხოლო იმ დღეს, როცა კორესპონდენტი ეწვია და მიწვევით უთხრა მიხვლისა, ვიდრე ქელსკამზე ჩამოსხდებოდნენ ინსტიტუტის ბაღში, ოდნავ აირია გედეონი, მოქარბებულნი სიხარულის განცდა იყო ესა — კვლავაც ეტყველდა თავისი გაძიქნისა და სხვათაგან გამარჩივის საშუალება, იცოდა დიდებულად, საკმაოდ პოპულარულ, მოზრდილ და სერიოზულ ორგანოდ ითვლებოდა ის გაზეთი, კორესპონდენტი კი ამოწმებდა საგულდაგულად — გაზეთის ჩაპირკიტებდა, ხმაშაღლა კითხულობდა მოზრდილ წინადადებებს... თავიდან, შემოწმება რომ დაიწყო, მარცხვალ-მარცხვალ, შერე და შერე, რაკილა აღვილად ირწმუნა გედეონის უნარისა, სწრაფად წარმოსთქვამდა სიტყვებს, თითქმის გაურკვევლადაც, თან დროდადრო მჭერასაც შეავლებდა ხოლმე გედეონს, ეტუბობდა, დიდებულ გუნებაზე მომდგარყო — ბოლოს და ბოლოს, ასრულებოდა საწვადელი, სენსაციური მასალა მოეგო ხელთ, მომთხვარდა შერე ის პროცედურა, გედეონს გული ჩასწვდა, ტყვილიმა გაჰკრა მკერდში, მარცხენა მხარეს: სიამოვნებას ჰგვრიდა დემონსტრაცია თავისი ნიჭისა თუ უნარისა, თანაც მაშინ უფრო, უტუბო აღაზიან როცა ამოწმებდა: დიდი დრო გასულყო, აღარ ღიჩხებოდა მსგავსი ბედნიერება, სოფლად რომ იყო აი, იმის შემდგომ და მაშინაც თომას საქციელმა ჩაუშხამა ნეტარება, მეზობლები აღფრთოვანებისა და განცვიფრების გამო რომ დაუფლებოდა, იმ დღეს კი არ მოელოდა არაფერი, ასე უტებ თუ ღოშთავრლებოდა შემოწმება და კორესპონდენტს შესცქეროდა, რომელიც ერთხანს ჩაფიქრებული იქდა, „ნორმალური წერილი გამოვივა, მაგონი, — უთხრა შერე გედეონს, ფიქრსა თუ გაოცებას როცა დააღწია თავი. — უახლოეს ნომერში დაიბეჭდება ალბათ, თვალთ გეპირით გაზეთზე“... ..შერე სურათიც გადაუღო, ჩაფიქრებულიყო გედეონი იმ დროს, როცა ფოტოაპარატს შესცქეროდა... მას შემდგომ, თავი რომ დაიწმუნა, საკმაოდ მძლავრი ნებისყოფა გამოვიწმუნეო, — ამახ კი წუალი არ გაუვიდოდა, მისი აზრით — გედეონს ვეღარ წარმოედგინა, მსგავსი მძლავრება თუკი შეხვდებოდა ოდენმე: სატანჯველად და ჭოჭობთად იქცა ის დღეები, ვიდრე სინათლის იხილავდა გაზეთი, ქვეყანას რო მოჰფინა მისი ამხავი და ძილიც იმგვარადვე გაუტუდა, როგორც მაშინ, პირველ ხანებში, როცა ნიჭი აღმოჩნდა... დადიოდა მარტოღმარტო, შუაღა-

მემდე დაუწყალებდა, უფრო ხშირად ბაღებსა და სუვირებში, ხალხმრავალ ადგილებს არიდებდა თავს, განმარტოვებოდა ხოლმე და ფიქრებს მიეცემოდა, შერე გვიან ბრუნდებოდა შინ და თითქმის უძილად გადიოდა ღამე — ზღაპრისა და მძიშედ მიედინებოდა დრო განთიადამდე, პირვეულობდა, მტრისას, რამდენიმე წუთით მაინც თუ ჩასთვლემდა გედეონს, სიზმარით თომა აუხარხარდებოდა მაშინვე და ტრაქტორიც აგუგუნდებოდა შემზარავად და უმაღვე განხელდა თვალს, დამფრთხალი, ოფლად გაღვრილი, ცხბა შთას იქით უჩინარდებოდა ირლი და მოსვენება, შერე კი დღამდე წრავლებდა ლოგინში... უთენიაზე, ოდნავი ნათელი შეერტოდა თუ არა ჩამოზინდულ ცას, შინიდან გადიოდა, დაიბეჭდა ქუჩა-ქუჩა, ნაქარკვეად დგამდა ნაბიჯს, იფიქრებდი, დიდი საქმის კაცყო, მოგვიანებით, კოსკები ახალ გაზეთს რომ მიიდდენენ, რაგში დგებოდა, მაგრამ ტუული ვარჯა და წვალება იყო — ის ნანატრი წერილი არ ჩანდა და არა, ბოლოს კი, იმედი რომ ამოეწურა, ძილი არ გატეხვია იმ ღამით და აღარც თომა ახარხარებულა სიზმარში, გახალისებული და ქანზემომდგარი წამოვდა ლოგინიდან დილით, იცოდა, იმდღევანდელ ნომერში უნდა უოფილყო აუცილებლად წერილი, და არც შემცდარა — წერილი ბომ იყო და იყო დიდებული, გაცილებით სჭობდა იმ პირველს, მრავალტარკვიანში დაბეჭდილს, აშკარა ჩანდა, ავტორი გაცილებით მაღალკვალიფიკაციო უურნალისტი იყო, თან კი, რახან ეს გაზეთი უფრო მაღალი რანგისადაც ითვლებოდა, რაღა თქმა უნდა, იქ დაბეჭდილი მასალაც უფრო გამარტოლი იქნებოდა და დაბეჭდილი, სურათიც რომი გახლდათ ნაკლები, თუკი ადრე წმინდანსა თუ ნათელმზილველს დამგვანებოდა გედეონი, აქ რომელიდაც საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს ჩამოგვავდა, რომელსაც მსოფლიო სახელი და დიდება მოუხვებია, თავდაპირა დაუყენებია და შეუცვლია ახლით მანამ არსებული ქეშმარტიტებანი; ჩაფიქრებულიყო სურათში, უმანყო არსებებს აღარ ჰგავდა ამქერად...

იმ დღეს კი იყარდა და მივიდა ინსტიტუტში, მესამე ლექციაზე გამოცხადდა, ზარის დარეკვის წინ და თანაურსებლებმა როგორც მოჰკრეს თვალთ, ერთამელი ასტებეს სიხარულისა, ხოლო თავად, იმ დროს, აღფრთოვანებას რომ მოეცვა უველა და გულწრფელად სიამოვნებდათ იმის წარმატება და გამობატონდენ კიდევ აშკარად, გადაქანცული დანდგარყო მათ შორის, ჩაფიქრებულიყო განგებ, თითქმის რაიმე საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა აღედებდა და ადრე თუკი იმ სურათს ჰგავდა უველგან და უოველთვის, რომელიც მრავალტარკვიან გაზეთში გამოაქვეყნეს, ახლა დღევანდელს დამსგავსებოდა, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერივით იღვა.

# კახსენება

გურამ მაღლაკელიძე

გურამ მაღლაკელიძე არასდროს მოსულა „ცისკარში“. რედაქციაში მისი პირველი ლექსები მისმა მეგობრებმა მოიტანეს — ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ.

იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. ეკონომიურ ფაკულტეტის მეხუთე კურსზე.

რედაქცია თხოვს მკითხველს, გაუწაფავი ხელით ნაწერ ამ პატარა ლექსებს ნუ ჩათვლის ქართულ პოეზიაში შეტანილ წვლილად, ჩათვალოს იგი ახალგაზრდა ქართველი კაცის უდროო საფლავზე შიტანილ ყვავილად.

მე არ ვთხოვლობ ქალარა მთის მინას მხურვალეს,  
ოღონდაც ჩემი საქართველოს მინა მხურავდეს,  
გულზე მეფაროს დაჩითული, როგორც საბანი  
და ჩემს საფლავზე ყვავილობდეს ისამანი.

მაგრამ, ვაი, თუ უკულმართმა ბედმა დამცინა,  
ველარ ვიხილე საქართველოს ლურჯი მანდილი,  
თუ სიკვდილის წინ ვერ შევებე მშობლიურ მინას,  
დე გამიშეშდეს უცხო ცისკენ ხელი განვდილი.

მანამ იცოცხლე, სანამდე იას  
დილის ცის ნამი დაეძინება,  
ვიდრე ვერ ნაშლის რუსთველის  
სახელს  
ქართველთა გულში დროის დინება.  
ვიდრე მეტებთან დადინჯებული  
მტკვარი დუდუნით მიეძინება,  
მე უფალს შევთხოვ, რომ თქვენ  
მოგაგოთ  
ამევეყნიური ყველა დიდება.



# თავგადასჯა

ალექსანდრ ბლოკი

1981 წელს ფართოდ აღინიშნა დიდი რუსი პოეტის, ალექსანდრ ბლოკის დაბადების 100 წლის იუბილე საქართველოში, მოძმე რუსი ხალხის ამ უბრწყინვალესი პოეტის, საიუბილეო თარიღს მრავალი ქართველი პოეტი გამოეხმაურა. ითარგმნა და დაიბეჭდა ალ. ბლოკის ზოგიერთი ლექსი. ბიჭი ბლახუჩინილი ერთი იმათაგანია, ვინც ახლაც თარგმნის ათანას ფეტის, ვლადიმირ სოლოვიოვის, ანდრეი ბელის, ალექსანდრ ბლოკის ლექსებს, რომელიც მომავალში ცალკე წიგნად გამოიცემა. გთავაზობთ ალექსანდრ ბლოკის რამდენიმე ლექსის ქართულ თარგმანს.

დღე მიილია, ქრება ნათელი,  
ქრება იქ, სადაც გზათა მტვერია,  
თრთის მონითალო ათინათები,  
ჩემი სანთლების შუქს შეერია.

ღამე კი სულ სხვა ღამის მხმობელი,  
მრუმე ზოზინით ჩემკენ მოცურავს,

წითელ ათინათს ისევ მოველი,  
თუმცა სიბნელით გარემოცულა.

ფუჭად მიმაჩნდა რაიც გადაღლილს,  
და სინათლეში მწარედ მოისმა,  
ის აღსრულდება, მტვერში გადახრილ  
ფერად სხვებში, საღამოისას.

გესმის? სოლვეიგ! ო, სოლვეიგ!\* — გზაო მზისფერო,  
ამომასუნთქე, დამაცადე, რომ მოვისვენო.

იქ, სადაც ელვა გასრიალდა, ჩანს ნაპრალები  
და ნაპრალებში უმწვანესი შენი თვალები.

\* სოლვეიგ — ქალის სახელია ნორვეგიაში.

შენ მითვალთვალებ თუ ბებერი მდარაჯობა ჭოტი?  
ჭოტის კივილი უსასრულოდ ღამიდან მოდის.

სად მიფარვარაგებს, სად მიფრინავს გრძელი ღაბაბა,  
მიულწველო, შენი გზები რომ გაანათა?!

ვიცი, მთვბში რომ ამღერებენ ბუკებს ნიადაგ,  
ვიცი, მინდორი ყვავილებით გადაბრდვლილდა.

ო, დამასვენე, სადაც სალი კლდეა ზვიადი,  
დამამსხვრევინე ჯადოსნური სარკე წყვდიადის!

რომ ბებრუხანა ავსულები თავგამეტებით  
ძირს ჩამოცვივდნენ ნაპრალებში, როგორც წვეთები.

რომ სულს განწმენდილს მოველინოს ლოცვით, იმედით —  
დღე ოქროსფერი, ღაფვარდებით მოციმციმეთი.

ჩემი ფიქრები უძღურების ზღვაში ტრიალებს,  
ტკბილ-მწარე განცდას ქედი მაინც ვერ მოვუხარე,  
მასხოვს, ძვირფასო, რა საოცრად ჩაინკრიალე,  
დღესასწაულით ამიყვავე სული მწუხარე.

ენით უთქმელო, შორეულო, არ გაქვს სახელი,  
ო, იდუმალო, მიწყვი ვერვინ ვერ შეგედაროს,  
ჩემო მნათობო, მეშინია შენი გამხელის,  
შენა ხარ თასი შხამით სავსე და სანეტარო.

ჩვენ დაგვესიზმრა ცა ღრუბლიანი,  
მღეროდა ხემი, სტვენდა ბულბული,  
როცა მკლავებში შემოშრიალდი,  
უმსუბუქესი, როგორც ბუმბული.

ვიოლინოს ხმა დამატკობელი,  
როდის მიწყნარდა, როგორც  
სურვილი?!

რად ჩურჩულებდა ირგვლივ ყოველი  
ვით გაზაფხულის ტყეში დუმილი.

შორს, მგლოვიარე ხმათა ზვირთებში,  
მაისის ღრუბლებს მოსწყდათ  
ცრემლები...

ცეცხლად მოედო მზერას  
მითვლემილს,  
ოდნავ შემკრთალი შენი ხელები.

როცა ღამეა ბნელი, უმთვარო  
და სძინავს ქალაქს, თვლემენ  
ლოცვანი,

ო, რა მუსიკა ისმის, უფალო,  
შენი მუსიკა გასაოცარი.

რაა სიმწარე, შენი ვარდები,  
როცა მინთია და ვერ ველევი,

ჩამავალი მზე როცა მკრთალდება,  
ადამიანთა რაა ცრემლები.

ო, დედოფალო, ზეციურ ხმების,  
ფასად წამების, სისხლის, სამარის,  
მიიღე თასი აღსავსე ვნებით,  
უღირსი მონის, მიუსაფარის.

## განაიტხვის ჟამს

თავჩაკიდული რას აკვირდები?!  
შენი თვალები ისევ ვინატრე,  
ზღაპრულ ფერებით აღარ ირთვები,  
გაუფერულებს დილის სინათლე.

მეც შევიცვალე, გულში რაც მენტო  
ჩაქრა, ჩანაცრდა უკვე ბოლომდი,  
უფრო კეთილად და უიმედოდ  
ვუმზერ მიწიერ გზათა მოლოდინს.

ვერაფერს გეტყვი, არ ვარ მსაჯული  
და თუმცა სხვები კვლავ გაყვედრინ:  
რომ ხარ ცოდვილი და გატანჯული,  
ეს გზა მრავალი ქალის ხვედრია.

მე სხვებზე უკეთ ვიცი გზა-კვალი,  
შენი ცხოვრების ყველა ნაფლეთი,  
ბედმა გაგნირა და გიმზაკვარა,  
აღარ მოგხედა სასონარკვეთილს.

დაგვატარებდა მღელვარე ზვირთი,  
ვნების კარნახი და ალტაცება,

გვსურდა გვეფრინა, მოგვეხსნა  
ტვირთი,  
რომ მერე ერთად გვეგრძნო დაცემა.

შენ ოცნებობდი: არ შევიცვლებით,  
ერთად ჩავექრებით დაუნანებლად,  
რომ ჩემს მკლავებში გარდაიცვლები,  
როცა იხილავ ზღაპრულ ზმანებას.

მერე რა ვუყვით რომ ხარ მარტოკა,  
რომ ის ოცნება დარჩა ოცნებად,  
მიხვდი, ცხოვრებამ ისე გაგთოკა,  
რომ ტანჯვა აღარ წარიხოცება.

იყო ოცნება, თუმცა ცბიერი,  
მისი ჩურჩული ახლაც მომესმა,  
მაგრამ, ძვირფასო, თქვი, ბედნიერი  
შენ ხომ იყავი ჩემთან ოდესღაც.

შენს კულულებში ოქრო იელვებს,  
მის შუქზე ბევრი ღამე ვათიე,  
ო, ვნებიანო და ცარიელო,  
დაუფინყარო, შენ მაპატიე.

სამწირველოში თუმც დროებით ვარ მიმალული,  
მაგრამ მეზრდება ფრთები თანდათან,  
დრო მოვა, სხეულს დაივინყებს ფიქრი ფარული,  
მოულოდნელად გამოჩნდება სივრცე ქათქათა.

ვით ბედნიერი შეხვედრის დღე — ცაა ნათელი,  
გამჭვირვალეა მიულწვევლ სივრცის ნათება,  
ხმას დამატკობებელს გაიგონებ და ჟრუანტელი  
შემოგენტება, ბაგეები აგყვავდება.

ვერ მოვასწარით წამოფრენა, რომ გზა დასრულდა,  
ცეცხლი მოედო უმიძიეს ფარს და აბრიალდა,  
დე, ბედისწერის უეცარი ნება აღსრულდეს  
და მარტოდმარტო ჩაიფერფლოს გულში მთლიანად.

ისევ შევხვდებით, დამიფარავს ფარი ახალი,  
არ მოიგონებს გული ჩემი ბებერ იარებს,  
ხმას დამატკობებელს გაიგონებ და გამახარებ  
და ჩემს სიყვარულს მარადიულს გაიზიარებ.

დრო მოვა, როცა გაზაფხული ზამთარს განდევნის,  
მოულოდნელად გამოჩნდება სივრცე ქათქათა,  
სამწირველოში ვიმალები, როგორც სანთელი,  
მაგრამ მეზრდება ფრთები თანდათან.

ჩუმად გადიან დღეები, წლები,  
უცნაურ სიზმარს დავეხსნა მინდა,  
კვლავ შემომესმას ნაცნობი ხმები,  
დრო გაქრეს, გულზე რომ მანვა  
ბინდად.

იქ, ვილაც არის, სხივებში ჩანდა...  
(ო, ისე ზამთრის ღამით რომ ვნახე—  
მავანის ლანდი ჩავლილი კართან  
და უსწრაფესად გამქრალი სახე).

აი მახვილი, მაგრამ მძიმდება...  
ნეტავ ეს ხელი რამ დამიღალა...  
მახსოვს, ვარსკვლავნი მარგალიტებად  
ღამის ცაზე რომ გადაიყარა.

მავედრებელი სუსხი და შორით  
ზღვა, თოვლის ფრთებზე იწვა  
რომელიც,

შიში თვალთაგან გამონაჟონი,  
ბებერი შიში შეუცნობელი.

სიტყვა? ო არა! რა იყო მაშინ?  
ბუნდოვანება, ნისლი ფარფატა,

თითქოს გუგუნი ისმოდა ზღვაში  
და შორდებოდა მიწას თანდათან.

მღეროდა ბაგე, არ ვიცი, მაშინ  
გავიდა წამი, წუთი თუ წლები?!  
მავთულები კი წიოდნენ ცაში,  
გულისწამლები ისმოდა ხმები.

მოულოდნელად, მე მახსოვს მხოლოდ,  
რომ შემომესმა უცხო დახილი,  
მეძახდა შორი ხმა: Ecce homol!  
და გამივარდა უცებ მახვილი.

გადახვეული მქონდა იარა,  
რომ ძარღვებიდან სისხლს არ ედინა,  
მე დავემონე დახილს მთლიანად,  
თან მხიარული შუქი მეფინა.

გამოვერკვიე, უკან დახვევა  
არა მჩვევია მონური თრთოლვით,  
დაე, შემეხსნას ჭრელი სახვევი  
და ცხელმა სისხლმა გაათბოს თოვლი.

<sup>1</sup> აი, ადამიანი (ლათ.).



ფრანსუა ვიიონი

მკითხველს აღბათ ახსოვს ჩვენი ეურნალის 1974 წლის საახალწლო ნომერში გამოქვეყნებული ლექსი ფრანსუა ვიიონისა „მცირე ანდერძი“. მას შემდეგ არც ისე დიდი დროა გასული, „მცირე ანდერძის“ მთარგმნელის, ჩვენი შესანიშნავი პოეტის დავით წერედლიანის მისამართით კი ამ ხნის მანძილზე არაერთი საქებარი სიტყვა ითქვა. ქართულად თარგმნილი ერთი რომელიმე ლექსის გამო არასოდეს თქმულა და დაწერილა ამდენი და არც ასე ერთსულლოვანი უოფილა ვინმეს მიმართ საზოგადოებრივი აზრი, — წერედლიანისეული თარგმანი უველას ერთნაირად მოგვწონს. დავით წერედლიანი განაგრძობს დიდი ფრანგი პოეტის თარგმნას. დღეს მკითხველს ვიიონის ერთ პატარა ლექსს ვთავაზობთ. დ. წერედლიანს ამ ლექსის თარგმანის ათამდე ვარიანტი აქვს. ვაქვეყნებთ სულ ბოლო თარგმანს.

ლექსი, თქმული ფრანსუა ვიიონისაგან, ოდას  
დიღეგს იჯდა და ჩამოხრჩოვას ელოდა

ფრანსუა ვარ, ჩემდა ჭირად, ნარბენი და ჩანაჯენი,  
პონტუასთან პარიზია, ჭირად იქ ვარ განაჩენი,  
გასანთლული მოკლე თოკით აღსრულდება განაჩენი,  
ხვალ გაიგებს ყელი ჩემი, რას იწონის გავა ჩემი.



კარგა ხანია ჯამბალ ზედიში უშუალოდ ორიგინალიდან თარგმნის თანამედროვე პოლონური ლიტერატურის — პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს. ამჟერად მკითხველს ვთავაზობთ ტადეუშ რუჟეჰიანის ლექსების თარგმანებს.

### ოქროს მთები

პირველად  
ოცდაექვსი წლის  
ბიჭმა ვნახე  
მთები.

არ მიყვირია  
და არც მიცინია.  
ჩურჩულით ვესაუბრებოდი  
მე მათ.

სახლში რომ დავბრუნდი,  
მინდოდა  
დედისთვის მომეთხრო

მთების შესახებ,  
მაგრამ ძნელი იყო ეს ყოველივე,  
ლამით  
ყველაფერი სხვაგვარად ჩნდება:  
სიტყვები და მთები.

დედა სდუმდა —  
იქნებ ეძინა კიდეც მთელი დღის  
შრომისგან დაღლილს.  
ღრუბლებისაკენ მიინევდა ნათელი  
მთვარე —

ეს არის ოქროს მთა  
ღარიბთათვის.

### შიში

შენი შიში გიგანტურია,  
მეტაფიზიკური.  
ჩემი — წვრილი მოხელე  
ჩანთიანი,

კარტოთეკით  
და ანკეტიტ:  
სად დავიბადე,

რას ვაკეთებ,  
რა არ ვაკეთებ,  
რა არა მნამს,

მოსვლის მიზანი,  
როცა თვალთმაქცობაზე ხელს ავიღებ,  
სად წავალ მერე.

### პური

პური მაცოცხლებელი  
პოეზიისა,  
პური, რომელიც ხალხის სისხლად  
იქცა —  
ლექსები მიცკევიჩისა.

აი, უკვე ასი წელიწადია  
ამ პურით ვიკვებებით,  
მრავალი ადამიანის გრძნობის ძალით.

კარი

კალატოზმა  
ჩემი ბინა არ დაამთავრა:  
ხვრელი დატოვა.  
აი, ამიტომ ხედმიწვევით  
პირობითად მეჩვენება  
ეს ყოველივე.  
დაუყოვნებლივ შემოდის ხალხი  
ჩემს სამყოფელში.  
კალატოზს რომ  
ჩემს ბინაში  
არ დაეტოვა ხვრელი,  
დღეს განდგილი ვიქნებოდი,  
ახლა კი  
წინ და უკან დავსეირნობ  
და ეს ხვრელი კარით ამოვქოლე.

კარზე აკაკუნებს მრავალი საქმე  
და მრავალი ხალხი.

აფსუსს!  
ამ კარში ვერ შემოვა  
აყვავებული ვაშლის ხე,  
ვარსკვლავები და ფუტკრები,  
ნაკადულები ოქროს თევზებით.

მაგრამ  
არ ამოვქოლე კარს.  
იქნებ ნამდვილი ადამიანი  
შემოვიდეს ჩემს ბინაში და  
მითხრას,  
ვინა ვარ მე.

რაც დაფარული იყო

რაც დაფარული იყო,  
დღეს ამოხსნილია.

როგორც ჰაერი, ცეცხლი და წყალი  
მინაში ინთქმება,  
ჩვენც, აგრეთვე, საკუთარ არსებობაში  
ვინთქმებოდით.

სხეული გვიცახცახებდა,  
დახუჭული გვეკონდა თვალები.

როცა შენ ღამის ცხელ საშოში  
დაიძინე

და შენი ტუჩები გაცივდა,  
მე გულს ვუთხარი:  
ნუ გეშინია, ნუ გეშინია,  
შე სულელო, ნუ გეშინია.

ის სამუდამოდ  
აქ დარჩება.  
არ გაიღვიძებს.

ეს შეიძლება სახლიც არ იყო

ეს შეიძლება სახლიც არ იყო,  
სახლი,  
რომელშიც სტირის ავეჯი.

ახლა ყველაფერი გარკვეულია,  
ეს ჩვეულებრივი დარბაზი იყო —  
მოსაცდელი დარბაზი ვაგზლის,

რომელსაც ყველა მიატოვებს  
გარკვეულ დროის მონაკვეთში.  
იქ კი რჩება ავეჯი,  
ჭურჭელი  
და ათასი რამ,  
რომლითაც შეუძლია ყველამ  
ისარგებლოს.



# ნაჩვენები

ლევან ფრუიძე

## დედა, იხსენი რაჭა!

რუბრეკის ქვეშ — „ახალგაზრდა მეცნიერები „ციხესიმაგრეში“ დაბეჭდილია მორის მიშველიაძის წერილი ბიოლოგიური ვიდეოს შესახებ. უკვლამ იცის, რომ ეს პრობლემა დღეს სხვადასხვა დარგის მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში დგას. წერილის ავტორი არ ცდილობს მარტოდმარტო, შეშველი ხელებით შეეპოლოს ამ უდიდესი პრობლემის ახსნას და ურველგვარი გაფიქვების, ემოციების გარეშე მხოლოდ ობიექტური ინფორმაციის მოწოდებით კმაყოფილდება. ამასვე ვერ ვიტყვით აგრეთვე ბიოველი-სადმი მიძღვნილ სხვა წერილებზე, რომელიც თურქნალის მეთაურ-მეთერთმეტე ნომრებში მაგარძელებით დაიბეჭდა. ავტორი წერილისა, რომლის სათაურია „სასწაულები და სასწაულოქმედნი“, კარლო გეგელაშვილი, გადაჭრით ილაშქრებს ბიოველის თვით არსებობის წინააღმდეგ და ლაფში სვრის უკვლას. ვინც შეიძლება მის აზრს არ იზიარებდეს. მე არ ვპირებ ეს წერილი აქ თავიდან ბოლომდე გავარჩიო, აქ არ არის ამის დრო და ადგილი. მით უფრო იმის გამოც, რომ მე, ალბათ, საგანგებოდ გამოსვლა დამპირდება თურქნალ „ციხესიმაგრეში“ ფურცლებზე, რათა ზოგ რამეზე მკითხველის ყურადღება გავამახვილო და საზოგადოებას ვაჩვენო, სად ცრუობს და სად ამბობს მართალს კარლო გეგელაშვილი. მან თავის გვარსა და სახელს თურქნალში ტიტული — მედიაციის მეცნიერებათა დოქტორი მიაწერა, ტექსტში კი გვაგარჩობინა, რომ ხელმძღვანელი ამხანაგია. მეგონა, როგორც სპეციალისტი, სტატიის ავტორი თავისთვის უკუღმა უფრო ნაცნობ სფეროში — მედიაციის სფეროში შეგვიყვანდა. ამის მაგიერ მან აშკარად წამგებიანი პოზიცია დაიკავა — ფილოსოფიაში შეიჭრა და ვერაფერი შეიძლია აზროვნების სიღრმე გვაჩვენა. ამ

საგანზე მსჯელობას აქ შევწყვეტ და პრეზიდენტის ადვოკატმა, რომ უახლოეს ორ-სამ თვეში, როგორც კი ცოტას მოვიცლი, „ციხესიმაგრეში“ მიიღებს ჩემს საგანგებო წერილს „სასწაულები-სა და სასწაულოქმედების“ თაობაზე.

ბოდიში უნდა მოვიხადო უკვლეა იმ ავტორის წინაშე, ვისი წერილებიც აგრეთვე თურქნალ „ციხესიმაგრეში“ 1981 წლის ნომრებში დაიბეჭდა და მე კი აქ ვერ მიმოვიხილე. ვიმედოვნებ, ჩვენი ცხოვრება დღეს არ მთავრდება და სხვა დროსაც წიგნეცემა საშუალება ჩვენს-ჩვენს ნაწერებზე ერთმანეთს აზრი გავუზიარო.

აი, ახლა კი მივადექით პროზას, რომელსაც სავსებით ვაპატივებ მიზეზის გამო თურქნალის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უკავია.

ბევრმა, ვინც ესწრებოდა, უკვე იცის, რომ შარშან ზაფხულში, პროზის სექციის საჯარო სხდომაზე, მე მოხსენება გავაკეთე და ქართულ ლიტერატურულ პროზაში წლის პირველი ოთხი თვის მანძილზე გამოქვეყნებულ მოთხრობებს შევხე. ეს ჩემი მოხსენება, იმ სახით, როგორც სექციამ მოისმინა. შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახდა. მას უთუოდ იცნობენ პრეზიდენტის პატივცემული წევრებიც.

ჩემს მოხსენებაში, მერე კი საგაზეო წერილში 1981 წლის პირველი ოთხი თვის მანძილზე გამოქვეყნებული მოთხრობების შესახებ მიმოხილული იყო „ციხესიმაგრეში“ მოთხრობებიც პირველიდან მეოთხე ნომრამდე. ამიტომ ნება მისამეთ ამქერად აღარ გავიგეორო მაშინდელი დასაბუთება და „ციხესიმაგრეში“ პირველ ოთხ ნომრში დაბეჭდილი მოთხრობები აქ მხოლოდ კონსპექტურად მოვიხსენიო.

სანამ ამს ვიზამდე, ერთი წინასწარი შენიშვნა კიდევ მაქვს სათქმელი. მე მაშინ, იმ მოხსენებასა და წერილში, საუკვეთელი გამოვხატე ჩვენი ნიჭიერი მწერლის ჭემალ ქარჩხაძის მოთხრობის „მალალი კაცის“ მიმართ, თუმცა იქვე აღვნიშნე მწერლის ოსტატობა და მძაფრად გამოხატული გამომსახველობით მხარე. ვუსაუკვედო ავტორს, რომ მის ბევრი არაფერი სათქმელი ჰქონდა მკითხველისათვის. ვფიქრობ. ზედმეტად მკაცრი ვიყავი, რაშიაც მოთხრობის ხელახლა წაყიფვამ დამარწმუნა.

გარდა ჭემალ ქარჩხაძის „მალალი კაცისა“, „ციხესიმაგრეში“ პირველ ოთხ ნომრში დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე კარგი მოთხრობა. მათ შორის უნდა დავასახელო გოდერძი ჩოხელის „წანაგი“, გიორგი ხორგაშვილის „ცოცხალი სულები“, უპირველეს ყოვლისა კი რევაზ ინანიშვილის პოეტური მოთხრობების ციკლი „სამაგიდო რვეულიდან“.

რამაზ ჯანსარიძე  
„ცისპარტი“ 1981 წელს

მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ანა მხეიძის პირველი მოთხრობის „არჩევანი მეს“ გამოქვეყნება. ანა მხეიძემ მოუხიბლა ოსრობის ბუნებრივობით და პრობლემის გახედული დაუენებით. ნატურალისტური შენარევები, ვგულისხმობ მოთხრობის ფინალის გაღაწევებას, ნაწარმოებს საგრძნობ ზიანს აუენებს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ახალგაზრდა ავტორის პირველი ცდაა, შესაფერისებელი აღარაფერი დაგვრჩება.

ბევრი რამე საინტერესოდ მიგნებული ვნახე გია ლომაძის „ოხაბაშისის კაცში“. ახ იყო საჩქარო და გააღაღებელი დავით მურხანიშვილის „უცნობი მხედრის“ გამოქვეყნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ საქმეში აჩქარებას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს — კაცი გზას ავაცდინოთ.

პლაკატურობის გარკვეულ დოზას ვერ ასცდა გიორგი ლაბაძე თავის „მარადიულ ცეცხლში“, მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობა მწერლის ნახელავია, მას უღაფო ნიჭიერების დამლა აზის.

გივი ჯოხაძის „სიმღერა“ მშვენიერი ლეგენდაა. აზიელი დამპყრობი. თუმარ ლენგის აღმასი ჩაღმაში. ჭაბუკი მომღერალი. მისი ღვთაებრივი სიმღერა ჭაბუკისათვის თავის მოკვების შემდეგაც გაისმის, გაისმის უფრო ძლიერად და უკულის მომცველად. სიმღერა მომღერლის შვილებსა და ხალხს აუტაცუნია.

გურამ კაპანაძემ კარგა ხანია შეგვაჩვია თავის კლორითულ მოთხრობებს. ამას წინათ მისი მოთხრობების წიგნიც გამოვიდა გამოცემილება „მერაბში“. ხანტერესოა „ციხკარში“ გამოქვეყნებული ახალი მოთხრობა „სისუარულიც“. სამოქმედო ასპარეზზე როგორღებულეს ვხედავთ. ინდივიდუალისტი, თავის თავზე შეუვარებული ფარსმანი იმარჯვებს კორტუეც და სისუარულიც, თუმცა ნაკლები ნიჭის პატრონია, იუენებს უველა ხერხსა და საშუალებას და თითქმის შეუმჩნეულად წინ მიძვრება. თან კარგ ბეჭობასაც ლამობს, მძაყაც მხარზე ხელს უთათუნებს, ნუ გიწყინებოა.

ზუსტი და მრავლისმთქმელი მიგნებაა, ფსიქოლოგიურად მართალი, დასაბუთებული და საჭირობოროლო.

სიცოცხლით, შინაგანი სიმართლით და სინატივით მომხიბლა ზურაბ რციხლაძის პაწაწინა მოთხრობამ „სტუმარი დვისიანა“. იუმორით, ხალასი ხალხური ხასიათებით, სახოვანებით, დიალოგების სისხარტით გამოირჩევა თეიმურაზ ხალჩავას „გადანახულება“. მეტ დამაჭერებლობას და სიღრმეს ვუსურვებდი ლევან თურმანიძის „ქეობას“.

ბებერი ხარი რქითაც ხნავსო, სწორედ ანდრო ლომიძეზე უთქვამთ. „კაპიტანი“, კიდევ ერთი საწვლო მოთხრობა, ერთ-ერთი საუკეთესოა

მწერლის შემოქმედებაში. მოთხრობა გულს სვდება, გაჭერებს.

საიმედო ძალად გვევლინება შოთა ასანიშვილი. ნისი მოთხრობა „მამაშვილობა“, მიუხედავად იმისა, რომ იქ განსაკუთრებული არაფერი ხდება, სულისა და გულის შემძვრელია. ესაა სცენა სიცხით ჩახუთული მატარებლის ვაგონში. მამა წამოზრდილ შვილს აცოდლებს დედისთან, რომელიც მისი ცოლი აღარ არის. ძუნწი დიალოგი. ვაგონიდან გასვლის წინ მამა შვილს ჭერ უჯანახენლ მეთმანეთიანს აძლევს, შერეულ სამშენიოვანს, ბერე ზურდას. შვილი უარობს. დიალოგი გარეგნულად ჩაოხსვლის დღეს ეხება. ზედმიწევნით რეალურია მამა-შვილის ურთიერთობა. დრამა კიდრს უტანაა. უოჩაღ! თუ თავდადებულად იმუშავენს და კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვა, კატორღულ შრომას არ დაიზარებს, შოთა ასანიშვილი მყოთხველს არა ერთი ნიჭიერი ნაწარმოებით გააბარებს.

გვარაინია გივი ხორნაულის „დათვა კი დანილო“. მოთხრობის ავტორმა ამ ორი ათეული წლის წინათ მიიქცია ჩვენი უურადღება, რომდესაც ჭერ აღმანახში და შემდეგ „ციხკარში“ პირველი მოთხრობები გამოქვეყნა. მერე კარგა ხანს დღმდა. მოთხრობას ეს ემჩნევა. მე ვერჩევი გივი ხორნაულის უფრო ინტენსიურად იმუშაოს. შემთხვევიდან შემთხვევამდე საწერ მაგონდისაკენ მიბრუნება ვერც მას არგებს რამეს და ვერც ლიტერატურას.

კვლევი გაბრწყინა ოთარ ჩხეიძის შეუდარებელმა პოეტურმა ნიჭმა პატარა მოთხრობა „ნისლაში“. ამ პატარა მოთხრობამ, დაჭირბილმა რომანმა, ქართველი გლხეკაცის უზარმაზარი ტივილი, უკიდევანო სევდა, გაზნაოული გულის უსტიკეო ქანყი და სოციალური დრამა დაიბია. „ნისლა“ გვერდში ამოუდგა მწერლის მიერ შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებს „მიწას“, „მანდილს“ და ბევრ სხვას, რომლებითაც ოთარ ჩხეიძე ქართული პროზის ერთ-ერთ თვალსაჩინო ოსტატად ითვლება.

გული აგვივსო სიბოთით და სიხარულით რევაზ ინანიშვილმა. რამდენჯერ უნდა წაიკითხო „უიღბლო გიგო“, რომელიც უურნალმა ივანისის ნომერში დაბეჭდა, რომ მისი ხელაღლა წაიკითხვა არ მოგიადებს. მე პირადად სამჯერ წაიკითხე. წაიღე და უცხოებსაც წაიკითხო, თუ გინდა ქართული კაცი, საქართველო შეუვარო. მისი გულის კუნტულში შეახედო, მოყვასის სიუარულის საიდუმლო გაუმხილო.

ვერა, ვერ მოგიყვებით მოთხრობის შინაარსს, ვერც ოთარ ჩხეიძის „ნისლა“ მოგიყვით. ეს არც საჭიროა. ვისაც დღმდეგ არ წაუკითხავს, თვით უნდა წაიკითხოს და მაშინ უემეკულად დამემოწმება, რომ ჩვენი მწერლები კიდევ მეტ გულთბილობას იმსახურებენ, ვიდრე მე მათ მიმართ ვიჩინე.

ეურნალის მიქცევს ნომერში გამოქვეყნდა რე-  
ვაზ მიწვევლის ნოველები. ეს არულიად სხვა  
სახისითი ოსტატია. მისი იდეური მხარეების მო-  
სამართი გონება და არა გული. მიწვევლის  
ფრაზა დახვეწილია და უკიდურესად ზუსტი.  
არც ერთი ზედმეტი შტრიხი, არც ერთი ზედ-  
მეტი ფერი. სათქმელს ემოციური საფარველი  
თითქოს ჩამოცილებული აქვს და ისა დაარჩე-  
ნია, რაც მწერალმა მკითხველს უნდა უთხრას,  
უნდა შეაგონოს, უნდა ჩაუნერგოს. მაგრამ ეს  
სრულებითაც არ მოასწავებს იმას, თითქოს საქ-  
მე მშრალ აზრობრივ სქემასთან გვეკონდის. რე-  
ვაზ მიწვევლამ ზუსტი მონახმებით ხატავს გა-  
რემოს, რომელშიაც მისი გმირები მოქმედებენ,  
ხოლო გმირთა მტკვევლება ზედმიწევნით ინდი-  
ვიდუალიზებულია მაშინაც კი, როცა უკვლავზე  
უფრო ძნელია ამის მიღწევა. მე ვგულახსნობ  
რევაზ მიწვევლის ახალ მოთხრობას „წილი“.  
ავტორი არ ერიდება, პირიქით. ელტვის სიმწვა-  
ვეს, მაგრამ არსად ფიცხდება, არ კარგავს  
მოთხრობელის წონასწორობას. სიფიციე და შეუ-  
რიგებლობა ქვეტექსტშია ჩამარბული.

ასე დავინახე მე მისი სხვა მოთხრობებიც:  
„ქველი“, „ურო“, „ხოლო რა შეეხება „ამე-  
ლებს“, ამაზე კი ცალკე უნდა ვილაპარაკო. მწე-  
რალმა, შემძლია ეს თამაშად განვაცხადო, სას-  
წაული მოახდინა — მკვლელისადმი თანაგრძნო-  
ბით განაწყო მკითხველი. ეს მკვლელი სამკაქრ  
ნახამართლებია. ასე წერია მის საბუთებში, მაგ-  
რამ საყოფაღო, არანაკლებ კეთილი და უწინა-  
რი კაცი, ვიდრე რევაზ ინანიშვილის ალაღმარ-  
თალი უიღბლო გიგო. სამჭრევე უდასაშუალო  
იყო. და დანაშაულიც მოკლულის გაუღრმძო-  
რობამ. არაკაცობამ, არადანინაობამ ჩაადენინა.

როგორც ხედავთ, მე საგანგებოდ არ ვაჭგუ-  
ფებ მწერლებსა და ნაწარმოებებს, მივდექ იმ  
რიგით და თანმიმდევრობით, როგორც ქვეყ-  
ნებოდნენ ისინი და ამით, აღნაბთ, საქმეს ვირთუ-  
ლებ, კომპოზიციის ფარგლებში ვერ ვაქცევ  
ჩემს საერთო სათქმელს. მაგრამ სხვაგვარად,  
აღნაბთ, არ ივარგებდა და უთუოდ მომიტყვებთ.

მეტი რომ არა ვთქვა, უკმაყოფილა განჩი გო-  
გეშვილის „ნიშნარეთმა“, ვრცელმა მოთხრობამ,  
რუსულად „პოვესტს“ რომ უძახიან, შემავფო-  
თა არა იმდენად იმან, რომ ასეთი ნაწარმოები  
დაიწერა, არა იმდენად იმან, რომ არსებობს რა-  
ღაც სოციალური საფუძველი მის შესაქმნელად,  
არამედ იმან, რომ მოთხრობა ეურნალ „ცისკ-  
რის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ვიხილეთ. ნუ მიწ-  
ყენს რედაქცია, ნურც ავტორი, მე მას პირა-  
დად არ ვიცივობ. პირადად რომ მცნობოდა და  
ეს ნაწარმოები ხელნაწერში წამეციოთა, არც  
ავტორს და არც რედაქციას მის გამოქვეყნებას  
არ ვურჩევდი.

ობიექტივისში, გულგრილობა, ფაქტის ტყე-  
ობა, რითაც თავიდან ბოლომდე გაუღრმთილია  
ეს ქმნელება, კარგს არაფერს გვიქადახს. ავტორის

პოზიციის უქონლობა ხელ-ფეხს უზორკავს სად  
აზრს და მას პროკრუსტეს სარეცელზე აწვენს.  
მე არა მსურს დავწერ პროკრუსტეს სარეცელზე  
და თავს ვაიძულებ ჩემთვის ყოვლად უსიამოღო  
საქმეში გავება, ავტორსაც და უურნალსაც შეუ-  
ფარავი უქმყოფილება გამოუტყდალო.

გავცენოთ მოთხრობის მოქმედ პირებს. ვინ  
არაინ ისინი? შეუვარებულა უშვილო ცოლ-  
ქმარი, აივტი და დოდო. ორივე ახალგაზრდაა.  
აივტი დისერტაციაზე მუშაობს. ორივეს ტან-  
ჩავს მელანქოლია, აუხსნელი უმცრობის გრძნო-  
ბა და ლტოლვა რაღაც ირაციონალურისადმი.  
ვაყის სიღრმე, დროს დედა, რომელიც დრო-  
დადრო მოდის მათ ცალკე ბინაში, რათა შუა-  
დღემდე ლოგინში კოტრაილით და იქიდან ტე-  
ლევიზორის ცქერით განავათებული ცოლ-ქმარი  
შემშლილით არ დაიბოცოს, მხოლოდ „როჟიო  
ხმით“ ლაპარაკობს. აივტი ფიზიოლოგიურად  
ეზიზღება სიღრმე, რის ფსიქოლოგიურ მოტი-  
ვირებაზეც არავინ ზრუნავს, და ურჩევნია უსა-  
დილოდ დარჩეს, ოღონდ ის არ იუოს აქ. რა-  
ტომ? რისთვის? სად არის თვით ავტორი და მი-  
სი ტენდენცია? საით მივედვართ? რა უნდა და-  
გვიმტკიცონ? რას ნიშნავს „ფლორა ბეფის სი-  
უვარულის კრემატორიუმში“, მოთხრობის ახალ-  
გაზრდა პერსონაჟები წადაღწუმ რომ ახსენ-  
ებენ? რა არის ეს „სიყვარულის ზელოვნება“,  
რომელსაც მხოლოდ ქმარი უნდა ფილოზოფს? რა  
არის უხადლებული „ოცნება-შედგრა“?

აი, სძისა და ქალიშვილის უსაქციელობით  
გულგახეთქილმა სიღრმემ კარი გაიჭაუნა.  
ცოლი და ქმარი იძულებული არაინ თავად წა-  
ვიდნენ ბაზარში, უველის მაგიერ აივტიმ მიზაკე-  
ბი იყდა ძველი სატრფოს გოგონასაგან და  
უქანასენილი კაიკები დაბარჩა, სადილს თავად  
აქეთებს. დოდო რეცხავს, ნახადილევს აივტს დი-  
სერტაციაზე მუშაობა ეზარება, გულაღმა წოლა  
და მითოლოგიური ოცნება უყვარს. ახანანში  
შევა, თავს სარეცხის თყის მარუფში გაუფხვს.  
მკითხველი გაოგნებულია. რა ხდება? რისთვის  
იკლავს ეს კაცი თავს? მარტო რომ დარჩა, ე-  
დელი გაბურღა, სახარობელა მოაწყო და ისევ  
თავი გაპოო შიგ. მუერ ობობა დაინახა ახლაბუ-  
დაში, გაეცინა და შეუღო მოიხინა. შემდეგ ქუ-  
ჩა, ვილაც ირმა ფანჯარაში. უელსმევეი ჩამოუ-  
ვარდა, აივტიმ აუტანა. ქალი ეტარებება, აქ ახა-  
ლი გადმოსული ვართო. მერე ვილაცები მოდიან.  
იმართება ღრეობა, მეორე თუ მესამე დღეს  
„ეკარგი მუშაობისათვის“ აივტს და მის თანა-  
მშრომელს, ვილაც ჩანტლამეს, ორას-ორასი მა-  
ნეთით აჯილდოებენ, ოღონდ იმ ანგარიშით,  
რომ ეს ფული ორივემ რესტორანში დახარჯოს,  
ახეღ ხდება. ქეთის ენში შესული განუოფი-  
ლების გამეგ ახალ-ახალ კერძებს და სასმელებს

რამზუ ჯაფარბეძე  
„ცნობარი“ 1981 წელს

უკვე თავს. ღრეობა აგარაკზე ახლდება. იქ მთვრალი აიტი წვავს დისტრქციას და, როგორც თვითონ ამბობს, ამით ამდიდრებს კაცობრიობას. სხვები თავ-თავიანთ ლექსებსა და რომანებს წვავენ. არაო, ღრმავაზროვნად შენიშნავს აიტი და მას. ალბათ, ავტორიც თანახმებდა, კი არ უნდა ვწეროთ. თანაც ბევრი, უნდა ეიცინებოთო.

მა, როგორ ატყობო, კარგი დახლი არ დაუღებოდ აღე ტოლსტოის ან დოსტოევსკის, ან გოგოლს, ან ბალზაკს, ან დიკენსს, ან თეკერეის, ან ტომას მანს, ან გოლშუორთის, ან ჰემინგუეის, ან ფოლენერს, ან შოლოხოვის, ან ჩავაჩიშვილს და გამსახურდიას, გულაფრა ვაშლარ-თელებს რომ ეიცინებთ და არაფერი დაეწერათ?

რას ემსახურება ეს მოთხრობა? რისთვის დაიწერა და დაიბეჭდა? ძნელია ამ კითხვებზე კაც-მა პასუხი გასცე. ჩემთვის, უფროსი თაობის მწერლისათვის, ვინც სადაცაა თავისი წილი ცხოვრების ბოლოში გავა, ძნელია ყოველივე ამის თქმა და აღიარება. მაგრამ როცა შენს აზრს გეკითხებიან, რა სინდისი მოგცემს სიმართლედ დამალო და ბუნდოვანი სიტყვების კორიანტებს ამოეფარო.

პოეტურად ზეაწეული და უშუალოა ვიტალი დარსანაის პატარა მოთხრობა „გვაზი“. სამაგიეროდ, ოთარ წურჭუშია არაჩვეულებრივ, თითქმის დაუჭრებელ ამბავს გამოდევნებია და მით ცდილობს მკითხველის ყურადღება მიიქციოს.

ერთობ საუფრადღებოა მანანა ავალიშვილი თავისი „მელანოი“. ამბავი, რომელიც მოთხრობაშია აღწერილი, ომის დროის თბილისში ხდება. თუმცა ახალგაზრდა მწერალმა უბრალო ადამიანების, ბელადი, უსიამოლო ცხოვრება აჩვენა და გული ღრმა მწუხარებით, ამ ადამიანებისადმი, მათი ურთიერსიუვარდისა და ურთიერთთავანჯირვისადმი თანაგრძნობით აგვივსო, აქ ნეტამაღიც კი არ არის სტიმიმენტალობისა და მელოდრამატიზმისა, მოთხრობა შეესწმულად, ეკონომიურად არის დაწერილი და მისი უკველი დეტალი ერთ მთავარ მიზანს ემსახურება, რის სრული უქონლობაც ზემოთ ჩანრი გოგოშვილს ვუსაყვედურეთ. აქ ჩვეც ის გავუყვარ, ვინც ავტორს სიყვარულის ღრსად დაუხვია, იმას ვუფურებთ ავის თვლით, ვინც ავტორმა მკითხველის სამხაჯაროზე გამოიყვანა, მაგრამ გამოიყვანა არა მზამხარეული რეცეპტით დადასმული, არამედ კონკრეტული ცხოვრების წესით.

მოთხრობა „მელანოი“ თანაბრად, უკველგვარი უსწორმასწორობის გარეშე არის დაწერილი. მაგრამ მე მაინც მინდა გამოვყო სამი ძლიერი ადგილი: ორსული ქალის, მელანოს დედის, გაქცევა ქმრის სახლიდან, მარტოხელა დედის სიყვდილი და მისი უყანასწელი მულდარა გულგახეთქილ მცირეწლოვან შვილისადმი და

მელანოს ერთადერთი, მოკლე ფრაზა, რითაც გამწრდელი დედის გაცივებულ გვამს მიმართავს: „ეთხოვდები, დეიდა!“

უფრანლმა მეშვიდე ნომერში მანანა ავალიშვილის გვერდით დასტამბა ავთანდილ ავალიშვილის მოთხრობები. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ახალგაზრდა ავტორს კალამი ემორჩილება, აღდა-აღაგ ის საკმაოდ გამართულიადაც წერს, მაგრამ ოთარ წურჭუშიას „მიმიკრიასი“ არ იყო, ყოველთვის ვერ ერევა ცთუნებას, მკითხველი ამბის არაჩვეულებრივობით არ განაცვიფროს. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „უხილავი ფრესკები“. ზოგიერთ მოთხრობაში ეთესმეტად სუსტია იქ დატრიალებულ კოლიზიათა დამაკავშირებელი ლოგიკური ძაფები. ქართულიც ვერ არის ყოველთვის რაგზე. „ლიამ დაუხმინა ზეინაბს“, — ვკითხულობთ ერთგან. „ერთმანებმა ამოუშალდა რაბისი“, — წერია მეორეგან. რას უნდა ნიშნავდეს „გულ-ღონობა“, „ლაწალუფის ხმა“. ანდა „სამინლად ახევებული ნეკრსი“?

ერთობლაც ვამბობდი: ენაზე ძალდტანება, ენისადმი უნდობლობის გამოცხადება და რაღაც ახალი ფორმების ძიება იქ, სადაც დიდი ხნის წინათ შემუშავებული ფორმებიც ფონს იოლად გაგვიყვანდნენ, ვერაფერი საკირო და საქებური საქმეა.

მიკა აღექისძის უდავოდ აქვს ის, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქემარტიტ მწერალს — სულის პოეტური აღმადრენა და საკუთარი სულის საკმელი, საიდანაც სამყარო მოჩანს, „ციხსკარბა“ გამოაქვეყნა მისი ორი მოთხრობა — „სულში ჩაყიდებული მთავარი“ და „დაუსრულებელი დამეები“. პირველ მოთხრობაში, რომელსაც აშკარად ემჩნევა ავტორის ნიჟი და მოვლენების ინდივიდუალური აღქმის უნარი, ბევრი რამ რაგზე ვერ არის. ავტორი უკველთვის ვერ აღწევს საკირო სიწაოლეს და სიუჟეტის ცალკეული სვლების ლოგიკურად ჩამოყალიბებს. შეიმჩნევა ბუნდოვანება და აჩქარება, ბევრი რამ აუხსენელი და ფსიქოლოგიურად დაუსაბუთებელი ვერჩება. ავტორს ისიც უნდა შეენიშნო, რომ მოთხრობაში აშკარად იგრძნობა ლიტერატურული გავლენები.

მიკა აღექისძის უმჯველ ნიჟიერებაში უფრო მისმა მეორე მოთხრობამ დაამარწმუნა. იქ მართლაც ოსტატურად და ღრმად არის დახატული სიეთისათვის, ადამიანური ღირსების შენარჩუნებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ადამიანის სულიერი პრეტესტი.

ნურავინ ჩამითვლის პარადოქსად, თუ მოვიტხოვ, რომ სწორედ ყველაზე ნიჟიერებს უნდა გავუწელოთ ნაწარმოების გამოქვეყნება, შევაჩვიოთ ისინი ტექსტზე მუშაობას, მივაღწევინოთ ერთის შეხედვით მიუღწეველი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ ახალი ქმნილება მშის სინათლეზე.

განსვით, როგორ მუშაობდა ჩვენთან, მაშინ-  
დელ ახალგაზრდა ავტორებთან, „მნათობის“ რე-  
დაქტორი სიმონ ჩიქოვანი? რა ბევრს დაკარ-  
გავდნენ მის დროს ჟურნალში დახედილი ახა-  
ლი ნაწარმოებები, სიმონს რომ უყვალდა სხვა სა-  
ზრუნავი უცნაურ ან გადვიდო და ხელმძღვანე-  
ლებთან ავტორებს თავისი დიდი ლიტერატურუ-  
ლი გამოცდილებით, მაღალი გემოვნებითა და  
პრინციპული მომთხოვნელობით არ დახმარე-  
ბოდა!

ვერ ვიტყვი, რომ მწერალურ ნიჭიერებას მოყ-  
ლებულნი არიან მანანა ხელაია, თამაზ ხმალა-  
ძე და ზაურ კალანდია, მაგრამ ვფიქრობ, რომ  
ცოტათი ავჩქარდით, რაკა მათი მოთხრობები  
სამწიფოზე გამოვტიანთ. აქობენდა, ცოტა კიდევ  
სამკვეცადა, ცოტა მეტი სიმკაცრე და მომთხოვ-  
ნელობა გამოგვეჩინა.

უპირატესად აზრისმიერია მერაბ აბაშიძის  
„სათნო გუავ მე“. მერაბ აბაშიძე გამოირჩევა  
წერის მაღალი კულტურით და თითქმის უყოველ-  
თვის, ისევე როგორც ამქვარად, ახერხებს რაღაც  
მნიშვნელოვან მთავრობს მეტობელებს.

ცოტა გულბრუნულივით, მაგრამ მსუფთე ფერ-  
ებითა და სიუვარულით ხატავს თავის მშობლიურ  
კუთხე რაქას და ახლობელ ადამიანებს ვაფა  
ჩორდელი. მისი „თებროლე მიდის წყალზედა“  
და „მოკლე მინა“ ყურადღებას იქცევს ნამდვი-  
ლი ხალხური ხასიათებით, ხალხური იუმორით  
და ნაღველთან შეზავებული ჩუმი სიხარულით.  
გულდასაწყვეტია, რომ პირველი მოთხრობის  
ფინალის დაწერისას მწერალმა იჩქარა და მშვე-  
ნიერ მოთხრობას კლდე წააწყვიტა. ცოცხა გაჭი-  
ნურებულად და პრეტენზიულად მეჩვენება  
ვრცელი მოთხრობა „სიკვდილი ასტონს ეძებს“.  
მას ორი ზემოთხეხილი მოთხრობის სისადა-  
ვეც აქლია და დამაჩრებლლობაც. მე მაინც მინ-  
და იმდენი გამოვთქვა, რომ ვაჭა ჩორდელს ბედმა  
დაანათლა ადამიანის ხულის მესაიდუმლის მად-  
ლი და ბვალ კიდევ უტკთნა ნაწარმოებებით  
გაგვახარებს.

მითხველის ცხოველ ინტერესს იმსახურებს  
კიმი ალიაშვილი, რომელმაც „ციხის“ სექ-  
ტიმბრის ნომერში სამი მოთხრობა გამოაქვეყ-  
ნა. ალიაშვილი გამოცდილი, ცხოვრებანაწი  
კაცი ჩანს და წერის კულტურითაც აშკარად  
გამორჩევა, ავტორის ენა დახვეწილია და ამე-  
რე დროს ინდივიდუალიზებული, თბრობა ძუნ-  
წია და შეკუმშული. სამოვნიებით გავარჩევი  
სამივე მოთხრობას ცალ-ცალკე, აქ ამის დრო  
და საშუალება რომ იყოს. კიმი ალიაშვილის ნა-  
წარმოებებს დიდი ადამიანური ტივილი გას-  
დევთ და სასუქმლად ეს ტივილი უდევთ.  
ავტორი იმას წერს, რაც აწუხებს და რაც საზო-  
გადოებისათვის მნიშვნელოვნად მიანჩნა. „არ  
შემიძლია არა ვთქვა!“ — თითქოს გვეუბნება  
იგი და ჩვენს ყურადღებას მთლიანად იპყრობს.  
აი ნიშუში ხატვის ალიაშვილისეული მანერი-

სა: „წირვა გამოსულიყო. ოფლივით უნავე  
ხალხი ფერდაზე. ბინდმა მოუსწრო. შეიშრო  
მლოცველინი“. კარგია, არა? თითქოს სკულპტუ-  
რა გამოკეთა ქვაში და ხელით გაგვანჩინა!

ნაღველიანი, ფიქრიანი, ცხოვრების ღრმა აზ-  
რით აღსავსე მოთხრობა დავეწერა აკაკი ჭო-  
ჩაძემ. მისი „დგანან და ელიან“ ერთკერტი სა-  
ყურადღებო მოთხრობაა, რაც კი ამ მასალაზე  
და თემაზე საქართველოში დაწერილა. იგივე  
უნდა მოგახსენოთ რევაზ კლდიაშვილის მშვე-  
ნიერ პატარა მოთხრობებზეც. ეს მოთხრობები —  
„გუცუნია“, „იქნედის მკვლელობა“, „ბურღლა-  
იას ბიჭები“, „უნაგირას მთის ძირში“ ბრწყინა-  
ვენ იუმორით, გონებამახვილობით, ქეშმარტად  
ეროვნული ინტონაციებით, სურათოვნობით.

რევაზ კლდიაშვილი, აკაკი ჭოჩაძესთან, კი-  
მი ალიაშვილთან, მანანა ავალიშვილთან და  
ზოგ სხვასთან ერთად, ვის გარშემო ზემოთ  
შეძლების ცვალობაზე ვილაპარაკე, ახალი პრო-  
ზის სამიველო ძალაა და მას ჩვენი მომთხოვნი  
ყურადღება არ უნდა მოაკლდეს.

სხვა აზრისა და მხარეებთან მზია შენგელიას  
„უცოდველ ანგელოზზე“. ვითომ ცოდვილი ან-  
გელოზიც არსებობს? ანგელოზი ზომ უცოდვე-  
ლობის სიმბოლოა რედაქცია კარგ სამსახურს  
გაუწყედა ახალგაზრდა ავტორს, თუ ამ მოთხრო-  
ბას არ დაუბეჭდავდა, არა და თურხალის მეთე  
ნომერი სწორედ მით იხსნება! სენტამენტალიზ-  
მი, თვალთახედვის არის სივიწროვე, მოვლენის  
ერთგანსომილებიანობა ქეშმარტი ლიტერატუ-  
რის პირველი მტერია. რაოდენ გულსატკეპია,  
რომ სამივე ეს მწერება ამ ერთ არცთუ ისე  
ერეკელ მოთხრობას ახასიათებს. ასე და ასე  
გვიყვარდა მე და შენ ერთმანეთით, წერს ვაჟის  
გასაგონად ქალი. მეტე ქალ-ვაფი შეგვეძინა, ჩე-  
ნი სიყვარულის ნაყოფი. შენ თბილისში წახ-  
ვედი, მე კი ქუთაისში დავტრი, აქ ჩემი საცო-  
დელი დედა მეშხარებოდაო. დედაშენმა შინ არ  
შეგვივია მე და ჩემი შვილებოო. იქ რომ შევე-  
შვით, გოგონა არ მომიკვებოდაო. ჩამოყვდი  
და იმდენი მანერვიულეს, რძე გამიზრა და ექვს  
თვეს ბიჭი მშვიდი მყავდაო. უდიდესი ბოროტე-  
ბა უოფილა თურმე სიდედრ-სიმამრისა და დე-  
დამთელ-მამამთილის არსებობა აი, ვინ უნდა  
ამოიძირკოს. მაშინ დამყარდება საყოველთაო  
თანხმობა და სიუვარული! გმირი წერს: „მე  
სიუვარულს მივედენ, დიად გრძნობას და ამა,  
პატიოსნებისათვის უსასრულო ლანძღვა დედა-  
მთილისაგან!“

მაგრამ ზომ უნდა გვესმოდეს, რომ ეს მხო-  
ლოდ მოტივების წერილია და არა ლიტერატუ-  
რა. ლიტერატურის ფაქტად ქვეყლის ცხოვრ-  
ებისეული ფაქტი განწმენდილი უნდა იყოს ყო-  
ფითობის ყოველგვარი ბრჭყვილა სამკაულისა-

რამაზ ჯაფარიძე  
„ცისკარი“ 1981 წელს

გან და მხოლოდ და მხოლოდ მოვლენის არსს, საფუძველად საფუძველს უნდა გამოხატავდნენ. აქ ახალი კანონწესობები იქნა დადგინდა და ახალი, ამჟერად უკვე მხატვრული სინამდვილის შექმნა მარტო მწერალს ჩაუღმძვინკვინდა, ვისაც ხელმწიფება უსულყო თიხას სული ჩაუღმძვინკვინდა და დაშორებულად სიცოცხლე მიანიჭეს.

გივი ბუთხუზი ჩემი საუკვარისი მწერალია. თავმოსაწინებლად მიმანჩინა, რომ მცირეოდენი წვლილი მისი უტყუარი ნიჭის ფორმირებაში მეც მიმიძღვის, მაგრამ ეს მოთხრობა — „წმინდა ხე“, „ციცკარის“ მე-11 ნომერში რომ არის დაბეჭდილი, შენაგან ფსიქოლოგიური სიმართლით, დამაჯერებლობითა და მხატვრული ლოგიკით, მე ასე მაგონია, ვერ უნდა უტოლდებოდეს მწერლის სხვა საუკეთესო ნაწარმოებებს.

გვარიანია ირაკლი შენგელიას „უშნო“. დუნია გივი კახიანის „დუნეთი“. დეტექტიური მოულოდნელობებზეა აგებული ზურაბ თორიას „გამოფენის შემდეგ“ და „დუმილის მიღმა“. იგრძნობა მისწრაფება ფსიქოლოგიური ანალიზისაკენ.

ადვილი არ არის შეუმცდარად და ამომწურვარად შეათვალი გურამ დოჩანაშვილის „ვატერ (პო)ლოო, აღდგენითი სამუშაოები“. მე აქ მხოლოდ საკუთარი სუბიექტური შთაბეჭდილების გადმოცემით შემოვიფარგლები.

უნდა აღინიშნოს, რომ „პო“ ნაწილაკი სათარის პირველ სიტყვაში „ვატერსა“ და „ლოს“ შუა არის ჩასმული და ძნელი მისახვედრია, როდის „ვატერლოო“ უნდა წავიკითხოთ და როდის „ვატერპოლოო“.

გურამ დოჩანაშვილი დღეს ერთ-ერთი პირველბარისხოვანი ოსტატია ქართული პროზისა თავისი მშვენიერია, უადრესად ბუნებრივი, ცხოველი აზრით დამუხტული მოთხრობებით და მის ნიჭსა და შესაძლებლობებს სხვებთან ერთად მეც დღე პატივს ვცემ, მაგრამ ნუ მიწყენს, თუ „ციცკარში“ გამოქვეყნებულმა ამ ბოლო მოთხრობამ ჩემს სულსა და გულს ვერაფერი უთხრა, ვერც ფიქრი აღმიძრა და ვერც გრძნობა, ვერც ვერაფერი დამანახა და ვერც ვერაფერი გამაგონა. მე არა მსურს სხვებს ამოვეყარო და აქ ვამტყურო, რომ სხვებიც ამას ფიქრობენ. ზემოთაც ვამბობდი, რომ მხოლოდ პირად შთაბეჭდილებას მოგახსენებთ, რომელსაც შეიძლება მწერალი არ დაეთანხმოს და თავისთვის სავალდებულოდაც არ მიიჩნიოს. მაგრამ მეც ხომ მაქვს მორალური უფლება ჩემს აზრზე დავრჩე და მისი შეხედულება არ გავიზიარო. გულწრფელად მაფიქრებს გურამ დოჩანაშვილის მომავალი. ღრმად მწამს, რომ მან სწორი გზიდან გადაუხვია და ჩვენი გულგრილი წყურთებით გამხნივებულად მრუდნი გზას დაადგა. ზღას, რომელიც მისი მწერალური ტალანტისათვის ორგანული არ არის, პირიქით, მის ხასიათს, მსოფლმხედველობას და სულიერ რაო-

ბას ძირფესვიანად ეწინააღმდეგება. ამ საკითხს ძალზე საფუძვლიანად შეეხო აკაკი ბაქრაძე, რომელმაც უფროსად „მნათობში“ განიხილა გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი“. ჩემის აზრით, ღირს ავტორი ჩაუფიქრდეს თავისი უფროსი მეგობრების და მხოლოდ კითხლის მსურველი კოლეგების მოსაზრებებს მისი ბოლოდროინდელი სამწერლო პრაქტიკის თაობაზე და თავი აარიდოს ნაქარვეი დასკვნების გაკეთებას.

მართალი მოგახსენოთ, სამოყვება მომგვარა უფროსის მე-12 ნომერში დასტამბულმა ოტია პაქარიას „პორტრეტებმა“. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ოტია პაქარიას, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ თავისი მაღალნიჭიერი კრიტიკული ესეებით და რამდენიმე საუკრადლებო მოთხრობით, არ სჭირდება არავითარი დისტანცია ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის და მათი ავტორების შესაფასებლად. მას უოფნის ვაჟაკობაც, თავმდაბლობაც, ლიტერატურის საერთო სიუვარულიც საიმიხოდ, რომ თავის გვერდითაც აღმოაჩინოს და ირწმუნოს ღირსშესანიშნავი, დაინახოს და ირწმუნოს მანამ, სანამ უკველივე ამას რომანტიკის ბურუსი გადაეფარებოდეს და საგნები თავიანთ ნამდვილ კონტურებს დაკარგავდნენ.

შედმიწევნით უსუსტი და ღირსეული ადამიანის სიუვარულითაა გამოხარა აღექსანდრე კობულეცის, ჭაბუა ამირეჯიბის, რამაშ პატარაძის, თამაზ ჩხენკელისა და გივი ძნელაძის პორტრეტები. აქ მკითხველი ბევრ იმისთანა რამეს იპოვს და შეიგრძნობს, რაც სხვაგან შეიძლება ვერსად ამოკითხოს. ეს ხომ უბრალო, ემპირიული ხასიათის მოგონებები არ არის ერთად გატარებული დღეებისა, სულის ქურაში გამოწვევარი ნააზრები და ნაფიქრალია, რომელიც დაუცხრომლად ეძიებს მოვლენის არსს და პოულობს კიდევაც.

უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული 1981 წლის მანძილზე უფროსმა „ციცკარმა“ ოთხ რომანი გამოაქვეყნა: ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი“, ავთანდილ გალდაძის „ძრწოდ მღერვართა შიშით“ ჭუმბერ ტიკარაძის „სასწაულები“ და თამაზ ჭილაშვილის „ადამიანი მარტო არ არის“.

ვიდრე ბოლოდან დავიწყებდე და ჭილაშვილის რომანზე ორიოდ მოსაზრებას გამოვთქვამდ, უნდა შევეხო ტენიკურ მხარეს: სამი უკანასკნელი რომანი უფროსმა პეტიტობა ებეჭდებოდა. რატომ? თუ ვფიქრობთ, რომ ისინი შეტ უფრადლებას არ იმსახურებენ და გვსურს თვითელი მათგანს გამოქვეყნება ძნელად წაისაკითხავი და მერისმეტად ტევადი პეტიტობი მივაუჩიროთ, საერთოდ რისთვისაა ებეჭდვით ვინ გვაძლებს? ხოლო თუ დაბეჭდვა გადაგვიწყვეტია და უფროსში, ისიც რამდენიმე ნომერში, ადგილს ვუთმობთ. რა საჭიროა ეს პეტიტობა?

დაბეჭდოთ უველა კორპუსით, როგორც აქამდე გვინებოდა და უველა ავტორი, უკვე სახელმწიფო ვეტილიც და ახალბედაც, ერთ მდგომარეობაში ჩაყაყუნოთ. მთავარი ხომ, ბოლოსდაბოლოს, მაინც ნაწარმოებია!

ამ მცირეოდენი, ვეტერობ, საქმის გაუმჭობეებისათვის საჭირო გადახვევის შემდეგ თავს უფლებას მივცემ მოკლედ მიმოვიხილო თამაშ კბილაშვილის რომანი „აღამიანი მარტო არ არის“.

თუ არ ვცდები, ეს ავტორის პირველი ვრცელი ნაწარმოებია და ამიტომაც მით უფრო გემართებს, ახალი რომანისტიკის პირველ გაბედულ დებიუტს გვერდი დუმილით არ ავუაროთ.

კბილაშვილის რომანი კიდევ ერთი ცდაა ჩვენი მუშა ახალგაზრდობის ცხოვრების ასახვისა და იმ უკვლად გაუმართლებელი ხარვეზის შევსებისა, რომელიც წლების განმავლობაში გააჩნია ჩვენს ლიტერატურას. არის აქ დისციპლინა და უღისციპლინო მუშები, მოწინავეები და ჩამორჩენილები, მუშათა სპირტო სპიროვრები, ხელიდან წასული გოგოები, რომ არ იციან, ვისგან გაბედნიერდნენ და დაორსულდნენ, მათი ანტიპოდი სუფთა, წესიერ ოჯახში აღზრდილი და სანიმუშო ყოფაცქევის მქონე ქალიშვილები, ვამოცდილი ოსტატები, მოხუციგნო ელემენტები, ახალგაზრდული ბრიგადა, კრებები, თათბირები, ყოველივე ის, რაც თანამედროვე დიდ ნაწარმოში შეიძლება ნახოს აცმა. ავტორი თავისუფლად, ხალად, ძალისხმევად შეკონსერვებული სტილისტური კონსტრუქციების გარეშე წერს, მარჯვედ აგებს დიალოგს, ახერხებს აღამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების შეუცდომლად მოწოდებას, განწყობილების შექმნას.

ნოუხედავად ყოველივე ამისა, მოუხდავად მართლა ოსტატურად შესრულებული რამდენიმე ეპიზოდისა, მე მაინც ვერ მომხიბლა და ვერ ამიყოლია ამ რომანმა. რატომ? რა არის ამის მიზეზი? მისი მეტისმეტი ნიწიერება, მეტისმეტი ყოფითობა, ენობრივი ნატურალიზმი, ჩვეულებრივად, ყოველდღიური ცხოვრების კეთილმინდისიერი ფოტოგრაფირების სურვილი, რაც საგანგებო კონტრასტის საქმე უჭრია, ვიდრე ლიტერატურისა.

ამას ვამბობ, მაგრამ სრულებითაც არ მინდა ავტორი დავაწინო, ეს მისი პირველი ცდაა, არცთუ წარუმატებელი ცდა. იმუშავოს, ნუ გაჩერდება ერთ ადგილზე, შეეჭიდოს ახალ და ახალ თემებს, ვნახოს, რა გამოვა.

ვერაფერ კარგს და სასიხარულოს ვერ ვიტყვი ქუმბერ ტიკარაძის „სასწაულებზე“. რომანზე მუშაობა ჭერ კიდევ არა ჩანს მიყვანილი იმ კონდიციამდე, როდესაც ეურნალის ფურცლებზე მისი დაბეჭდვა სასურველი და შესაძლებელი გახდებოდა.

ავთანდილ ვალდავაძემ ჩემი უპირატესობა მიიქცია ჭერ კიდევ „მნათობში“ გამოქვეყნებული საქმოდ საინტერესო მოთხრობით. ამჟამად ის „ციხეკარში“ დასტამებული რომანით წარმოგვიდგა და მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ავთანდილ ვალდავაძის „ძრწოდელ მღევართა შიშით“ ქართველი მწერლების მიერ ამ ბოლო დროს შექმნილ რომანებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო და საყურადღებოა.

გარდა იმისა, რომ ავტორი შესაინშავად ფლობს ცხოვრებისეულ მასალას და ნებისმიერი ტრანსფორმირების გზით ადვილად უპირჩინებს თავის ჩანაფიქრს, მას თვალშისაცემი ლექსიკური მარაგი, ილიომატური მეტყულების საოცარი უნარი და პერსონაჟის სახის კლორიტულად გამოშვების ნიჭი გააჩნია.

რომანი კომპოზიციის მკაცრი არტახებითაა შეტარული და ერთ ადგილზე კი არ იტყეება, არამედ აღმავალი ხაზით ვითარდება და ჩენ, მკითხველები, მოწმე და მონაწილე ვხდებით ნაწარმოების ფურცლებზე გაშლილი კოლიზებისა. თხრობა ძველი ხონის ფონზე მიმდინარეობს. მკვლელთა, მეუნაგირეთა, ფეაქართა, მედუქნეთა, სამღვდელთა პირთა, მედილიენთა და სხვათა და სხვათა ტრადიციული ქალაქი, ხონი ოდესღაც ვაკე იმერეთის სავაჭრო ცენტრი, დიდი გზაჯვარედინი, ასე ცოცხლად და ხელშესახებად, ასეთი დიდი სიყვარულთა და შეფარული სევდით არა მგონია ჩვენს მწერლობაში ჭერ ვინმეს დაეხატოს. ამას თამამად ვამბობ და ნათქვამს იმისაც დავუმატებ, რომ ავთანდილ ვალდავაძემ ის ავტორია, ვისი მწერალთა კავშირში მოწვევა გვმართებს, რათა ჩვენს პოეტურსონალური ჰაზრს წამაშალა ვუთხრათ და მწერლობის დიდ გზაზე შედგომა მივულოცოთ.

ლიტერატურული წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმჩნეა ოთარ ჭილაძის ახალი რომანის „რკინის თეატრის“ გამოქვეყნება ურნალ „ციხეკარის“ პირველ ოთხ ნომერში. ეს ის რომანი გახლავთ, რომლის გარშემოც მომავალში ბევრი დაიწერება, მაგრამ ჭერჭერობით, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენში, ბაიბური არ ისმის, თითქოს არაფერაც არ მომხდარყო. არა და მოხდა, მნიშვნელოვანი, მრავალმხრივ საინტერესო და თვით მწერლის ბიოგრაფიაშიც კი თვისობრივი სიახლით აღბეჭდილი რომანი გამოქვეყნდა.

რამა ეს სიახლე? უპირველეს ყოვლისა, იმ დიდი სოციალური ძვრების ასახვაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საუკუნის პირველ ორ ათეულ წელიწადში მოხდა და იმ ფორმაში, რომელიც მწერალმა თავისი საოქმედი მოაქცია.

ეს ჩემი უკანასკნელი წინადადება ამთავით-

რეპაზ ჯაფარიძე

„ცინკარი“ 1981 წელს

ვე კორექტივებს საჭიროებს: ოთარ ჭილაძეს მიზნად არ დაუსახავს ჩვენს ქვეყანაში მომხდარი სოციალური ძვრებისა და გარდაქმნების ამსახველი ენაობრივი ტილო შექმნა. მისი ამოცანა სულ სხვა იყო. ზემოთხსენებული ისტორიული მოვლენები მან სწუენ მასალად გამოიყენა, რათა უფრო განზოგადებული სურათი მოეცა და ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო საზოგადოებრივ წყობასთან თავისი დამოკიდებულება დაემყარებინა. ამ უაღრესად საჭირობოროტო მიზნის მისაღწევად ჩვენს საუკუნის დამდეგის და პირველი ორი ათეული წლის სოციალური კლდისწინები, ცარისტული იმპერიის ხოციალური და ზნეობრივი კრიზისი საუკეთესო მასალას იძლეოდა და მწერალსაც ამ მასალას მიმართა.

გაზეო, რომელშიაც რომანის კმირები მოქმედებენ, მათთან ერთად რეალური ისტორიული პირებიც შემზარავია თავისი პუნებით. შემზარავია უწინარეს ყოვლისა იმ ძალმომრებით, რამელსაც ერთნი, დმერთისა და მეფის სახელთ ახორციელებენ მეორეთა მიმართ. მიდის, მდინება ისტორიის მღვრიე პდინარე და მან კრიალტრიალით, წაღმა-უყულმა, როგორც ნატურები, ან როგორც ძირფევიანად მოთხრილი ტები, მაქვს ადამიანთა ბედ-ვიანბლი. უველაზე საუკეთესონი მათ შორის — თბილისელი მსახიობი და მისი შვილი გელა, ბუნებით მგამბოხნი, ვისი ფილტვებიც ვერ უძლებენ ირგვლივ გამეფებულ სიმპრალეს, უთანასწორო ბრძოლაში იღუპებიან. იღუპებიან თვით ერის მამა, დიდი ილია ჭავჭავაძე, მოკლული მტარავლის ტუვიით. ქვეყანას გაქნილი, ათასი ნემსის უუნწში გამძვარალ-გამომძვარალი, პირმოთენ და სულმდაბალი პოლიციებისტერი და ხლდაფონი ვეზირიშვილი განაგებენ, ცხენზე ამხედრებული წამდაუწუმ რომ გაიძახის, მაქვს პატავი, მაქვს პატავიო. ისინი წარმოადგენენ ჭოხის დისციპლინაზე დამყარებულ მთელ პოლიციურ სახელმწიფოს, რომელიც მომაკდენიბებელი შხამით წამლავს და კლავს უოველივე ადამიანურს. უოველივე ამალეებულსა და სუფთას ადამიანის სულში. ადამიანები კარგავენ თავიანთ ადამიანურ სახეს და დღითიდღე ბინძურ ჭაობში ეფლობიან. საზოგადოება უფსკრულისაკენ მიეჭანება. მისი დამსხვრევა გარდაუვალია.

ოთარ ჭილაძემ უდიდესი ძალით გვაჩვენა ეს ტრაგეში, რომელიც ძვალ-რიბილში გასქდლომია დღევანდელ მსოფლიოს და მას გასრესით ემუქრება.

მე არ ვპირებ რომანს დამწერლებით შევებო, მისი უველა პერიპეტია ვანვიხილო. ეს, ალბათ, მომავლის საქმეა, აქ მხოლოდ დედააზრს შეეეხე, სიტყვა რომანის დიდ ტრაგიკულ ელერადობაზე ჩამოვადგედ.

მაგრამ მით აღწევს უოველივე ამას მწერალი? რით ხასიათდება მისი წერის მანერა? რა სახელე შემოაქვს მწერლობაში? აი, ამ კითხვებს კი

შედლებისდაკვალად უნდა ვუპასუხო და თუ ეს შედეგელი, მაშინ ჩემს მისიას აღსრულებულად ჩავთვლი.

ოთარ ჭილაძის პროზა მე თხრობით პროზად, განსჯის პროზად მიმაჩნია. აქედან მომდინარეობს მისი სიმძიმე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ათვისების სინდნელიც. მახსოვს, ბესო ელენტი ამბობდა, როდის აქეთაა, კაცო, რომ მოწუწენილომა, წიგნის კითხვისას რომ გეუფლება, ამ წიგნის ღირსების ნიშნად გამოაცხადებს. ამ სიტყვებს ბესო ელენტი ოთარ ჭილაძის მიმართ ამბობდა და ნურავინ გაიკვირვებს თუ ვიტყვი, რომ ის ნაწილობრივ მართლიც იყო: დიბ, ნაწილობრივ, რადგან ოთარ ჭილაძის წაკითხვა, მისი სტილის მიღება, ურთულეს ასოციაციურ ბილვებთან გამჭვლევა ადვილი საქმე არ არის. ეს დამატებით ძალებს და გონების საგანგებო დაძაბვას მოიხზავს. მკითხველი, ვისი გონებაც სხვაგვარად არის მომართული, სხვას მიეღობს, აქ კი სხვა წერის. ოთარ ჭილაძე მას აიძულებს თავის თავიდან გამოვიდეს და ახალ გრძნობად სამყაროს შეეკიდოს. მაგრამ მკითხველში დიდია ინერციის ძალა, მით უფრო ხანდაზმულ, ლიტერატურაში გამოჩეილ მკითხველში და იმას, რაც არ უნდა გავიგოს, რაც თავისი ბუნების, ინერციის საწინააღმდეგოდ მიაჩნია, მწერალს თავისებურებად კი არა, ნაკლად უთვლის.

რალა დაგიმლოთ, მეც ძალიან გამიჭირდა, გამიჭირდა, სანამ ბოლომდე გავიდოდი, გამიჭირდა ბევრად უფრო, ვიდრე რომელიმე კრიტიკოსს, ვინაიდან თავდაც პროზაიკოსი ვარ და საკუთარი მწერლური მრწამსის ინერციას მივეყვები, მაგრამ, მიუხედავად უველფერისა, არ შემიძლო არ მეგრძნო რომანის ატოკის დიდი ძალა, მისი რწმენის სიმძაბრე, ტრაგიკულ უკიდურესობამდე მისული სულსკვეთება.

ზევით ვამბობდი, ოთარ ჭილაძის პროზა სხრობითი, განსჯის პროზაა-მეტოქი. არავინ იფიქროს, თითქოს ამით მის დამდაბლებას ან ამაღლებას ვპირებდა. ჩემის აზრით, ეს მისი თავისებურებაა. როდესაც რომანს ვკითხულობდი, მე ისეთი შთაბეჭდილება მეუფლებოდა, რომ ეს იყო არა წიგნი ცხოვრების შესახებ, არამედ წიგნი წიგნის შესახებ, წიგნი იმ წიგნის შესახებ, რომლის საფუძველი ცხოვრების მკაცრი სინამდვილეა. მაგრამ ეს წიგნი-საფუძველი, წიგნი-სუბსტანციაც თვით ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის, თუმცა იგი ბუნებაში არ არსებობს. „რკინის თეატრი“ თითქოსდა განიხლავს წიგნი-სუბსტანციას, ახასიათებს მის გმირებს, მათი ცხოვრების უოველ ნაბიჯს, სიტყვებს, რაც არაარსებობთად მიაჩნია, განსჯის მოვლენებს, მათი ზემოქმედების სხვადასხვა ვარიაციას. მაგრამ დროდადრო თხრობა-განსჯა წუდება, თითქოსდა ნისლი იფანტება და წიგნი-სუბსტანცია, როგორც ზღვის ტალღებით დაფარული წყალქვეშა ნავი ან აისბერგი, თვით ამოღის ზედაპირზე და მა-

შინ ჩვენ უშუალოდ აღვიქვამთ სინამდვილეს, სუბსტანციისმიერ სინამდვილესა და მკითხველს შორის უშუალო კავშირ-ურთიერთობა მყარდებდა.

არ ვიცი, რამდენად ზუსტია ჩემი დაკვირვება ოთარ ჭილაძის სტილზე, ხატვა-ძერწვის მიხედვლ მანერაზე, მე მხოლოდ ის მინდოდა, ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილება გადმომეცა და წამოჭრილ კითხვებზე ჩემი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე პასუხი გამეცა.

საერთოდ, რომანი „რკინის თიატრი“, ჩემი ღრმა რწმენით, ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში და ის ყოველთვის დაამშვენებს ჩვენს ლიტერატურას.

რაკი ეურნალს განვიხილავთ, უმართებულო იქნება, შინაარსობრივ მხარესთან ერთად მისი გაფორმების ტექნიკური მხარეც არ მოვიხსენიოთ. ეურნალში, სამწუხაროდ, ბევრი გვხვდება კორექტურული შეცდომები, რაც ადრე ძალზე იშვიათად შეიმჩნეოდა. ეტყობა, ანაბეჭდებს განუფილებებსა და სამდივნოში არ კითხულობენ, არც ზოგიერთი ავტორი იწუხებს თავს, საბეჭდ მანქანაზე გასვლის წინ თავისი ნაწარმოები ერთბაშად კიდევ წაიკითხოს და საქმე, ასე დიდი მასალის კორექტურის წაკითხვა მარტო კორექტორებზეა მიგდებული.

გადაშალეთ ეურნალის მე-10 ნომერი. 188-ე გვერდზე პროფესორ იოსებ მეგრელიძის მოგონებაში ვკითხულობთ: „დიდმა მწერალმა საქებ

რეისორს (იგულისხმება სანდრო ახმეტელი. — რ. ჯ.) წიგნი შემდეგი წარწერით უსახსოვრა“: „შემდეგ ორი წერტილი და ვიბეა თეთრი ლაქა, 12 გამოტოვებული სტრიქონი.

ვერაფრით ვერ დავარქმევ ამას უურადღებია-ნობას და ზრუნვას ეურნალის გარეგნულ ფორმაზე.

მეორე ადგილას, ეურნალის მე-11 ნომერში, კიდევ უფრო დიდ კურონს წავაწყდი. დაბეჭდილია სერგო თურნავას წერილი „აკაკი შანიძე და დასავლეთ ევროპის მეცნიერები“. კოლონტიტულებში, უკლებლივ ყველა გვერდზე, „აკაკი შანიძის“ ნაცვლად ჩასმულია... „აკაკი წერეთელი“!

რა სურათი დაიხატა? როგორ გამოიყურება ეურნალი „ცისკარი“ და მის მიერ 1981 წელს გაწეული მუშაობა? დამაკმაყოფილებლად. გაგვეპარა რამდენიმე მდარე ნაწარმოები, მოგვივიდა რამდენიმე დასანანი შეცდომაც, მაგრამ ისიც ზომ ცხადია, რომ წლის განმავლობაში ეურნალმა ამდენი მნიშვნელოვანი, მაღალი ნიჭიერებით აღბეჭდილი და ღრმა აზრის შემცველი ნაწარმოები გამოაქვეყნა, რამდენ ახალ-გაზრდა, ნამდვილად იმედის მომცემ ავტორს დაულოცა გზა ლიტერატურაში.

მაშ, ახალი გამარჯვებები ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ ეურნალ „ცისკარს“ ახალ, 1982 წელს, 1988 წლის მიჯნაზე კიდევ უფრო ამაღლებული და ხელხვაიანი მისუღიყოს!



# ზურაბული

ნიკოლოზ ჯაფარიძე

## სოციალისტური რეალიზმის გზით

ნახევარი საუკუნის წინათ, 1982 წლის 28 აპრილს, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა სოციალისტური მშენებლობის საგრძნობ წარმატებათა საფუძველზე უკანასკნელ წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდა.

წლების პირველ წლებში, როდესაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჭერ კიდევ იგრძნობოდა უცხო ელემენტების საგრძნობი გავლენა, ხოლო პროლეტარული ლიტერატურის კადრები ჭერ კიდევ სუსტნი იყვნენ, პარტია ყოველნაირად უწყობდა ხელს განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში წათე პოზიციების განმტკიცებას.

1982 წლისათვის, როდესაც უკვე აღიზარდნენ პროლეტარული ლიტერატურისა და ხელოვნების კადრები, დაწინაურდნენ ახალი მწერლები და მხატვრები ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნოებებიდან, არსებულ პროლეტარულ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა ჩარჩოები აღერებდა მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას.

ამის გამო საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ლიკვიდირებულად გამოაცხადა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და ანალოგიური ცვლილებები გაატარა ხელოვნების სხვა დარგებშიც.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა მხატვრული ინტელიგენციის გაერთიანება ერთიან შემოქმედებითს კავშირებში.

საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 28 აპრილის დადგენილების განსახორციელებლად ლიკვიდირებულ ლიტერატურულ ორგანიზაციათა მწერლების დავალებით შეიქმნა საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი მაქსიმ გორკის თავმჯდომარეობით.

ქვეყნად განხორციელებულმა დიდმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა თავისი ასახვა ჰპოვეს მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ქართული საბჭოთა მწერლობის, ხელოვნების მუშაკთა წამყვანი ბირთვი აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში და თავისი მხატვრული ტილოებით განადიდებდა ახალი ცხოვრების მშენებელ საბჭოთა ხალხს, ეურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი ქართველი საბჭოთა მწერლის ოცამდე ნაწარმოები. ქართველ მხატვართა ნამუშევრები ფართოდ იყო წარმოდგენილი 1927 წელს მოსკოვში მოწუბილი დიდი გამოფენის („სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნება“) საქართველოს განუოფილებაში.

კულტურული რევოლუცია, როგორც მთელს ქვეყანაში, ისე კერძოდ, საქართველოში გიგანტური ნაბიჯებით იკაფავდა გზას, პარტია და მთავრობა არ ზოგავდნენ საშუალებებს ამ რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი თუ რა

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიების — ხელისუფლება ცხოვრებისათვის, ხელისუფლება მასებისათვის — ხორციუხსმას.

საქართველოში მწერალთა მეორე კრილოვამ განხორციელა ღონისძიებანი მწერალთა კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის თაობაზე, დაარსდა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია, რომელშიც დამარსებელ წევრებად შევიდნენ ზუთივე არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები.

იქის მიუხედავად, რომ შეიქმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია, იგი ბუტაფორული იყო, სერიოზული ნაკლოვანებები გაჩნდა, რაზედაც მკაცრად იმსჯელა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის IV პლენუმმა (1980).

ოციანი წლების ბოლოსათვის განსაკუთრებით გაძლიერდა ხელოვნათა ძალების სწრაფვა გაერთიანებისაკენ, კარჩაქეტელ ჭკუფობრიობისაგან განდგომა. ასეთი სწრაფვა იგრძნობოდა მკაცრად რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში. უფრო მჭიდრო გახდა მოკავშირე რესპუბლიკების სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების შემოქმედებითი კონტაქტები. 1925 წელს გაიმართა პროლეტარულ მწერალთა სრულიად საქავშირო პირველი კრილოვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 რესპუბლიკურმა, მრავალმა საოლიო სალიტერატურო ორგანიზაციამ, შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების სრულიად საქავშირო გაერთიანება.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციები ცენტრირდნ და ადგილებზე მონაწილეობდნენ იმდროინდელ დისკუსიებში. პირველ ხანებში რაპი პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით იცავდა მხატვრულ შემოქმედებაში კომუნისტური პარტიულობის პრინციპს. მან აგრეთვე დიდი როლი შეასრულა ტროცკი-ვროსნის კაბიტულანტური თეორიის წინააღმდეგ ლიტერატურა-სა და ლიტერატურათმცოდნეობაში, პერვერ-წევის მენშევიკური კონცეფციის, ლიტერატურის ლიკვიდატორულ დებულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ჭკუფო ოციანი წლების ბოლოს სცემდა თურნალებს „ნა პოსტუ“ და „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“, რომელთა ფურცლებზე გამოწეწავდა გარკვეული თვალსაზრისი ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე. თურნალების ორგვლე შემოკრებულ მწერალთა მოძრაობას მათი სახელწოდების მიხედვით „ნაოსტოველობა“ და „ნალიტპოსტოველობა“ დაერქვა. იბრძოდნენ რა პროლეტარული ლიტერატურის შექმნისათვის, ე. წ. ვორონიხის, „პერვერ-წევნიხისა“ და ლიტერატურის წინააღმდეგ, „ნაოსტოველებმა“ და „ნალიტპოსტოველებმა“

ოკით დაუშვეს სერიოზული შეცდომები. ლელები გამოხატებოდა თანამგზავრთა შემოქმედების შეუფასებლობაში, ბუტუფაიულ მწერლებთან მათ გაიგებებაში, ლიტერატურის ხელმძღვანელობაში მიშველ ადმინისტრაციულობაში და ა. შ.

ლიტერატურულმა დისკუსიამ პროლეტარულ მწერლებს შორის მძაფრი ხახათი მიიღო. კამათი წარმოებდა შემდეგ საკითხებზე: ა) შესაძლებელია თუ არა პროლეტარული ლიტერატურა, ბ) როგორია პარტიული პოლიტიკა ლიტერატურაში, გ) დამოკიდებულება ბუტუფაიულ და წვრილბუტუფაიულ მწერლებთან. „ნაოსტოველები“ უთუო მართლნი იყვნენ, რომ დისკ კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ პროლეტარული ლიტერატურა ფაქტია, იგი იზრდება და მას ეკუთვნის მომავალი.

საკითხი პროლეტარული ლიტერატურის შესახებ დაუკავშირდა პროლეტარული კულტურის კლასობრიობის, კულტურული რევოლუციის გაგების, პროლეტარული ლიტერატურის პეგემონის საკითხს. „ნაოსტოველებს“ მოწინააღმდეგენი იცავდნენ თეზისს, რომლის თანახმად ხელოვნება იძლევა ობიექტურ ქეშმარტებას, ისევე როგორც მეცნიერება. ლიტერატურული დისკუსიის დროს ბრძოლა წარმოებდა აგრეთვე ა. ბოგდანოვის მექანიკური თეორიისა და კარჩაქეტილი ლიტერატურული მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და დასრულდა იმით, რომ პარტიამ 1925 წლის ცნობილ რეზოლუციაში სასტიკად დაგმო ვოროსნიხი, ამვე დროს გააკრიტიკა, „ნაოსტოველებს“ შეცდომები. „ნაოსტოველთა“ უმცირესობამ, არ აღიარა თავისი შეცდომები და გადაწყვიტა ძველი ზნის გაგრძელება. „ნაოსტოველური“ გავლენა საქართველოში თავდაპირველად იგრძნობოდა პროლეტარულ ლიტერატურაში, რომლებიც ებრძოდნენ პროლეტარულ მწერლობაში „კუწნიცას“ ტენდენციებს. პარტიულ „ნაოსტოველური“ ზანის დამცველებად გამოდიოდნენ კრიტიკოსები: ბ. ბუაჩიძე, ვ. ლუარსაშიძე, პ. ქიქოძე, დ. კონდელი, ა. სულავა და სხვები, რომლებმაც თავიანთ წერილობით გამოსვლებში ახარეთ შეცდომა დაუშვეს.

საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაცია ოციანი წლების ბოლოს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში წარმოადგენდა კულტურის რაპის ფილიალს და ისევე როგორც რაპი ამახიწებდა პარტიის პოლიტიკას, კარგული რაპელები განსაკუთრებით თავს ეხმოდნენ ძველი თაობის წარმომადგენლებს. რაპელები ნიშლისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ პარტიული კლასიკური მწერლობის შეფასებისას.

ნიკოლოზ ჯაში  
სოციალდისტური რეალიზმის აზრით

რამაც გარკვეული როლი ითამაშეს ფ. მახარაძის მცდარმა შეხედულებებმა ამ საკითხზე. კლასიკოსი მწერლებისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ უთუოდ ხელი შეუწყო იმას, რომ „ნაპოსტოველებს“. რაპქელების „თორიები“ თავისუფლად ბოგინობდნენ იმ პერიოდის ქართულ საბჭოთა მხატვრულ კრიტიკაში. ეს კრიტიკა გამოირჩეოდა მეყვარალა ფრანგებით, სენსაციურობით და თუმცა მასში იყო ცალკეული, სწორი დებულებები, ადგილები, მაგრამ ქეშმარიტი და მცდარი აზრი ერთმანეთში იყო გადახლართული, ეს კი საგრძნობლად აფერხებდა მხატვრული კრიტიკის, ესთეტიკური აზროვნების განვითარებას.

საქმარისი იყო ამა თუ იმ მკვლევარს კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაში დანახა „სამშობლოს სიუვარული“, „პატრიოტიზმი“, „ერის წყუხარება და ადტაცება“ და ა. შ. რომ ქართველი რაპქელები მათ მყისვე „ნაციონალისტებს“ უწოდებდნენ.

იმ დროის ქართულ საბჭოთა პერიოდის თუ გადაჯვლებთ თვალს აწკარად თვალში გვიცემა ლიტერატურათმცოდნეების ს. ხუნდაძის, გ. თავჯარაშვილის, ვ. ხუროძის, ლ. ასათიანის, თ. ბეგიაშვილის და სხვათა მისამართით გამოთქმული მძაფრი და გამკილაგი კრიტიკა. რასაკვირველია დახსენებულ ავტორებს გაჩნდათ შეცდომები, მათ შორის მეთოდოლოგიური ხასიათისაც, მაგრამ თვით კრიტიკის ტონი იმდენად მეყვარალა, სენსაციური იყო, რომ ძნელი იყო რაიმე დასკვნის გამოტანა.

ქართველი რაპქელები იმდენად გაიტაცებოდნენ სოციალ-ფედერალიზმის რეციდივების წინააღმდეგ, რომ თვითონვე უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული მწერლობის პერიოდიზაციას, რომელსაც თავიანთ შრომებში გვთავაზობდნენ ე. კეტილიძე, ა. ხაჩანაშვილი, ვ. კატერჯიშვილი, გ. თავჯარაშვილი, შ. რადიანი და სხვა ლიტერატურათმცოდნეები, რაპქელები მცდარად და რეაქციონურად სთვლიდნენ იმის გამო, რომ ლიტერატურის ისტორია დაყოფილი იყო „ძველი“, „უძველესი“, „ახალი“, „უახლესი“, „თანამედროვე“ ლიტერატურებად.

რაპქელები ვულგარიზმის იდეების გავრცელების ერთ-ერთ ფართო ტრიბუნას ჩვენს რესპუბლიკის სინაღდელიში იმ დროს წარმოადგენდა გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“, რაზედაც უურადღება გამაზავილა საქართველოს კომკავშირის XI ყრილობამაც.

გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“ ამ პერიოდის ნომრებში დასტამებული მასალები საკნებით მცდარი როლი იყო, ისინი უთუოდ შეიცავდნენ ქეშმარიტებას. თვისი, რომლითაც ხელმძღვანელობდა რედაქცია სწორი იყო და გულისხმობდა ლიტერატურაში ლენინური ეტაპისათვის ბრძოლას, სწორი ეს უკანასკნელი წარმო-

უდგენილი იყო ესთეტიკური იდეალისტური თეორიებისა, და სისტემების დასაბუთებულ, არგუმენტირებული კრიტიკის გარეშე, მათი დაძლიების, გამოსწორების მიზნით, აგრეთვე ახალგაზრდა მარქსისტი კრიტიკაების შეცდომებს თვითკრიტიკის გარეშე, მაკრამ თვით მეთოდს, ხერხს ამ კრიტიკისას ავანგარდისმის, კომპრომისის იდეური დაპყრალა, იგი გახვეული იყო ვულგარიზმის სამოსელში და სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. ამიტომ შემთხვევითი როლი იყო, რომ გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“ თავისი ტენდენციური კრიტიკული გამოსვლებითა და ზოგჯერ გამოხდომებით დაუპირისპირდა საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის ორგანოს ეურნალ „პროლეტარულ მწერლობას“, „თანამგზავრ მწერლებს“, ეს კი თავის მხრივ ხელს არ უწყობდა ქართველ მწერალთა და ესთეტიკოსთა ძალიების კონსოლიდაციას, ქმნიდა ჭკუფობრიობისა და კარჩაქეტილობის საშიშ და მავნე ტენდენციებს.

სწორედ გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“ ეურცილებზე იმდენ მონათლული ქართველი პოეტები ი. გრიშაშვილი და ა. აბაშელი, გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი შ. ჭავჭავაძე — რეაქციონერ მწერლებად! ს. შანშიაშვილი — კულაკურ მწერლად და ა. შ. გავრცელების ასეთ გამოსვლებს ხელს უწყობდა აგრეთვე ვ. ლუარსაბიძის, ა. სულავას, ე. მელაძის, ბ. ბუაჩიძის, პ. ქიქოძისა და სხვათა კრიტიკული მოდვანობაც.

ქართველი რაპქელების, „ნაპოსტოველების“ გამოხდება განსაკუთრებით მძაფრად გამოავლინა ფრ. ნაროუშვილი, როდესაც გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოაქვეყნა ნაწყვეტი პოემიდან „თავადი ძლია ქაჭკაჭაძე“, რომელშიც დიდ მგონას „უფოდალ კლასიკს“, „უფოდალს“, და სხვა დამამიტირებელი ეპითეტები ამკობდა.

ეპითეტები, რომლებითაც ფრ. ნაროუშვილმა „შემაკო“ დიდი ქართველი კლასიკოსი, ქეშმარიტად გულწმინგარვი და აღმაშობელი იყო და შემთხვევითი როლია, რომ ამ „მხატვრული“ ნიმუშის გამოქვეყნებამ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის დიდი გულისწურობა და სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, ლექსის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ქართველმა მწერლებმა შ. ჭავჭავაძე, ვ. გამსახურდიამ, კრიტიკოსმა ბ. ბუაჩიძემ, მწერლებმა ა. მაშაშვილმა, ე. ლორთქიფანიძემ, პ. საყვარელიძემ, ეურნალისტებმა, მეთხველებმა, მათ შორის გავრცელებული „ფოთის მუშის“ მუშა-კორესპონდენტმა და სხვებმა, რომლებმაც დაფინებით მოითხოვეს აღკვეთილიყო ეს სისაძაგლე. ლექსის გამოქვეყნების გამო საზოგადოებრივი აზრი და მისი რე-

იხ. გავრცელებული „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1932 წლის 3 თებერვალი, № 28.

ზონანსი იმდენად უარყოფითი და ძლიერი იყო, რომ ფრ. ნაროუშვილის მომხრეები იძულებულნი შეიქმნენ გამოსმაურებოდნენ ვრცელი სტატიით, ხოლო „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ ამ სტატიას შენიშვნა გაუკეთა, რომელშიც ვალდებულება იკისრა აღნიშნულ საკითხს სპეციალური წერილით შეხებოდა, თუმცა ეს დაპირება აღარ განაორციელა.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ დასაბამულ სტატიას „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“ („პასუხად ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ჰერისუფლებს“), ხელს აწერს თერთმეტი ამხანაგი, მათ შორის მწერლები ნოე ზომბერთელი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და თვით ფორილონ ნაროუშვილი, ის, ვინც მთავარი მიზეზი იყო ამ უნათი პოლემიკისა. ამით სტატიის ავტორებმა და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ დაარღვიეს პაექრობის ელემენტარული წესი და ეს გასაკვირი არ იყო, რადგან მთელი სტატიის დედაარსი იმაშია, რომ როგორმე გაამართლონ ილიისმწამებლური „პოეზიის“ ნიშნის ავტორი, თავიანთი რაკაპული პოზიციები.

თავის დროზე ქართველი „ნაპოსტოველების“, რაკაპელების, „მემარცხენე“ ლიტერატურელების ვულგარული შეცდომები კლასიკოსების შეფასებაში არ იქნა სათანადოდ გაკრიტიკებული, უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელმძღვანელმა მუშაკი ამ საკითხში „ახალგაზრდა ამხანაგების“ განსართლებლად საბუთებსაც კი პოულობდა.

1930 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ნაპოსტოველების“ ჭკუფის შეცდომების შესახებ, რაკაპელების ვულგარიზაცია იქამდეც კი მიდიოდა, რონ ისინი პარლემენტარულ მწერლობას აიკვებდნენ პარტიის წევრობასთან და ახიარებდნენ უპარტიო, არაკომუნისტ მწერლებს, ბევრ „თანამგზავრს“ მიეკრებულნი ჰქონდა „რეაქციონერის“, „მემარცხენის“ თუ „მემარცხენის“ იარღუი და ა. შ. სწორედ რაკაპელების ვულგარიზაცორულ შეხედულებებს გულისხმობდა ი. ბ. სტალინი, როდესაც 1929 წელს ბოლ-ბელოცერკოვსკისადმი პასუხში არასწორად სთვლიდა თვით საკითხის დაუყენებს ბელოცერკის საფრაში „მემარცხენეთა“ და „მემარცხენეთა“ შესახებ.

1932 წლის 27 ივნისს გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ურილობა, რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 28 აპრილის დადგენილება და აღნიშნა, რომ ის დიდი ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებდა რუსეთის პარლემენტარულ მწერალთა ასოციაციას, მთელი სისრულით გამოშვავდა საქართველოს პარლემენტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობაში, რომ ამ დადგენილების შემდეგაც რესპუბლიკაში კვლავ გრძელდებოდა თანამგზავრი მწერლებისადმი „მემარცხენე“ ვულგარიზაცორული ანუ რაკაპული მიდგომა. უკვლავ საშიში გაუა-

ლებმა, რომელზედაც ურილობამ განსაკუთრებით მიუთითა იყო „მემარცხენე“ ვულგარიზაცორული მიდგომა კლასიკოს მწერლებისადმი. ეს მით უფრო საფულისხმო იყო, რომ ბევრს ეგონა თითქოს იგი შეესაბამებოდა პარტიის ხაზს, მის პოლიტიკას ქლასიკოს მწერლების მემკვიდრეობის შეფასების საკითხში.

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაობა ძალების შემდგომი კონსოლიდაციის საქმეში. დარწმუნება მწერალთა სრულიად საკავშირო პირველი ურილობისათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის უშუალო და აქტიური მონაწილეობით იმართებოდა შემოქმედებითი დისკუსიები ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ თეორიულ საკითხებზე. ასეთი შეხვედრები პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მონაწილეობით მოეწყო აგრეთვე შ. გორკის ბინაზე; მწერალთა ერთ-ერთ შეხვედრა-საუბრისას გორკის ბინაზე 1932 წლის 26 ოქტომბერს რიგი შენიშვნები გაკეთდა მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მწერალთა ძალების კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს პირობას შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებისა და უპარტიოთა ნორმალური ურთიერთდაშორებულება, რაკაპი ლიკვიდირებულ იქნა იმით, რომ იგი არსებობის უანასკნელ წლებში მოსწუდა უპარტიო მწერლებს, მათ უგულვებელყოფდა და შორდებოდა იმ დროს, როდესაც უპარტიო ლიტერატორები, ისევე როგორც კომუნისტები, აკეთებდნენ ერთ დიდ საქმეს, ემსახურებოდნენ პარტიისა და ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა ლიტერატურის მეთოდის თაობაზე გაჩაღებული დისკუსიის მსვლელობაში გამოიქვა არა ერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენი მწერლობის სახელმძღვანელო მეთოდია „პარლემენტარული რეალიზმი“, „მონუმენტური რეალიზმი“, „რეალისტური რეალიზმი“, „კომუნისტური რეალიზმი“, და ა. შ. ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“ პირველად გაჩნდა „ლიტერატურისა და ხელოვნების“ 1932 წლის 28 მაისის ნომერში იმ დროს საქაილად ვიცრელებულ და ლიტერატურაში შექანიურად გადატანილი ფილოსოფიური კატეგორიის („დიალექტიკურ-მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის“) საპირისპიროდ.

1932 წლის 29 ოქტომბერს საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე, რომელშიც მონაწი-

ნიკოლოზ ჯაში  
სოციალისტური რეალიზმის ზენი

ლობდნენ უფელა მოკავშირე რესპუბლიკის, ბევრი მხარისა და ოქლის წარმომადგენლები, სპეციალურად იხილებოდა საკიონი საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის შესახებ.

საქ.კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ დიდი როლი შეასრულა მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებაში, საბჭოთა მწერლების, მათ შორის ქართული მწერლების, ხელოვნების სხვა დარგის მემკვიდრე შემოქმედების მხატვრულ-იდეური დონის ამაღლებაში, საბჭოთა ესთეტიკური აზროვნების განვითარების საქმეში.

3. ი. ლენინი ვასწავლიდა, რომ უფართოესი სახალხო განათლება და აღზრდა შექმნის ნიადაგს კულტურისათვის, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენდება ნამდვილად ახალი, დიდი კომუნისტური ხელოვნება, რომელიც შექმნის თავისი შინაარსის შესატყვის ფორმას. სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში უაღრესად ზღვსაყრდელი პირობები შექმნა მოკავშირე რესპუბლიკებში ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისათვის.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი საქ.კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ცხოვრებას: სახალხო მებრუნეობის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შექიზებრა, ზუსტადედების ახალი მშენებლობაში, ქალაქების რეკონსტრუქცია და ამ პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, ქართული საბჭოთა მწერლობის, ხელოვნების, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წაშუვან თემებზე გადაიქცინა.

რომ შევადაროთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისა (1927) და 20 წლისთავზე (1947) ქართული საბჭოთა ლიტერატურებისა და მხატვრების მიერ შექმნილი ნაწარმოებები, აშკარად შეინჩნევა სერიოზული ძვრები როგორც შინაარსის, ისე მხატვრული ფორმის დახვეწის, სრულყოფის თვალსაზრისით. ქართველ ხელოვანთა პროფესიული ოსტატობის ზრდას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საბჭოთა მწერლების პირველმა სრულიად საკავშირო უროლობამ (1934 წლის აპრილში). უროლობაზე საბჭოთა ლიტერატურის პატრიარქმა მაქსიმ გოკომ მოუწოდა მხატვრული სიტუვის ოსტატებს თავიანთი წიგნების გმირებად გაეხადათ მშრომელი ადამიანი, რომელიც ახალ ცხოვრებას, ახალ ეოფას აწუნებს და მკმნის, „სოციალისტური რეალიზმი, — ამბობდა

მ. გორკი უროლობაზე, — ამკოდრუნეს ფას, როგორც მოღვაწეობას, როგორც შემოქმედებას, რომლის მიზანია — ადამიანის უძვირფასესი ინდივიდუალური მიდრეკილებების განუწყვეტელი განვითარება ბუნების ძალეზე მისი გამარჯვებისათვის, მისი ჭანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის, ამ დედა-მიწაზე ცხოვრების დიდი ბედნიერებისათვის, რომელიც თავისი მზარდი მოთხოვნების შესაბამისად სურს გადააქციოს მთლიანად, როგორც კაცობრიობის ერთ ოჯახად გაერთიანებული მშვენიერი ნაოსნაუდილოა“.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ მხატვრულ მეთოდად გადაიქცა სოციალისტური რეალიზმი, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს სინამდვილის მართალი, ისტორიულად კონკრეტული წარმოსახვა მის რეკლუციკურ განვითარებაში.

საბჭოთა მწერლების პირველ სრულიად საკავშირო უროლობას დიდი მნიშვნელობა მქონდა მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, მათ შორის ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. მან გააერთიანა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხების — ლიტერატურათა ძალები ერთიან მწერალთა კავშირში. დასახა ხალხთან, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ერთადერთი სწორი გზა, — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გზა, რომელიც ქვემარჩილად შემოქმედებით ატმოსფეროს მკმნის მათი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

1935 წლის ბოლოს ა. ს. პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით შეიქმნა სრულიად საკავშირო პუშკინის კომიტეტი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პრავდა“ 1935 წლის 17 დეკემბერს წერდა:

„დიდი პროლეტარული რევოლუცია პირველად ქეშმარტილად უქმნის პუშკინს 'ეროვნული რუსი კოეტიის, საბჭოთა ქვეყნის ხალხების დიდი პოეტის დიდებას. სსრ კავშირის ცაკის დადგენილებას პუშკინის კომიტეტის შექმნის შესახებ... უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს“.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ამახვილებდნენ უუარდებლას სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში მხატვრული ლიტერატურის კლასიკების მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე. გაზეთი „პრავდა“ ფართოდ გამოეხმაურა ი. ჭკავაძის დაბადების ასი წლის იუბილეს და მას: „დიდი ქართველი მწერალი და XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარესი მოღვაწე უწოდდა“.

პარტიის სახელმძღვანელო მითითებებმა, ა. პუშკინისა და ი. ჭკავაძის 100 წლისთავის

ფართოდ აღნიშნავს, გაზეთ „პრავდის“ ხარკ-  
დაქციო სტატიებში საბოლოო ლახვარი ჩასცეს  
მარქსიზმის ვულგარიატორების მივნი და სა-  
შისმ შეხედულებებს, ფართო გზა დაუსახეს  
წყვეტვარებს კლასიკოსი მწერლების შემოქმედ-  
ების, მსოფლმხედველობის სწორი, მეცნიერული  
გაგნისათვის.

მეტად საგულისხმოა, რომ საქავშირო კ(ბ)  
ცენტრალური კომიტეტის დადგენილების 50  
წლისთავი აღინიშნება იმ დროს, როდესაც ჩვე-  
ნი რესპუბლიკა ათი წელია ცხოვრობს სკკპ  
ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თე-  
ბერვლის ისტორიულ გადაწყვეტილების კე-  
თილნაყოფიერი ზეგავლენით.

უკანასკნელ ამ წელიწადში საქართველოს  
პარტიული ორგანიზაციების მიერ გაჩაღებულმა  
პრინციპულმა ბრძოლამ პარტიის თბილისის კო-  
მიტეტის გამო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის  
ცნობილი დადგენილების ხორცშესახსმელად,  
ღრმად მოიცვა ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრ-  
ების უსტებლივ ყველა უბანი, მათ შორის იდეო-  
ლოგიური დარგიც. მთელი საქართველოს  
მშრომლებთან ერთად ჩვენი მხატვრული ინ-  
ტელიგენცია მხარში ამოუდგა პარტიას და თა-  
ვისი შემოქმედებით, როგორც არასდროს, მჭიდ-  
როდ დაუკავშირდა დღევანდელობის მოთხო-  
ვნებს, მასების გულისთქმასა და მისწრაფებებს.  
ბოლო წლები აღინიშნება პართული საბჭოთა ლი-  
ტერატურისა და ხელოვნების დიდი აღმავ-  
ლობით, მხატვრული სიტყვის ოსტატების, მხატ-  
ვრების, თეატრისა და კინოს, მუსიკის ახალი  
წარმომადგენლებით, რომელთა თემა და წამყვანი  
ხაზია ეპოქის სულისვეთება, დროის აქტუალუ-  
რი პრობლემები, ისინი ხელს უწყობენ ახალი  
ადამიანის სწორ აღზრდასა და მარშონიულ გან-  
ვითარებას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცი-  
ის გამოუმუშავებას.

„მხატვრული ინტელიგენცია — „ხუთწლედს“,  
„პართული მწერლები ხუთწლედის მხარდა-  
მხარ“ — ეს დროებითი, მხოლოდ კონკრეტუ-  
ლად მეთერთმეტე ხუთწლედისათვის განკუთ-  
ვნილი დევიზი როდია, იგი ვაკილებით მეტს გუ-  
ლისხმობს, უწინარეს ყოვლისა კი ნიშნავს, იმას,  
რომ შემოქმედი ადამიანი დღენიადაც ცხოვრ-  
ების შუაგულში უნდა ტრიალებდეს, თავისი საქ-  
მით, პროფესიული მოწოდებით ათლიანად და  
სავსებით უსასუხებდეს მასების ინტერესებს,  
სამშობლოს შემდგომი წინსვლისა და აყვავების  
ადიდ ამოცანებს.

სკკპ XXVI ურილობაზე ითქვა, რომ „...უი-  
დობის გამოკვინებას, მსოფლმხედველობრივ  
განურჩევლობას, ცალკეულ ისტორიულ მოვლე-  
ნათა და ფიგურათა მკაფიო კლასობრივი შეფა-

სტისაგან გადასვებას, შეუძლია წიანი მიაყენოს  
თვით უნიკიერეს ადამიანთა შემოქმედებას...  
პარტია არც ყოფილა და გირც იქნება გულგრი-  
ლი ჩვენი ხელოვნების იდეური მიმართულები-  
სადმი“.

საკათველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის  
50 წლისთავის ზღიზე, რომელიც წამოყვანილ  
შირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის ტრეშარიტ  
დღესასწაულად გადაიქცა, სკკპ ცენტრალური  
კომიტეტის გენერალურმა მდიანმა, სსრ კავში-  
რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო-  
მარემ ლ. ი. ბრეენემა 1981 წლის 22 მისს  
თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა:

„სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სა-  
ქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალური  
მეგობრობის ატმოსფერო სუფევს, პართული-  
ბი და რუსები, აფხაზები და უკრაინელები,  
ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძენ-  
ები და ქურთები — სამოცდაათე მეტი ეროვნე-  
ბის წარმომადგენლები, ერთმანეთის მხარდა-  
მხარ იღვწიან რესპუბლიკისა და მთელი საბ-  
ჭოთა ხალხის საკეთილდროედ. თქვენი რესპუ-  
ბლიკის გამოცდებმა კიდევ ერთი დამაჩრებე-  
ლი დასტურია ჩვენი პარტიის ლენინური ეროვ-  
ნული პოლიტიკის სისწორისა.“

შემდეგ ამხანაგმა ლ. ი. ბრეენემა თქვა, რომ  
საბჭოთა საქართველოს ლიტერატურასა და ხე-  
ლოვნებაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომ-  
ლებმაც გაამდიდრეს მრავალეროვნული საბჭოთა  
კულტურა, განსაკუთრებული აღმავლობით აღი-  
ნიშნა უკანასკნელი წლები. აქ, როგორც ჩვენი  
პარტიის ლიდერმა წენიშა, თავის როლს ახრუ-  
ლებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელ-  
მაც კულტურის ოსტატებთან მუშაობაში მიაგნო  
სწორ ტონს, ემხარება მათ და აქტიურად უწყ-  
ობს ხელს შემოქმედებითს ძიებაში.

70-იანი წლებიდან განსაკუთრებული აღმავ-  
ლობა შეინიშნება პართულ ლიტერატურასა და  
ხელოვნებაში. პართული მწერლები და მხატვრე-  
ბი მხარში უდგანან პარტიას იმ დიდ ბრძოლა-  
ში, რომელსაც ეწევა საქართველოს კომპარ-  
ტია სახალხო მეურნეობისა და კულტურის უვრ-  
ლა ფრონტზე. ისინი დგანან „ცეცხლის ხაზზე“,  
ხუთწლედის მხარდამხარ იბრძვიან. როგორც  
მოკალაქენი და მხატვრები, აქტიურ როლს ას-  
რულებენ იმ „წენობრივი ეჭანასალებს“ პრო-  
ცესში, რომელიც ათი წელია ხორციელდება  
პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შე-  
ხახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის  
22 თებერვლის დადგენილების შესასრულებ-  
ლად.



სვიმონ გამსახურდია

## კვლავ გიორგი სააკაძის შესახებ

წარმომდგენილი სტატიით გიორგი სააკაძის წესებზე დაფიქრება ჰქონდა ლინჯილიას ნაშრომზე განაპირობა, რომელიც ადრე წერილების სახით, ხოლო 1980 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

ჩვენი მიზანია განვამტკიცოთ და განვავსოთ ავტორის ნაწარმი, რამდენადაც იგი მართებულად მიგვაჩნია. ვერ ვიტყვით, რომ ჰ. ლინჯილიას წიგნი უნაკლოა, მაგრამ იგი საერთოდ იმდენად მართებული კვლევითაა წარმოდგენილი, რომ ნაკლოვან მხარეებს ფარავს. ვფიქრობთ, არც იმის განცხადება იქნება ზედმეტი, რომლითაც ამ წიგნის გადამუშავებისა და ფართო მკითხველისათვის უფრო მისაწვდომი თხრობით ხელშეწყობა გამოცემის სურვილს გამოვთქვამთ. ასეთი განცხადების საფუძველი ისაა, რომ დაღდაბლო, როდესაც ისტორიულ მეცნიერებათა კვლევამ და საზოგადოებრივმა აზრმა გიორგი სააკაძის პიროვნების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს და საქართველოს მიწაზე მორატულ უკველ სულიერს უნდა გააგებინოს თუ რა ღვაწლი მიუძღვის გიორგი სააკაძის ქართველი ერის გადარჩენის საქმეში. ამას იმიტომაც ვაცხადებთ, რომ ხშირად საქმეში ჩაუხედავი ერთდირბული პიროვნებაც კი უკველ აუფს მოგახსენებთ ქვეყნისათვის თავდადებულ ისეთ ეროვნულ გმირზე, როგორცაა გიორგი სააკაძე.

სადღაც არაა, რომ წარსულ დროთა პიროვნების დახასიათებისას, უპირველეს, მისი სოციალური გარემო უნდა განვიხილოთ. უნდა დავაშუსტოთ, თუ რა სოციალური წრისადაც აღმოცენდა იგი და რა სოციალურ წრეში მოუხდა მოღვაწეობა. სოციალური წარმოშობა და გარემო, უმეტეს შემთხვევაში, პიროვნების მსოფლმხედველობისა და მოქმედების განმსაზღვრელიცაა. ამ მხრივ ჩვენს უურადადებს „მსახურეული აზნაურების“ სოციალური წრე იქცევს. მსახურეული აზნაურობის სოციალური ფუნა ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობათა პირშოა და იგი უკვლავს განჩნდა, სადაც კი ფეოდალიზმი დასუარდა. ამდენად, ამ სოციალური ფენის გა-

ჩენა ფეოდალურ ურთიერთობათა ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანთვისებაა. ასე იყო ეს ევროპაში, რუსეთში, საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების პროცესში.

XI-XII სს. საქართველოს „პატრონობის“ ბუნების განხილვისას, რაც ამ პერიოდის სოციალურ-უფლებრივი წუობილების ქვაკუთხედად მიიჩნევა, ივ. ჯავახიშვილი უურადადებს აქცევს „შეწყალბულის“ შინაარსისა და მნიშვნელობის გარკვევას. (ქართ. სამართლის ისტ. წ. II, ნაკვ. I, თბ. 1928. გვ. 68) „შეწყალბული“ გარკვეულ პატრესა და მოქებას აღნიშნავდა და უფრო სამოხელეო სამსახურში იჩენდა თავს, რაც ორგვარი წესით ხდებოდა — „ახლად დალოცვითა“ და ზოგათთვის „მიმატებითა“. „დალოცვა“ თან ხდებდა „უყველი მოხელეობის მიმოქებას; როდესაც ვისმე თანამდებობას უმოქებადნენ, მას ამ მოხელეობაზე „დალოცავდნენ“ და თანაც საპატიო მამული გადაეცემოდა ხოლმე. „საპატიო მამულები გაიცემოდა გარკვეული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, განსაკუთრებული გულმოდგინებით „უმებრივი სამსახურისათვის“. უმები „პატრონისათვის არა მართო ქონებრივად, არამედ როგორც სამხედრო ძალა იყვნენ საინტერესონი. ისინი მუდამ პატრონის თანმდებნი იყვნენ, მაგალითად, „აზნაური თანამყოლი“, რომლებსაც მისი დაცვა ევალებოდათ, ომის დროსაც თან ახლდნენ და „პატრონის“ გვერდით იბრძოდნენ. „პატრონის“ წინაშე დამსახურება გარკვეულ „შეწყალბას“ გამოიწვევდა ხოლმე. ივ. ჯავახიშვილისავე განცხადებით, ასეთი „შეწყალბის წესი საქართველოს მეფეთა ხელში“ დიდი და ძლიერი იარაღი იყო მათი პოლიტიკის განსახორციელებლად“. ამით ისინი „თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდნენ, ეკონომიურად აღონიერებდნენ, „უმათა“ რიცხვს უმრავლებდნენ. ამნაირად, თანდათან დიდგვარიან მოხელეთა გვერდით მსახურეული „შეწყალბულობა“ ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მართკ დიდგვარობას და „შემაბულებს“ აზნაურობას იყო მოყვებული. მაგრამ, რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი

იყვნენ და მრავალ ნაწულებზე ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ „აღწევებულნი“.

ამგვარად, ასეთი „შეწყალებით“ მეფე წვრილ აზნაურებს ამიღებდნენ და მათ თავის მოწინააღმდეგე დიდებულებს უპირისპირებდა, რომელთაც მუდამ თან სდევდა პარტიკულარისტული (განცალკევების) ტენდენცია. ამის საფუძველი ფეოდალურ ურთიერთობაში დაჟეიღებული იქნა. პარტიკულარიზმი, ნატურალური მიუზნობა იყო, რაც ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა შორის ეკონომიურ კავშირს არ ითხოვდა და მათსადამე, დიდფეოდალები აღარც ქვეყნის ერთიანობას ესწრაფოდნენ. პირიქით, განცალკევების, დაქპატრიარქების შემთხვევაში ისინი სამეფო გამოსახლებადნაც თავისუფლდებოდნენ, აღარც გარის გამოყვანა უხდებოდათ და სხვა. ამდენად, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ფეოდალის ბუნებაში ჩვენს ქვეყნისათვის თავდადებასა და პარტიკულარულ შეგნებას ამაოდ დავუწყებდით ძებნას. დიდფეოდალი უყოველთვის ბრძოლა: ქვეყნის გამაერთიანებელ ძალას, ცენტრალურ ხელისუფლებას, რისი მაგალითებიც უყოველი ქვეყნის ისტორიაში უხვად მოიპოვება. შადიმან ბარათაშვილისათვის, მაგალითად, უცუთხად იყო ქვეყანა დაქსაქსული უყოფილყო და თავად ირანის შახის ყმა უყოფილყო, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში იგი თავის თავს ეცუთვნოდა და სახელმწიფოში შეუვალობის მქონე „სახელმწიფო“ მფლობელი იქნებოდა.

ძლიერი ხელისუფლისათვის, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას ცდილობდა, ამგვარი პარტიკულარისტული ტენდენციების მქონე ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული დასაპირდენი სოციალური ძალა იყო საჭირო. ასეთ ძალას „შეწყალებული“, „მსახურეული“ აზნაურობა წარმოადგენდა, რომელსაც ეურდნობოდა მეფის ხელისუფლება დიდაზნაურთა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მსახურეულითა“ სოციალური ფენა ფართო გასაქანს პოულობდა ხელისუფლების გაერთიანების პერიოდში და სანამ იგი ახლად აღზევებული იყო, ცენტრალურ ხელისუფლებას ედგა გვერდში. მეფის ხელისუფლება თუ ამ სოციალურ ფენას მოითხოვდა. პირიქით, უკანასკნელ კენტრალიზებულ ხელისუფლებას ითხოვდა, რომელიც მას „ზურგს უმაგრებდა“ და „შეიწყალებდა“. მეფე ცდილობდა ერთგული აზნაურები ქვეყნის უყოველ მხარეში მყოფოდა. მაგალითად, XI ს. ბაგრატ III-ემ „განაგნა უყოველინი საქმენი აფხაზეთისანი: ურჩნი თვისანი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრადედ მორჩილნი ბრძანებითა მისთა“, (მატიანე ქართლისაჲ, იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. უახუნიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955, გვ. 278).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდაზნა-

ურთა „ორგულ ბუნებას“ ციხავს და დასძენს — დავითს აბრალებენ, რომ „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დამპყრობნის, ესე აღმაღლის და ესე დაამდაბლნის“. თუ ვინ იყვნენ ეს განდიდებულნი, ადვილი გასაგები იქნება, თუ დავითის მიერ გატარებულ საეკლესიო რეფორმასაც ვავითვალისწინებთ, რაცა „კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთაც უწყესოდ დაეპყრიეს საუდრები“ და უღიროსად იქცოდნენ, გადაუყენეს და ნაცვლად გვარიშვილობისა, პირადი ღირსების მიხედვით დაადგინეს „უეშმარტნი მწყემსნი და სათონნი“ და „ნიჭიერნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 252).

მართალია, მეფის მიერ ერთგულებისათვის „შეწყალებული“, „უაზნო“ მსახურეული აღმევეების შემდეგ დროთა ვითარებაში თანდათან იწყებდნენ ხოლმე თავიანთ ადრინდელ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და მეფის მოწინააღმდეგე პარტიასაც კი ემატებოდნენ, მაგრამ თავდაპირველად, როგორც ერთმმართველი ხელისუფლების მომხრენი და ქვეყნის გაერთიანებისათვის დიდგვაროვანთა წინააღმდეგ მებრძოლნი, „მსახურეული აზნაურთა“ ისტორიის მკვლელობაში პოზიტიურად როლს თამაშობდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ ქვეყნის გაერთიანების პროცესში პროგრესული რაღის დამჩემებელმა მსახურეულმა აზნაურობამ თავისებური მსოფლმხედველობა შეიმუშავა და ასე ვთქვათ „გათანასწორების“ პრინციპის ქდაგებით იგი სხვადასხვა სფეროშიც გამოხატა (ისტორიის — ლეონტი მროველი, ფილოსოფიის — იოანე პეტრიწი, ევროპე მცირე, ისტორიულ-ქედეგოლოგიური — გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელი და სხვა). XI-XII ს. ს. ქართველ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობისა და საერთო იდეოლოგიური მიმართულების განხილვამ ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავანა, რომ თავისი სოციალური მდგომარეობით შოთა რუსთაველი მსახურეული აზნაურობის სოციალური წრის წარმომადგენლად მივიჩნევთ.

მსახურეული აზნაურობის თაობაზე მოკლედ წარმოდგენილი ასეთი ექსტრემი ამჭრად იმიტომ დაგვიჭირდა, რომ გიორგი სააკაძის მსოფლგაგებისა და მოქმედების განხილვა ამ სოციალური გარემოს გარეშე უყოველ შეუძლებელია. რამდენადაც იგი თავის წარმომოებით „შეწყალებული“ და „მსახურეული“ აზნაურია.

საქართველოს დაქუცმაცების შემდგომ სააკაძეთა გვარის ერთი შტო ქართლის მეფის ქვეშემრდომობაში მოექცა. მეორენი კი დიდ თავადთა — ბარათაშვილების აზნაურებად ქვეუ-

სვიმონ ბამსახურდი  
კვლავ გიორგი სააკაძის შესახებ

ლან. (ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბ. 1954, გვ. 10).

გიორგი სააკაძის წინაპრნი ქართლის მეფის სამხაურში თანდათან დაწინაურებულან და სამხედრო პოსტებზე ეკავათ, ისინი ეკონომიურად და პოლიტიკურადაც ძლიერნი ხდებიან, თუმცაღა, როგორც გ. სააკაძის ისტორიის მკვლევარი გივი ჭამბურია შენიშნავს, განსხვავდებოდნენ „ძირძველი თავადებისაგან. ამ თავადთა იმდროინდელი სიძლიერე მეფის ხელისუფლების სისუსტით იყო გაპირობებული, სააკაძეთა ფეოდალური გვარი კი მეფის (ქერ სი-ნი I, შერე კი, გიორგი X და ლუარსაბ II-ის) მომხრეობით და მათი დახმარებით იყო გაძლიერებული და აღზევებული. მათი ეს გაძლიერება ძირძველი თავადების ხარჯზე ხდებოდა. არა მარტო ილახებოდა ამ თავადთა სამამულო ინტერესები, არამედ ისინი ჰკარგავდნენ პოლიტიკურ მდგომარეობასაც. მაშინ, როცა სააკაძეები სახლთუხუცეები და თბილისის მოურავები იყვნენ, დიდი თავადების წარმომადგენელი შადიმან ბაჩათაშვილი იძულებული იყო მეფის სუფრაჟობას დასჭერებოდა (სუფრაჟი კი სახლთუხუცესის ხელქვეითი მოხელე იყო). გასაგებია, რომ სააკაძეთა ინტერესები, დიდ თავადთაგან განსხვავებით, მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას მოითხოვდნენ, რათა ამით შეენარჩუნებინათ მოპოვებული მდგომარეობა და მიეღწიათ ახალი წარმატებებისათვის“. (გ. ჭამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 84).

გიორგის დამხაურებითაც მისი გვარი შედარებით გაძლიერებულია. ასე, რომ მასთან დამოყრდნობაზე აღარც თავადებს ეთქმით უარი. მაგალითად, ქაიხოსრო ჭავჭავაძის განცხადებით: „რომ კაცის ბატონის, ქართველის ბატონისა და იმერლის ბატონისა ქალიც ჩემი შეილისათვის ვისმე მოეცა, მაშინაც მოურავის ქალი და მისი მოყვრობის მონატრეც ვიყავი“.

ოსებ თბილელის თქმით, ზოგმა თავადმაც შეიძლება გიორგი სააკაძისნაირი აზნაურობა მოინდომოს:

„ლიბნი, მზა სიტყვის ვაგონა მქონდა მუდამა პურობა,

ამხანაგო კარგ მეგობრობა, მიცემა და უშურობა,  
კარგ კაცთა წყობა აღერსი, მდიდართა მე უშურობა,

ვიქუე ზოგს თავდასაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა“.

მაშასადამე, გიორგი სააკაძე მეფის კარზე დაწინაურებული მხაზურელი აზნაურია, ლუარსაბ მეფის 1608 წლის წყალობის წიგნში ეს ფაქტი ასეც მოიხსენება: „ჩვენსა ერთგულსა და თავდადებოთ ნამსახურსა უმსა სააკაძესა ქალაქის ამირთ-ამირას გიორგის“.

როგორც აღინიშნა, მეფის კარზე დაწინაურე-

ბული ადრე გიორგის მამა სიაუში, რომელიც სეიმონ მეფის მრჩეველი და მოურავი იყო. ერთგულსათვის მისი ძმებიც მეფესა და აღდგომას არა ერთხელ დაუჭილდოვებიათ. ზურაბ სააკაძეს, მაგალითად, სახლთუხუცესის წოდებაც მიუღია და სხვა.

უველა ამ ცნობით, როგორც ვხედავთ, გიორგი სააკაძის გვარი განდიდებულია, მაგრამ მას თავადობა ჭერხნობით განმტკიცებული არა აქვს. ეს რომ ასე ყოფილიყო იოსებ თბილელი არ იტყუდა „ვექუ ზოგ თავდასაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა“. სხვა სახლთუხუცეები იგი საერთოდ დიდ თავდად მოიხსენიებოდა.

გიორგი სააკაძეს საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდში მოუხდა ცხოვრება. ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობა ჭერ კიდევ მონღოლთა შემოსევების დროიდან შერყეული და მოშლილი იყო. გარედან მოწოდებოდა აგრესიამ ერთმმართველური სისტემა თანდათან მოშალა და ფეოდალური პარტიკულარიზმის მისწრაფებათა განხორციელებას ხელი შეუწყო. ახეთ მოკვლენას როგორც მონღოლები, გვიან ოსმალები და უილიზბაშები, რა თქმა უნდა, უყველი მხრივ ხელს უწყობდნენ. მტრისაგან ზურგგამაგრებული ფეოდალები ცდილობდნენ შეესუსტებინათ ცენტრალური ხელისუფლება, ვითინებოდნენ, ირყუნებდნენ შტატებსა და აჯარაკებსა და ასე თანდათან დამოუკიდებელი ხდებოდნენ. XIV საუკუნიდან მოყოლებული, მცირე აღმინიტრაციული-პოლიტიკური ერთეულების რიცხვი თანდათან მატულობდა, ხოლო XV ს. მიწურულისათვის კი მთლიანი საქართველო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოდ და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ დაიშალა.

გაპარტახდა მდიდარი ეკონომიური მხარეები და სოფლები. ჭერ კიდევ თემურ ლენგის შემოსევებმა „შემუსრნა ყოველი საუფლანი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარდა ლაშქარმან მათგან ყოველნი მინდორნი, კლდენი და ხეენი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანა და მიეწრა ლაშქარი მათი ქუთათისს, ლეღეთს და დარიალს და მოწუნეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო. დაყარეს მძორი მკუდრისა ვითარცა სტელი თვისისა“. (ძეგლი ერისთავთა, შ. მუსხისას გამოკვლევითა და გამოც. იბ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 80, გვ. 159).

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოცოცხლება მცირეხნოვანი იყო ხოლმე. მონღოლობას ოსმალობა და უილიზბაშობა მოჰყვა. საქართველოს დამორჩილებისათვის მოწყობილი ლაშქრობებით, რომელსაც ქვეყნის მესვეურები დაქაპსული ძალებით ვეღარ უშეკვავდებოდნენ, ეკონომიური და პოლიტიკური აღდგენა ვეღარ ხერხდებოდა. ამის კვალი გვიანაც შემორჩა, მაგალითად, XVII ს. სა-

მოცდათიან წლებში საქართველოში მოგზაურობის შედეგად ფრანგი ჟან შარდენი გარკვეული ნაწილის აღდგენისა და ეკონომიური მოღონიერების შესახებ გავწვდის ცნობებს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „კახეთის სამეფოში არამდენიმე ქალაქი უოფილა უფინ, ახლა ისინი ხალხ დანგრეულები“, ანდა „ტფილისში უოფინის დროს მითარეს ეს ქალაქები მდიდარი და მდიდრულად ნაგები იყო. ამასვე აფიქრებინებს კაცს ის, რაც კიდევ მთელად დარჩენილა, თვით ნანგრევებიც“. XVII ს. შუახანებისათვის დროს ელჩების ე. შივა და ი. კლუჩაძის ცნობით საქართველოს გარკვეულ ადგილებში თურმე «От пустоты поросли вся рясом», ასევე, «базаров и съезжих ярмонок нигде нет, и ничего не продают».

რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას ერთის მხრივ გარედან მოწოდული აგრესია იწვევდა, მეორეს მხრივ შინა ფეოდალური აშლილობა რაც სწორად მტრისათვის დასაურდენ ძალად იქცეოდა ხოლმე, იგივე გარედან მოწოდული აგრესია, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მტრის (მონღოლთა, თურქთა, სპარსთა) შემოსევები, „ტყვეთა სყიდვა“, ლეიანობა და სხვა, ბუნებრივია, მოსახლეობის რიცხოვნობა შემაღწეულაზე იმოქმედებდა. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ XVIII ს. შუა და მეორე ნახევრისათვის საქართველოს მოსახლეობა 800 ათასამდე დავიდა. ეს მაშინ, როცა XII ს. დაბოლოებით ი მთლ. ქართველი ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, XVII ს. დასაწყისშიც საქართველოს მოსახლეობა შემცირებულა იქნებოდა.

გიორგი სააკაძის თანამედროვე შამ აბას გადაწვეტილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად ირანის ვადუნის ქვეშ მოექცია, უფრო მეტიც, შესაძლებლობის შემთხვევაში ქართველთა ფიზიკური მასობით ამ საყოთარისაწაწულიდან აურით და ვასახლებით ქართლ-კახეთის მოსავლიანი და მდიდარ მხარეთა საბოლოოდ ირანის ტერიტორიულ მთლიანობაში მოქცევა.

ასეთ შემთხვევაში ქვეყნის ფეოდალური დაქსახულობა დამლუპებელი იყო. ადრე ლუარსაბის და სვიმონ მეფის, შემდგომ ლუარსაბ მეორის და თეიმურაზის ბრძოლები პარტიზანული მოძრაობის ხასიათს ატარებდა და ქვეყნის აოხრების გარდა, არავითარი შედეგი არ მოქმედდა. საქირის იყო ძალების მოზლივება, ფეოდალური პარტიკულარიზმის დათარგუნვა და ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ მოქცევა. ეს იდეა ისევ მსახურეული პირის გიორგი სააკაძის პიროვნებაში ჩაისახა. მას, რა თქმა უნდა, თავისი სოციალური წრედან თანამოაზრენიც ჰყავდა, მაგრამ მსახურეულთა ძალების მოზლივებისა და დიდფეოდალთა თვითნებობის წინააღმდეგ დაჭრუფებას აზრიანი და ძლიერი ნებისუფის მეფე ესაპირობოდა. საქმეს ისიც

ართულებდა, რომ ფეოდალურ აშლილობას და განცალკევებას უკრე საკმაოდ დრმა ისტორიული ფესვები ჰქონდა. ფეოდალთა საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ და არა ქვეყნის ინტერესებით. როგორც ადრეც აღვნიშნავდით, აშვიათად თუ მათ შორის ვინმეს პატრიოტული გრძობები ამ საყოთარი ქვეყნის შემდგომი ბედი ამოძრავებდა. ფეოდალური ფსიქოლოგია ასეთი ამბისაგან შორს იყო. მაგრამ იყო სხვა ძალა. რომელიც სოციალურად უპირასპირდებოდა განდიდებულ ფეოდალებს. ეს იყო მსახურეულთა (იმავე ფეოდალების ენით რომ ვთქვათ „უზნოთა“, „მდაბოთა“ და „უგვართა“) სოციალური ძალა. გიორგი სააკაძე ამ დას მთიუფუნება რადგან მისი გვარის აღწევება არა ისტორიულად მომდინარე, არამედ სულ ცოცხა ხნის წინ დაწუებულ პრაციუნია. გიორგი სააკაძე თავისი სოციალური ბუნებით უპირასპირდებდა დიდფეოდალებს და პირიქით. სააკაძეს, როგორც მსახურეულ პირს, ხელს აძლევს ცენტრალური ხელისუფლება და ქვეყნის გაერთიანება. ეს მოვლენა მას „მოზტებით შეწალებულსაც“ ვახდია. მასხადამე, აქ ჩვენ, უპირველეს, სოციალური მოძრაობისა და ბრძოლის შინაარსი უნდა დავინახოთ, რომელიც გიორგი სააკაძის მოქმედებით ეროვნულშია გადაზარდილი. გიორგი სააკაძე, როგორც მსახურეული პირი, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისა და დიდფეოდალთა დათარგუნვის იდეით გამოდის, პროგრესულ რაღს თამაშობს. იგი თავისი დროის პროგრესული პიროვნებაა და ეს ასეც იქნებოდა, სანამ მისი გვარი საბოლოოდ დაიშვიდრებდა დიდფეოდალის ტიტულს. შესაძლოა, შემდგომში, როდისმე, სააკაძეც დაივიწყებდნენ თავიანთ ადრინდელ სოციალურ პოლიტიკურ მდგომარეობას და ქვეყნის ცენტრალის მონააღმდეგეთა პარტიამ გადავიდოდნენ, მაგრამ ეს მომავლის ამბავი იყო და არა გიორგი სააკაძის დროინდელი.

ის, რაც გიორგი სააკაძეს აწუხებს, აწუხებს მისი სოციალური წრის სხვა წევრებსაც. მაგრამ გიორგი სააკაძეში, როგორც პიროვნებაში, ფიზიკურად საოცრად ძლიერ და გონებრივად ფრიალ მოწიფულ ადამიანში, სულ სხვა პოტენციური მონაცემები არსებობდა; ადამიანში, რომელშიც თბილისის „ამირთ-ამირთა“, მოურავება მიიღო, რომელიც თავისი ბუნებით მოუფუნებარია და ქვეყნის მსახურის ძალა შეხწევს, რომელიც ლუარსაბ მეფესთან დაახლოებით ქვეყნის განმტკიცების იდეით მოქმედებს.

ვინ ამატიებდა გიორგი სააკაძეს ასეთ საქციელს იმ დროში, როდესაც დიდფეოდალების მიერ მეფის ხელისუფლება ეგზომ შევიწროებული იყო და როგორც უნდოდა, ქვეყანაში

### სვიმონ ბამსახურდია

აწლავ ბიოგრაფი სააკაძის შესახებ

ისე პარპაშებდნენ. დიდფეოდალები იშხანად შე-  
ურს ხელისუფლებაზე გამარჯვებულ პოლიტი-  
კურ ძალას წარმოადგენდნენ და მათი დღორგუ-  
ნა მხოლოდ ძლიერ პიროვნებას და არა ლუარ-  
სახვიით სუსტ კაცს შეეძლო. რომელიც ვერ  
ხედავს გიორგი სააკაძის პოტენციურ ძალას,  
მისი იდეის პროგრესულობას, ან ხედავს, მაგრამ  
არ შესწავს უნარი ეს ძალა დიდფეოდალებს  
დაუპირისპიროს. იგი შიშობა ამ უყანასკნელთა  
პოლიტიკური ძალის წინაშე და თავისი მეფო-  
ბის გარანტიას მათ წინაშე ქედის მოხრაში ხე-  
დავს. რის გამო გიორგი სააკაძე გასწორა კიდევ.  
როგორ აპატიებდნენ დიდფეოდალები გიორგი  
საკაძეს ასეთ საქციელს, რომელთაც სწამთ,  
რომ იგი, გიორგი, მათზე „დიდათ უმცირესი  
არის და უმრწემესი გუარიათ“. აი, სად იწე-  
ვა გიორგი სააკაძის პიროვნების ტრაგედია.  
ესაა მისი ბედის უკუღმართობის მიზეზი. მთელი  
ეს ტრაგედია სოციალურ ბრძოლასთანაა დაკავ-  
შირებული, რომლის წინაშეც გიორგი სააკაძე,  
როგორც ვნახეთ, პროგრესულ მოზაიკაზე დგას.

სოციალური ბრძოლის ზემოთ წარმოსახული  
საკითხით (რომელსაც ქ. ლენინი თავის წიგნ-  
ში გაკრიტიკებდა გვ. 128, 130, ამ საკითხზე  
კი უფროაღებთ განსაკუთრებით უნდა გამოხ-  
ვილდებო. თითქოს უკუღმართობის გარკვეულია და  
შეიძლება გავუყუთ მოკვლენებისა და ფაქტების  
ინტერპრეტაციას. რომლებიც გიორგი სააკა-  
ძის პიროვნების დახასიათების საშუალებას  
მივცემს. მაგრამ აქ ავტორისიული (ე. ი. ლენინ-  
ილიას) დავიკრებანი იმდენად შთაბეჭდილია  
და ზოგ შემთხვევაში ორიგინალურიც, რომ მა-  
თი გვერდის ავლა შეუძლებელია. შევეცდებით  
თეზისების სახით დასახელებული წიგნის ის ძი-  
რიოალი შეხედულებების ჩამოვყალიბოთ, რომ-  
ლებიც გიორგი სააკაძის პიროვნების დახასიათ-  
ებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩინა.

1. გიორგი სააკაძე დიდფეოდალთა შეთქმუ-  
ლების შედეგად სპარსეთში გარდახვეწამდე  
ერთმმართველური სისტემის განმტკიცების  
ცდაშია და როგორც ჩანს, საქართველოს გაერ-  
იანების იდეით სულდგმულობს (როგორც ეს  
საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც მიჩნე-  
ულია). აგებს ციხე-სიმაგრეებს, (ციხენი შეაკე-  
თა ციხეაღასა და თბილისში), იმორჩილებს  
დავლებს და ოსებს (დვალეთში ახალი სიმაგრე-  
ნიც ააგო), ომიანობის დროს საკუთარი ფუძიდან  
აურალი მოსახლეობა უკან დააბრუნა და და-  
ახახლა. ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიურ  
ქვლონიერებას. დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი  
ქვეყნის სამხატურშია ჩაყენებული. მოკლედ,  
მთელი მისი მოღვაწეობა ქართლის სამეფოს გა-  
ძლიერებისაკენაა მიმართული (გვ. 88—92).

2. გიორგი სააკაძე ოქახის მოყვარული პი-

როვნებაა. განსაკუთრებით ეამსაც მისი უფრადე-  
ბა, უპირველეს, ოქახისკენაა მიპყრობილი და  
მისი მატრონობა უპირველეს ამოცანად მიიჩნია.  
ასე იყო, მაგალითად, წავკისიდან გაქცევის დრო-  
საც, როცა მას მოკვლას უპირისპირდნენ და დაიდე-  
ნენ კიდევ. გიორგიმ გეზი ნობტესაკენ, აიღო, რაც  
მისი ფრიად სარისკო იყო, რადგან შესაძ-  
ლოა გზები გადაკეტილი ჰქონოდათ თავდაშეხვე-  
ლებს. იგი საოცარის სისწრაფით და ორგანიზე-  
ბით ახერხებს ოქახის წევრების ტყეში გახიზ-  
ნას (გვ. 134).

3. თავის სიმაშობთან, ნუგზარ ერისთავთან,  
ერთად გიორგი სააკაძე ძმათა სისხლის ღვრას  
ერიდება და სპარსეთში შაჰის კარზედ მიდის.  
ეს ფაქტი მეორეხარადაც აიხსენება. ირანის შა-  
ჰის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მაშინ აღმო-  
სავლეთ საქართველო და აქ თავს იურიდა ქარ-  
თველ დიდებულთა წგუფი, რომელთა შორის  
ყვეწენ ტახტის მამიებელი უფლოსწულები. გი-  
ორგი სააკაძეს სუსტი ნებისყოფის მქონე ლუ-  
არსაბ 11-ის ნაცვლად ძლიერი მეფის შერჩევაც  
უნდა ჰქონოდა განწარხული მომავალში თავისი  
იდეის აღსრულებისათვის (გვ. 222).

4. სპარსული ისტორიული წყაროებით (ყერ-  
ძოდ, ისკანდერ მუნშის ცნობებით) 1614 წლის  
სპარსთა ქართლ-კახეთის დაშტრობებში გი-  
ორგი სააკაძე მხედართმთავრად არაა დასახე-  
ლებული. ამ გამოლაშქრების დროს იგი შაჰს  
უბრალოდ ახლავს. ისტორიკოსს საერთოდაც  
არხად არ ჰყავს გიორგი მხედართმთავრად მოხ-  
სენებული. უნდაარისა და ბაღდადის ბრძო-  
ლებშიც იგი მხოლოდ თავისი ჩვეული სპარძო-  
ლო გამირობით გამოირჩევა.

1615-1617 წლების დაშტრობებისა და 1617 წ.-  
კახთა გასახლების მიზეზად ისკანდერ მუნში თე-  
იმურაზს თვლის, რომლის უტაქტო მოქმედება-  
მაც, მისი აზრით, შაჰის გაღიზიანება გამოიწვია.  
გიორგი სააკაძეს ამ დაშტრობებში, თუნდაც რჩე-  
ვის სახით რაიმე მონაწილეობა რომ მიეღო,  
შაჰის ისტორიკოსი ამ ფაქტს უსათუოდ აღნიშ-  
ნავდა (გვ. 224—225).

5. ქართლ-კახეთში დაშტრობების და აქ და-  
ტრიალებული ტრაგედიის შემდეგ გ. სააკაძესა  
და შაჰს შორის დაძაბული დიპლომატიური დაე-  
მოკიდებულეობაა.

საგულსხმობა ისიც, რომ ქართლში მოსული  
გიორგი სააკაძე დიდგვაროვნებს არას ერჩის  
(შეეძლო კი უფრო ენია). უფრო მეტიც, მისი  
გამორჩელო შეზინებული და გაქცეული ქაიხოს-  
რო ქავთაშვილი (1615 წ.) უკან დააბრუნა და  
უშიშრობის ფიცის მისცა, ამ სულგრძელობის სა-  
ნაცვლოდ ფარსადან ციციშვილის შემწეობით  
1618 წელს ქაიხოსრო ქავთაშვილიმა გ. სააკაძის  
მოკვლა ცქვად მუხანათურად დააპირა. მიუხედა-  
ვად ამისა, 1620 წ. 15 აპრილს გ. სააკაძის მოთ-  
ხოვნით მოწყობილ სამამართლოზე, მშინ, რო-  
ცა სიმონ-ხანის მცირეწლოვანობისა გამო,

გიორგი ქართლის განმგებლად იყო დანიშნული, იგი ქაიხოსრო ჭავჭავაძის საშოლოდ შეურიგდა. ასევე შეურიგდა გიორგი ფარსადან ციციშვილს, საფიცრის წიგნი მიიღო ეპისკოპოს დომენტოსა და მისი მისწვლლებისაგან, ბარძიშ ამილახორისა და სხვა.

გიორგი სააკაძის ასეთი მოქმედება აშკარად მტკუველებს მის ჩინაფიჭრზე — ირანთან მომავალ ომში ქართლის ფეოდალური ძალების გაერთიანება-შეკავშირებაზე (გვ. 296-297).

აქვე ისიც მისანიშნებელია, რომ გ. სააკაძე თურქეთთან კავშირს ამუშავებს. თავის ასულს ცოლად ატანს ფარად ფაშას, რომელიც შემდგომში ირანის დაუძინებელი მტრის თურქეთის მესვეურებთან მოსადაპარკებლად და დამლომატური ურთიერთობისათვის დასჭირდებოდა (გვ. 296-299).

6. 1828 წ. ქართლის ასაურელად გამოგზავნილ სპარსეთა ჯარს უორჩიხა-ხანი უღდას სათავეში. მას მარტველად, შაჰის ბრძანებით, გიორგი სააკაძე გამოაყოფენ. გიორგიმ იცის, რა უბედურება ელის ქვეყანას. იგი აჯანყების იდეას ანდობს რამდენიმე კაცს, მათ შორის კათალიკოსსა და ჭურბან ერისთავს (რომელმაც სპარსეთში მეთულად დატოვა, სოლო თავად გიორგიმ შვილი პაატა). გ. სააკაძის გადაწყვეტილი აქვს, დიდი ხნის წინ დაწყებული აჯანყების სამუადისი სისრულეში მოიყვანოს. მას ერთგული ხალხის და შემორიგებულნი თავადების იმედიც აქვს, სხვადასხვა საშუალებებით ახერხებს თავადების უორჩიხა-ხანთან თავმოყრას და მათთან საიდუმლო მოლაპარაკებას. შაჰს გ. სააკაძის მოქმედების შესახებ ეჭვი უნდა დაბადებოდა, რახაც მისი მოკვლის შესახებ გამოგზავნილი უსტარის მტკუველებს. „საკაძის „წადირობა“ ლოჭინის ბეობაში ნამდვილ ნადირობას არ ჰგავს. იგი უფრო დადარაჯებულ კაცად ჩანს. სააკაძის კაცობივ დარაჯობდნენ ირანის „შეიკის“, რომელიც თავად გიორგის ჩაუვარდა ხელთ. საჭირო შეიქნა დასწრება და გიორგი სააკაძემ თავისი ჩვეული სტრატეგიული ნიჭით და გაბედული გეგმით მარტუფს მდგარი 80.000 სპარსი გაწყვიტა და შემდგომ ისინი მთელი ქართლის შემოგარნიდან გარკა (გვ. 806-822).

7. გიორგი სააკაძემ საქართველოს გადაარჩინის საქმის შესწორა საკუთარი შვილის, პაატას, უმწიკვლო სიცოცხლე.

8. გიორგი სააკაძის არც თიმიურაჲ I-ის ქართლში მოყვანამ და გამეფებამ გაუმართლა. ნაცვლად იმისა, რომ აღიარებული სარდლის, გიორგი სააკაძის, ერთგულება გამოყენებისა და ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცებისათვის ეზრუნა, თიმიურაჲ I-მა გიორგი სააკაძის მტრობა დაუწყო.

ბაშალიეთის ომის მსვლელობაში გიორგი სააკაძემ გარკვეული შეცდომები დაუშვა (თურქული ჩალშით სამცხის ჭარის გამოყვანა, და-

უთმებე გოგორაშვილის საკუთარი კურტაკით გაშვება). ამავე დროს გ. სააკაძემ ვერ შესძლო ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში „ცივი გონებით ემოქმედება“. თვით თიმიურაჲთან შეხვედრისას იგი კი არ მოკლა, არამედ, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს „კრა ლახტი ბეჰსა ზედა, არღარა დაღვა და წვაიდა“.

„მეფის დანდობა რანდობა სააკაძის მხრივ, რაც შეეებება ბაშალიეთის ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობისას გამოჩენილ სისუსტეს, იგი უკვე აშკარა შეცდომა იყო. დიდი მიზნის აღსრულების გზაზე ემოციები უსარგებლოა. მან პირველად თავის სიცოცხლეში, უმზინა გულს და პირველად თავის სიცოცხლეში, დაშარცხდა უძლეველი სარღალი“ (გვ. 881).

9. ბაშალიეთის ომის შემდეგ თურქეთს გარდახეწილი გ. სააკაძე აქ აღფრთოვანებით მიიღეს. ირანის შაჰი შემფოთებულა, რათა გ. სააკაძემ „კვლავ არ ააჯანყოს საქართველო და ოსმალეთის დახმარებით არ დაიჭიროს იგი“. არზრუმის წინააღმდეგ გალაშქრებისას გ. სააკაძის ზოსროვ-ფაშასთან ხლებაც აშფოთებს შაჰს. უკველივე ამით კი საქართველოს მდგომარეობა უმსუბუქებდებოდა და თვით გ. სააკაძის მოწინააღმდეგე თიმიურაჲც შაჰმა ახლა უკვე ქართლ-კახეთის მფედე ცნო.

„თუ სააკაძე შეპირდა სულთანს ქართლს დაგიორჩილებო, ეს იმას ნიშნავს, რომ ირანელები ფიხს ამოიკვეთდნენ საქართველოდან. მართალია, ქვეყანა ოსმალეთზე დამოკიდებული შეიქმნებოდა, მაგრამ თავდაპირველად თავისუფლებისაკენ მიმავალი სხვა გზა არ ჩანდა „ოსმალეთის სახით სააკაძე მოკავშირეს ეძებდა და დამხმარე ძალად შემოჰქავდა ოსმალეები ქართლში“ (გვ. 891).

ფაქტები, რომლებიც წარმოდგენილი თეზისების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა, ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილი და დამუშავებულია (წ. ბერძენიშვილი, გ. ქაბუტია და სხვა). (განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ქაბუტიას წიგნი „გიორგი სააკაძე“, თბ., 1984, რომლის ცნობებს და მოსაზრებებსაც ეყრდნობა უმეტესად ჯ. ლინჩილია). ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა შეკამბულია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. მაგრამ არსებულ მასალებზე და დღემდე წარმოებულ კვლევაზე დაყრდნობით გიორგი სააკაძის მოღვაწეობის დადებითი მხარეების თავმოყრა და ამ მიმართებით დანახვა დიხაც სხარგებლო საქმეა და დასახლებული ნაშრომის ღირსებაც სწორედ ამ

სვიმონ ბამსხუარღია  
კვლავ გიორგი სააკაძის შესახებ

კუთხით განიხილება. ფაქტია ისიც, რომ გიორგი სააკაძეზე წარსულში გავრცელებული აუცი აზრების მიუხედავად, მისი საოცარი სტრატეგიული ნაჭი და ბრძოლებში გამოჩენილი გმირობა ქართველი ხალხის (და არა მარტო ქართველი ხალხის) აღფრთოვანებას იწვევდა და სამაგალითოდ იყო ქცეული. ქართველ ხალხს უყვარს თავისი გმირი, გიორგი სააკაძე, ამავე დროს მის მოვალეობაზე დარჩეული ხმების არსებობა აწუხებს. ამიტომაცაა საქირო ფართო საზოგადოებისათვის გაურკვეველი ფაქტების ინტერპირება, საზოგადოებრივი აზრისადმი დაზმობა და მისი სწორი გზით წარმართვა.

ვინ დაურხია გიორგი სააკაძეს ქვეყნის მოვალეობის ეს საწინელი ხმები? უპირველეს, მის წინააღმდეგ მოქმედმა ძირძველმა ფეოდალებმა. საქმარისი იყო მათ რისხვას გადაარჩენილი გ. სააკაძე საქართველოში მოსულ სპარსელთა ქარში დაენახათ, რომ ამ ქარის მოსვლაც მისთვის დაებრალდებინათ, რაც, როგორც ვნახეთ, ისტორიულ წყაროებზე დაკვირვებით არ დასტურდება.

ბუნებრივია, თემურლანგის შთამომავლობაც, ამ უკანასკნელთან გ. სააკაძის მტრული დამოკიდებულების გამო, გულგრილი ვერ დარჩებოდა და ფაქტებიც დამახინჯებულად წარმოხაზეს.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მტრები (სოციალურად დაპირისპირებული დიდფეოდალები) სუველნობად ცდილობდნენ მისი სახელისათვის ჩრდილი მიეყენებინათ, ქართველი ხალხი მაინც დიდებით მოსავდა მარტყოფის გმირს.

ჩვენთვის ხომ ცნობილია გიორგი სააკაძის ის საოცარი ორგანიზატორული მოქმედება, რის შედეგადაც მარტყოფს დახანაკებული 30.000 სპარსელის გაწვევტა მოხერხდა. ისიც ცნობილია, რომ ამ ქარის საშუალებით მთავარსარდალ ყოჩჩინა-ხანს, რომელსაც თან ახლდნენ, ასევე, თორმეტი ხანი, მრავალი ამირა და სულთანი, შირვანის და უარბაღის ბეგლარ-ბეგები იუსუსუ ხანი და მოჰამედ ყული ხან ზიადოლი, ქართლის მოსახლეობის აყრა და სპარსეთში გადასახლება უნდა განეზორციელებინა. წარმოედგინათ, თუ რა საწინააღმდეგობა დაატრიალდებოდა გიორგი სააკაძის მიერ მრავალი წლის შეცადინებით ქვეყნის სხნის თადარიგი იმთავითვე რომ არ უოფილიყო დაქვრძლი და იგი სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში რამ არ ჩასდგომოდა. მოხდებოდა ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ კახეთის მოსახლეობის ფიციური განადგურება, გასახლება და მათ ნაცვლად აქ სპარსული მოსახლეობის გაჩენა. ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსაზრებას და საბოლოოდ გადაგვარება-განადგურებას. მაშასადამე, გიორგი სააკაძე შამ ხანის მუკავრული განზრახვის წინააღმდეგ ის შემთავებირე-

ბელი ძალა იყო, რომელმაც აღნიშნულ ეტაპზე ქართველ ხალხს თვითყოფნა შეუნარჩინა და განადგურებისგან იხსნა. ამ დროს გიორგი სააკაძემ სოციალური ბრძოლა მიიწვივა, იგი წმინდა ეროვნული ინტერესებით მოქმედებს, რომელსაც მსხვერპლად საკუთარი შვილის, პაატას, უმწიფლო თავი შესწირა, ხოლო მეორე შვილი ავთანდილ მასთან ერთად აჯანყების მთელ სიმამის ინაწილებდა და მუდამ საწინააღმდეგობის წინაშე იდგა. ამიტომაცაა გიორგი სააკაძე ეროვნული გმირი, რომელიც ხოლოდ და მხოლოდ თავყენისცემის ღირსია.

ვინაა იმეანინდელი საქართველოში ქვეყნის მოვალეობ, ვინ მიიყვანა ქვეყანა იმ ყოფამდე, რაზედაც წემოთ საუბარი გვექონდა? ეს მოვალეობა არაან შიღიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის გარშემო დაჯგუფებული დიდფეოდალები, რომლებმაც ქვეყნის დაქუცმაცებას ხელი შეუწუვეს და მისი გაერთიანების მოსურნე პროგრესული ძალის გიორგი სააკაძის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. საქმარისი იყო დიდფეოდალთა ძალბი შეკავშირებულობა (რაც გ. სააკაძემ მარტყოფის ბრძოლისათვის მოახერხა) და სპარსელთა ქარი კიდევაც დამარცხდა. მაშასადამე, თუ ეს ძალები საერთოდ ერთი ხელისუფლების ქვეშ იქნებოდნენ გაერთიანებული, რისთვისაც იდევრდა გ. სააკაძე, საქართველოში სპარსეთის გამარჯვება და დამკვიდრება არც თავიდან მოხდებოდა. რა თქმა უნდა, გაერთიანებულ ძალებს სარდალიც ესაპირებოდა. ასეთი სარდალი, საოცარი სტრატეგიული ნიჭით და ფიციური ძალით დაკვირვებული გიორგი სააკაძე ვახლდეთ, ტაშისკარის, მარტყოფის და სხვა ომების გამარჯვებული სარდალი. გ. სააკაძის საოცარი სტრატეგიული ნიჭს და მოსაზრებულობას უნდა მიეწიროს მისი გამარჯვებალისთვისა და, სადაც სამოცი კაცთ შევიდას სპარსის მუსრი ვავლო. მაგრამ მარტო სტრატეგია გ. სააკაძემ წემოთ აღწერილ მოვლენათა მთელი მსვლელობა, ვგონებ, აშკარად მეტყველებს ამ საოცარი პიროვნების პოლიტიკურ აღდღოსა და მოსაზრებულობაზე. და თუ გიორგის წოკრე შედგომების მოსდის (მაშალისის ომი, თურქეთის ტრაგედია) ეს რთული პოლიტიკური და სოციალური გარემოებით. იყო გაპარობებული. მთავარი ისაა, რომ გ. სააკაძის საერთო პოლიტიკური მიმართულება (ცენტრალური ხელისუფლების შექმნის ცდა, ქვეყნის ძალებს გაერთიანება) სწორი იყო. ამ შემთხვევაში იგი მოვლილური ქვეყნის ბეღით დაინტერესებული. პროგრესული და ეროვნული პიროვნებაა. საქმე ისაა, რომ გ. სააკაძეს პოლიტიკური აღდღო, ორგანიზატორული ნიჭი, სტრატეგიული ძალა ვაჩინა, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალური კლასდარმი არა აქვს. მაშასადამე, მას გონიერი მეფე ესაპირებოდა, რომელიც მის დაჭერებას და შესაძლებლობის გამოყენებას მოახერხებდა. სამ-

წუხაროდ, ასეთი არც ლუარსაბი და არც თეიმურაზი აღმოჩნდა. ლუარსაბის უფნარობა, უნებისყოფობა და პოლიტიკური სისუსტე ხომ ვახაგებია, მაგრამ პოლიტიკურად არა ნაყლები ბეცი აღმოჩნდა თეიმურაზს მეფე. ქართული ისტორიულ წყაროებით, უბრალო კასტელოს ცნობითაც, იგი როგორც კარგი მეომარი, ისეა დახასიათებული, მაგრამ მას არც პოლიტიკური შორსჭერების უნარი გააჩნდა და არც სათანადო სტრატეგიული ნიჭი. ამასთანავე, იგი ფრიად პატივმოყვარეც ჩანს. საერთო მოვლენების მსვლელობას თავი რომ დავანებოთ, სამაგალითოდ, 1825 წლის 1 ივლისის მარაბდის ომის წინა თათბირის შინაარსის განხილვაც ვმარა, სადაც მან დიდგვაროვან სარდლებთან ერთად ბრძოლის გ. საკამისეული გეგმა უარყო და ომიც საუბალო შედეგით დამთავრდა. თეიმურაზმა ვერ შესძლო გიორგი სააკაძის დეწლმოსილება, მარტოფის ომით და მის შემდეგ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან სპარსელთა განდევნის ორგანიზაცია ადევნა, რის შედეგადაც, დაიბრუნა მან ქართლ-კახეთის ტახტი. თეიმურაზს მეფე გიორგი სააკაძის სახით იმავ ძალას დაუპირისპირდა, რომელიც მისი დასურდები უნდა უოფილიყო, რომელიც მისი „ზის ტოტო“ იყო და მოიყვება იგი. აქ ისევ დიდგვაროვანთა გავლენამ და სოციალურმა ბრძოლამ იჩინა თავი, რასაც შედეგად ბაზალეთის ომი და გიორგი სააკაძის საქართველოდან საბოლოოდ გარდაბეწვა მოჰყვა. „ბაზალეთის ომი ქართველი ხალხის ტრაგედია იყო არა მარტო იმიტომ, რომ იქ მოძმეთა სისხლი დაიღვარა, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ამ ომმა საქართველოს გაერთიანების საქმე სამუდამოდ დაახამარა. „ჩიხალა ის დიდი საქმე. — ერეს აჟად. ნ. ბერძენიშვილი, — რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერჯია შეაღია და ურომლოსოდაც საქართველოს განთავისუფლება-გამთავრება შეუძლებელი იყო.“ (გ. ჩამბურია, გიორგი სააკაძე, თბ. 1964, გვ. 164).

თეიმურაზ 1-ს არც ქვეყნისათვის თავის გაწირვის უნარი (როგორც დემეტრე 11-ს, ან ლუარსაბ 1-ს) აღმოაჩნდა. შაჰის კარბრებს დედაც, შვილებიც შესწირა, თავად კი შედეგების გაუთავლისწინებლად აწარმოებდა ომებს, რომელიც თითქმის უწყველთვის საუბალოდ მთავრდებოდა. აქი აღნიშნა კიდევ შამ ახახის ისტორიკოსმა ისკანდერ მუნშმა: „ბედერულმა თეიმურაზმა, ბედის შემობრუნების გამო, უკვლავური გაკეთა თავისი უბედურების და იმ საწყალი ხალხის (ე. ი. კახელების — სვ. გ.) დახოცვას და დარბევისათვის და, როგორც მოხსენებული იყო, ვაბედა უჩიხალაშთა ბედნიერ ლაშქართან შებრძოლება. როცა ამ ამბავმა მიაღწია მანანდარანში შაჰის უწმინდეს გულამადე, მელმწიფის კეთილშობილური აღტყინების აღი და მისი მჭინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ უო-

ველი მისი ნაებრწალი ქვეყნიერების დაწვეული მები იყო ამიტომ შამმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოზე ვალაშქრება და იქაურ ურჯულთა დაქცევა“. რა შედეგითაც დამთავრდა თეიმურაზის აღნიშნული და სხვა ბრძოლები, ცნობილია — მოსახლეობის აწიოებით, წამებით, ზოცვით და ბოლოს სპარსეთში გადასახლებით. რა იყო საჭირო იმისათვის, რათა თეიმურაზის ბრძოლებს შედეგი მოჰყოლოდა? — ძალების გაერთიანება. კერ დიდგვარდალთა შეკავშირება. მათი პარტიკულარიზმის დაძლევა და მტერთან ერთიანი ძალით შებრძოლება, როგორც ეს გიორგი სააკაძემ მარტოფის ბრძოლის საშაღისში გააკეთა და არა პარტიზანული ხანიათის შემობრძოლებანი, რაც ქვეყნის და მოსახლეობის გაუბედურებას იწვევდა. თავად თეიმურაზი კი „სამშვიდობის გასული, კვლავ მეფური ცხოვრებით ცხოვრობდა.

აქ მოტანილი ზოგიერთი ფაქტი და მსჯელობა, ვფიქრობთ, საკითხის შინაარსს ნათელს უნდა ჰქონდეს და ვახაგები უნდა იყოს. თუ საქართველო იმ მწლებედობის ხანაში, რომელსაც ვეხებით, რამდენად დადებით პიროვნებად მოჩანს გიორგი სააკაძე, თუ რამდენად დამატრულად საწინააღმდეგო პოზიცია უკავია მის თანამედროვე ქვეყნის მესვეურებს, რომელთა შეგნებულ თუ შეუგნებლად მოქმედების ქვეყნისათვის ზიანის შეტი არაფერი მოქონდა, უკველვეც ეს საფუძველს ვგამლევს ვანაცხაბოთ, რომ სადღესიოდ, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიას საქმაო მახალბეი გააჩნია და ისტორიული პროცესების განხილვის სწორი მეთოდოლოგია აქვს შემუშავებული, გიორგი სააკაძის პროცენების შეფასებისას სადავო აღარფერი უნდა იყოს.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთ გაუგებრობაზე, რომელიც ქ. ლეიჩილიას წიგნში ვხვდებით. იგი მერაბ ბერძენიშვილის მიერ კახსკი აღმართულ გ. სააკაძის ქანდაკების (ალბაო ზემო მოსაკვეთში) პროპორციულობის დარღვევის ბუდავს (გვ. 72), მაგრამ აქ როგორც ეპიკოლისტისაგან ვგნმენია, კომპოზიციური შეუსაბამობა ჩამოსხმის დროს შემთხვევით მომხდარი უზუსტობის შედეგად წარმოიშვა და არა მოქანდაკის გაზარებით. უკველ შემთხვევაში, ეს შესაძლოა არც ისე შესაჩნვეი იყოს, თუ ჩვენ ქანდაკების შესახებ საგანგებო აზრს არ შეუქმნიოთ.

როგორც არ უნდა იყოს, ესაა ქვაში გამოძერწილი ქანდაკება, რომელიც ასლია ხალხის ცნობიერებაში დარჩენილი გიორგი სააკაძის ქანდაკებისა და თუ მას რაიმე უზუსტობა აქვს, მის გამოსწორებებზე უნდა ვიჭრებოთ. ერთი რამ ცხადია, ესაა ქანდაკება კაცისა, რომელიც ქვეყნისა და ხალხისათვის თვალდებობს ვმარობისა და შემართების ტუბალო მიგალითია, მასაბაი და მათადემს თავუარისცემის ღირსა.

ზაპორ კილაძე

## «ბული, ცნობა და გონება...»

წინამძღვრები. ჩერ კიდეც ე.წ. რუსოს ოცნება იყო: „საკუთარ თავზე ჩავიტარებ იმ ცდებს, პაერზე რომ ატარებენ ფიზიკოსები, რათა იცოდნენ მისი უოველდღიური ცვლილება. გულზე ბარომეტრს მივიბჯენ და ხსენებული ცდები, კარგად რომ იქნება შემუშავებული და დიდი ხნის მანძილზე განმეორდება, ისეთივე საიმედო შედეგს მომცემენ, იმათ რომ აქვთ“.

ი. კოლომინსკის მოხუცს ე.წ. რუსოს ეს სიტყვები და დასძენს, 200 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ბარომეტრი-ფსიქომეტრი ფანტასტიკოს მწერლებსაც არ გამოუგონებიათ.

სხვა, უფრო გამოჩენილი მკვლევარნიც ამ შეხედულებისა არიან და აღნიშნავენ კიდეც სხენებული საკითხის სიმძვინვარეობას. ორიოდ მაგალითი მოვიტანოთ ამის დასტურად: „სამუარო რომ უქმნის ადამიანის აზრს, უკვლა ამ პრობლემათგან ურთულესი აღმოჩნდა ის, რაიც უშუალოდ აზრის, ცნობიერების ბუნებასთან, საერთოდ ფსიქიკურთანაა დაკავშირებული“ (ხ. რუბინშტეინი). კიდეც: „ადამიანის ქმედების შესწავლა ჩერ კიდეც უარშობის ასაკშია და ეს გარეობაა მტკივნეულად საცნაურდება მაშინ, როგორც კი ამა თუ იმ მოძღვრებას რომელიმე პრაქტიკულ პრობლემას მიუსადაგებენ“ (ტ. შიბუტანი).

თუმცა ბარომეტრი-ფსიქომეტრი ჩერ კიდეც არ გამოუგონებიათ, დიდი მწერლები როგორც ფლობენ ამ იარაღს. იგივე ი. კოლომინსკი წერს, მტკივნეულმა დაანაწევრეს ადამიანის ფსიქიკა მრავალ პროცესად, თვისებად, სხვადასხვა მდგომარეობად, დაამახასიათებელ ნიშნებად, თავისებურებად, მაგრამ ადამიანის საკციელს უოველთვის ვერ განსჭვრეტ, ვერც ახსნი. თუმცა არიან ფსიქოლოგები, რომლებსაც ეს ძალდასაღწევი მწერლებია ესენი, ნამდვილი, კარგი მწერლები — რომლებსაც ტირის შემდეგ ფსიქოლოგს მაიწერენო.

ჭეშმარიტად, ცარიელი სიტყვები არ არის ეს ამბავი და საჭირო აღარაა ამის გამო მაგალითების მოტანა, რადგან უკვე დიდი შემოქმედებებია ამისი მაგალითი.

ამერიკელი ფილოსოფოსის, უილიამ ჯემსის მიხედვით, ადამიანის თავის ტვინს არ ძალუძს შთაბეჭდილებათა და რეალურობის განცალკევება, და დანაწევრებული საბით მათი ცხადლივ წარმოჩენა; გარდახდენილი, თქმა არ უნდა, უკვე ამა თუ იმ პიროვნებასთან წილნაყარი და ამ პიროვნებებზე განპირობებული ამბების ცნობიერების ნაყადითა შეიძლება.

მაგრამ თავად უ. ჯემსი, ამ სიტყვებს რომ წერდა, წინააღმდეგობაში ჩავარდნილა — ზემოთ მოტანილი მისი მოსაზრება ცნობიერების ნაყადის ნეშეობით კი არა, ჩვეულებრივი ფილოსოფიური მსჯელობითაა გადმოცემული.

„უკვლავი გამოქმეა“ — დღეს უკვე ასეა ცნობილი ეს სიტყვები, რაკილა ლიტერატურათმცოდნეობაში ხსენებული ცნება — „ცნობიერების ნაყადი“ — დამკვიდრდა და, თქმა არ უნდა, ამისთვის იყო და კიდეც არის გარკვეული საფუძველი. საქმე ისაა, XIX—XX სს. შეიქმნა ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა შინაარსი ამა თუ იმ ზომით იმ ფორმის საშუალებით გადმოცემულია, „ცნობიერების ნაყადის“ სახელით რომაა ცნობილი.

ოღონდ ამთავითვე უნდა ითქვას, ეს ამბავი შემთხვევითი არ არის, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, რომლის საფუძვლის მიკვლევა შესაძლო უნდა იყოს დღევანდელი ლიტერატურათმცოდნეობისთვის.

ფაქტია, დღეს უკვე მრავალ და წარმავალ ლიტერატურულ მიმდინარეობათა პოსტულატებით ამა თუ იმ დიდი შემოქმედის ახსნა ძნელია. მართლაც, შემოქმედება პირველადი თუ მიმდინარეობა, ანდა, შესაძლოა ასეც ითქვას, დიდი შემოქმედი მიმდინარეობათა თეორიებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ იმ ორ ვრცელზე-ვრცელი სარბიელს დაუყრდნობს, რასაც ჰქვია ცხოვრება და საკუთარი გული. როგორც კი ის, ვინც ამ შეხედულებას — მიმდინარეობათა არსებობას ამტკიცებს, თითქოსდა იმ აზრსაც გულისხმობს, საკმარისია ადამიანი მიმდინარეობის თეორიას თუ თეორიებს დაეუფლოს და შემოქმედი გახდება ნამდვილად. ჭეშმარიტი შემოქმე-

დისა რა მოგახსენოთ და თეორიებს დაუფლებული „შემოქმედი“ ეპილოგობის საწვრტვების ვერასდროს გაცილებდა — დღეს უკვე ამას მტყიცება აღარ სჭირდება.

შეიძლება სწორედ შემოხსენებული გარემოება ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც „მიმდინარეობაშია“ უკუგაგდეს და ლიტერატურის ისტორია სამ დიდ ეტაპად დაუყვეს.

მხატვრული შემოქმედების სადღეისო, მესამე ეტაპს მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი აქვს — გვიჩვენოს ადამიანი როგორც ბიოლოგიურ და სტრუქტურათა რთული ერთობლიობა.

ცხადია, კაცობრიობის გენია წინ მისწრაფის და მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესს აღარც ხელეფენება ჩამორჩება. თუმცა ვარაუდობენ, თითქოსდა მეცნიერების განვითარება დიდად უსწრებდეს ხელოვნების განვითარებას. მაგრამ ამ დროს. ჭერ ერთი, როგორღაც ავიწყდებათ, უმართებულთა ასეთი დაპირისპირება — მეცნიერებას (ფსიქოლოგიის გამოკლებით) და ხელოვნებას სხვადასხვა, სრულიად ერთმანეთის საპირისპირო — უსულყო და სულიერი (ადამიანი) ობიექტები აქვს თავის საგნად და ამ საგანთა კვლევა ერთი და იგივე არ არის. ხდენებული განსხვავება ისეთი განსხვავებაა, რაც შეიძლება იყოს სიმარტივის და სირთულეს შორის. სხვათა შორის ამ გარემოებას ეხეტ მოწმობს, დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი სიძნელეები წინაშე იდგა და დღეს თანამედროვე ფსიქოლოგია; მეორეც, რომელ ჩამორჩენაზე შეიძლება საუბარი, როდესაც თანამედროვე ადამიანი წილნაუარია, ვთქვათ, თ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, გლაკოვის შემოქმედებასთან. ასე რომ, შემონახსენებს მოსაზრებას — თითქოს მეცნიერების განვითარება დიდად უსწრებდეს ხელოვნების განვითარებას — ეს გარემოება ენაძირკვლება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები მეტად თვალსაჩინოა და უკველ წამს და უკველ ნაბიჯზე გვიჩვენებს თავს.

თქმა არ უნდა, ეს საკითხი რთულია და ამ ორიოდ სიტყვით მისი ამოწურვა შეუძლებელია და ჩვენი უშუალო თემიდან რომ არ გადავუხვიოთ, ზემოთ თქმულს დადებურუნდეთ ისე. ხელოვნების მიღწევებს აღვტრებდეს მესამე ეტაპი, რომელიც წინარე ეტაპის შეზღუდულობას ძღვეს იმით, რომ გადმოგვცემს ადამიანის ინდივიდუალობას, როგორც ზერთულ, ბიოსოციალურ სტრუქტურას, ე. ი. როგორც ინდივიდობა და პიროვნების ერთობლიობას. — აი ისე, ედგარ პოსთან რომ ვხვდებით ჭერ კიდეც, კერძოდ, ჩვენ ამ მწერლის მოთხრობები გვაქვს მხედველობაში — „ლიგია“, „მორელა“, „უილიამ უილიონი“ და სხვ. ამ მოთხრობათა მთხრობელი-გმირების მიერ თავიანთი თავგადასავლების წარმოჩენა. „ცნობიერების ნაკადის“ ფორმასა ნაწიარები, რაკიდა, მათი, ამ მოთხრობათა გმირების სიტყვა რა მართო გვიხსნის მათივე გრძობებს, მნიშვნელოვანწილად განვაცდევინებს კიდევაც ამ გრძობებს, ასე რომ ამ მოთხრობებში ჩაწნულია თავად გმირის სულიერი ამბავი და მისი ანალიზი. ხდენებულ მოთხრობებში მოთხრობელ-გმირებს უკვე სულ სხვა უწყობა აკისრიათ, წინა პლანზე ამ გმირებთან, ადრინდელი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა მთხრობელი-გმირებისგან განსხვავებით. საკუთარი სული ჩანს და არა გარემო. ე. ი., მოთხრობელი-გმირი თავის თავგადასავალს თავისი სულიერი ამბების თხრობას უკავშირებს უშუალოდ და არა გარემოს — როგორც ამას ე. წ. სათავადასავლო ლიტერატურაში ვხვდებით.

ნაწიარებიაო რომ ვამბობთ, ჩვენ იმისი თქმა გვინდა, ე. პოს ზოგიერთი მოთხრობის სახით ჩვენ სამირკველს ვხედავთ „ცნობიერების ნაკადისა“, ხოლო ამ სამირკველზე უშუალოდ „ცნობიერების ნაკადის“ შენობის დაშენება გვიანდელი თაობის მწერლებს ხვდათ წილად.

„ცნობიერების ნაკადი“ რბალსტის მინდვიტი. ცხადია, რომ დიდ შემოქმედთან უკველიც, რაც ლიტერატურულ ფორმასთან, ისევე როგორც შინაარსთან არის დაკავშირებული, რეალობა ენაძირკვლება და ეს ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებაა — ჩვენ აქ ხომ დიდი შემოქმედების საფუძველთა საფუძველი გვაქვს მხედველობაში!

შეიძლება შემოქმედმა თავის გმირად, ვთქვათ, კენტავროსი გამოიყვანოს — ნახევრად ჰაქისა და ნახევრად ცხენის სხეულიანი არსება, და არა მართლ ამას, მთლად ზღაპრულ ქიშკრასა რაღაც რეალობა ეფუძნება და ესენი, თუკი შემოქმედს უნარი შესწევს, შეიძლება ზოგჯერ ღრმა შინაარსის მატარებელ ბრწყინვალე ფორმის ნიშნულად მოგვევლინონ — გოთას „კარბიონები“ გავიხსენოთ, რაღა თქმა უნდა, ის, რასაც „ცნობიერების ნაკადის“ უწოდებენ, გამოსაყლისი არ არის — ეს ხერხი ადამიანის ბუნების რეალურ თვისებასთანაა წილნაუარი.

ხალხში — იმათში, ვინც არ იცნობს სპეციალურ ლიტერატურას — ასეთი შეხედულება გავრცელებული მეხსიერების შესახებ: მოგონება ის არის, რაც წარსულში გადახდენია კაცს. ვთქვათ ვინმეს შეხვდა იგი და უცებ მოიგონებს ამ ფაქტს. ე. ი., მეხსიერების საშუალებით ადამიანი იგონებს, რაც იყო. თქმა არ უნდა, ეს შეხედულება სწორია, მაგრამ როგორ იგონებს ან რამდენად უხეტად იგონებს, საკითხავი აქ ეს არის!

ქვემოთ სიტყვები სტენდალის დღიურიდანაა (მეხსიერების შესახებ ცნობები მოგვაქვს, ს. ივანოვის მიხედვით, ის, მისი „ბეჭდის ანაბეჭდი“, მ., 1978, გვ. 82—83, რუსული გამოცემა): „სამწუხაროდ, ამ დღეებში არაფერი დამიწერია“

ზაბურ კილაძე

„ბულღი, ცნობა და გონება...“

მშენებელთა კი შევძლებდი სიყვარულით ტანჯვის გაღმარებას; გუშინ ვნახე ის ქალი და უკვლავდრემა გამოარა“.

სტენდალი ამ შემთხვევაში მებსიერებას არ უჩივის, თავად ის ამბავი, თუ რა სჭირდა მას, ახსოვს, მაგრამ როგორ სჭირდა? ეს კი დავიწყებულია. შემდეგ სტენდალი კარგად ხსნის ამ ფაქტს: „ძალზე ძნელია მებსიერების მიხედვით აიწეროს ის, რაც ბუნებრივი იყო თქვენში; გაცილებით ადვილია ხელოვნური ის, თვალთმაქცური ის აღწერა. თვალთმაქცობისთვის რომ დავეჭირდა, ის ძალიანხეივან გვეზმარება ჩვენ“. შემდეგ სტენდალი დასძენს, ჩემი ბუნებრივი გრძნობების დასამახსოვრებლად მიმართულმა ვარჯიშმა შეიძლება შექსპირის ნიჭი მომცესო. „თქვენ ხედავთ საკუთარ თავს თვალთმაქცობისას და გაცნობიერებულნი გაქვთ ეს ამბავი. ხსენებული შეგრძნება ადვილად აღდგება მებსიერების აპარატის მეშვეობით. მაგრამ საკუთარი ბუნებრივი გრძნობების გახსენება მათი გაცნობიერებით იწყება იშთავითვე“.

მკითხველს ვთხოვთ, კარგად დაიმახსოვროს ეს უკანასკნელი წინადადება.

ოღონდ ჭერ ზემოთ თქმულს დავუბრუნდეთ უსათუოდ.

ე. ი. მებსიერება რამე ფაქტის მოგონებაა არ არის, უფრო მეტიც, ის არც გრძნობათა, არც შთაბეჭდილებათა მოგონებაა, მარადღე ჩვენში მბეუბრავი ეს თავად უშუალო გრძნობებია, თავის პირვანდელ ბრდღვიანს რომ შიიღებს ეამუამად.

ეამ-ეამად.

მაგრამ ზომ არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთს სრულიად მოიცავს რაღე ძალღში გრძნობა თუ გრძნობები — ე. ი. რაღაცას განიცდის ხანგრძლივი ღროის განმავლობაში. ამგვარი სულიერი მდგომარეობისას ადამიანს სულ ერთი ხანის გარშემო უტრიაღებს ფეჭრი და უოვეღევე, რასაც ის აეღთებს და რასაც თვალს მოკრავს, ზოგჯერ სულ მოუღლოდნელი ასოციაციით იმ საგანს წამოაგონებს, რაღდა, როგორც ცნობილია, „მოგონების განცდაში ზაზი იმას კი არ ეხსიის, თუ რა მომხდარა ოღესმე, არამედ იმას, თუ მე რისი მოწმე უყოფიღდარ. მე რა აღმიქვამს. მოგონებაში კვეყნის ამბავი კი არა, უფრო ჩემი ამბავია მოთხრობილი“ (ღ. უზნაძე).

ფსიქოლოგებმა ასეთი ცდა ჩაატარეს, ცდისპირს სთხოვეს, მოეღბრო უკვლავდერი, თუ რა გაღახდა მას სამსახურისკენ მიმავალს.

„შინიღან გამოსულმა ვიცოღი, რახან გვიან იყო, მეტროთი უღდა წავსულიღვაი. იმ წუთას გაღავუბევე და მეტროსკენ გავსწიე. რას ფეჭარობღდე? არ მახსოვს. სრულიად ვღარაფერს ვიცოღდე ამის შესახებ. მაგრამ იმ ღიღანდღელი სურათის მხედვეღობითი ხატი მაქვს, იმისა,

რასაც ჩავუარე, ნელა მივღიოღი. ხაღბი არ მახსოვს. გავიფეჭრე: ნელა მივღიღარ და ზომ არ იქნება რამე? კუჩარე გაღახვღლის შევეოღენღი, მანქანა მოღიოღა. გაღახვღლელად მოვემზადე, შუა ხაღბში ჩავღეკი, საუღლო აწეული მქონდა და აგრე გვერღებზე გახეღვა აღარ დამიჭრიღდებოღა. შუაგულ კუჩარში ისევე შევეოღენღი, მანქანა გაეატარე. მეტროსადგურის წინ ღღი რიგი იღდა გაზეთებისთვის, გზის გავეღვრა მომიხდა. მეტროს კიბეზე საშინელი ორპირი ქარი ჰქროღდა, საოცრად უფრიაღებღა უკვეღსს პალტოს კაღღებღი, გავიფეჭრე, მეც აგრე საოცრად გამოვეუღრეღი-მეღუღი...“

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ამ შემთხვევაში ეს ცდისპირი იშთღდა დანიტერესებული — რაც შეიძლება ზუსტად განცდეს პასუხი მეციღერიის კიღთვას. მეტი მას არაფერი აწუღებს ამუამად და კიღევეც მშვიდი ჩანს.

მაგრამ აქ ასეთი კიღთვა წამოიჭრება: თავად ეს ფაქტი — ცდისპირი რომ გაღმოვეყემს თავის წარსულს, თავის ამბავს რომ გვიამბობს — რა არის?

ზომ არ შეიძლება ამ მოგონების „ცნობიერების მუშაობა“ დავარქვათ?

ღიამ, ოღონდ უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, ასე უღდა ვთქვათ: ეს არის გაცნობიერებული წარსული, რომლის მოგონება თუ საჭირო იქნებოღდა, არც კი იყოღდა მომგონებღმა.

მაგრამ ვთქვათ და ეს კაცი რაღაცას ძალიან აეღღეღეღებინა მაშინ, როცა სამსახურში მიღიოღდა, ის, მიღ უმეტეს ამ შემთხვევაში გამოწვღიღვით ვერ მოგვიღბრობღდა თავის ამბავს, სწორედ ამ მღღეღვარების გამო წერიღმანენღი და აღამიანდა საბეღი მისთვის მიღ უმეტეს ბურღსიღთ იქნებოღდა მოკული, მაგრამ ამ თხოვნაზე — მოეღბრო, თუ რა გაღახდა მას სამსახურისკენ მიმავალს, შეიღღება ისევე განიცაღდა ამა თუ იმ ზომით მაშინდელი მღღეღვარება და ვინ იცის, იქნებ „ცნობიერების ნაკადს“ (უკვე ნაკადს!) იმ ბურღსიღდან თავისი სულიერი მდგომარეობისაღ კვლად იმღღეღვანდელი გარემოს წერიღმანენიღცა და დეტაღებშიც წარმოიჭინა ცხადღიღვამ ფაქტის ანაღღში ასეთ სურათის მოგვეყემს — მომგონებელი თავის ამბავს რომ მოგვიღბრობღს, ჩვენ ვებღუღობთ: 1) იმის მაშინდელ (რაღა თქმა უღდა ნაწიღობრივ) და ახღანდელ (მნიშვნეღლოვანწიღად) მდგომარეობას; 2) იმ წერიღმანენმა, დეტაღებმა და აღამიანდა საბეღებმა, ასეთი რამე შეუღღებღდ რამედ არ უღდა მივიჩნიოთ, შესაღლოა, ჩვენ ისეთი რამე გვამცნოს, რაც უკვე მომგონებღლზე კი არა, მხოლოდ ჩვენზეღდა დამოკიღებული.

„ცნობიერების ნაკადი“ ლიტერატურული ხეღღმანის მიხედვითი“. ნიციერ ღღებღრატურული ინციკლოპედიის“ უკანასკნელ გამოცემაში წერიბა: ფსიქიკური მოძრაობის გაღმოცემისას „ცნობიერების ნაკადს“ პრეტენზია

აქვს განსაკუთრებით სრულად შეგვიქმნას ილუზია „თანადანსწრების“ „თანადამობისა“.

ხსენებული მოსაზრება სწორია, ოღონდ აქ საკითხავი ის არის, სახელდობრ რა შემთხვევაშია მართებული (შედარებით მაინც) მწერლის მიერ „ცნობიერების ნაკადის“ ხერხის მოშველიება.

მაგრამ ჭერ ვნახოთ რა სახით წარმოგვიდგება სხვადასხვა მწერალთან „ცნობიერების ნაკადი“ და ამის შესაბამისად იქნება ამ ხერხით წარმოჩენილი შინაარსი და მისი რაგვარობაც (თვითსებრიობაც) მოვიზილოთ.

„მამ... მთლიანად—განაგრძობდა ფიქრთა ქარი... შლით გაბრუებული. — მართალია, კაცს „რღუნელა და ფრთხილია უნდა დაუახლოვდეს, რომ გაიქნოს“; მაგრამ ბატონ ლუიზის პიროვნება აშკარაა. უმთავრესი ის არის, რომ „საქმიანი და ვკონებ, კეთილი კაციაო“. ზუმრობა საქმეა განა, დღი სკივრის გადატანა თავისი ხარკით კისრსა კეთილია, მშშ რა არის? თვითონ ისინი კი, სპატარძლო და დედამისი, გლეხს ურიგდებიან. ჩინობიან ფორანს ქარაობენ (მეც ხომ ასე მივლია)! რა უჭირთ! ოთხმოცდაათ ვერსს გაივლიან მარტო, „მერე კი მესამე კლასთი გაიბუნენ“ ათას ვერსს. არა ჭკუასთან კი ახლოა: საბანი როგორც ვაგწვედეს. ფეხი ისე გაქიშო. მაგრამ თქვენ, ბატონო ლუიზო... ნუთუ არ იცოდით, რომ გზის ფულს დედა წინათვე პენსიის გირათი სესხულობს? რასაკვირველია, აქ თქვენ საერთო კომბრციული საქმე და წარმოება გაქვთ...“ და ა. შ. თ. დოსტოვესკის გმირის — რასკოლნიკოვის („დაანაშაული და სასტელი“) ფიქრები რომანის ამ მონაკვეთში საკმაოდ ვრცელადაა წარმორჩენილი. მაგრამ ეს, როგორც მკითხველი შეინშავდა, ჩვეულებრივად ფიქრები არ არის, არამედ როგორც თავად თ. დოსტოვესკი აღნიშნავს. „ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული“ რასკოლნიკოვის აზრებია — ამ კაცის სულიერ ტანჯვას ახლა ისეც დამატა: თავისი დის სავარაუდო ნიშნობის ამბავი გაიგო, უღირსს კაცს უნდა გაუქლოდა მისი დი. ზემორე მოტანილ მონაკვეთში სწორედ „ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული“ კაცის უდიდესი სულიერი მდელვარება ჩანს და მკითხველი მხოლოდ ამ მდელვარებას არ გებულობს ზემოაღნიშნული გმირისას, ბევრ სხვა რამესაც ჩახვდება. ცხადზე ცხადია ეს ამბავი და ჩვენც შეტს ჭერ აღარაფერს ვიტყვით ამის შენახებ.

ცოტა ქვემოთ თ. დოსტოვესკი ბრწყინვალედ გვაძენობს რასკოლნიკოვის სულიერ მდგომარეობას, მის მდელვარებას, მრავალ მტანჯავ გარემოებათა გორგალში მტკივნეულად რომ არის აწწული: „შეკრთა უცებ; ვუშინდელივით ისევ ერთმა აზრმა გააქრა თავში; მაგრამ იმითმ კი შეკრთა, რომ აზრმა გააქრა. იცოდა, გრძობდა წინათვე, რომ უთუოდ „გაუღლებდა“, ელო-

და კიდევ და არც ვუშინდელი იყო ეს აზრი, მაგრამ იმით განსხვავდებოდა მხოლოდ, რომ ერთი თვის წინათ და ვუშინავ მხოლოდ ოცნება იყო, სხვა არაფერი, ახლა კი... ახლა უცბათ ოცნების ნაცვლად ახალი, მრისხანე და უცნობი სახით წარმოუდგა. ჰოდა უტყრივ რომ მიხვდა ამას... თითქოს თავში დაჰკრესო. თვალთ დაუნდელდა“.

ჩვენ ორი მონაკვეთი მოვიტანეთ. თ. დოსტოვესკის ხსენებული რომანიდან — ერთი ისაა, რაც უშუალოდ „ცნობიერების ნაკადს“, გინდ „ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული“ კაცის სულიერ მდგომარეობას წარმოგვიჩენს და მეორე ისაა, რაც ამ „ცნობიერების ნაკადს“ ან „ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული“ კაცის სულიერ მდგომარეობას ესაძიკვლება — უკვე ავტორისეული სიტყვებით დახატული სულიერი მდგომარეობა გმირისა. ე. ი., პირველის მიხედვით, შეიძლება ითქვას, გმირის სულიერი მდგომარეობის ამბავს უშუალოდ ვწვდებით, მეორეს მიხედვით კი გმირის მდგომარეობას ავტორის სიტყვებით ვგებულობთ, ანუ სხვაწარად რომ ვთქვათ, პირველი უშუალოდ გრძობობათა წარმომჩინია, ხოლო მეორე კი გრძობობათა ახსნა და აღწერაა.

მაგრამ აქ შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა იფიქროს, ორივე ხომ სულაც ავტორის ეკუთვნისო, დიახ, რაღა თქმა უნდა, ოღონდ მეორე მონაკვეთში გმირის სულიერი მდგომარეობაა აღწერილი და მეტი არაფერი, და ასეთ აღწერასთან შედარებით პირველი უფროვე მრავალს მომცველი და მრავალსმთქმელია. ჩვენ აქ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ხსენებული მკითხველი თავისდა უნებურად ავტორთან აიკვებებს გმირს, რაც უმართებულო რამაა არა მარტო თ. დოსტოვესკის ნაწარმოებთა წყაითხვისას, არამედ სხვა, მეორე-და მესამეხარისხოვანი მწერლის შემოქმედებაც არ ვაძლევს ასეთი მცდარი მოსაზრების საფუძველს.

„ძმებ კარამაზოვებში“ თ. დოსტოვესკი ცნობიერების ნაკადის“ ფორმას მრავალად იშველიებს და კიდევ ერთი ფრიალ საუბრადღებო ნაირსახეობა აქვს გამოუენებული ამ ფორმისა — გვიხსენით ივანეს საუბარი ეშმათან. ჩვენი აზრით, ეს კლასიკური ნიმუშია იმისა, როდესაც გმირის სულიერი მდელვარება მის მრწამსთან არის დაკავშირებული. გმირის აღწნებული ცნობიერება უკვე ერთი კი არა, ორი ნაკადითაა წარმოჩენილი — თავად ის და ეშმა — და ორივე ეს ნაკადი მკითხვერად გვიხსნის გმირის სულიერ ამბავს და კიდევ ბევრ სხვა რამეს, რომლის თემა, ვინ იცის, იქნება მონოგრაფიითაც ვერ ამოიწუროს.

თ. ტოლსტოისთან ვხვდებით ხსენებულ ფორმას, მხედველობაში გვაქვს მისი „ნა კარენინა“.

ზაურ კილაძე

„პული, ცნობა და ბოძება...“



ეკრძოდ ანას სიკვდილის წინანდელი განცდების სახით.

ჩვენ რომ უოველთვის „ცნობიერების ნაკადს“ პირველ პირს, ე. ი. მთბრობელის მონათხრობს უუკავშირებთ (ზემოთ ხსენებული თ. დოსტოევსკის გმირის — ივანეს საუბარი ეშმაკთან ამ გმირისავე თბრობას უნდა დაუკავშიროს). ეს შემთხვევითი არ არის. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, „ცნობიერების ნაკადით“ უოველთვის როდია გადმოცემული გმირისეული თბრობა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ თბრობაში რამე გრძნობა კი არ ჩანს (ის გრძნობა, რომელითაც მთბრობელი მოცული იყო მაშინაც და ახლაც, თბრობისას). არამედ ჩვეულებრივი მოვარება, გაცნობიერებული, უოველმბრავ გაზრებული, აწონილ-დაწონილი მწერლის მიერ; და თუ გმირი თავის წარსულ განცდას გვიამბობს, ეს არის საკმაოდ სალი განცდა ამ გრძნობისა, მისი ახლანდელი შეხედულება მისი მაშინდელი მდგომარეობის შესახებ — „სწორედ იმ დროს, როდესაც დავერდივარ, ჩემს ცხენსაც ფერდში უშებარა მოხვედრია, ცხენი და მხედარი ჩავეცილებვართ, როცა დაცემულევარ, არ ვიცი, ეს მარჯვნივ იყო თუ მარცხნივ, აღბნა ჩემი ცხენის ტანს დაუფარავარ. ამიტომ გადავრჩენილვარ, არც ცხენებს გავუტულებტივარ, არც უშებარები მოხვედრია. როდესაც გონს მოვედი, ბატონო ჩემო, მე ისეთ მდგომარეობაში და ისეთ ატმოსფეროში ვიყავი, ამას ვერც კი წარმოიდგენო, ხვალამდეც რომ ვიამბოთ“ (ო. ბალაჯი. „პოლოვნიკი შაბერი“) თქმა არ უნდა, ეს არის გაცნობიერებული ამბავი უოველგვარი „ნაკადის“ გარეშე.

მაგრამ ზემოთ თქმულს დაუბრუნდეთ, ცხადია „ცნობიერების ნაკადი“ ხსენებულ მიზეზთა გამო უოველთვის გმირის თბრობასთან, ანუ პირველ პირთან არის დაკავშირებული.

თუმცა ხომ არის შემთხვევები, როდესაც „ცნობიერების ნაკადი“ ავტორისეულია, ე. ი. მწერალს თავისი თბრობაში ძირითადად ავტორისეული თბრობით აქვს გადმოცემული. მაგ., აქ უნდა აღინიშნოს ჭ. ჭოსის „ულისე“.

ხსენებული შემთხვევის ასახსენლად რამდენიმე გზა არსებობს: 1) „ცნობიერების ნაკადით“ თავისი სულის ხვეულებში უნდა ჩაგვახედოს ავტორმა; 2) ავტორისეული „ცნობიერების ნაკადის“ საშუალებით შეიძლება უფრო კარგად გახედოს საცნაური გმირის სულიერი მდგომარეობა; 3) ეს უკვე „ცნობიერების ნაკადი“ არ არის, რაღაც სხვა რამეა; 4) კი არის „ცნობიერების ნაკადი“ და უმართებულადაა გამოყენებული.

ზემოთ, როდესაც ჩვენ „ცნობიერების ნაკადი“ ნაწარმოების გმირის, ანუ პირველი პირის თბრობას დაუკავშირეთ, მნიშვნელოვანწილად

ნათელი სურათი იყო: „ცნობიერების ნაკადით“ მეშვეობით მწერალმა შესაძლოა შედარებით სრულად წარმოგვიჩინოს „ფიქრთა ქარიშხლი“, რაიმე გრძნობით თუ გრძნობებით მოცული ადამიანის მდგომარეობა.

ხოლო მეორე შემთხვევამ, როგორც ჩანს, რამდენიმე ვარაუდი წარმოაუდგენლავა და ამისდა კვალად ამ საკითხის გაშუქება იქნებ საეჭვოც გახდეს; პირველი გზა — „ცნობიერების ნაკადით“ თავისი სულის ხვეულებში უნდა ჩაგვახედოს ავტორმა — უფრორე საუკუბანო ჩანს, რაიდა ჩვენ პროზასთან (ამ ცნების სრული მნიშვნელობით, არც ლირიკული პროზა უნდა ავუკრიოთ ამ ცნებასთან) გვაქვს საქმე და არა ლირიკული ნაწარმოებთან, რომელშიც, როგორც ფიქრობენ, „ინდივიდუალური სულიერი სამყარო პოეტისა, ინდივიდუალობისა და ავტობიოგრაფიულობის დაუყარავად განზოგადებულ ხასიათს ღებულობს...“

მაგრამ ამ უჯანსკენელი დებულების ანალოგიით იქნებ შესაძლო იყოს ასეთი მოსაზრების გამოთქმა — „ცნობიერების ნაკადი“ შეიძლება გმირის, უფრო სწორედ მთბრობელი-გმირის „ინდივიდუალური სულიერი სამყაროს“ წარმოსახენადაა გამოწვეული სწორედ იმდაგვარად, კარგი პოეტი რომ გვაზიარებს თავისი სულის საიდუმლოებს?

შეიძლება.  
ოღონდ შედარებით სრულად გაშუქება ამ საკითხისა ამ წერილის ბოლოში უნდა იყოს შესაძლებელი.

მეორე გზის ახსნას რაც შეეხება, სჭობს ჭერ მაგალითი მოვიტანოთ:

„ხილვადობის გარდუვალი მოდლობა:1 ეს მინც, თუ მეტი არა, ჩემი თვალებით გააზრებული. უოველ სავნის ანაბედი2, ამოკითხვა რომ მიწერია, ზღვის ნივარები და წყალმცინარეები, ზღვის მოახლოებული მოქცევა, ეს ეანგინი ჩემმა წვინტლისფერი მწვანე, ვერცხლისფერი ლურჯი, ეანგე: ფერადი იმწმეტი. გამჭვირვალობის საზღვრები. მაგრამო, დასქენს იგი: სხეულებშიმ. მასხადაამე, სხეულებდ მანამ შეიცნო, სანამ შეიცნობდა მათ შეფერილთ. როგორ? რა თქმა უნდა გავრით რომ ეახებოდა. ფოთხილად იარე. ქაჩალი იყო და მილიონერინ, maestro di color che sanno3. ზღვარი გამჭვირვალობაში. რატომ „ში“? გამჭვირვალე, გაუჭვირვალე. ხუთი თითი თუ გაუტარე, ცხაურა უოფილა, თუ ვერა და — კარი. დახუჭე თვალი და ნახე.“

1 არისტოტელე ხილვადისა და სმენადის შესახებ შეტყობობს De Anima-ს პირველ და მეორე წიგნებში.

2 ჭოსის პირად ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა

გერმანელი ფილოსოფოს-მისტიკოსის იაკობ ბოემეს (1575-1624) შრომა „ყოველი საგნის ანაბეჭდი“.

3 არისტოტელეს მიხედვით, ყოველი ხილვადი ფერია, მაგრამ ფერი მუდამ რაიმე სხეულებრივი სახით ელნილება, რომელიც ჩანს არა თავის-თავად, არამედ ფერის მეშვეობით.

4 ჭოისი გულისხმობს გადმოცემას, რომლის თანახმად დოქტორ ჭონსონთან ერთ-ერთ კამათში ბერკლი ამტკიცებდა, მატერია არ არსებობს, ამაყაროში ყველაფერი მხოლოდ იდეაა. ამბობენ, ჭონსონმა დიდ ქვას ფეხი ამოჰკრა და დიძახა — ამით უარყოფ მაგ დებულებასო.

5 შუასაუკუნეებში გავრცელებული შეხედულება არისტოტელეს შესახებ.

6 მკოდნეთა მასწავლებელი. (იკ.) — არისტოტელეს აღწერა დანტეა „კოკხიეთში“ (სიმღერა მეოთხე, 11).“

„ხომლი“, 1971, № 6, გვ. 159.

ჩვენ შეგნებულად გმირისეული „ცნობიერების ნაკადი“ ნიშნით მოვიტანეთ ჭ. ჭოისის „ულისედა“; მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მთხრობელის სულიერი მდგომარეობა, შეუძრეული, სტატიკური ჩანს და რატომღაც მისი სიტყვები ისეთ რამეებს მიგვანიშნებს, რაც მნიშვნელოვანწილად სქოლიოთა მოუშველებლად გაუგებარი არჩება ჩვენთვის. და აი, ვნახეთ სქოლიო და ჩავხვდით ამა თუ იმ სიტყვათა მნიშვნელობას, მაგრამ სიტყვათა გაგება შინაარსის წვდომას არ ნიშნავს ჭერ კიდევ. ისეთ წვდომას, ვთქვათ, გალაკტიონის ლექსის სიტყვები რომ მოვაკატებს.

საქმე ისაა, ჭ. ჭოისის „ულისე“. ძირითადად, წიგნისმეორ (და არა ცხოვრებისეულ) შინაარსზეა დაფუძნებული და ამისდა კვალად უნივერსალური განათლების მეთოდული უნდა ჰყავდეს მას, მაგრამ ჩვენი აზრით, ვეღარც ის ამომხსნის ამ გამოცანას, რაკილა ამ თხზულებაში „ნაწარმოების ორიენტირებად“ (ვ. ასმუნისაეს ცნება) მტყნულად წიგნები, ე. ი. მეორეული რამ ჩანს და არა პირველადი (ყოფიერება, ცხოვრება).

ზემოთქმულის სიკვდილსთვის დავსძინოთ, რაიმე ინფორმაციის მისაღებად ჩვენ ბიბლიოთეკაში დავდივართ ზოლმე, მაგრამ ცხოვრებისეული ინფორმაციის მისაღებად მხოლოდ ბიბლიოთეკაში სიარული ვეღარაფერს გვიშველის და რაბან ამ შემთხვევაში „ცნობიერების ნაკადი“ გმირის სულიერ მდგომარეობას ვერ გვაშენებს, იქნებ უმართებულოდაა მოშველიებული ეს ფორმა? ე. ი. აქ ჩვენ ვხვდებით იმ ამბავს, როდესაც შინაარსი და ფორმა ერთმანეთის სადარი, შესაფერი არ არის, ანუ როდესაც — ხაკმაოდ უხეში ცხოვრებისეული მაგალითი მოვიტანოთ ამ მოვლენის საილუსტრაციოდ — კაცო კი დღევას, მაგრამ ასადიდებელი ისეთი არაფერი სჭირს მას.

„ცნობიერების ნაკადი“ ლიტერატურული ხელშეწყობის მიხედვით. უ. ფოლქნარის „ხმაური და მრისხანება“ „აჰა, ძმაო, მაშინდითგან აჰა ვარ და აჰა ვკვდები, ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტარ და ზოგჯერ ვხვდები“; ტარიელი ნესტან-დარეჯანს რომ იგონებს—ზოგჯერ ტირის და ზოგჯერ ხნდება — მის ამ მდგომარეობას მისი ახლანდელი სულიერი განწყობა ესაძირკვლება...

ქვემოთ სიტყვები სულ სხვა დროის შერკლბისა: „პირჭვრის გადაწერის ამ ჩვეულმა მოძრაობამ ბავშვობისა და ქალიშვილობის დროის ათასნაირი მოგონება წამოუშალა და უცებ გაიფანტა წყვილი, რომელიც ყველფერს ფარავდა მის სულში, და წამით ცხოვრება ამ განვლილმა სიხარულმა გაანათა“.

აი, ასეთმა გრძნობამ მოიცვა ანა კარენინა სიკვდილის წინ. ლ. ტოლსტოი უშუალოდ არ აღწერს ანას მაშინდელ „ბავშვობისა და ქალიშვილობის დროის ათასგვარ მოგონებას“, თავისი ჯადოსნური ყვამით ამ გმირის სულიერი მდგომარეობის შესახებ გვაშენებს მხოლოდ. მაგრამ ვთქვათ და შ. რუსთაველსა და ლ. ტოლსტოის უშუალოდ გადმოცემა თავიანთი გმირების სულის მოძრაობა; შ. რუსთაველს — თუ როგორ „კვდება“ ტარიელი და ლ. ტოლსტოის — ანას ბავშვობისა და ქალიშვილობის დროის ათასნაირი მოგონება მაშინ იმდაგვარ ამბავს მივიღებდით, უ. ფოლქნარის ხსენებული ნაწარმოების გმირს — კვენტინ კომპსონს რომ გადახდა.

აქ უაღვილო არ იქნება იმ გარემოების აღნიშვნა, რომ სამივე შემოქმედი — შ. რუსთაველი, ლ. ტოლსტოი და უ. ფოლქნარი — მშვენივრად აღწევენ თავის დიად მიზანს, ოღონდ სხვადასხვა გზით; სამივე შემთხვევაში მეთოდული მშვენივრად ჩახვდება მთავარი გმირების თავგადასავალს და აგრე, დიდი ხელოვნების მეშვეობით გაცხადდება ის დიდი საიდუმლო, რეალურ ცხოვრებაში ადამიანის სული რომაა მოცული.

ზემოთ მოხსენიებული გზების რავჯარობას კი შეიძლება ასეთი მსჯელობის მიხედვით ჩავხვდეთ. ანას ათასნაირი მოგონება რომ წამოეშალა, ამისი მიზეზია სიკვდილის წინარე გარკვეული გრძნობა, იმდენად ძლიერი და საოცარი, რომ ერთ წამში მთელ თავის ცხოვრებას მთახილვინებს ადამიანს.

ცხადია, ეს და ზემოთ მოტანილი ფაქტები გვაშენებს — „ცნობიერების ნაკადს“ გრძნობა (გრძნობები) წარმოშობს და ესენი მაშინ გარდაიქმნება „ცნობიერების ნაკადად“, როცა ისინი სიტყვით შემოსებთან, ე. ი. გარკვეულ ფორმას მიიღებენ საბოლოოდ.

ზაურ კილაძე

„ბული, ცნობა და გონება...“

„ცნობიერების ნაკადის“ ხერხი, ანუ ფორმა, მხატვრული სიტუაციის მეშვეობით ადამიანის სულის უკეთ წარმოსახენად გამოწვეული. თუ რეალურ ცხოვრებაშიც ადამიანს, სხვადასხვა გარემოებისა და კვალად — როგორც შინაგან, ისე გარეგან მიზეზთა გამო, რაღაცა განწყობა მოიცავს ნებისმიერი დროის განმავლობაში, მის გადმოცემას ბევრი ფიქრი და ამის შესაბამისად აურება სიტუაცია დასჭირდება, და ის მაინც ბოლომდე ამოუწურავი დარჩება: დღეს უკვე კარგადაა ცნობილი ეს ამბავი; უნდა გვახსოვდეს, ამას ამბობენ გაცნობიერებული განცდების შეხებაზე — „ძალზე ძნელია სიტუაციაში გრძნობის გაყვანა“ (ი. კოლმონსკი). და მწერალს მით უმეტეს დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს მიმადლებული, რაკიდა „ბელოვების საშუალებით ადამიანები ერთმანეთს გრძნობებს გადასცემენ“ (ლ. ტოლსტოი), რაც, ვიყვარებთ, ძალზე ძნელია და ამ დიდ შემოქმედს სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა, ხორცის ნაკრები მრჩებოა სამეღვინეში; ვ. მაიაკოვსკის აზრით, ერთადერთი სიტუაციის გულისთვის მრავალი ათასი ტონა სიტუაციის მადანი იხარჯება.

მწერალი, ამ შემთხვევაში დიდი მწერალი — უ. ფოლკნერი მიმხვდარია, რომ მხატვრული სიტუაცია ამა თუ იმ ფორმის მეშვეობით მართალია კი გვამცნობს რეალობას, მათ შორის ადამიანის სულიწიგლი ხვეულებს ურთულეს რეალობასაც, მაგრამ მხატვრული სიტუაცია და ფორმას სრულყოფა სჭირდება ხსენებული ურთულესი რეალობის წარმოსახენად, რაბან შეუძლებელია მხატვრული სიტუაცია, ფორმა სრულიად ადეკვატური იყოს ამა თუ იმ ურთულესი რეალობისა.

უ. ფოლკნერი, თქმა არ უნდა, პირველი შემოქმედი არ არის, ვისაც კარგად ესმოდა ეს ამბავი.

მხატვრული სიტუაციის განვითარება, მისი ძალაშლისლობა, განსაკუთრებით ცხადი გახდა XIX და XX საუკუნეებში — გალაკტიონის პოეზია ძეგლი ამის დასტურად. პროზასთან შედარებით პოეზია გარკვეული მიზეზების გამო „უფროსი პირობებშია“ და უ. ფოლკნერის სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობს: თუ შემოქმედს გაუმართლა, მაშინ ის ადამიანის უოფიერებას პოეზიის საშუალებით წარმოგვიჩვენებს, „თუ ნაკლებად გაუმართლა, მაშინ ჩქარავის მოთხოვნისაიერი პატარა ნაწარმოებშიც გამოდგება. მთლად თუ არ გაუმართლა — მ. ტვენისა და დრაიზერის მოუქნელ მეთოდთან მოხდება დაბრუნება“.

ისიც გავითვალისწინოთ, რაკი უ. ფოლკნერი იმთავითვე მიხვდა ამ გარემოებას, თავად შეეცდებოდა პროზის ისეთი ფორმის ძიებას, რომელიც კარგად გვამცნობდა სათქმელს — კაცობრიობის ამბავს „თავისი უფუღარობით, ვინავე მოსვლის მომენტებით, ტანჯვა-ვაებით, გამარჯ-

ვებით, დამარცხებითა და სიცოცხლის წურვილით...“

„ხმაური და მრისხანების“ გმირების თხრობა ერთი დღითაა შემოიფარგლება — თავებზე ასე ჰქვია: „1928 წლის 7 აპრილი“; „1910 წლის 2 ივნისი“; „1928 წლის 6 აპრილი“; და ბოლოს უკვე ავტორისებური თხრობა, „1928 წლის 8 აპრილითაა“ დასაბუთებული. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ერთ დღეში ზდება მთელი ამბავი. უ. ფოლკნერის ამ ნაწარმოების ფორმა გმირის ცხოვრებას მთლიანად გვამცნობს და ეს შესაძლებელია სწორედ ზემოთ ხსენებული „ცნობიერების ნაკადის“ მეშვეობით.

კიდევ უფრო სრულიად რომ წარმოვაჩინოთ ეს საკითხი, ორივე სიტუაცია უნდა ითქვას უ. ფოლკნერის შეხედულებაზე დროის შესახებ, ცალკეულ ადამიანში რომა ხორცშესხმული: „თავისთავად არაფერია არსებობდეს, ადამიანი ქამია თავისი წარსულისა. მართლაც, არ არის ისეთი რამ, როგორცაა „იუს“, იმიტომ, რომ წარსული არის უოველი ცივის, უოველი ქალის, უოველი მომენტის ნაწილია იგი“.

უ. ფოლკნერის ეს სიტუაციები უშუალოდ გვიჩვენებს „ცნობიერების ნაკადის“ საფუძველს საერთოდ და ხსენებულ ნაწარმოებშიც; ნებისით თუ უნებლიედ ადამიანი განიცდის თავის წარსულს — თავის წარსულს და სხვასაც, ვინც კი არის ჩაქდებული ამ წარსულში, და ასე ეფინება შუქი მას და იმასაც, იმ სხვასაც. „ცნობიერების ნაკადი“ წარმოაჩენს მითხრობების ამბავს, უბრალოს ან მნიშვნელოვანს — მისი საუბრის ნაწევრებს ვილაცასთან, შეხვედრას ვილაცასთან, შეიძლება ვილაცის, სრულიად უცნობი პროვინციის სახე წამოგაჩვენებს, ვინც ერთხელა უნახავს. „ცნობიერების ნაკადი“ რეალურობის ანალიზურადღევ არ შეიძლება იუს ჩვეულებრივად ვახსენება, მნიშვნელოვანწილად ეს არის წარსული გრძნობების რესტავრირება, მგრძნობიარე, ღრმა პროვინციაში პირველყოფილ ბრდღვალს რომ მოიღებს: „სამჭერ დაჰკარავდა საათი და დავიწყებული თითებზე თვლას, სამოცამდე უნდა დამეთვალა. ახლა კი ვფიქრობდი, თოთხმეტი დამარჩა-მეთქი თოთხმეტი, ცამეტი, თორმეტი, რვა, შვიდი... ვითვლიდი, ვინმე უცებ არ შევიგრძნობდა გაფაციცებულ მღუმურებას და ვიტყუიდა, „ღიას, ქალბატონ-მეოქი?“ შინ ხომ კენტიანი გქვიაო, მკითხავდა ლაურა მასწავლებელი. სასტიკად გაფაციცებული მღუმურება კვლავ ისაღებურება და აწეული ხელეში შერთოდა მას. „აბა ერთი შეახსენე კენტიანს, მდინარე მისისიძე ვინ აღმოაჩინა, მენრიო!“ „დესოტომ“. თვლები აღარ მიმჭერენ, ვითუ ჩამოვარჩი და სწორედ ვეღარ ვითვლი-მეოქი...“

კენტიანი კომპონს თავისი სული ამბავი თუ თავდადასავალი — ბავშვობისდროინდელი მართონიული და მყარის ნამუსკრევი, მისი წმინდათაწმინდა და აწ შეღაბული გრძნობები — გა-

ანადგურებს კიდევ მას ჯერ სულიერად და მერე ფიზიკურადაც; სიკეთე უკან იხევს, მაგრამ ეს მის დამარცხებას როდი ნიშნავს, თვად ამ მშვენიერი უმარჯვლის არსებობა ცხოველმყოფელი ნიშანია სიკეთისა!

აქ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ უ. ფოლენერის ზემონახსენები შეხედულება (აღმართი, გამოთავისი წარსულისა) კარგად აისახა შესაბამისი ფორმის საშუალებით...

საბედისწერო დილა გათენდა კვენტინ კომპსონისთვის — 1910 წლის ორი ივნისი. მის გამოღვიძებასთან ერთად მისი წარსული იღვიძებდა და იგი ისეა ჩაწვლილი მის აწმყოსთან, რომ საბოლოოდ, როცა ამ თავის ბოლო გვერდს ვადავწყობთ, მთლიანი სურათი წარმოგვიდგება; სრულიად გავისკუთრებთ მონობელი-გმირის თავგადასავალს, მის ზსნათსა და ბუნებას.

ამ თავის დასაწყისშივე, იმ სახედისწერო დილის გათენებისას ცხადივც წარმოგვიდგება კვენტინის წარსული.

და მერე და მერე ამ გმირისეული „ცნობიერების ნაჯადის“ მემუეობით აინუსსება მისი მთელი ცხოვრება და გამოჩნდება ის ძირისძირი, რასაც ჩვეულებრივი თვალი და სიტყვა ვერ ჩაბნელება და ვერ გასწვდება ზოღმე. უკვლავ სიტყვა ამ ნაწარმოებისა უაღრესად ლაქონიური, ძალუმი და ნოვატორული, ფორმის ძერწვას ემსახურება. იმ ფორმის შექმნას, რომლის მეოშებით გადმოცემული შინაარსის სიღრმე, ცხოვრებისულება და რეალურობა ლ. ტოლსტოის ზემოხსენებული ნაწარმოების სიღრმეს, ცხოვრებისეულობას და რეალურობას შეიძლება შევუდაროთ. ამ ორი ნაწარმოების დიდი მსგავსება ამაშია და კიდევ — ორივე ტრაგედიაა, ანა კარენინა და კვენტინ კომპსონი გუჟავს მხედველობაში.

თავის დროზე ლიტერატურაშიცოდნობაში აღინიშნა, ლ. ტოლსტოის რომანს საფუძვლად დაედო რეალური ამბავი — ქალის თვისმკვლელობის ფაქტი. ქეშმარტა მოტივებს, თუ სახელდობრ რამ და რამ მიუყვანა ის ქალი ტრაგიკულ დასასრულთან, ვინდა გვაჰსენობდა, და შეიძლება ამ მოტივთა საძირკველი საკმაოდ ბანალური და ტრივიალური იყო კიდევაც, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ლ. ტოლსტოის გენიის მემუეობით წარმოჩენილი ამბავი ზოგადაცობრობის მასშტაჟებამდე ამაღლდა და აგრე ახლომდე და საცნაური გახდა აღმართისათვის.

მართლაც, ერთი შეხედვით საკმაოდ ბანალური და ტრივიალური კომპსონთა ოქაბის ამბავი — სწორედ ასე აღიქვამდა მას გარეშე თვალი. უ. ფოლენერს კი არა, სხვა ვინმეს რომ ეწერა მათი თავგადასავალი, მაშინ ამ ამბის მოსმენისას გული არც არავის მოუკვდებოდა და არც ბევრ ფიქრს შეაღებდა ვინმე მის გარკვევას, იმ წუთასვე თავის სახელებს შეარქმევდა, როგორც ჩვენ ვაკეთებთ ზოღმე მტწილად

ცხოვრებაში, რამეს რომ ვერ ჩავუღრმავდებით და დიდად არც შევიწუხებთ თავს ამის გამო, რადგან ჩვენთვის მხოლოდ ფაქტები ჩანს და ამ ფაქტის რაც ესაძირკვლება, ზშირად არ გვეჩნის.

მაგრამ სახედნიეროდ დიდი მწერლის, ამ შეხთხვევაში უ. ფოლენერის გენია სრულიად წარმოგვიჩინს ამბავს, იმას, რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ დაინახავს — გმირთა სულების უღრმეს შრეებს, სულიერ თავგადასავლებს, რომლებსაც აგრე იოლად ვერც სახელებს შევარქმევთ, ვერც იარაღსებს მივაკრავთ, თუ გვინდა, უ. ფოლენერისავე სიტყუებით რომ ვთქვათ, გვეზოღმედ ძველთაძველი მარადიული ქეშმარტებანი, „რომელთა სახელებია პატოსნება და სიუვარული, სიამაჟე და ლმობიერება, თანაგრძობობა და მსხწერაღლად მისვლა...“

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისის აშშ-ის სამხრეთში მტწოვრები ოქაბი. მამა ბ-ნი ქეისონ კომპსონი, ცოლი მისი — ქალბ-ნი კომპსონი, ქალიშვილობაშიც და მერეც მისს კალიანს რომ ეძახოდნენ ზანგი მსახურები, მათი შვილები — კვენტინი, კედი (კენდეისი), ჯეი-სონი და მორი — იმავე ოქაბს შეეადლებული ქალბ-ნი კომპსონის ძმის საპატოცუებლოდ შერქმეული სახელი. მაგრამ ბავშვობაშივე მორი გონაქლული აღმოჩნდება და მას ბენჯამინს დაარქმევენ, კვენტინა — კედის უკანონო შვილი.

ბავშვები წამოიზრდებიან, კვენტინი მარვარდის სტუდენტი გახდება. მაგრამ ერთ სახედისწეროდღეს — 1910 წლის 2 ივნისს — თავს იკვლავს. მანამდე კედის ვიდაც ბიზნესმენის ვაჟი შეაყდენს, რამდენიმე თვის შემდგომ სხვას მიუთხოვდება რაკილა უკანონო შვილი ეულოდია, ქმარი გაოჟადებს. კედის დედამისი დასწყუვლის და სახლიდან გააძევენს, უკანონო ბავშვს, ვოგონას, გასაზრდელად დაიტოვენს. მალე ოქაბის უფროსი ბ-ნი ქეისონ კომპსონი კვდება და მის უშუალო მემკვიდრეთაგან ქ. ჯეფერსონში დარჩებიან ქეისონი და უმცროსი ვაჟი, ჯეჟუასუსტი ბენჯამინი...

მართლაც, უნიკალური მოვლენაა მხატვრული ლიტერატურაში გონაქლული მონობელი-გმირი — ჩვენ ბენჯამინ კომპსონი გუჟავს მხედველობაში, იმ ამთავითვე უნდა ითქვას, ამ გმირს აქვს მრავალმხრივი ფუნქცია, რაღა თქმა უნდა. ეს თემა ძალზე მნიშვნელოვანი და რთულია, და მას შეიძლება ცალკე წერილი მიწედვანს სულაც. მაგრამ სულ ორიოდე სიტყუივს ამ ფუნქციათა გადმოცემა ასეა შესაძლებელი.

ბენჯის თხრობა, მისეული „ცნობიერების ნაჯადი“ ერთგვარი სარკეა, რომელშიც ზუსტად აისახება სხვა გმირთა დიალოგები და ამდენად

ზაპარ კილაძე

„ბუღლი, ცნობა და ბონება...“

მეცხოველი ჩახვდება კომპოსონთა ოჯახის ამ-  
ბავს.

ბენჯი როგორც პიროვნება — განსაზღვრება  
და სიმბოლო ამჟვეყნიური უსამართლობისა,  
თითქოსდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ამ  
გმირის ფოკუსშია გარდატეხილი და წარმოჩე-  
ნილი.

ბენჯის სახით მოცემულია განსაკუთრებული  
პირობები — ერთგვარი გამოსაცდელი სხვა  
გმირებისთვის, და ამდენად ჩვენთვის ნათელი  
გახდება ხსენებულ გმირთა ხასიათები, ბენჯის-  
თან დამოკიდებულებით ნაწილობრივ საცნაურ-  
დება მათი ადამიანური თვისებები, მათი ცხოვ-  
რებისეული საზრისი, ღირსება. განსაკუთრებით  
ეს იქმნის ისეთ გმირებზე, როგორც არიან,  
ბატონი და ქალბატონი კომპოსონები, დილზი, კე-  
დი, ჭეისონი.

ზემოთ აღნიშნა, „ცნობიერების ნაკადის“ ხერ-  
ხი, ანუ ფორმა, მხატვრული სიტყვის მეშვეობით  
ადამიანის სულის უკეთ წარმოსაჩენადაა გამოი-  
წეული, რადა თქმა უნდა, ჩვენ ამ შემთხვევაში  
მთხრობელი-გმირის სულიერი განწყობილება და  
მდგომარეობა გვექონდა მხედველობაში. მაგრამ  
ამთლდა არ შემოიფარგლება ამ ხერხის ღირსე-  
ბა — მისი მოწვევით მრავლისმრავალი ამ-  
ბავი მოიხილება, სულ ორიოდ — სიტყვით  
ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ნაწარმოე-  
ბის სხვა გმირებზე სწორედ ისე, რო-  
გორც რეალურ ცხოვრებაში ვინმეს ვნახავთ, მის  
საქციელს დავინახავთ ან საუბარს მოვისმენთ  
და უკვე ვხვდებით ამ პიროვნების ასავალ-და-  
სავალს, მნიშვნელოვანწილად მის ხასიათსაც  
ვგებულობთ.

დესპანდში. მხატვრული სიტყვა გრძნობასთან  
თუ გრძნობათა გამასთანაა შესისხლბორცებუ-  
ლი — სწორედ ამისდა კვლად ასრულებს თა-  
ვის ღირსებას მხატვრული სიტყვა. ამდენად  
სწორია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც  
მხატვრული სიტყვა კი არ ვვეუბნება რამეს,  
არამედ ზემოქმედებს ისე, რეალურ ცხოვრება-  
ში რომ იმოქმედებს რამე ჩვენზე, მაგრამ მხატ-  
ვრულ სიტყვას ახლავს ის შარავანი, რაც რეა-  
ლურ ცხოვრებაში რამე გრძნობას შეიძლება  
არც კი შეკონდეს, პირიქით, ზოგჯერ შემთხვევ-  
ილად და მტანჯავი გამოდგება ამ დროს რამე  
გრძნობა ადამიანისთვის.

სხვათადაც შეიძლება განვმარტოთ მხატ-  
ვრული სიტყვა — აი, ვთქვათ რამე შეგვემოხვა  
რეალურ ცხოვრებაში, სულიერია — შესაძლოა  
ეს იუოს უსიამოვნო ან სხიამოვნო ამბავი, და  
ამის მოგონებისას, ანუ ზემოთხედილ განცდისას,  
მამინ, როდესაც ის ჩვენს ცხოვრებაში უშუა-  
ლოდ აქტუალური აღარაა, მოგვეახლება ისევ,  
ამჯერად უკეთ ერთგვარი ამდებულები სახით,  
უკველდლიური ლექსიგან განწმენილი და გა-  
სპეტაკებული, მარადიულობასთან წილნაყარი,

და სწორედ ამ დროს და ამ შემთხვევაში გაი-  
საკუთრებს მას სრულად ადამიანი — შემოქმე-  
დი კიდევაც წარმოაჩენს მას ცხადივ მხატვრუ-  
ლი სიტყვის მეშვეობით, ჩვეულებრივი მოკვდა-  
ვი კი ადამიანურ სიბრძნეს იქნება ზნაირები.  
„მე ძლიერ შეყვარს იისფერ თოვლის  
ქალწულებივით ხილიდან თენა...“

გალაკტიონის სულ ორად ორი ღირიკული  
სტილიონი და რამდენ რამეს ვვამცნობს, რაკი-  
ლა ჩვეულებრივი სიტყვა მხატვრული შეიქმე-  
ბა — მარტივი რეალობის წარმომჩენი რთული  
რეალობის წარმომჩენი ხდება უკვე, ანუ, „იის-  
ფერი“, „თოვლი“, „ქალწულები“, „ხიდი“ თა-  
ვის ჩვეულებრივ შინაარსს დაადებს და სხვა,  
თვალთუჩინარი, მაგრამ ღრმა, ცხოვრებისეული  
შინაარსის სახით გამოიჭურფდება, საცნაურდება  
მთხრობელი-გმირის, გინა ლექსის მოქმედის, ამ  
შემთხვევაში გალაკტიონის განცდები, და ამდე-  
ნად მპოვებს განზოგადებულ გამოხატულებას,  
პიროვნულითა არ შემოიფარგლება მხოლოდ.

ანალოგიური ვითარება ჩანს ზოგიერთი სა-  
ხის პროზაშიც. ოღონდ აქ ავტორი კი არ წარ-  
მოგიდგება მთხრობელ-გმირად, არამედ ნაწარ-  
მოების გმირთან გვაქვს საქმე. და ის, რაც და-  
მახასიათებელია ღირიკისთვის, ამავეარი სახის  
ღირიკულ პროზისთვისაცაა ნიშნული. ასეთ  
პროზაში კი, როგორც ცნობილია, სიუჟეტი შე-  
სუსტებულია და წინა პლანზე ამბის მოქმედის  
თხრობაა. თქმა არ უნდა, რახან ასეა, ე. წ.  
„ცნობიერების ნაკადი“ ჩვეულებრივი ამბავი  
უნდა იუოს ასეთი პროზისათვის და ამისდა კვა-  
ლად ამ შემთხვევაში ის ვითარებაა, ხსენებულ  
ენციკლოპედიაში რომ არის ახსნილი — „რო-  
გორც ჭეჭა ვარსკვლავები განსხვავდებიან ნი-  
ვთიერების სიმკვრივით, სწორედ ასევე ღირიკუ-  
ლი ნაწარმოები სიტყვა განსხვავდება მრავ-  
ალტომიანი ეპოპეის სიტყვისაგან“.

„ცნობიერების ნაკადი“ რომ ვამბობთ, ჩვენ  
მთხრობელი-გმირის ღირიკულ თხრობას ვეუ-  
ლისხმობთ. როდესაც ამ თხრობაში განმარტობი-  
თი მსჯელობა სრულიად არ არის ან მინიმუმადეა  
დაუვანილი და მისი სიტყვები უხილავი სიმბოლოა,  
როგორც ეს ღირიკულ ლექსშია, უშუალოდ მი-  
სივე გრძნობებს წარმოაჩენს, ანუ ეს სიტყვები  
კი არ აღწერს გრძნობებს (ამ ცნების ურთულე-  
ბი მნიშვნელობა გვაქვს მხედველობაში), არამედ,  
შეიძლება ასე ვთქვათ, თავადვე არიან შემცველ-  
ნი ამ გრძნობებისა. ასე რომ „ღირიკული  
თხრობა“ უფრო მრავლისმომცველად გვესახე-  
ბა. ჩვენ — მთხრობელი-გმირის ცნობიერებით  
ზღვა შინაარსი გადმოვიტყა, როგორც ეს ეპი-  
კურ ტილოს შემწენის, და ასე, როდღ მწერლებ-  
თან მთხრობელი-გმირის ამბავი „ზოგადი ადამი-  
ანის ბუნებაში“ (ილია) ამაღლებდა ისეთნაი-  
რად, როგორც ეს კარგ ლექსშია, სადაც ერთმა-  
ნეთშია ჩაწული „გული“, ცნობა და გონება“.

## ოჯახი და საოჯახო ყოფის ზოგიერთი საკითხი V-X სს. საქართველოში

სამეცნიერო ყოფა ეთნოგრაფიული სინამდვილის ერთ-ერთი დამახასიათებელი და არსებითი მომენტია. ამიტომ V-X სს. ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლისათვის მისი წარმოჩენა და დახასიათება აუცილებელი გვეჩვენება.

სამეცნიეროდ, აღნიშნული ეპოქის საქართველოს საოჯახო ყოფის სრული სურათის დადგენას ხელს უშლის რამდენიმე გარემოება: ისტორიული წყაროების ნაკლებობა, მათი ცალმხრივი, მჭირი ხასიათი; შესაძარბებელი და პარალელური მასალის სიმცირე და სხვ.

ამავე დროს, იხივ ცნობილია, რომ მაგ. ოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში, რომლებიც ჩვენთვის ძირითად საისტორიო წყაროს წარმოადგენენ, უველაზე ნაკლებად სწორედ საოჯახო ყოფისადმი, ამჟვეყნიური ცხოვრების აღწერა-დახასიათებისა და მისი სურათის გამოცემისადმი უურადღება მიქტეული. მიუხედავად ამისა, ამ ძეგლებში მაინც საკმაოდ გვხვდება ცნობები, რომლებიც მათი მოქმედი გნირების ცხოვრების გარემოს, თუ შეიძლება ითქვას მათი ამჟვეყნიური არსებობის მატერიალურ სურათს გადმოგვცემენ. ეს ფრაგმენტული ცნობები კი, მათი ერთმანეთთან შეჯერების და ერთად თავმოყრის პირობებში, საშუალებას გაძლევს დავადგინოთ იმდროინდელი საზოგადოების საოჯახო ყოფის მეტყალებად სრული სურათი.

სხვაზე მეტი ცნობები ამ მხრივ იხვე „შუშანიკის წამებაში“ — ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლში შემონახული. მათ შესახებ კვემოთ დაწერილებით შეგჩერდებით. ამავე დროს, V-X სს. სხვა წერილობით ძეგლებშიც, კერძოდ, „ეფესთათი მცხეთელის მარტვილობაში“, „იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, „დათვი გარეჯელის ცხოვრებაში“, „და „გრიგოლ ხანტელის ცხოვრებაში“, „სურამიონ ზარზმელის ცხოვრებასა და მოკალაქებაში“ და სხვ., შეიძლება შევხვდეთ ამოკრიბოს ცნობები საოჯახო ყოფის, ცხოვრების წესის და მისი მიმდინარეობის შესახებ. სხვათა შორის, დასახლებულ ძეგლებში, „შუშანიკის წამებასთან“, ერთად, ცნობათა განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა გიორგი მერჩულის ნაწარმოები „შრომა და მოღუაწება გრიგოლ ხანტელისა“.

ამ ძეგლებში დატული ცნობები, როგორც აღინიშნა, რამდენადმე ცალმხრივია და ისინი საზოგადოების მხოლოდ ერთი, წარჩინებულთა ფენის ყოფა-ცხოვრებას ახახვენ უპირატესად. ნიუხედავად ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ არსებული წყაროების პირობებშიც, უველა ცნობის სათანადოდ გამოყენების საფუძველზე, წერილობითი ძეგლების ცნობების პარალელურად მატერიალური კულტურის ძეგლების მოხმობის გნით, შესაძლებელია V-X სს. ქართული საოჯახო ყოფის რამდენადმე სრული სურათის წარმოდგენა.

### 1. ოჯახის ფორმები

იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ მოგვეპოვება ორიგინალურ ქართულ მაგოგრაფიულ ლიტერატურაში დატული, პირველი, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცნობები ქართული ოჯახის ფორმების, მისი შემადგენლობის შესახებ „დადი ოჯახი“ წარმოდგენილია დაშლილი სახით. ამის აღნიშვნა სრული უეკველობით შეიძლება მხოლოდ წარჩინებულთა წრის, საზოგადოების შედარებით დაწინაურებული ფენის წარმომადგენელთა ოჯახების მიმართ, რადგან წერილობითი ცნობები მხოლოდ მათ შესახებ მოგვეპოვება. რაც შეეხება მწარმოებლურ კლასს, ამ შემთხვევაში ვღებუბახს, მათი ოჯახური შემადგენლობის, ოჯახის ფორმების შესახებ გადაკრით რამდენ აღნიშვნა მასალის არ არსებობის გამო ძნელია. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: საქართველოს მთიანეთში დიდი ოჯახი, როგორც ამას რ. ხარაძის სპეციალური გამოკვლევები ნოწმოებენ, საკმაოდ ხანგრძლივად შემორჩა. მისი კვალი, მაგალითად სვანეთში XIX ს. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდებოდა. რ. ხარაძის დასკვნით „სვანური კორის შესწავლა სავსებით ადასტურებს სვანეთში გვაროვნული წყობილების დროს გაჩენილი დიდი ოჯახის გადმონაშთების არსებობის ფაქტს, რაც თავისთავად ინდივიდუალური ოჯახის უწინარეს საფუძურს ააჟარავებს“. მისივე აღნიშვნით: «Сванская семейная община объединена потомком нескольких нераздельных братьев с их женами, детьми и внуками, представляя тем самым группу ближайших родственников по мужской линии, доходящую до четвертого колена».

რაც შეეხება წარჩინებულთა ოჯახებს. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღვნიშნა, რომ V საუკუნეში ქართლში, „შუშანიის წამების“ მიხედვით, ძმები თავიანთი ოჯახებით ცალ-ცალკე მხოვრობენ.3 ქართული საისტორიო წყაროების ცნობებით აქედ. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ V ს-ში ინდივიდუალური ოჯახის ფორმა ქართლის საზოგადოებისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუმცა პიხივე აღნიშნისთ, ამ დროსვე არსებობდა მრავალრიცხოვანი ოჯახები: „სახლობა მრავალრიცხოვანიცა და პატარაც ყოფილა“5.

ახლა ვნახოთ, ჩვენი უძველესი მაგიოგრაფიული ძეგლები ამ მხრივ როგორ სურათს წარმოგვიდგენენ. ვარსკენ პიტიაშვის ძმას გოციას ვაჩინა თავისი „ეზოა და პალატა“ და პუკე თავისი „მონა-მკველნი“. გოციამო, გადმოგვცემს იაკობ ბუცესი, როდესაც შეატყობ, რომ „მას დღესა განხვალს წმიდაჲ იგი (ე. ი. შუშანიი — ს. კ.). კორცია ამაოგან“ ე. ი. მიახლოებულია შუშანიის გარდაცვალებას, მიმართა მას: „მეაუთოებ მე და ცოლი ჩემი მკველნი შენი. და შეილნი ჩემნი და მონა-მკველნი ჩემნი“6. შუშანიამო, განაგრძობს იაკობ ბუცესი, „აეურხნა გოცი და ცოლი და შეილი მისნი და მონა-მკველნი მისნი და უკველი ეზოა და პალატა მისნი“7, აქედან უკვე ცხადია, რომ გოცი გამოყოფილია თავისი ძმისაგან, ცხოვრობს ცალკე. აქვს თავისი „ეზოა და პალატა“ და მახასიათებ, სახეზეა დიდი ოჯახის დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახის არსებობის ფაქტი. უთუოდ ცალკე ოჯახის არსებობის არაპირდაპირ მიანიშნებდა უნდა მივიჩნიოთ „ევესტათი მკხეილის პარტიკლოზა“-ში (VI ს.)8 და ცული ცნობა, იმის შესახებ, რომ ტფილისში, ქართლის მარზან ვევან ბუზშირს დაბარებული ევესტათი გამოეთხოვება „სიედერსა თსხა“ და ცოლსა და შეილთა თსხთა და მონა-მკველთა თსხთა“9.

საინტერესოა, რომ VI ს-ის ქართველ ავტორს მოგვრება ცოდნა უძველეს დროს ადამიანთა შორის პრომისკუიტეტის (პირველყოფილი საზოგადოებისათვის, ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობამდე დამახასიათებელი მოუწერებელი სქესობრივი ურთიერთობის) არსებობის შესახებ, რომელსაც ის უპირისპირებს მის დროს არსებულ მონოგამიურ წესს. ევესტათი მცხეთელი როდესაც მიმართავს ვევან ბუზშირს და გააცნობს მას სხვადასხვა სარწმუნოებას, აღნიშნავს შემდეგნაირად: „მერმე“ ღმრთისა შექმნილნი ცაცი საცხოვაროა პირუტყუთა მსგავს ვიყვირით და ესრე სახედ, ვითარცა პირუტყუთა მამლოხასა და დედლოხასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი, და ეგრეთ აღრეულად გადაიკადიან მამლობა და დედლობა მათი, და ეგრეთა ჩვენ ცაცი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვირით, რომელთა

არა ვიცოდეთ მშობელი თუსი, გინა შობილი, და აღრეულად გარდავიკადით ბუნებაჲ იგი ჩუენი. ხოლო აწ მადლითა ღმრთისაჲთა, ვინაჲთვან იქმნა ნათლის-ღებაჲ და რწული ქრისტეანობისა იციედ კაცთა, მიგრითვან დაიქსნა და განქარდა უწესოა იგი საქმე“10.

მართალია, თანაცხოვრების ასეთი, მონოგამიური წესი ავტორს ქრისტენული სარწმუნოების მონაპოვრად აქვს გადმოცემული. მაგრამ ამ შემთხვევაში ის იმას სჩადის ქრისტეანობის უპირატესობის საჩვენებლად მარადნობასთან შედარებით. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ავტორს მოეპოვება ცოდნა პრომისკუიტეტისა და თანაცხოვრების ღონისძიებითი წესის შესახებ, იგი განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, უპირატესობას ანიჭებს მეორეს პირველთან შედარებით, რომელიც მას „პირუტყუთა სახედ“ მიაჩნია, რომელთაც „არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი“.

დასასრულ, ტერმინ „სახლის“ შესახებ, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის დასკვნით „ოუველთვის ერთოლქმრობაზე დამყარებული ოჯახით ვიწროდ არა ჰქონია საზღვრები შემოფარგლული და რომელიც მხოლოდ ნათესავებსაც გულისხმობდა“11. „შუშანიის წამების“, „სახლი“ აღნიშნავს როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, ისე სავაჭრულოსაც, აგრეთვე „ოჯახს“ და საცხოვრებელს, ბინას, სახლს თანამედროვე გაგებით12. ოჯახიდან წასულ შუშანიის სპარსი „წაკვივით“ მიმართავს: „ესევითარი სახლი მშედობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“ (14:15); გოციი შუშანიის ევედრებოდა „ნუ წარსწუმედ სახლს მას სადედოფლოსა“13 (10), ხოლო ვარსკენი „სახლისა მოკრებულად სახელსდებდა“ შუშანიის (17:15).

„სახლი“ ზოგჯერ აღნიშნავს არა მარტო „ოჯახს“ ვიწრო გაგებით, არამედ სავაჭროლოსაც, სანაღებოს მთლიანდ, ან მის ნაწილს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს იოვანე საბანის ძის ნაწარმოებში „მარტკლოზაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“.

ნერსე ერისთავთ. მოგვიხსობს იოვანე საბანის ძე, „ევედრა... მეფესა ჩრდილოხასა, რაჲთა, ვანუტეოს იგი მიერ ქუევანად აფხაზთისა, რამეთუ პირველადვე წარგვაჴვენეს დედაჲ და ცოლი და შეილნი და მონაგები და უკველი სახლისა მისისანი“13. თუ ამ შემთხვევაში ზღადა გამოკვეთილად არ ჩანს „სახლი“ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მისი შეხედობა, სამაგიეროდ ამავე ნაწარმოებში სხვაგან „სახლის“ ქვეშ უქვემდებარე სანაღებოს იგულისხმება. იოვანე საბანის ძის ცნობით, ნერსე ერისთავის ქართლიდან გაქცევის შემდეგ მამდი ამირა მუშენან ქართლის ერისთავად წარმოავლინა „სტეფანოზ, ძმ გურგენ ერისთავისაჲ, დიწული

ნერსისი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსისა“ (116<sup>კ</sup>). ეს ამბავი — მის ადგილას ქართლის ერისთავად მისი დისწულის დასმა — ნერსის გაუხსნა და „რამეთუ უფლებამ იგი სახლისა მისისა აჯან არა განაზოგრა უფალმან“-ო. გადმოგვიტყვებს იოვანე საბარის ძე (41<sup>კ</sup>).

აღსანიშნავია, რომ „სახლი“ უძველეს დროში, წინაქრისტიანულ ხანაში აღნიშნავდა საგვარეულოს, სანათესაოს, თემს. ამის კვალი ჩანს „მოკცევაჲ ქართლისაჲ“-ში, სადაც მოთხრობილია, რომ „აზოად წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიევანა რვაჲ სახლი და ათნი სახლინი მამა-მამუცთანი, და დაქდა ძუელ მცხეთას“<sup>14</sup>. სწორედ ასეთ მნიშვნელობას ხედავდნენ ამ ტერმინში აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. ს. ჭანაშვიანი, მაგრამ სახლის ამგვარი გაგება, ისევე როგორც ნაოჩხაობის აღნიშვნელი ძველი ქართული ტერმინის „თვისს“ მნიშვნელობანი, ჩვენი შესწავლის ქრონოლოგიურ უპრეცედენტებს სცდილებდა.

„სახლის“ შესახებ საუბარი შეიძლება დავასრულოთ მისი იქვედ ერთი მნიშვნელობის — საკუთრივ საცხოვრებელი სახლის აღნიშვნით. ექვრდ, IX ს-ის ნაწარმოებში „მარტვილობა კოსტანტი-კახაისი“ ნათქვამია, რომ „უუეთუ ვინმე მოწაწონთავანი, გინა ულადვე მოწყნეთავანი მივიდის სახლად მისა (ანუ კოსტანტი-კახაისა), მიეგებვიან იგი სიხარულით“<sup>15</sup>.

ამვე დროს იქვე, იმავე ნაწარმოებში „სახლი“ მის ავტორს მოჰყავს ნათესაობის, მოგვარეთა აღსანიშნავად. კოსტანტი-კახაი „ფრიად მოღუფნე იყო ნაკლულეთვანთათჳს სახლისა თვისისაჲ“-ო. ნათქვამია თხულებსაში; ე. ი. დიდად ეხმარებოდა თავის ნაკლულეთვან (ანუ ღარიბი)<sup>16</sup> ნათესაობასო, რასაც ნაწარმოების ავტორი ანართლებს პავლე მოციქულის სიტყვებით — ვინც ნათესავებს და სახლედით არ დაეხმარება იგი სარწმუნოების უარმყოფელია და ურწმუნოთა „უქარსს“-ი ე. ი. უარესიაო<sup>17</sup>.

„სახლის“ როგორც ნაგებობის, საცხოვრებლის შესახებ საინტერესო ცნობაა დატული ბასილ ზაჩაშვილის ნაწარმოებში „ცხოვრებამ სერაპიონ ზაჩაშვილისა“ (X ს.)<sup>20</sup>. აქ, გიორგი ჩორჩანელის, რომელიც იყო „მთავარი“ დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელიც ურველთა მშატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ურთა და აჯარუთათა“<sup>21</sup>, შესახებ აღნიშნულია, რომ მისი „ტაძარნი შენ იყვნენ სანახებსა ჩორჩანისა და ზანაყისასა“<sup>22</sup>, ე. ი. საცხოვრებელი ჰქონდა ჩორჩანის და ზანაყის სანახებშიო. გიორგი ჩორჩანელიო, განაგებობს, ავტორი. „უმრავლესთა ემთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროკა წოდებულთა... და არეთა მათ ეშენა სახლი ი, რომედ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ევიან მას შინა სიბნელისათჳს ღამისა და უპალობისა და სიქშობასა ტუთობასა“-ო<sup>23</sup>.

აქ, როგორც ვხედავთ, „სახლი“ ერთგვარად

დაპირისპირებულია „ტაძართან“. ეს უახანესელი აშკარად მთავრის რევიდენციას. „სახლთან“ შედარებით უფრო მაღალი რანგის საცხოვრებელსა და საშეოეს წარმოადგენს. ხოლო „სახლი“ ნაგებობაა რომელიც ტუეშია აგებული და სადაც ღამეს თუ გაათვენ და „სადგურ ევიან“ გიორგი ჩორჩანელი და მისი მზღლებელი ნადარბისის წამოწეული ღამინა და სიბნელის დროს, რადგან ზვირ ტუეში ასეთ დროს გავლა შეუძლებელი იყო. ე. ი. აქ სრული უტყველობით ჩანს, რომ „სახლი“ აღნიშნავს საცხოვრებელს, სადაგმოს და არა ნათესაობის, საგვარეულოს და ეს ცნობა ეხმარება ამ ტერმინის ახალოგიური მნიშვნელობით გამოყენებას „კოსტანტი-კახაის მარტვილობის“ ავტორის მიერ ჩვენ მიერ შემოთ წარმოდგენილ პირველ შემოხვევაში.

 პლატონ იოსელიანის ფალოსოფიას. უარყო-  
 ფთი ინტონაციები იოსელიანის მიმართ გამოწ-  
 ვებული იყო ამ უკანასკნელის კონსერვატორული  
 მსოფლმხედველობის გამო. თავისი მოსაზრებებს  
 უკეთ და ნათლად წარმოსაჩენად აკაი კვლავ  
 ანდაზის ბერებს მიმართავს, სადაც კალმის ერთი  
 მოსმით აცამტყერებს ეკვთიმე წერეთლის შე-  
 ხედულებათა სიყალებსა და უსულოებობას:  
 „უფაღს ზეოგორ იბერელს, წერეთელს ეკვთი-  
 წეს, არ ენმის პოეზია, საღმრთო სიტყვა და პოე-  
 ზია მგონია, ორი ადრეულია ორი პოეზია, სა-  
 ში — სამი და ამგვარაო“. მესტიერული კილოა  
 დაწერილ ბრწყინვალე ლექსში ა. წერეთელი  
 აბიათბრებს იმ ბრალდებებს, რომელსაც ეკვთ.  
 წერეთელი ილიასა და ახალ თაობას უყენებს.  
 მებრძოლი თერგდალეული თავის პოლემიკას  
 მუჰათონ ასრულებს, რომელიც მიმართული იყო  
 არამართვ ეკვთიმე წერეთლის, არამედ მთელი  
 „მამათა“ ხანაის წინააღმდეგ.

აკაი წერეთლის, ისე როგორც ყველა თერგ-  
 დალეულის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხე-  
 დულებები ახლოს დგას ხელისუფლების რევოლუ-  
 ციურ-დემოკრატიულ ვაგებასთან. მისი ესთეტი-  
 კური თეორიის უმთავრესი პრინციპი მდგომარ-  
 ეობის იმში თუ რამდენად რთულად, კრიტი-  
 კულად, თვალნათლივ არის წარმოსახული ადა-  
 შიანი და მისი ცხოვრება მწერლის მიერ. იგი აუ-  
 ცილებლად უნდა გამოხატავდეს ხალხის მიზ-  
 წრათვებებსა და ინტერესებს. კვიტომ მწერლო-  
 ბას აკაი ზნეობისა და გონებით შესაყოფობას  
 უწოდებს. ამ პოზიციებიდან, ამ კრიტიკიუმით  
 უდგება შესანიშნავ ლექსთა კრებულს „ჩახუ-

რი“, რომელიც თერგდალეულმა კირილმე-  
 თქიფანიძემ პეტერბურგში უყფინს დროს 1868  
 წელს გამოქვა. აქ, წერეთელი თავის კრიტიკულ  
 წერილში „რამდენიმე სიტყვა ჩანჭურის შესა-  
 ხებზე“ წერს: „ეს ჩანჭური“ არის პირველი წიგნი,  
 რომელსაც ასხი კართული სული; სტიხის და  
 ჰვენისი ქართველების კვენით და მას ჩაღა  
 საიჭვოა, რომ ყველა რიგთან ქართველ ნათე-  
 სვისათვის სახიბარლო იქნება?.. მიწეუცა ამი-  
 სი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც  
 ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი  
 და თ. ი. ჰევაქიანი“. აკაის, როგორც მოაზრო-  
 ვის, კრიტიკოსის დიდი ადლო და ვენი იმში  
 მდგომარეობს, რომ მან პირველმა დინახა და  
 შეაფასა განუმეორებელი როლი ორა დიდი მ-  
 მულიშვილი პოეტის შემოქმედებისა არა მარტო  
 ქართული პოეზიის ახალ საფეხურზე აყვანის,  
 არამედ ქართული ესთეტიკურ-ლიტერატურული  
 აზროვნების განვითარების საქმეშიც

აკ. წერეთლის აზრით ტატო ბარათაშვილი  
 იყო ისეთი მოვლენა, ქართული პოეზიისათვის,  
 რომელმაც სულ სხვაგვარად ააყვენსა ჩანჭი,  
 სულ სხვა მუსიკალობა და ელერადობა მისცა  
 ქართულ სიტყვას. მისი კერძო ადამიანური ტი-  
 ვილი ეს იყო ზოგადსაყოფობრიო ტივილი. რო-  
 გორია ადამიანის ბედი ამ უსწორმასწორო  
 ცხოვრებაში? როგორია მისი ადამიანური ვალი  
 საზოგადოებისა და მამულის წინაშე? კრიტიკოსი  
 არჩევს რა ბარათაშვილის ლექსებს ადტიკულუ-  
 ლია მათი მაღალი მოქალაქეობრივი მოტივების  
 გამო. მასთან ბუნებაც გასახიერებელი და გაი-  
 როვნებულა. აკაი ნათლად გრწობს: პოე-  
 ტის სულიერი ბოჭმას. ტატომ ნახა ხალხის სა-  
 ვალალო ყოფა, უხადრუყი ცხოვრება, სასწარ-  
 კვეთილებაში ჩავარდა, შენიშვნას აკაი, რეა-  
 ლისტი კრიტიკოსი შესანიშნავად ჩასწვდა მარტო  
 სულის გოდებას და ტანჯვას ლექსში „სულო  
 ბოროტი“. აქ ბარათაშვილი წუველის თავის დე-  
 მოსს — ბოროტ სულს, რომელიც მფარველო-  
 ბას და განსაცდელისაგან დახსნას ჰპირდებოდა.  
 მის ნაცვლად პოეტს ამოიება, გაუტანლობა აწ-  
 ვენა. პესიმიზტური განწყობის, უყიდურისი დე-  
 პრესიის მიუხედავად კლიერი სულის პოეტი  
 ბედთან შეურთავებელია, ქედმოუხრელია და მას  
 თავგანწირულ ბრძოლას უცხადებს. აკაის პოე-  
 ტის შეუდრეკელობის, მებრძოლი განწყობილე-  
 ბის დაგვარკვინებლად მიაჩნია პოეტურ-ფილოსო-  
 ფიური აზროვნების შედეგია „მერანა“. „მეჩნო  
 ამ აზრს, მოავლო ხელი და მოინდობა სოფლის  
 რგება და მისი ხალხის ბედნიერება...“ ადტი-  
 ნებული კრიტიკოსი განაჯრძობს. რომ დემონის  
 რჩევას — არ ეფიქრა მარტო წარსულზე და  
 აწმყაზე, ეფიქრა ხალხის მომავალზე, ამოიბა-

შანანა მონიპპა  
 ლიტერატურული რეზერვანი  
 აბაბი წიგნითლის ადრეულ კავალიზიტიკანსი



რა ძირიანი გაელი და მის ნაცვლად იქვე კეთილი თხელი ჩაეთესა — დაუჭერა ტატომ, სულით და ვულოო შეითვისა. თავისი მომავალი ცხოვრების და შრომის რჩევას დაასვენა და აკვირრა „შერანში“. მაგრამ, ვი რომ სიკვდილმა მოუსწრაფა დღეები და მისი სურვილი დარჩა შეუხრულად დღემდე. თუმცა შეგანა კი მოასწრო მისი შერანის (პელასი) და ვაქცა შევ ბედითს ყოჩანს“. მოაზროვნე მგოსანი სასტიკ ბრძოლას უცხადებს უმოძრაობას, უმოქმედობასა და სიკვდილს. იღწვის არა პირადი ბედნიერებისათვის, არამედ მოძმის, თავისი ხალხისა და მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. აქ ნათლადა წარმოჩენილი თერვალეულობა, კერძოდ, აკვირვებულს, ერის სამსახურში ჩადგომის დემოკრატიული კონცეფცია და ახალი რეალისტური ხელშეწყობის ამოსავალი პრინციპი. სწორედ ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლის იდეა, ხალხის სავალალო ბედის გაზიარება, ბრძოლა უცდეთის შერმისისათვის — ამგვარი მუშანური მოტივები აუენებს ერთ საპატიო პიედესტალზე ორი სხვადასხვა დროის დიდ მამულოშეიღოთ ნიკ. ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს: „ლექსებს კი ვეჭრა სწერდა, მაგრამ რა გვარს: ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას და ზოგი რას, მაგრამ იმათი შიგრა, რასაკვირვებო ჩხავილი იყო და არა სტევნა, რადგანაც თვითონაც არა ბრძანდებოდნენ ბუღბუღები. ამ სიკოტრის ეამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე... იგი შეუდგა ბარათაშვილის კვალს და რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამად, ტირილით და უწყუ ხალხს შეჩვიდა: „აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოახწევებდა და რას ნიშნავდა მისი კენხსაო! „ერთის სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. უკველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას...“ აკვირ ამავ დროს შეუფარავად, ზედმეტად მკაცრად აკრიტიკებს ამ პერიოდის ქართველ მგოსნებს და მათ ნამოღვაწეს თვითმონწიურ, უხანგო, უიდეო პოეზიას უწოდებს, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია გარდა უურის დატობისისა. კრიტიკოსი აქვე გამოყოფს გ. ერისთავის „გაუბრას“. უნდა აღინიშნოს, რომ სტატია „ჩანგური“ იყო ჭკრ კიდევ ახალგაზრდა პოეტის აკვირვებულის პირველი სერიოზული გამოსვლა ლიტერატურული კრიტიკის სარბილზე. აქ გამოშვდავდა უნადლო პოეტური ნიჭი წერილობისა, მისი ფაქიზი ლიტერატურული გემოვნება, პროგრესული მსოფლმხედველობრივი კონცეფცია. დიდი ზომიერების გრძნობითა და ადლოთი კრიტიკოსმა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას ორი მიმართულება მისცა, რომელთაგან ერთს მიაკუთვნა რომანტიკული განწყობილების, სმენის დამატკობელი პოეზიის

წარმომადგენლები — ბესიცი, ალ. შანიანი, გ. ერისთავი და სხვები. ხოლო მეორეს — მე-20-ე საუკუნის, შემტევეს — ნიკ. ბარათაშვილი და ალ. ჭავჭავაძე. უნდა დავხსნიოთ, რომ ამ მიმართულებათა გამოყოფა ხანად კრიტიკოსმა მიიჩნია გ. ერისთავი და მისი კომედია „გაუბრა“. ისიც უნდა შევინიშნოთ, რომ ადვილად შესაძლებელია, აკვირს ამგვარი ფორმულირება ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის ერთგვარი საფუძველი შექმნა ეროვნული მწერლობის ისტორიის პერიოდოლოგიის განსაზღვრისას. ამ მხრედ აღსანიშნავია ალ. ხახანაშვილის მიერ მოცემული პერიოდოლოგია: მკვლევართა უმრავლესობაც ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდად XIX საუკუნის პირველ ნახევარს მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერლობას ლიტერატურული მიმდინარეობა — რომანტიზმი განსაზღვრავს. ამ უკანასკნელიდან რეალიზმზე გადასვლის პირველ საფეხურს — კი პირველ ნახევარშივე წარმოადგენდა გ. ერისთავის შემოქმედება. შემდეგდა რა ნიშნავი ახლი ლიტერატურული მიმართულებისათვის, რეალიზმი, როგორც მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი, მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა და შეიქმნა XIX ს-ის — იმ-იან წლებში, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე ილიასა და აკვირს ლიტერატურული თაობა გამოვიდა.

როგორც ანარქისტულ აღვნიშნეთ, აკვირ ვერტლის მხატვრული რეალიზმის ძირითადი პრინციპი იყო მოწინავე ხალხური იდეების ქადაგება. იგი უკვდა მწერლისა თუ ხელოვანის უპირატესს უცოცხანდ თვლიდა ცხოვრების სონამდვილის შესწავლას მთელი სიღრმით, სადაც მწერალი, ხელოვანი პასიური მჭკრეტელის როლში კი არ გვევლინება, არამედ აქტიური დამკვირვებლისა.

საზოგადოების სულიერი და ზეგობრივი აღზრდის საქმეში აკვირ მწერალთან ერთად განსაკუთრებულ როლს კრიტიკოსს ანიჭებს, რომელიც გეზსა და მიმართულებას აძლევს ლიტერატურას, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. მისი რწმენით კრიტიკოსს ღრმა განათლებასთან, ენციკლოპედოურ ცოდნასთან ერთად ესთეტიკური და პოეტური გრძნობაც უნდა გააჩნდეს. წერეთელი იცავს პირუთვნელ, ობიექტურ კრიტიკას. ამდენად, იგი კრიტიკული რეალიზმის აპლოგეტად გვევლინება, თვით მისი ლიტერატურული წერილებიც ამაზე ნათლად მეტყველებს, კერძოდ აკვირს კრიტიკული გამოსვლა „დროებაში“ — „მცირე რამ შენიშვნები“. იგი პასიური იყო პეტრე უმიკაშვილის წერილზე — „მწერთბუბო შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“, რომელიც ავტორმა მ. პეტრიძის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ე. „კრებულში“. კრიტიკოსი შენიშნავს, რომ პ. უმიკაშვილმა სწორად ვერ შეაფასა ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები,

როდესაც აღნიშნა თანამედროვე მწერალთა შემოქმედების უნაყოფობა და სამაგალითოდ მიიჩნია ვახტანგ მეფისა და ვახუშტი ბატონიშვილის მწერლობა. ა. წერეთელი ერთხელ კიდევ მოაგონებს პეტრიძეს ნამდვილი ლიტერატურის დანიშნულებას, მის წმიდათა წმიდა მიწას: „ლიტერატურა ხალხისათვის სიყრთეში გადაშვანი ხატია და ფონი როგორც კელუცისათვის სარკე, ისე ხალხისათვის ლიტერატურა საქიროა, რომ შიგ ჩაიხედოს და თავის სახე მისის ღირსებით და ნაკლულევანებით დაინახოს“. ამ კრიტიკიული აფასების იგი გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, დ. ქონქაძის, ლ. არდაზიანის, ან. ფურცელაძის და ქალაქდიდლის შემოქმედებას, რეალისტი მწერალი მშობლიური ლიტერატურის ჩამორჩენის მიზეზად მის მიმბაძველურ ბასიათს მიიჩნევს. რომელსაც არ გაჩნია ეროვნული, ნაციონალური სული. აკაკის სწავს, რომ თვითმყოფადი, ქართული მწერლობის შექმნა შეუძლებელია ერთიანი, უკვლახათვის გასაგები სალიტერატურო ენის გარეშე. აკაკი იბრძვის ენის დემოკრატიზაციისათვის, ვახალხურება — სისადავისათვის.

მზურვალე მამულიშვილს უტრადლების გარეშე არ რჩება ეროვნული ლიტერატურული ცხოვრების არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა. მისი კალამი და უფრო უკვლახა და უკვლახფერს სწვდება. მას ახარებს ახალგაზრდობის გამოღვივება და ლიტერატურულ ფერხულში ჩაბმა, მათი დაინტერესება მწერლობით. „სხვათა შორის, მათში კითხვის სურვილი აღძრა, ეს შენიშნეს ზოგიერთებმა და იწუეს სხვადასხვა წიგნების ბეჭდვა... აღნიშნავს აკაკი წერილში — „ნადუღი“. ა. წერეთელი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან უდგება მნიშვნელოვან პატრიოტულ წამოწუებას. საკითხს პუბლიცისტი გამოცემულ წიგნთა საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრიზმაში სწუვებს. აკაკის დანაშაულად მიიჩნია „აღქცისანის“, „ქალღაერთა-

ნის“, „უარამანიანისა“ და სხვა ამგვარი ნაბეჭდის სახალხო წიგნებად გამოცხადება. რომელთაც ენების მეტი არა მოაქვთ რა ხალხისათვის. მისი მტკიცებით მხოლოდ ის ნაწარმოებია ქვემარჩიად ხალხური, რომლის უკვლა მხატვრული კომპონენტი: თემა, იდეა, ენა და სახეები გამსჭვალულია ხალხური, დემოკრატიული სულისკვეთებით. ნაბეჭდ წიგნებში კი გაბატონებულია მხოლოდ ფორმა, მის შინაარსსა და შინაგან პათოსს უფრო არავინ ათხოვებს. წერლის დასახარულ სატირულ ლექსში — „საწუალი და დარბახიელი“ აუაღიბებს პოზიორი. გულუცივი და სულიერად დაცლილი ლიტერატორის სახეს და დაბეჩავებული ხალხის საშიშ მტრად აცხადებს. ქართული საზოგადოებრივი და მხატვრული აზროვნების მესაქე აკაკი თავის ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს ორ ასპექტში უწევტ: პირველი — ლიტერატურა წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების სარკე უნდა შეიქნას, მეორე — მწერალმა, ბელოვანმა მოვლენათა აღწერასთან ერთად მკაცრი შეფასება მისცეს და ხალხის ინტერესების შესაბამისად გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

აკაკის, ისე როგორც ილიას, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო ძირითადი გარდატეხა. რევოლუციო მხატვრულ-საზოგადოებრივი, იდეურ-შინაარსობრივი თუ ენობრივ-გამომსახველობითი აზროვნების სფეროში. ა. წერეთელმა შექმნა ახალი ლიტერატურული კულტურა, ახალი ენობრივი ნორმები დაამკვიდრა; ქართულ სიტუვას სხვა ლაზათი და შოი მისცა; აკაკიმ ილიასთან ერთად უდიდესი ამაგი დასდო ქართულ ენას და დასაბამი მისცა მატერიალისტური ესთეტიკის, რეალისტური ბელოვნების პრინციპებისა და კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.



ჩრდი

# საქართველო

ილია ტაბაღაშვილი

## სახელოვანი მამულიშვილი

პროფესორ კალისტრატე სალიას 80 წელი შეუსრულდა

1901 წლის 28 აგვისტოს წაღენჯიხის რაიონის სოფელ ჭაღაში მცხოვრებთ ზოსიმე სალიას და გაიანე კვარაცხელიას მეორე ვაჟი შეეძინათ, მას კალისტრატე დაარქვეს.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვი ზუგდიდის საქალაქო ექვსწლიან სასწავლებელში შეჰყავთ. რამდენადაც იმ დროს ზუგდიდში გიმნაზია არ იყო, კალისტრატე სწავლას განაგრძობს ხაშურის გიმნაზიაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ერთი წელი წაღენჯიხაში მასწავლებლობს, მაგრამ კალისტრატეს გული უმაღლეს სასწავლებლისკენ მიუწევს.

და აი, 1921 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. როგორც თვითონ დიდი სიამაყით იკონებს, მისი მასწავლებელ-პროფესორები იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვები.

იმავე წლის ბოლოს კალისტრატე უცხოეთშია. იგი შედის ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტში. მისი დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. ჰალეს „ჰალე ან დერ ზაალეს“ უნივერსიტეტში. ამ დროს გერმანიაში ეკონომიკური კრიზისი მძინვარდება და იქ ცხოვრება მეტად გაძნელდა. 1924 წელს კალისტრატე საფრანგეთში გადავიდა, სადაც შედარებით უფრო ადვილი იყო საშუაოს მოვნა და ცხოვრებაც. პარიზში იგი მოეწყო გაზეთ „კოტიდენის“ რედაქციაში. კალისტრატემ მალე რედაქციის თანამშრომელთა ურთოდება მიიქცია, როგორც მუსეათმა და ნიჟიერმა პიროვნებამ. მის სწავლისაკენ მისწრაფებას ანგარიში გაუწიეს, მეთი თავისუფალი დრო მისცეს და იმავე რედაქციის რეკომენდაციითა და შუამდგომლობით, კალისტრატე სორბონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ (ისტორია-ფილოლოგიის) ფაკულტეტზე შედის, რომელიც 1927 წელს წარმატებით დაამთავრა და მიიღო ლიტერატურის ლიცენციატის ხარისხი.

რამდენადაც კალისტრატემ უცხოეთის ქვეყნებში (მათ შორის, საფრანგეთში) არ მიიღო ამ ქვეყნების ქვეშევრდომობა. მისთვის ძნელი გახდა რიგიანი სამუშაოს მოვნა. მიუხედავად მაღალი განათლებისა და რამდენიმე დიპლომისა. შემდეგ საფრანგეთშიც დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, მას მოჰყვა გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარება და ევროპაში პოლიტიკური ვითარების გამწვავება, მეორე მსოფლიო ომი და, ამრიგად, კ. სალიას მეტად მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. 1928 წელს კალისტრატე შეხვდა პოლონეთიდან ჩამოსულ ნინო ქურციკაშვილს (თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნიდან).

1947 წელს ნინოს ინიციატივით და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ნებართვით, ნინომ და კალისტრატემ დაარსეს სამეცნიერო ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“. იგი მცირე მოცულობის გახლდათ. წელიწადში ოთხჯერ გამოდიოდა და გათვალისწინებული იყო საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველი მეცნიერებისათვის. მასში რეგულარულად თანამშრომლობდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერები. მიხიელ წერეთელი, მიხიელ თარხნიშვილი და სხვანი. მაგრამ ჟურნალი მაინც ვიწრო წრეს ემსახურებოდა.

1958 წელს ნინომ და კალისტრატემ სცადეს ჟურნალი ნახევარ ქართულად და ნახევარ ფრანგულად გამოქვეყნებისათვის, რათა ჟურნალი ქართულ სამეცნიერო წრეებს გარეთ გასულიყო. შედეგმა მაშინვე იჩინა თავი. ამიტომ 1957 წელს ჟურნალს დაერქვა „ბედი ქართლისა, რვეილ დე ქართველოლოგი“ („ბედი ქართლისა, ქართველოლოგიური მიმოხილვა“).

ჟურნალის მაღალმეცნიერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს მისი სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა. მასში შედიან მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, კავკასიოლოგები და ორიენტალისტები. მათ შორის, იულიუს ასფალგი — მიუნენის უნივერსიტეტის პროფესორი,

ეურნად „კორპუს სერპიტორუმ კრისტიანორუმ  
ორიენტალიუმის“ არაბული და ქართული სექ-  
ციების დირექტორი; ეორე დიუმეზილი — „კო-  
ლექ დე ფრანსის“ საპატიო პროფესორი, საფ-  
რანგეთის აკადემიის წევრი, ზელნაწერთა და  
მხატვრული ლიტერატურის აკადემიის წევრი;  
ეგრარ გარტი — ლუკენის უნივერსიტეტის  
პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი,  
აღმოსავლეთმცოდნეობითი ეურნალის „ლექ მუ-  
ზეონის“ დირექტორი; ფრანსუა გრაფინე —  
პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესო-  
რი, ეურნალ „სატროლოგია ორიენტალის“ დი-  
რექტორი; ივეტ გრიშო — ფილოლოგიურ და  
მუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, აღმო-  
სავლეთის მუსიკის შესწავლის ცენტრის შემქმ-  
ნელი, პარიზის VII უნივერსიტეტის პროფესო-  
რი; ეან-პიერ მად — სორბონის უნივერსიტეტის  
პროფესორი, პარიზის კათოლიკური ინსტიტუ-  
ტის სომხური და ქართული ენების პროფესორი,  
„არმენოლოგიური ეურნალის“ მდივანი-რედაქ-  
ტორი; დევიდ მარშალ ლენგე — ლონდონის  
უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველლოგ-  
კავკასოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის საპა-  
ტიო დოქტორი; ირენ მელაიკვი — სტრასბურ-  
გის უნივერსიტეტის პროფესორი, თურქოლო-  
გიის ინსტიტუტის დირექტორი, ეურნალ „ტურ-  
ჩიას“ დირექტორი; დონ ბერნარ ლუიე — ალ-  
მოსავლური ქრისტიანული ლიტერატურის სპე-  
ციალისტი, „ბედი ქართლისა რევიუ დე ქარ-  
თელლორუის“ რედაქციის მდივანი; კატერინ  
პარი — საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის  
ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი,  
პარიზის ლინგვისტური საზოგადოებისა და საა-  
ზიო საზოგადოების წევრი; გერტრუდე პერი — იე-  
ნის ფრიდრიხ-შილერის უნივერსიტეტის პრო-  
ფესორი; კარლ პორტ შნიდტი — ბონის უნი-  
ვერსიტეტის პროფესორი; ლაიოშ ტარდი — ბუ-  
დაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი; ნიკოლ  
ტიერი — ფილოლოგიის დოქტორი (პარიზის  
უნივერსიტეტი I), პარიზის პრაქტიკული დარ-  
გების უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი;  
მიშელ ვან ესბროკ — აღმოსავლეთის ფილო-  
ლოგიის დოქტორი, ბოლენდისტა საზოგადოე-  
ბის წევრი (ბრიუსელი); მანს ფოგტი — ოსლოს  
უნივერსიტეტის პროფესორი, ნორვეგიათა და  
აშინის მუმანიტარულ და ზუსტ მეცნიერებათა  
აკადემიების წევრი, თბილისის უნივერსიტეტის  
საპატიო დოქტორი, სამი ცნობილი მეცნიერი —  
რენე ლაფონი, შარლ მერსიე და ეოზეფ მო-  
ლიტორი, გარდაცვალებამდე აქტიურ მონაწი-  
ლეობას აღებულობდნენ ეურნალის მუმბლიკაცი-  
ებში. ისინი ახლად ითვლებიან ეურნალის სა-  
მეცნიერო საბჭოში. მსოფლიოს ცნობილ მეც-  
ნიერებთან ერთად ეურნალში თანამშრომლობდ-  
ნენ და თანამშრომლობენ ცნობილი ქართველი  
საბჭოთა მეცნიერები, გ. წერეთელი, შ. ამირანი-  
შვილი, ე. ეყელიძე, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა,

ს. უაუზნიშვილი ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, ე. მე-  
ტრევილი და სხვ.

ეურნალის დირექტორ-რედაქტორია კონსტან-  
ტინე ხალია. გამომცემი — ნინო ხალია. ორივე  
ისინი სისტემატურად აქვეყნებენ სტატიებს აღ-  
ნიშნულ ეურნალში: კალიტრატე — ისტორიისა  
და ლიტერატურის დარგში, ბოლო ნინო —  
კულტურისა და ეთნოგრაფიის დარგში.

ქართველი ერისადმი ნინო ხალიას დიდი სი-  
უვარული შედეგია ის უძვირფასესი საჩუქარი  
უნივერსალური ბიბლიოთეკის სახით, რომელიც  
მან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა. ამ ინსტი-  
ტუტში ასე შეიქმნა „ნინო ხალიას ფონდი“,  
რომელიც ამჟამად რამოდენიმე ათას ეგზემპ-  
ლარს შეიცავს, მათ შორის, უნიკალურ გამო-  
ცემებს.

ე. ხალია ამჟამად ცნობილი მეცნიერ-ქართვე-  
ლოლოგია დასავლეთში. იგი არჩეულია ლუვე-  
ნის, ბამბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და  
პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო  
დოქტორად. მან შეიქმნა ოსლოს უნივერსიტე-  
ტის საპატიო პროფესორის წოდება და გადაეცა  
დიპლომი. ამ დიპლომს ზელს აწერენ მ. ფოგტი,  
რ. ლაფონი, ე. გარტი, შ. მერსიე და ე. მოლი-  
ტორი.

ე. ხალია ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევ-  
რია. იგი ასევე პარიზის საზოგადოების,  
პარიზის ლინგვისტიკური საზოგადოების, ბიზან-  
ტოლოგიის საზოგადოების, პარიზის ხანსტო-  
რიო საზოგადოების წევრია. ე. ხალია 15 წლის  
განმავლობაში უკველწელიურად ირჩეულია მეც-  
ნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვი-  
ცე-პრეზიდეტად. პროფ; ე. ხალია და ნინო ხა-  
ლია საქართველოს ხანსტორიო საზოგადოების  
საპატიო წევრები არიან.

1957 წელს პროფ. ე. ხალია გამოვიდა აღმო-  
სავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე  
მიუნხენში მოხსენებებით: „კავკასიოლოგიის ცა-  
ლექ სამეცნიერო საგნად გამოყოფის შესახებ“. მისი ეს წინადადება მიღებულ იქნა: 1960 წ. რე-  
ლიგიური კულტების ისტორიკოსთა მამბურების  
საერთაშორისო კონგრესზე იგი გამოვიდა  
მოხსენებით: „ქრისტიანობის ისტორია საქარ-  
თელოში“; 1961 წ. აღმოსავლეთმცოდნე-  
თა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ტრისტ-  
ში — მოხსენებით: „ქართველ და კავკასიელ  
ხალხთა კულტურა“; 1962 წ. აღმოსავლეთ-  
მცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე დელი-  
ში — მოხსენებით: „საქართველოს ძველი კულ-  
ტურული ცენტრები უცხოეთში და მათი გავლენა“; 1967 წ. ბიზანტოლოგთა საერთაშორისო  
კონგრესზე ოქსფორდის უნივერსიტეტში —  
მოხსენებით: „ძველი ბიზანტოური ლიტერატურა“

ილია ტახტაშვილი  
სახელმწიფო გამომცემი

რული ძეგლები, რომლებიც შემონახულია მხოლოდ ქართულ ვერსიებში“.

1966 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის საღამოს მოწყობაში პარიზში, კერძოდ, კ. სალიამ დაიქირავა თავის ხარჭზე დარბაზი და დაგზავნა მოსაწვევე ბარათები. ამ საქმეში მათთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა, იმ დროს იქ მყოფი, პოეტი-აქადემიკოსი რი. აბაშიძე.

პროფ. კ. სალიას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სამეცნიერო სტატიები, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. 1972 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნეს „საქართველოს მოკლე ისტორია“. ამ წიგნის პირველ გვერდს ამუშვენებს ნინოს შემდეგი სიტყვები: „საქართველოს ამ პატარა ისტორიას ვუძღვნი ჩემს შრომატოვარ სოფელს — ვარდისუბანს (თელავის რაიონი). რომლის კვლავ ზილვის ბედნიერება ბავშვობის შემდეგ აღარ მქონია და რომლის სიუკაროვსა და ტრფილს გულში ვატარებ. სადაც არ უნდა ვიყო“.

1980 წლის მარტში პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა პროფ. კ. სალიას წიგნი „ქართველი ერის ისტორია“ (ნაბ ვვ.), რომელსაც იმავე წლის მაისში საფრანგეთის აკადემიის პრემია მიენიჭა. ეს წიგნი პროფ. კ. სალიას მრავალი წლის მანძილზე ნააზრებისა და დიდი მუშაობის ნაყოფია. ამ უკანასკნელი მუ წლის განმავლობაში „ბედი ქართლისა რევით დე ქართველოლოგის“ ნომრებში იბეჭდებოდა პროფ. კ. სალიას სხვადასხვა სტატიები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ. ეს სტატიები უკველთვის გამოირჩეოდა საკითხების ღრმა ცოდნით და სამშობლოსადმი სიუკაროვლით. ჯერ კიდევ მუ წლის წინათ ერთ-ერთ თავის სტატიაში საქართველოს შესახებ კ. სალია წერდა: „მეტად პატარა ქვეყანაა გეოგრაფიულ რუკაზე რომ შეინიშნოს, მაგრამ დიდიერია თავისი ისტორიით, როლით, რომელსაც იგი შორეულ წარსულში ასრულებდა. საქართველო. — ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო. — არის და უკველთვის იქნება ისტორიულ ასპარეზზე წარმოდგენილი“.

„ქართველი ერის ისტორიას“ მაღალი შეფასება მისცეს ცნობილია მეცნიერებმა; მანს ფილტმა (ოსლო), ფრანსუა გრაფენმა, ეან-პიერ მაემ, კატ. ვვიანმა, პ. პერსინიმმა (პარიზი), იულიუს ასფალგმა (მიუნხენი), დონ ბერნარ უტიემ (საბლე, სოლემი), ეჟ. ალიერმა (ტულუზა), ლუიჯი მაგაროტმა (ვენეცია), შაბიერ კინტანამ (ბილბაო), მიხეილ ვან ესბროკმა (ბრიუსელი), ლაიოზ ტარლიმ (ბუდაპეშტი), ეან-მარი სოვემ (ვატიკანი) და სხვ.

აი ზოგიერთი მათგანის შეფასება: „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მეცნიერებისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“ (მანს ფილტმა); „ჩემი აზრით, საქართველო დაინტერესებულ პირთათვის ეს იქნება აუცილებელი სახელმძღვანელო, რომელსაც ძალა შესწევს საერთო ხასიათის ძიარფასი ცნობები მიაწოდოს მათ საქართველოს ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე“ (ფრანსუა გრაფენი); „ფრანგი მეცნიერი პირველად შეძლებს წაიკითხოს უკვლასათვის მისაწვდომი სტილით დაწერილი ისტორია კავკასიის უძველესი ერისა მისი წარმოშობიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე“ (ეან-პიერ მაემ); „ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ექნება უკვლასათვის, ვინც ქართველოლოგიას მოჰყიდებს ბელს“ (კატერინ ვივიანი).

პროფ. კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“ ითარგმნება ინგლისურად და მალე გამოქვეყნდება.

კალისტრატე და ნინო სალიების დამსახურება გამოიხატა იმაშიც, რომ მათ ეურნალის გარშემო შემოიკრიბეს მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგ-კავკასიოლოგები და თუ ეს მეცნიერები მანამდე წერდნენ მხოლოდ ისეთ თემებზე, რომელიც მათ აინტერესებდათ, ახლა კალისტრატე და ნინო მათ უყვეთავენ სტატიებს იმ საკითხებზე, რომლებიც ქართული მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე, ეურნალისათვის საკიროა: ეურნალი სისტემატურად აშუქებს ქართველ საბჭოთა მეცნიერების წარმატებებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ეურნალი აცნობს მეცნიერებს იმ შრომებს, რაც დაწერეს მსოფლიოს ქართველოლოგებმა საქართველოს შესახებ; ეურნალი უკველწილურად აქვეყნებს საქართველოში დასტამბულ ლიტერატურის (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, ქართული ენა და ლიტერატურა) სიას, იძლევა მათ მოკლე ანოტაციას.

დღეს ეურნალი „ბედი ქართლისა რევით დე ქართველოლოგი“ წარმოადგენს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგში საერთაშორისო ორგანოს ანემად, თითქმის არ არის მსოფლიოში უკავსილები ერების ისტორიით, კულტურით, ხელოვნებით, მუსიკით და ა. შ. დაინტერესებული მეცნიერი, რომელიც ამ ეურნალთან არ იუოს დაკავშირებული. ეს კალისტრატე და ნინოს დამსახურებაა.

ეუსურვეთ ამ ორ ადამიანს, ნინოს და კალისტრატეს, რომელთა ბედი ასე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, განმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი წარმატება იმ კეთილშობილურ საქმეში, რომელსაც ისინი ასე ერთგულად და თავდადებულად მთელი თავიანთი ცხოვრება ემსახურებან.

# სილოზი

თეიმურაზ შავჭავჭავაძე

## უსასრულობა...

დათო კარწაშვილი — დაარსული და ნაპოვნი, ტკივილი და აღფრთოვანება, სასოწარკვეთი და იმედი, დარდი და სიხარული...

ამონაწერი დღიურიდან: „მე თბილისში დავიბადე. მამაჩემი ხელოვანი — მუსიკოსი, ფურნალისტი, პოეტობს კიდევ. მოკლედ, ყველაფერში თავის „ხელოვნებას“ აქსოვს... და მეც ხელოვნებას მივყევი—ვხატავ, ვწერ და ვუკრავ...“  
ხოვლებებისა და საგნების საკუთარი სახელებიც არ იცოდა, როცა დედამ პირველად მისცა ხელში ფანქარი, წინ ფურცელი დაუდო და უთხრა: „არ იხმარო, ხატე!“ და დათმავ დღიურს ხატვა. როგორც წესი, ჭერ ფანქრით აკეთებდა მარტივ მონახაზებს. შემდეგ აკვარელში კმნიდა კომპოზიციებს, უფრო გვიან კი ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში გაეცნო ფერწერის ტექნიკას. თითქოს გახაოცარი არაფერია — იწარღებოდა ჩვეულებრივი ნიჭიერი ბიჭი, რომელსაც 17 წელი საჯარო-სკოლაში შეუსრულდა და...

გახაოცარია ის, რომ ამ ხანმოკლე სიცოცხლეში დღეგრძელი შემოქმედებითი შემკვადრებდა დატოვა.

აქ ყველაფერია — პირველი გაუბედავი ნაბიჯები და თამაში განაცხადი, ძიება და გამარჯვების სიხარული, ფორმასთან მოწაფური კიდელი და ოსტატის მტკივ ხელი, შემოქმედებითი წვა და ფანტაზიის აღმავრენა, ხელოვანის უტყუარი ინტუიცია და ფიქრიანი განსჯა.

პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია — დათო მხატვარია!

ათასამდე ნამუშევარი დარჩა და, ალბათ, ამდენივე დაიკარგა. თითქოს ცოტაა, მაგრამ განა რაოდენობით განიხილვრება ხელოვნების ღირებულება? მიითმეტებს, როცა შემოქმედება მხოლოდ ხუთ-ექვს წელიწადს მოიცავს.

ნორჩი მხატვრის პირველ სერიოზულ ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს 11 წლის ასაკში შესრულებული „კახეთის პეიზაჟი“. გამოხასხველობითი ხერხები პრიმიტიულია: სისრტუოსრივი ნახატი, ლოკალური ფერები, მარტივი კომპოზიცია, ქარისაგან გადახრილი ხეოა რიტმული წყობა, წვიმის პირობითი შტრიბები. მთების ჩვეული ფონი. მაგრამ სურათის ემოციურ წუბაში უკვე იგრძნობა ბუნებასთან შემოჭმედებითი უხებით გამოწვეული განცდა ახლად თვალახელილი ხელოვანისა. სამყაროსთან დამოკიდებულება ჭერ გაურკვეველია. იგრძნობა უცნობი ძალი წინაშე მოკრძალება და შიში. რაც სივდიან განწყობილებას კმნის.

პატარა მხატვრის მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევს. ხელი თავისუფლად მოძრაობს ქაღალზე და სულ რამდენიმე შტრიხის საშუალებით კმნის გრაფიკულ ჩანახატებს. რომელთა ერთი ნაწილი მიწნად ისახავს ადამიანთა გარეგნული ნიშნების საშუალებით მათი შინაგანი სამყაროს წვდომას (მაგალითად, „კაცია ადამიანი?! „სახები“ და სხვ.), ნაწილი წარმოადგენს მუსიკის ესთეტიკურ-ემოციური არსის მხატვრულ იუმორისტულ ინტერპრეტაციას (მაგალითად „მომღერალი“, „ორკესტრი“, „მუსიკოსები“ და სხვ.), ხოლო ნაწილი — ზოგადადამიანურ ცნებათა თვისებურად გააზრების ცდას (მაგალითად, „სიბერი“, „მწუხარება და სიხარული“ და სხვ.).

ყველა ამ ნამუშევარში იგრძნობა ავტორის პირადი დამოკიდებულება მოვლენისადმი. ერთგვარად თამაში, მაგრამ ამასთანავე მართებული შეფახების უნარი. თითქოს იგი კმნის იუმორისტულ ვარაიციებს სერიოზულ თემებზე და აშთკიდევ უფრო მნიშვნელოვანს, მტკივნეულს ხლის თავის სათქმელს. ხაინტერესოა, ამ თვალ-

საზრისით გრაფიკული ფურცლები: „უცნაური ფრეზი“, „მშვენიერების ტრფიალი“, „წყალი...“ და სხვ.

დათოს გულმოდგინედ ხეწავს ტექნიკას. არ ერიდება რთულ მასალაში მუშაობას. ტუშითა და კალმით ასრულებს გრაფიკულ ფურცლებს: „რაფიელ ერისთავი“, „მოხუცის თავი“, „შებადური“, „ქალი საჩქეში“, „შრომა“ და სხვა მრავალი. მაშინაც კი, როცა წმინდა ტექნიკურ ამოცანას ისახავს და ქმნის შიშველი ხის სხვადასხვა ვარიანტებს, არ ივიწყებს გრძნობად-აზრობრივ მომენტს და სიმბოლოების ენით გველაპარაკება სიციცხლის არსზე („ცხოვრების ქსელი“)

დათოს შემოქმედებითი ფანტაზია, აზროვნება კიდევ უფრო ღრმავდება და რთულდება: რა არის საგნის ფორმა? სად იწყება იგი და სად მთავრდება? იქნებ საგნის რეალური სახე მხოლოდ მხედველობითი შეგრძნებებია, ილუზია, ხოლო კემშარბით ფორმა სადღაც მის მიღმა მანალუ-ლი?

მხატვარი რთულ ამოცანას ისახავს: ცდლობს აღმოაჩინოს ფორმა ფორმაში, ეძებს ერთი და იგივე ფორმის მრავალ მნიშვნელობას, ჩანაფიქრის რაც შეიძლება დაძაბულ, არქიტექტონულ გადაწყვეტას. ასეთია, მაგალითად, გრაფიკული კომპოზიცია რომელზედაც გამოსახულია შხის-კენ ხელუბაპურიბილი ძაძებით მოსილი ქალი, ფოთლებგაძარცვული ზე, მოხუცი მამაკაცის თავი და აღმინის შიშველი ფეხის ტერფი.



ფორმა მხოლოდ საშუალებაა, მიზანი კი შინაარსი, რომელსაც მხატვარს უხვად აწვდის რეალური გარემო და ისიც მთელი გატაცებით მუ-

შაობს. ქმნის წმობლიური კახეთისა და სამეგრელოს პეიზაჟებს, აკეთებს უამრავ ჩანახატს: ჭვარი, ალავერდი, მეტეხი, ძველი ზაზულია...

ავტორი მშვენიერებას ეძებს იქ, სადაც იგი თითქოს არც შეიძლება არსებობდეს. მისთვის მთავარია ცხოვრებისეული სიმართლის ასახვა. ამაზე მეტყველებს ჩანახატების მთელი სერია. ერთი ნაწილი წარმოგვიდგენს სხვადასხვა ხასიათის აღმინებს მათი უოველდღიური, სრულიად ბნალოური საქმიანობის პროცესში; მეორე ქმნის პორტრეტების მთელ გალერეას; მესამე ასახავს ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროს და ა. შ. უველგან იგრძნობა სიციცხლის ცხოველ-მყოფელი ძალა. მხატვრის განწყობილება იჭრება ნოდელის შინაარსში და პორტურ სახეს იღებს. ეს უკვე გრძნობადი აღქმით გაღვიძებული ცნობიერების შედეგია, რომელიც თვალსაჩინოა ამ პერიოდის ნამუშევრებში. ამას ემატება პლასტიკურ-გამომსახველობითი საშუალებათა გამდიდრება, ეკრძოდ, ფერწერის ტექნიკის ათვისება და დათოს მხატვრულ აზროვნებას ფართო ან-პარეზი ეძლევა. ამჯერად უკვე ფერწერული ტილოები გვაოცებენ კოლორიტის დახვეწილი განცდითა და ზეთის საღებავების ფერით შესაძლებლობათა წარმოჩენის თანდაყოლილი უნარით. საკმარისია, დავასახელოთ 1878 წელს შესრულებული ტილო „აღაზნის ველი“. ეს არის სუფარელი პეიზაჟის წმინდა ფერწერული ბატი. საღებავთა პოეზია. გამოსახულება არსად ჩანს მუქიდან ღია ტონებისაკენ ფერის ბარმონიული გადასვლა აღაზნის ველის უიდეგანო სივრცის



შობებულებას კმნის და ყველაზე საოცარი ის, რომ ეს არ არის ფერწერული ილუსტრაცია — ტილოზე ვხედავთ კახეთის უღამაშეს მდინარეს თავისი ველ-მინდვრებითა და ტალებით.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტექნიკის სრულყოფილად დაუფლების მიზნით ნორჩი მხატვარი გულმოდგინედ იყენებს სათანადო გამოხატველობით საშუალებებს და, ბუნებრივია, მიმართავს ფერწერის რეფორმატორების, კერძოდ, იპარესიონისტების ხელოვნებას. დათოც ხატავს „წვიმიან დღეს“, მაგრამ მოვლენასთან მისი სულიერი თანაზიარობა განსაზღვრავს ამ სურათის მხატვრულ ღირებულებას და არა წარსულის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ოსტატურად ათვისების დონეს. და მანაც მაჟურნალის გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს, როგორ ფლობს პატარა ხელოვანი ამ მხატვრული მიმდინარეობის რთულ გამოხატულებით საშუალებებს.

მტკიცე ლოგიკისა და ცხოვრებისეული მცირე გამოცდილების შემწეობითაც კი დათოს ანალიტიკური აზროვნება თანდათან იხვეწება. სულ უფრო მწვავედ დგება მის წინაშე ადამიანის არსის პრობლემა. იგი ცდილობს ჩასწვდეს იმ საიდუმლოებას, რომელიც ოდითგანვე აწვავდა კაცობრიობის აქტიურ ცხოვრებას — რატომ და როგორ გაჩნდა ადამიანი?

საოცარია, როგორ აუჩქარებლად, დინჯად, თანმიმდევრულად ახდენს პატარა მოაზროვნე ამ რთული პრობლემის გათავისებებას...

ამ ხერხის ნამუშევრებს („ევას შექმნა“, „ფიქრი არსებობაზე“, „დაბადება“, „ადამი და ევა“ და სხვ.) შეიძლება „მცირე ფილოსოფიური ვაზრებანიც“ კი ვუწოდოთ და, რაც მთავარია, ჩვენ და ვასაოცრად და სასიხარულოდ, ავტორი ყოველთვის აბრუნებს ჩანაფიქრის შეხატუვები გამოხატულებითი საშუალებების, სათანადო ფორ-

მათქმნადობის მეთოდების შერჩევას. მოხთვის უცხო არ არის არც მხატვრული განზოგადების ხერხების გამოყენება (მაგალითად, „ცეკვა ოსური“) და არც საგნის შესატყვისი ყველაზე ოპტიმალური ფორმის, კონკრეტული ნახატის ავების წესები (მაგალითად, „მეწვავ“).

დათოს უკანასკნელი ავტოპორტრეტი დაუმთავრებელი დარჩა, ისევე როგორც ნორჩი მხატვისი შემოქმედებითი ცხოვრების გზა. ის თავის ერთ-ერთ ლექსში წერდა:

გაირბენს დრო, ჩაივლის წყლები,  
ღარკავს საათი, და ისიც მოვა...  
გამიფრინდება ბავშვობის წლები,  
მოვა ზღუხული და... შემოდგომა.

მან უკვე თავისი ცხოვრების გაზაფხულზე შექმნა ხელოვნების ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოუტანეს.



ჩაბაქა

ჩაბაქობა პატარა მხატვარი, რადგან ქვეყნობიერად გრძნობდა დასასრულის მოახლოებას:

...ოთხში ჩემად ვარდავიცვლები  
ჩემი პალიტრით და ფუნჯით ხელში,  
გასვენების დღეს იქნება წვიმა,  
უკვე წვეთები წუწუნს იწყებენ!  
მიმბარებენ თბილისის მიწას  
და მერე, ალბათ, დამივიწყებენ..

აქ კი უღალატა წინათგრძნობამ — ხალხის ნიჭის თაყვანისმცემელი საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს მის სახელს.



# მოგურთაღსა მოედანი

## ე ქ რ

„დღილი ეპარსნი“, ლონდონი (დღილი ბრიტანეთი), 1981 წ. 5 მარტი.

ენერგიულმა და სოციალმა კარტველებმა თავიანთი დასცენ „ვისტ ჰემს“ ძლიერი თამაშით.

როგორც ნამდვილ სპორტულ სულსკვეთებს შეეფერება „ეპტონ პარკის“ აღმწვებული სტადიონი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა თბილისიდან ჩამოსულ საბჭოთა ოსტატებს. რომლებმაც კუთხისასწავლი გაკეთილი ჩაუტარეს „ვესტ ჰემს“.

ისე გვგონებოდა, თითქოს დინამოელები ვალს ცეკვავენ და მაგიური სველების ბლანდს ქსოვენო; ამით მათ მთლიანად გაუქარწყლეს „ვესტ ჰემს“ სამხაგი ტიტულის; მეორე ლიგის ჩემპიონის, ლიგის თასის მფლობელისა და თასების მფლობელთა თასის მოპოვების იმედი. ორი ბურთი რომ გაიტანეს, კართველებმა თამაშის პირველ ნახევარშივე მიადწიეს უპირატესობას. იმის შემდეგაც კი, როცა მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე დევიდ კროსმა გოლი გაიტანა (28-ე ამ გეზონში), ერთი წუთიც არ იყო გასული და მკვიცხლმა „დინამომ“ საპასუხო ბურთი შეაგდო. ამით მათ გააქარწყლეს ევროპაში გავრცელებული თეორია, საბჭოეთში მხოლოდ სტრატეგიული სტილის ფეხბურთის თამაშობენო.

თბილისელთა მწვრთნელმა ნოდარ ახალაყვამ განაცხადა: „შე ვფიქრობ, „ვესტ ჰემმა“ ჯეროდნად არ შეგვაფასა. თუმცაღა, ჩვენი სტანდარტების მიზნდვითაც კი ეს თამაში განსაკუთრებული თამაში იყო. თერთმეტევი მოთამაშებ თავისი საუკეთესო თამაში გვიჩვენა“. „ვესტ ჰემის“ მენეჯერმა ჯონ ლაილმა თქვა: „თუიკი გათამაშებიდან გამოითიშვა გვიწერია, მოხარული ვიქნები, რომ ეს მოხდებოდა ისეთი მაღალი კლასის გუნდთან ბრძოლაში, როგორც „დინამო“. „დინამომ“ ოსტატობით უზვად მომადლებული, ბრწყინვალე გუნდია. მას უკვლავად აქვს, რაც ალტაცების ღირსია. დიდი ხანია არ მინახავს სხვა გუნდი, რომელიც უკვლავ გასვლას ისე აბოლოგებდეს, თითქოს საჩვენებელ ვარჯის ატარებდნო. ჩვენი გუნდის თამაშმა რამდენადმე იმედი გამიკრუა, და სწორედ მაშინ, როცა გვეგონა, რომ ჩვენებურად ავთამაშდით, მაშინვე შეგვიგდეს კადეც ერთი ბურთი“.

დინამოელთა კაპიტანმა, წესიერმა, ზუსტმა მოთამაშემ ალექ ჩივამემ 24-ე წუთზე ისე ლახათიანად გაიტანა პირველი გოლი, რომ მივხედით, რატომ აღიარეს იგი საბჭოთა კავშირში წლის უპირველეს ფეხბურთელად. ექვსე წუთის შემდეგ, როცა ბურთის მისაღებად წინ გასულმა ცქვიტნა გუცაევმა დაუყოვნებლივ ისარგებლა სტიუარტის უგერგილობით და კარში მეორე ბურთი შეაგორა. „ჩაქურებისათვის“ გასაგები ვახდა, რომ ასეთი განადგურების შემდეგ მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდათ და რაღაცას მაინც გადაარჩენდნენ.

„ჩაქურები“ არ შედრკნენ, ძალა მოიკრიბეს და თვითონაც შეუტრეს 54-ე წუთზე კროსმა შემოსხენებული გოლი გაიტანა. მაგრამ ისევ მწარედ გაუცრუვდათ იმედი. „მკვლელის“ რგლი 24 წლის გამომარბს რამეს შენგელისა დაეკისრა, რომელმაც მალე გაიტანა გოლი და ანგარიში 3:1-ედ გაზარდა. მერე კი, 67-ე წუთზე საბოლოოდ დაუსვა წერტილი განადგურებას...

„სან“, ლონდონი (დღილი ბრიტანეთი) 1981 წ. 5 მარტი.

### ალმონსაველითის ჩაქურები

ძარტველი სუქერმენები აძულდებენ ლაიალს გაოცებისაგან პირი დააღოს.

კართველებმა მისიკედელი „ჩაქურები“, მაგრამ მენეჯერი ჯონ ლაილი გამოტუდა, რომ იგი ტებებოდა ამ „მკვლელის“ თითოეული მომენტით. როცა ნახა, როგორ გააცამტვერეს ალმონსაველითა ჯადოქრებმა მისი გუნდი, მან აღიარა: „წაგებას ვერ ვიტან, მაგრამ თუ გათამაშებიდან გამოითიშვა მიწერია, მაშინ ასეთ მებტოქესთან წაგებას ვამჯობინებ. ჩვენს კონტინენტზე გამართული მრავალი მატჩი მინახავს და მტკიცედ შემძლია ვთქვა, რომ თბილისელთა გუნდზე უკეთესი არ არსებობს. ჩვენი ტრავედანა, რომ ვერ ვხვდებით ასეთ მოთამაშეებს. მათ აქვთ უკვლავადი, რაც ფეხბურთში ესოდენ გვხიზლავს: ალღო და გემოვნება, ტექნიკა და კლინიკურად ზუსტი დაბოლოება. განმეორების მატჩში შევეცდებით იმის დამტკიცებას, რომ დღეს საღამოს რაღაცა მაინც ვისწავლეთ მათგან. დინამოელებმა თამაშის ის დონე გვიჩვენეს, რომლის მიღწევა ჩვენი მიზანია. ჩემი ბიჭები სულთ არ დაცემულან. ისინი გამომიტყდნენ, რომ ხან-

ტერცო ახეთი კლასის გუნდთან თამაში".  
...ჩაქუჩები". რომლებიც მთელი სეზონის  
განმავლობაში, თითქოს „როლსროისით“ ნე-  
ბანება დასერიანობენო, ახლა საბჭოურ ტანჯს  
შეგახნენ, ლონდონის საუკეთესო (ამჟამად)  
გუნდს გაუყვითლი რომ ჩაუტარა. „დინამო“  
დაამტყცა. რომ ინგლისელები არ არიან საუ-  
კეთესო ფეხბურთელები.

თბილისელებმა ვეჩვენეს დიდი ხელოვნე-  
ბა. ორგანიზებულობა და უკიდურესად საში-  
ში იყვნენ მოწინააღმდეგის კართან: უოველმზ-  
რიუ ხჯობდნენ მეორე ლიგის ლიდერს. ჩვენ  
ამ სეზონში ისე ვქომაგობდით „ვესტ ჰემს“,  
რომ ლამის ხმა ჩავუხიზრა. მაგრამ მისი თა-  
მანი ნამდვილად მხოლოდ იმ გუნდის წყალო-  
ბით დავინახეთ. რომელმაც აუცილებლად უნ-  
და მოიპოვოს თანების მფლობელთა თასი...“

მატი რომ დამთავრდა, „ვესტ ჰემის“ გულ-  
შემატებულებმა, როგორც ჩანს, გაიზიარეს ლა-  
ილის გრძნობები და ფეხზე წამომდგარებმა  
ოვაციო გაუმართეს თბილისელებს.

...სტატიან თან ახლავს ფოტოსურათი, რო-  
მელსაც ასეთი წარწერა აქვს: „იყო თუ არ  
იყო? თბილისელთა შეკარგმ ოთარ გაბელიამ  
ბურთი მანამდე დაიჭირა, სანამ ის კარის ხაზს  
გადაკვეთდა. დ. კროსს მიაჩნე ჩაეთვალა ამ სე-  
ზონში გატანილი მზ-ე გოლი“.

ბარიან მულანფი

„პარლ ცარიას“ (ინა) და „დინამოს“  
(თბილისი) შეხვედრასთან დაკავშირე-  
ბით დიუსელდორფში გამოშვებული პრე-  
ზრატა

„სსრკ“-ს „სამხრეთელიები“

ქართველები — სსრკ-ს „სამხრეთელები“  
— მხენ და სტუმართმოყვარეობით სწორუპო-  
ვარი ხალხია. ფეხბურთში მათი შემწე მათივე  
ტექნიკაა. ისინი ბურთის ქაღალჩები  
არაიან. ათეული წლების განმავლობაში „დი-  
ნამო“ სსრკ-ს ექსტრა-კლასის გუნდია. მაგრამ  
ნამდვილად დიდ წარმატებებს გუნდმა ამ ბო-  
ლო წლებში მიაღწია. როცა მან მწვრთნელად  
სათავეში ნ. ახალკაცი ჩაუდგა. წელიწად ნახე-  
ვრის წინათ „დინამო“ ჩემპიონთა თასის  
გათამაშებიდან გამოიშვა „ლივერპული“.  
„დინამოს“ თამაშით სულ ახალბაბ ატყატებას  
გამოთქამდა ამ ინგლისური გუნდის მენეჯე-  
რი პეისლი: „ეს უველაზე საუკეთესო გუნდია,  
რომელსაც ჩვენთან, ლივერპული უთამაშოა!“  
მანინ მხოლოდ „ჰამბურგმა“ შეძლო შეეჩერე-  
ბინა თბილისელთა გამარჯვებით სულა. მაგრამ  
წლეულს ახალკაცის გუნდი სენსაციის ავტო-  
რი გახდა: ლონდონში მან მეითხედფინალში  
დაამარცხა ინგლისის თასის მფლობელი „ვესტ  
ჰემი“ ანგარიშით 4:1. „დინამო“ ის გუნდია,  
რომლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს შემოქ-  
მელებითი სტილის თამაში. ამ თვალსაზრისით

ის პრინციპულად განსხვავდება სსრკ-ს სხვა  
გუნდებისაგან: არაფერი სქემატური, ბევრი  
მოძრაობა. მათ შორის უბურთოდაც. გუნდის  
„ლერძს“ შეადგენენ სსრკ-ს ნაკრების მეკარე  
(ახლა ტექსტო — მთარგმნ.) გაბელია, რომე-  
ლსაც კოლმასალური რეკვიცია და მოწინილობა  
აქვს. წინ წაწეული სტოპერი ჩივამე (ისიც  
ნაკრების მოთამაშეა) — დაცვის ორგანიზატო-  
რი და მუდამ საიერიშოდ შემართული. და ცე-  
ნტრალური თავდახსნეული ყოფიანი — ბრწყინ-  
ვალე ტექნიკოსი, ვინც საუცხოოდ ხედავს  
მინდორს. ყოფიანი 15-20 მეტრი მანძილიდან  
დარტყმის „სტეკიალისტიკა“. იგი გუნდის  
„ტვიჩია“. გუნდის „კოზირებია“ აგრეთვე ორ-  
ივე გარემარბი. „მფრინავი ისრები“ — გუ-  
ცავეი და შენგელია. რომლებიც უოველთესის  
კარის დამომხვას ცდილობენ. „ფიციეოროდთან“  
მღებუელი ტრავმის შემდეგ შენგელია ჯერ  
კიდევ არ არის ჩვეულ ფორმაში. შუა მინდო-  
რში გამოირჩევა დარასელია. რომელსაც ჩვენ  
ვიცნობთ სსრკ-ს და გფრ-ის უკანასკნელი შე-  
ხვედრის მიხედვით (მეტრი გაიშართა 1979  
წელს თბილისში და დამთავრდა გფრ-ის გამა-  
რჯებით ანგარიშით 3:1). გუნდის მიერ არჩე-  
ული თამაშის სქემის შესაბამისად დარასელია  
იდეალური დამატება ყოფიანია. რომელიც  
უმეტესწილად ოდნავ უკან დახეული თამა-  
შობს.

„ინტერნეშნლ პიტალ დტრიბუენ- (აშუ)  
1981 წლის 13 ნაინი.

მასურმხლის რარდენოზა და  
სამართლიანოზა

სამართალი რომ გაყოფული ბითელები  
რიცხვს შეესაბამებოდეს. ათი ათასობით გულ-  
შემატკეოვარი არასგზით არ იდგომებოდა ინ-  
ლისის თასის განმეორებითი ფინალური მატჩის  
ბილეთების რიგში მანინ. როცა ისეთი მოთა-  
მაშეები, როგორიც ადექსანდრე ჩივამეა, უმ-  
ინოშენილთავე ევროპულ ფინალში დიუსელ-  
დორფის ნახევარედ ცარიელ „რაიზნტადიონს“  
თამაშობენ. მაგრამ აბა რას იზამ ასეთია ცხო-  
ვრება.

ენერჯითი და ინიციატივით აღსავსე ჩივამის  
(და რამდენიმე მხის ქართველი თანაგუნდე-  
ლი) თამაშის მანერა ერთ-ერთი უველაზე გა-  
მორჩეულია დედამიწაზე.

დიუსელდორფის მატჩი შეიძლება ამ კვი-  
რის უველაზე უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდეს  
ფეხბურთის სამყაროში. ფინალური მატჩი თა-  
სების მფლობელთა თასზე თბილისის „დინა-  
მოსა“ და იენის „კარლ ცაისს“ შორის უყვე  
შეფასებულია. როგორც „ფინანსური კატასტ-  
როფა“. რადგანაც ნაკლებად სარწმუნოა. რომ  
დასავლეთ გერმანელებმა გაავსონ სტადიონი  
ფინალური თამაშის სანახავად. რომელშიც  
მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის გუნდები  
ხედებიან ერთმანეთს.

სამწუხარო კია, ცხადია, „კარლ ცაიხი“ არ არის ისეთი გუნდი, რომელსაც შეუძლია ააღვლევოს მასურებელი, მეორე მხრივ, თბილისელებს სწორედ ის უნარი აქვთ, შიგ შუაგულში გაუსვლტენენ ანდა გვერდი აუარონ უკლავე ცინიკურ დაცვაასკ კო...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცარიელი ტრიბუნები ვერ აიძულებენ თბილისელებს უარა თქვან უნიკალურად შერწყმულ საბჭოთა და ლათინურამერიკული თამაშის სტილზე. ერთი წლის წინათ თბილისელებმა დაამარცხეს „ლიკერპული“, რომელიც უკვე 15 წელია პრეტენზიას აცხადებს უმაღლეს ევროპულ ტიტულზე. ხოლო ორი თვის წინათ ლონდონში ქართველების თამაშის მწახველთ სული კინალამ შეგვეკრა. პირთამედ გაქედლი სტადიონით გახალისებულმა „დინამომ“ ნაწილ-ნაწილ დაშალა „ექსტ ჰემ იუნაიტედი“. ორი კოლერამაშ უნგელიას ზებუნებრივი სისწრაფისა და ზუსტი დაბოლოების წყალობით გავიდა. მეორე გოლი მშაცრულ ჩანაფიქრთა ავტორის, შემელოტებული დავით უიფიანის გადაცემის (დაახლოებით 80 მეტრი მანძილიდან) ნაყოფი იყო. ვინც სათამაშო მინდორს თავისი შემოქმედების პლაცდარამად იყენებს.

და მინც, იმ საღამოს უკვლავ დასამახსოვრებელი მომენტის ავტორი (შეიძლება მტკიცება, რომ ეს იყო ევროპაში მთელი სეზონის მანძილზე გატანილი საუკეთესო გოლი) ჩივადე გახლდათ... ამ 25 წლის ფეხბურთელს ტოლი არ ჰქავს დაცვიდან იერიშზე გადასვლის ხელოვნებაში ჩვენს გაუსახურებელი ინდივიდუალიზმის სამუაროში ჩივამეს ვარსკვლავის კეშმარტი თვისებები აქვს. ანუა თუ ისე, იგი არაფრით ჩამოუვარდება ფრანც ბეკენბაუერს. ჩვენ კი რა, სხვათა შორის თუ გამოვხატავთ პატაივისტებს ამ ერკოლამოგვრელი ტალანტის მიმართ. ნეტა ჩვენი რეკლამისთვის თვალი ვინმეს ზომ არ აუხვევია?

როზ მიუჯესი

„ფრანკფურტერ ალტმაინე ჰაიბტშენ-ფრანკფურტი (გფრ), 1981 წლის 15 მაისი.

...შეიძლება სხვადასხვააირად შეფასდეს ქართული ფეხბურთის ხელოვნება რაც შეეხება ზეიმს. ამ თვალსაზრისით ისინი ღირსეული გამარჯვებულები აღმოჩნდნენ. ტაუილად კი არ უწოდებენ მათ სსრკ-ში „სამხრეთელებს“. კოცნათა რაოდენობა იმ საღამოს, დაახლოებით, ერთი პატარა გერმანული ქალაქის კვირეულ ნორმას შეესაბამებოდა (არასრული მონაცემებით). ერთმანეთს კოცნიდა უკლებლივ უკვლა მამაკაცი: მათთან ანუა მიღებული, სტადიონის გასახდელო დიუსელდორფული ლუდით ხსვენ კაობებს. ერთმანეთს უჭაბუნებდნენ თრობამოურვეელი ქართველები, სვამდნენ გამარჯვების სადეგარტელოს მოგვიანებით კი, სასტუმროში, ისინი უფრო მაგარ სასმელებზე გადავიდნენ, მაგრამ დატუბით მინც არაფერი დატუბით

მათი ტემპერამენტი თამაშში გამოჩნდა. „კარლ ცაიხის“ მწვრთნელმა ქართველი ფეხბურთელები, როგორც „ინდივიდუალური თამაშითა და ტექნიკით გამორჩეულები“, ისე დაახასიათა. „დინამოს“ ზოგიერთი მოთამაშე თავგამოდებით იბრძოდა მატჩის ბოლომდე. ის, რასაც ბურთით აყეთებენ ჩივამე, დარახელია და უიფიანი, დიდი ღირსება და პატაიე იქნებოდა „ბუნდესლიგის“ ნებისმიერი ფეხბურთელი საბო. იენამ მხოლოდ სოლიდური სისწრაფე გვიჩვენა.

რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ერჩივნათ ხალხით გაქედლი ტრიბუნების წინაშე თამაში, მაგრამ „დინამოს“ ტანსტულმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა მინც საკმაო კორექტულმა გამოიჩინა, როცა განაცხადა: „მე ვერ ვხედავ ვერაფრითარ კავშირს მატჩის დონესა და მასურებლის რაოდენობათა შორის“.

ბანს-იოხანი ლაინენბარგი

გარეანის მე-2 გვერდზე მ. ი. ლენინის პორტრეტი. მხატვარი ვ. შიგელივი; შესაბეზე — „გაზაფხული“, მხატვარი ი. კლიბამე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-80, მდივანი — 72-44-75, განყოფილებათა გამგეები — 72-24-85, პროზის — 72-26-89, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-82, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-44-75.

გადაეცა საწყობად 23. 2. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 4. 82 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ-სავ. თაბახი 15.85. შედეგ. № 528. უე 06191 ტირაჟი 53.450



ფანი 60 კპვ.

0602560 76226

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ